

იგ·ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ
და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ლაურა კუტუბიძე

“2000-2005 წლების ქართული პრესის ძირითადი საზოგადოებრივ-
პოლიტიკური ასპექტები”

სადისერტაციო ნაშრომი
აკადემიური ხარისხის – “ფილოსოფიის დოქტორი ურნალისტიკაში”
მოსაპოვებლად

ნაშრომი შესრულებულია იგ·ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი,
ფილოსოფიის დოქტორი ურნალისტიკაში,
პროფესორი მარინა გეგუა

თბილისი
2009

სარჩევი:

შესავალი – გვ.3

I თავი – რამდენიმე ზოგადი შტრიხი მედიის არსისა და ქართული პრესის დახასიათებისათვის – გვ.7

- მასობრივი კომუნიკაციისა და მასმედიის თაობაზე – გვ.7
- ახალი ათასწლეულის ქართული მედიის ზოგადი შტრიხები – გვ.13

II თავი – სახელმწიფო ქართული პრესის პრიზმაში – გვ.30

- სახელმწიფოს იმიჯი – გვ.30
- დასავლეთი თუ რუსეთი? (სახელმწიფოს ორიენტაციის პრობლემის ასპექტები) – გვ.40
- საგარეო თემის რამდენიმე ძირითადი ასპექტი – გვ.47
- დესტაბილიზაციის “საინფორმაციო უზრუნველყოფა” – გვ.78
- აფხაზეთისა და ეწ. სამხრეთ ოსეთის პრობლემის რამდენიმე ასპექტი – გვ.91

III თავი – სახელისუფლო ბრძოლები – პრესის ძირითადი ასპექტი – გვ.98

- ზურაბ ჟვანიას “პოლიტიკური გონი” – მითი თუ რეალობა – გვ.99
- პარლამენტისა და მთავრობის დაპირისპირება – გვ.102
- დაპირისპირება მმართველი პარტიის – “მოქალაქეთა კავშირის” წიაღში – გვ.105

IV თავი – არჩევნები და პოლიტიკური სპექტრი – გვ.113

- 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნები – გვ.115
- 2002 წლის ადგილობრივი არჩევნები – გვ.117
- 2003 წელი – პერმანენტული საარჩევნო რეჟიმი – გვ.121
- 2004 წლის საპრეზიდენტო და ხელახალი საპარლამენტო არჩევნები – გვ.134
- არჩევნები პოსტრევოლუციურ აჭარაში – გვ.145

V თავი – “გარდების რევოლუცია” და პოსტრევოლუციური პერიოდი – გვ.148

- პოსტრევოლუციური/პოსტშეგარდნაძისტული ხელისუფლების შეფასება (პრესის აქცენტები) – გვ.157
- “ტრიუმვირატი” – გვ.163
- აჭარის მოვლენები – “გარდების რევოლუციის” ლოგიკური გაგრძელება – გვ.168
- საქართველოში ჯორჯ ბუშის ვიზიტის რეზონანსი პრესაში – გვ.187

დასკვნა – გვ.203

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომი, ძირითადად, ეყრდნობა 2000-2005 წლების პრესას (გაზეთები – “ალია”, “რეზონანსი”, “24 საათი”, “დილის გაზეთი”, “ახალი თაობა”, “კვირის პალიტრა”, “ახალი ვერსია”, “კვირის ქრონიკა”, “ჯორჯიან თაიმსი”, “მთავარი გაზეთი”, “დრო”, “დრონი”, “მერიდიანი”, “ახალი ეპოქა”, “საქართველოს რესპუბლიკა”, “ხელინდელი დღე”, “ასაგალ-დასავალი”, “მერიდიანი”/”ახალი მერიდიანი”, “7 დღე”/”ახალი 7 დღე”, “მართალი გაზეთი”, “განახლებული ივერია”; ჟურნალები – “არილი”, “იმიჯი”, “სარგე”, “თბილისელები”) და შესაბამის ლიტერატურას.

ჩვენი პრესა, ჯერჯერობით, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ერთმანეთისაგან მკეთრად გავმიჯნოთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ბულგარული გამოცემები, ან რომელიმე გამოცემას თამამად ვუწოდოთ ავტორიტეტული, გავლენიანი, აკადემიური, სოლიდური (ამ შემთხვევაში მსედველობაში გვაქვს არა მხოლოდ რომელიმე ცალკეული გამოცემის პროფესიული დონე, არამედ მისი ტირაჟიც, გავრცელების არეალიც და სხვა პარამეტრები, რომელიც ერთიანობაში ქმნის მის მიმართ საზოგადოების შესაბამის დამოკიდებულებას).

სადისერტაციო ნაშრომში “სახის დინგვისტური რეალიზაცია საგაზეთო კომუნიკაციაში” (საკვლევ მასალად გამოყენებულია 1998-2006 წლის ბრიტანული და ქართული გაზეთები), ავტორი, თორნიკე გოგოლაშვილი, ასე აჯგუფებს ქართულ პრესას: ავტორიტეტული (“საქართველოს რესპუბლიკა”, “თბილისი”, “24 საათი”, “ახალი ეპოქა”), ბულგარული (“ყოველკვირეული ქრონიკა”, “იდუმალების სამყარო”, “რაო-რაო”, “ეს საინტერესოა”) და შუალედური (“რეზონანსი”, “ალია”, “ახალი თაობა”, “ასაგალ-დასავალი”, “ახალი ერა”). (13, 4) ამასთან, აღნიშნავს, რომ საქართველოში არა გვაქვს გავლენიანი გამოცემები, ბრიტანეთში კი არ არის შუალედური გაზეთები. შეიძლება განსაზღვრება “შუალედური” მართლაც მივუსადაგოთ იმ გამოცემებს, რომლებშიც აღრეულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემებისა და ბულგარულის სტანდარტი, თემატიკა, სტილი, მასალების მოწოდების ფორმა და ა.შ. მაგრამ ვერ დავეთანხმებით თორნიკე გოგოლაშვილს, რომელიც ერთ კატეგორიაში აქცევს, მაგალითად “რეზონანსსა” და “ასაგალ-დასავალს”, ან ავტორიტეტულ გაზეთად მიიჩნევს გაზეთ “თბილისს”, რომელიც სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით ზოგჯერ პირველ ოცეულშიც არ ხვდება (კითხვადობის, ნდობის და ა.შ. მიხედვით). ამასთან, მისი კლასიფიკაციის არეალში საერთოდ არ მოექცა ისეთი გაზეთები, როგორიცაა: “კვირის პალიტრა”, “ჯორჯიან თაიმსი”, “დილის გაზეთი”, “ახალი ვერსია”, “ხელინდელი დღე”, “მთავარი გაზეთი” და ა.შ.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მიზანი და საგანი არ ყოფილა ამ მიმართულებით კვლევის წარმართვა, მაგრამ ამ საკითხებების გამახვილებით იმდენად, რამდენადაც საჭირო იყო მოგვეძებნა კრიტერიუმი საანალიზო გამოცემათა კლასიფიკაციისათვის – საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემატიკასთან მათი მიმართებისა და შესაბამისობის მიხედვით. ამგვარ კრიტერიუმად ავირჩიეთ მათი ინტერესების არეალში საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემების პრიმატი (ეს, რა თქმა უნდა, ყველას თანაბრად არ ეხება); რაც შეეხება ჩვენეულ განსაზღვრებას – “საინფორმაციო ამინდის შემქმნელი გამოცემები”, რომელსაც ხშირად ვიყენებო ნაშრომში, ეს უკვე გულისხმობს არა ყველა ზემოაღნიშნულ, 20-ზე მეტ გამოცემას, არამედ იმათ, რომლებიც შესაბამის ეტაპზე რეიტინგული შპალის თუნდაც პირველ ათეულში ფიგურირებდნენ და, შესაბამისად, უპირატესობა ჰქონდათ საზოგადოებაზე ზემოქმედებისა და სათანადო საინფორმაციო განწყობის შესაქმნელად. ხოლო “მასევდის ფლაგმანებში” გვულისხმობო მაღალრეიტინგულ გამოცემებს (ზოგან, შესაბამის კონტექსტში, პლუს, ტელეკომპანია “რუსთავი 2”-საც, რომელიც 2000-2003 წლის ტელერეიტინგებში ერთპიროვნული ლიდერი იყო).

საინფორმაციო სურათისა და საინფორმაციო რეზონანსის გარკვეული კანონზომიერების დასადგენად, შედარებისთვის ვიშველიებდით ქართული ტელეკომპანიების საინფორმაციო პროდუქციასა და ონლაინ-მედიის მეშვეობით – უცხოური მედიის გამოხმაურებას საქართველოში მიმდინარე პროცესებზე.

რაც შეეხება 2000-2005 წლების ქართული პრესის ძირითადი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტების განსაზღვრას: ჩვენთვის თვითმიზანი არ ყოფილა დისერტაციაში მოცემული ასპექტების კვლევა; პირიქით, ამ ასპექტების პრიორიტეტულობა გამოიკვეთა სწორედ კვლევისა და ანალიზის პროცესში. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს, რა თქმა უნდა, არ არის პრესის ასპექტების სრული (და სრულყოფილი) სურათი. შევეცადეთ, პარალელური დაგვემცნა ამ მიმართულებით თანამედროვე ქართული პრესის შესახებ შექმნილ სამეცნიერო კვლევებში (პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს სადისერტაციო ნაშრომები).

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად შექმნილი იოსებ ჭუმბურიძის ნაშრომი – “თანამედროვე ქართული პრესის ძირითადი ტენდენციები” სწორედ ჩვენი საკვლევი პერიოდის იდენტურ პერიოდს ეხება (2000-2006 წლები). მისი ნაშრომის შინაარსი: “იდიას გზა და მთავარი თემები”; “გაზეთის პირველი გვერდი”, “ინტერვიუ – გაბატონებული ჟანრი”, “ენა და სტილი. პუბლიცისტური ოსტატობის ზოგიერთი საკითხი”, “ვარდების რევოლუცია” და ქართული პრესა” და თავად კვლევა, ცხადყოფს, რომ აქ არის მცდელობა არა მხოლოდ პრესის ტენდენციების, არამედ, ჟურნალისტური ოსტატობის კვლევისაც. ჩვენი ინტერესის საგანი ამ ნაშრომთან მიმართებაში იყო – თანამედროვე პრესის

ძირითადი ტენდენციებიდან რა მოუქცა კვლევის ყურადღების არეალში. ილია ჭავჭავაძის მიერ დასახული ორიენტირი – “მამული, ენა, სარწმუნოება”, როგორც ჭუმბურიძე ასკვნის საკვლევად შერჩეული სამი გაზეთის მაგალითზე, არ ქცეულა თანამედროვე პრესის მთავარ თემებად (რაშიც საფსებით ვეთანხმებით), სხვა ძირითადი თემა (თუ არ ჩავთვლით “ვარდების რევოლუციას”) ნაშრომში არ იკვეთება, რამდენადაც შემდგომ მკვლევარის ინტერესი ინაცვლებს ჟურნალისტური ოსტატობის სფეროსქენ. (76)

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის არეალში მოქცეული პრესის შესწავლამ გამოკვეთა რამდენიმე ძირითადი ასპექტი, რომელიც ფიგურირებს მთელ საანალიზო პერიოდში; პირველ ყოვლისა, მუდმივი ყურადღების ცენტრშია: **სახელისუფლო ბრძოლები**, დესტაბილიზაციის თემა, საგარეო ფაქტორების გავლენა ქვეყნის ცხოვრებაზე (საქართველო-რუსეთი-აშშ), საარჩევნო კამპანიები, “ვარდების რევოლუცია” და მისი შემდგომი რეზონანსი და ა.შ. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მხედველობაში გვაქვს არა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტების ასახვა პრესაში, რადგანაც ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების რომელიმე უმნიშვნელოვანესი ასპექტი შესაძლოა არც იქცეს პრესის მთავარ ასპექტად და პირიქით.

ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ მედიის პრიზმაში გატარებული მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო მოვლენები ძირითადად მაინც სახელისუფლო ბრძოლების კონტექსტში განიხილება. ამ თვალსაზრისით ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია სახელმწიფოს, ხელისუფლების, პრეზიდენტის, პოსტშევარდნაძისტული პერიოდის, პოლიტიკური სპექტრის, კანცელარია-პარლამენტის ურთიერთმიმართების, საარჩევნო ბატალიებისა და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემების მედიააქცენტები; კონფლიქტურ რეგიონებთან – აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული საინფორმაციო საბაბებიც უმეტესწილად სწორედ პოლიტიკურ ბატალიებს უკავშირდება. არც ქვეყნის ორიენტაციისა და საგარეო ურთიერთობების თემატიკა დაზღვეული პოლიტიზებისა და პერსონიფიცირების ტენდენციისაგან. ამდენად, საჭიროდ მივიჩნიეთ დისერტაციის ცალკე თავში გაგვემახვილებინა ყურადღება სახელისუფლო ბრძოლებზე, რაც არსებითად განაპირობებდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების დისკურსს პრესაში. ასევე, ნაშრომის ყურადღების არეალში მოვაქციეთ დესტაბილიზაციური პროცესები, რომელიც ხშირ შემთხვევაში არც განვითარებულა, მაგრამ საინფორმაციო ფონის შემზადება აქტიურად მიმდინარეობდა (მაგალითად, “სახელმწიფო გადატრიალების” სცენარების განვითარება, პანკისში რუსეთის ინტერვენციის საფრთხე და ა.შ.)

მიუხედავად იმისა, რომ სადისერტაციო თემა თითქმის 5,5 წელს მოიცავს და 20-ზე მეტი გამოცემის მიხედვით შექმნილ სურათს, წინამდებარე ნაშრომს არა აქვს

სრული და, მით უფრო, ქრონოლოგიური, სურათის შექმნის პრეტენზია. ჩვენი მიზანი იყო ყურადღების არეალში მოგვექცია ის ძირითადი ასპექტები, რომელთა ერთად თავმოყრა, ჩვენი აზრით, არა მხოლოდ პრესის, არამედ, გარკვეულწილად, ქვეყანაში მიმდინარე ტენდენციებსაც ასახავს. საგულისხმოა ერთი გარემოებაც: სადისერტაციო თემაში წარმოდგენილი პრესა, ძირითადად, შესწავლილია თანმიმდევრულად, იმავე 2000-2005 წლებში; პრესის პუბლიკაციების, და, საერთოდ, ამ წლების ქართული მასმედიის ბევრი აქცენტი და მათზე დაყრდნობით განვითარებული პროგნოზები, დროის ახლანდელი გადასახედიდანაც მართებული ჩანს; ეს გარემოება, ვფიქრობთ, უფრო ზრდის პრესის კვლევის მნიშვნელობას საქართველოსათვის ამ უმნიშვნელოვანები პერიოდის შესწავლისა და გააზრებისათვის.

თავი I

რამდენიმე ზოგადი შტრიხი მედიის არსისა და ქართული პრესის დახასიათებისთვის

• მასობრივი კომუნიკაციისა და მასმედიის თაობაზე

თანამედროვე მასმედიის ბუნებისა და სპეციფიკის, მისი ფუნქციების ჩამოყალიბებისათვის არსებითია მისი არსის გააზრება არა მხოლოდ მასობრივი კომუნიკაციების თეორიის, არამედ, ზოგადად, პოსტინდუსტრიული/პოსტმოდერნისტული ეპოქის პარადიგმების კონტექსტში. გააზრება იმისა, ჩვენს თვალწინ როგორ ჩაანაცვლა მატერიალისტური რეალობა ვირტუალურმა; როგორ შეიცვალა ურთიერთმიმართება მარკეტინგული ურთიერთობების განმსაზღვრელმა კომპონენტებმა (მოთხოვნა პროდუქტზე უკვე მნიშვნელოვანწილად ემყარება არა აუცილებლობასა და საჭიროებას, არამედ თავად მარკეტინგული კომუნიკაციების მიერ წარმოშობილ მოთხოვნილებას).

მოსაზრება გლობალიზაციის პერიოდის მასობრივი კომუნიკაციის უოვლისშემძლეობის თაობაზე, ჩვენი აზრით, თანდათან მითიურ საბურველში ეხვევა. მიუხედავად იმისა, რომ მასობრივი კომუნიკაციის არსის კვლევა ჩვენი კომპეტენციისა და სადისერტაციო თემის ფარგლებს სცილდება, მოცემული პერიოდის პრესის ანალიზის მართებულობას მნიშვნელოვნად განაპირობებს ზოგადად თანამედროვე საინფორმაციო სივრცის თავისებურება და მასმედიის შესაძლებლობები. ამდენად, შევეცდებით მოკლედ მიმოვინილოთ ის ძირითადი მახასიათებლები, რომელთა გააზრება წარმოდგენას გვიქმნის თანამედროვე მედიის ბუნებასა და დანიშნულებაზე; ამასთან, გარკვეულწილად გვეხმარება ჩვენს რეალობაში მიმდინარე პროცესების ახსნასა და გაცნობიერებაში.

პრესის ფუნქციის განსაზღვრისას შევეცადეთ შეძლებისდაგვარად თავი მოგვეყარა ტრადიციული შეხედულებებისა და შედარებით ახალი განსაზღვრებისათვის. თუ პირველი ნაკადი პრესას მასობრივი ინფორმაციის, ურნალისტიკის სისტემის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს, მეორე – მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა ნაწილად. მართალია, ცნება “მასობრივი” ორივეგან ფიგურირებს და “ინფორმაციის” ცნებაც “კომუნიკაციის” ფუნდამენტია, მაგრამ ზოგიერთი მკვლევარი მათ შორის მკვეთრ მიჯნას ავლებს, ზოგი კი იდენტურ, ან თითქმის იდენტურ ცნებებად მიიჩნევს. (15; 21; 22; 57; 66; 67)

“მედია, მასმედია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი უმეტესწილად პარალელურ ცნებებად გამოიყენება”, – აღნიშნულია რევაზ სურგულაძისა და ელდარ იბერის წიგნში “მასობრივი კომუნიკაცია” (66, 21), რომელშიც შეჯერებულია მასობრივი კომუნიკაციის თანამედროვე თეორიების ძირითადი კონცეფციები, – “ტერმინი “მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი” უფრო სრულად გამოხატავს თანამედროვე პრესის, რადიოსა და ტელევიზიის სოციალურ ფუნქციებს, თუმცა, ანგარიშგასაწევია ის მოსაზრებაც, რომ “უურნალისტიკის” ცნებას უფრო “მასობრივი ინფორმაციის საშუალებები” შეესაბამება. (საერთოდ კი, თუ ბოლომდე ლოგიკური ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ “მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი” უფრო ზოგადი, საერთო ცნებაა, ხოლო “მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი” მისი ის არსებითი ნაწილია, რომელსაც ინფორმაციის პერიოდული და ოპერატიული გავრცელება ევალება).” (66, 21)

“რით განსხვავდება უურნალისტიკა კომუნიკაციების სხვა ფორმებისაგან და რა არის მისი ძირეული საწყისები” – ამ პრობლემის გარკვევა დაისახეს ამოცანად 1997 წლის ივნისში, ჰარვარდის კლუბში შეკრებილმა აშშ-ის წამყვანი მედიასაშუალებების გავლენიანმა წარმომადგენლებმა და უურნალისტიკის მოწინავე სპეციალისტებმა. “პრობლემა ის არის, რომ დღეს მოწმენი ვართ უურნალისტიკის გათქვევისა კომუნიკაციების უფრო დიდ სამყაროში. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ უურნალისტიკა პელავ გამოვყოთ ამ დიდი სამყაროდან”, – ასე შეაჯამა დისკუსია კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯეიმს კერიმ.” (34, 11-12)

უურნალისტი პაატა ნაცვლიშვილი, თავის სადისერტაციო ნაშრომში – “ქართული უურნალისტიკის გენეზისისათვის” საინტერესოდ ხსნის მარშალ მაკლუენის ცნობილი ფორმულის – “**The Medium is the message**” – არსს (ამასთან, მისი თარგმანი – “მედიუმი არის მესიჯი” უფრო ზუსტად გამოხატავს მაკლუენის კონცეფციას, ვიდრე მისი ქართული შესატყვისი – “საშუალება არის შეტყობინება”): “მედიუმი, ანუ კომუნიკაციის საშუალება, თავად არის მესიჯი (შეტყობინება, ამბავი, შინაარსი) იმ თვალსაზრისით, რომ იგი განსაზღვრავს და გამოხატავს დროის ამა თუ იმ კონკრეტულ მონაცემთში სოციალური ორგანიზაციის პრინციპს, გვევლინება როგორც პიროვნული, ისე საზოგადოებრივი ადქმის გენერატორად. სენსორული ბალანსის შეცვლა ხდება შინაარსისაგან დამოუკიდებლად, კომუნიკაციის ერთი საშუალებიდან მეორეზე გადასვლის შედეგად და შესაბამისად. ასე, რომ მაკლუენის ეს ცნობილი ფორმულა შეიძლება ამგვარადაც იქნას გაგებული: “მასობრივი ინფორმაციის საშუალება თავად არის ინფორმაცია” და აქედან – გაცილებით მნიშვნელოვანია არა ის, რა ინფორმაციას გაწვდიან, არამედ ის, ვინ გაწვდის, სად, როგორ, და რა საშუალებით; და კიდევ უფრო მარტივად – ფორმა არის შინაარსი.” (54, 19)

კომუნიკაციის საშუალების არსისა და გავლენის გადმოსაცემად მაკლუენი განმარტავს: “კომუნიკაციის საშუალების გავლენა ძლიერი და ინტენსიური ხდება სწორედ იმის წყალობით, რომ მას “შინაარსის” სახით ეძლევა ისევ კომუნიკაციის რომელიმე სხვა საშუალება.” (მაგალითად, კინოფილმის შინაარსია რომანი, პიესა ან ოპერა). (47, 22)

ამ პოსტულატის გააზრება, ჩვენი აზრით, უაღრესად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მედიის/მასობრივი კომუნიკაციის/მასობრივი ინფორმაციის რთული და წინააღმდეგობრივი ბუნების ასახსნელად და გადმოსაცემად, არამედ მათი დანიშნულებისა და ფუნქციების განსაზღვრისთვისაც. თავს უფლებას მივცემთ, მასმედიასთან მიმართებში მაკლუენის ეს მრავლისმომცველი “ფორმულა” ამგვარად დავაკონკრეტოთ – ჟურნალისტიკა (მისი განშტოებებით) ისევეა მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების შინაარსი, როგორც რეკლამა, გართობის ინდუსტრია და ა.შ. აქედან გამომდინარე, ადვილი ასახსნელია და ალოგიკურად აღარ მოჩანს “ჟურნალისტიკის გათქვეულა კომუნიკაციების უფრო დიდ სამყაროში”, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მთავარ ფუნქციად გართობის მიჩნევა და სხვა ამგვარი დასკვნა თუ თვალსაზრისი, რომელთა ერთი ნაწილის მოხმობა ჩვენს ნაშრომშიც ვცადეთ; რადგან ამ ფონზე უფრო მართებულია გაანალიზება, განვითარების რა სტადიაზეა ქართული პრესა, შესაბამისად – მისი პერსპექტივის გააზრებაც.

მასმედიის შესაძლებლობებზე, მის ფუნქციებსა და ზემოქმედების ხარისხზე მსჯელობისას ისევ მაკლუენს მოშველიებთ. წიგნში, “მედიის გაგება”, იგი წერს, რომ პაპი პიუს XII დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებათა სერიოზული კვლევის აუცილებლობას. 1950 წელს მას უბრძანებია: “გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ თანამედროვე საზოგადოების მომავალი და მისი შინაგანი ცხოვრების სტაბილურობა დიდწილადაა დამოკიდებული წონასწორობის შენარჩუნებაზე – კომუნიკაციის საშუალებათა ტექნიკურ სიმძლავრეებსა და ადამიანის ინდივიდუალურ აღქმას/რეაქციას შორის.” (47, 25) მაკლუენის კომუნიკაციით, საუკუნეების მანძილზე ამ წონასწორობის შენარჩუნების უუნარობა, კომუნიკაციის საშუალებათა ზემოქმედების ქვეცნობიერად და მორჩილად მიღება ადამიანებს მათ “უკალლებო ტყვეებად” აქცევდა. (46, 181)

საზოგადოებასა და ინდივიდზე მასობრივი კომუნიკაციის ტოტალური ზემოქმედების დამკაიდრებული შეხედულების პარალელურად, მკვლევარები (სოციოლოგები, ფსიქოლოგები, ფილოსოფოსები, კულტუროლოგები...) სულ უფრო მეტად ამახვილებენ ყურადღებას უკუპროცესზე, მასობრივი კომუნიკაციის დემასიფიკაციის ტენდენციის გაჩენაზე (სამომავლოდ, უფრო გაძლიერებაზე)

ელვინ ტოფლერი, ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი და ფუტუროლოგი (თავდაპირველად, ჟურნალისტი) თავისი ნაშრომის – “მესამე ტალღის” ერთ-ერთ თავს

სწორედ ასე ასათაურებს – “მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დემასიფიკაცია”. ტოფლერი აყალიბებს ახალი, მესამე ტალღის ზეინდუსტრიული ცივილიზაციის (პირველი ტალღა – აგრარული ცივილიზაცია, მეორე – ინდუსტრიული) ნიშნებს, გამოწვევებს, საფრთხეებს... ეს ცივილიზაცია უპვე რადიკალურად ცვლის ინდუსტრიული ცივილიზაციის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ მასობრივ ცნობიერებაში ჩანერგილ უნიფიცირებულ სახეებს/ხატებს და ქცევის სტანდარტებს. მაგალითად, ვიდეოთამაშები არა მხოლოდ ანგრევს ტელეაუდიტორის მასივს, არამედ მილიონობით ადამიანს ასწავლის ტელევიზორთან თამაშს, მისთვის “პასუხის გაცემას”, მასზე ზემოქმედებას. ეს ერთგვარი ვარჯიშია, რომელიც ელექტრონულ სამყაროში ცხოვრებისთვის გვამზადებს. ამ პროცესში ინფორმაციის პასიური მიმღებიდან ადამიანი ინფორმაციის გამგზავნი/გადამცემი ხდება და ახლა ის მანიპულირებს ტელევიზორით. ვიდეო კი თითოეულ მომხმარებელს საშუალებას აძლევს თავად იყოს საკუთარი პროდუქციისა და საკუთარი “სახეების” შემქმნელი. ასე რომ, ძლევამოსილი ტელევიზის ტრადიციული მასობრივი აუდიტორია მეჩერდება, დემასიფიცირდება. (68, 22-26)

ტოფლერის “მესამე ტალღის” დაწერიდან ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ჯერ ისევ ინარჩუნებენ აქტუალობას, მაგრამ ყველა სასიცოცხლო სფეროს კომპიუტერიზაცია, ინტერნეტი მართლაც თანდათან ადრმავებს მათ დემასიფიკაციას. კომუნიკატივისტები და ჟურნალისტიკის მკვლევარებიც ვარაუდობენ, რომ მოთხოვნილებები წვეულებრივ მასობრივ ინფორმაციულ საშუალებებზე თანდათან შემცირდება და ადგილს დაუთმობს ინდივიდუალური უფრო დახვეწილ ინტერაქტიურ საშუალებებს; რომ ახალი ტექნოლოგიების ბაზაზე წარმოქმნილი მულტიმედია (რომელიც შეითავსებს ჟურნალ-გაზეთების, ტელევიზიის, რადიოს, ქსელური გამოცემების შესაძლებლობებს) ადამიანს საშუალებას მისცემს მოცემულ მომენტში თავად შეარჩიოს და მიიღოს მისი ინტერესის და საჭიროების შესაბამისი ინფორმაცია, ტექსტი, გამოსახულება – ბეჭდური, ვიზუალური თუ ხმოვანი. (66, 21; 15, 267-271)

XIX საუკუნის შუახანებში ბალზაკი წერდა: “ჟურნალიზმი... თანამედროვე საზოგადოების რელიგიაა”; “...ჩვენ, დმერთი მეფისტოფელის ნამდვილმა მიმდევრებმა, იჯარით ავიღეთ საზოგადოებრივი აზრის შეღებვა...” (4, 66-68). ფაქტობრივად, ამ იორნიული ფრაზით ბალზაკმა ჟურნალისტიკის/მასმედიის ის უმთავრესი ფუნქცია ჩამოაყალიბა, რომელსაც მთელი ამ საუკუნენახევრის განმავლობაში აქტუალობა არ დაუკარგავს, ოდონდაც ტრანსფორმირდებოდა – საზოგადოებრივი აზრის შექმნა/წარმართვა/მანიპულირება...

მასმედიის ფუნქციების განსაზღვრისას თითქმის ყველა თვალსაზრისში საერთოა პოსტულატი, რომ მედია უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებას. ადამიანის

უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პრესის თავისუფლებას საგანგებო დაცვა სჭირდება, იმისათვის რომ მას პქონდეს საშუალება შეასრულოს “საზოგადოებრივი გუშაგის სასიცოცხლოდ აუცილებელი როლი” და “გაავრცელოს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი ინფორმაცია.” (35, 164)

გაზეთების მსოფლიო ასოციაციის კვლევისა და ინფორმაციის მართვის განყოფილების დირექტორი, ტატიანა რეპოვა, მასმედიის ფუნქციის განსაზღვრისას, საზოგადოების “მოდარაჯე ნაგაზის” (რეპოვას წიგნში, “ნაგაზის” ნაცვლად, “ძაღლი” გვხვდება; ალბათ, თარგმანის ხარვეზია, – ლ.ქ.) როლს ასე აკონკრეტებს: “პრესისგან, რომელსაც ხელისუფლების მეოთხე საყრდენს უწოდებენ, ელიან, რომ ის მეთვალყურეობას გაუწევს ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს (შესაბამისად – პარლამენტს, მთავრობასა და სასამართლოს) და მათ მიერ ხელისუფლების არაკეთილსინდისიერად გამოყენების ნებისმიერ შემთხვევას გამოამზეურებს.” (62, 7-8)

მედიის ფრანგი მკვლევარი, კლოდ-ჟან ბერტრანი მასმედიის ექვს ფუნქციას გამოყოფს:

1. **მეთვალყურეობა** (მედიის ფუნქციაა ინფორმაციის მოძიება, გაფილტვრა, გაანალიზება, ინტერპრეტირება და შემდგომ მისი გავრცელება ყველასათვის გასაგებ ენაზე. კერძოდ, მედიამ არჩევნებს შორის დროის ინტერვალში თვალყური უნდა ადევნოს სამი პოლიტიკური სახელისუფლო შტოს (აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო) საქმიანობას);
2. **საზოგადოებრივი კომუნიკაციის უზრუნველყოფა** (მედია წარმოადგენს საჯარო ფორუმს დებატებისთვის);
3. **მსოფლიოს ახალი ამბებით უზრუნველყოფა;**
4. **კულტურის გავრცელება;**
5. **გართობა;**
6. **გაყიდვა** (მედია რეკლამის გავრცელების მთავარი საშუალებაა). (11, 23-25)

ამერიკელი პოლიტოლოგები, წიგნის – “ამერიკული დემოკრატიის” ავტორები (ქენეთ ჯანდა, ჯეფრი მ. ბერი, ჯერი გოლდმენი) მიიჩნევენ, რომ “მასობრივი საშუალებების მთავარი ფუნქცია გართობაა. თუმცა, ისინი, ასევე, ასრულებენ პოლიტიკურ ფუნქციებს: გადმოსცემენ ახალ ამბებს, უკეთებენ მათ კომენტარს, გავლენას ახდენენ მოქალაქეთა შეხედულებებზე, პოლიტიკურ დღის წესრიგზე და მოსახლეობის პოლიტიკურ სოციალიზაციაზე.” (77, 151)

მოკლედ შევჩერდებით მასმედიის როლზე სამთავრობო კომუნიკაციაში. “აღმასრულებელი ხელისუფლების საზოგადოებასთან ურთიერთობის გერმანულ მოდელში” ერთ-ერთი ქვეთავი ასეა დასათაურებული – “მართვა თანამედროვე მასმედიის პირობებში”, რაც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ მედია განიხილება

არა სამთავრობო კომუნიკაციის კონტექსტში, არამედ პირიქით – სამთავრობო კომუნიკაცია განიხილება მედიის კონტექსტში: “მსოფლიოში მიმდინარე ყველა საჯარო მოვლენა მედიის მიერ მუშავდება, ამიტომ პოლიტიკის მონაწილენი ცდილობენ პოლიტიკური სინამდვილის მედიალურ კონსტრუქციასა და მისი თამაშის წესებს მიესადაგონ.” (3, 10) აქვე განსაზღვრულია მედიის ფუნქცია საჯარო აზრის ჩამოყალიბებაში: “... მედია პოლიტიკური მონაწილეებისა და კომუნიკაციის სიმბოლურ გარემოს ქმნის: აგებს პოლიტიკურ რეალობას, რომელიც თანაბრად თვალსაჩინოა, როგორც მოქალაქეების, ისე პოლიტიკური მონაწილეებისთვის და ყოველდღიურ კონტაქტს ამყარებს პოლიტიკასთან. პოლიტიკოსები, ბიუროკრატები, ინტერესთა გამომხატველები, ერთმანეთს მედიის საშუალებით სწავლობენ... მედია აღგენს სტანდარტს, რომლის მიხედვითაც მოქალაქეები პოლიტიკურ მონაწილეებს აფასებენ.” (3, 11-12)

სახელმძღვანელოში – “საპარლამენტო კონტროლი უსაფრთხოების სექტორზე: პრინციპები, მექანიზმები და პრაქტიკა” (პარლამენტთაშორისი კავშირისა (IPU) და შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის უნივერსალური გამოცემული) განხილულია მედიის დამოკიდებულება უსაფრთხოების სექტორის მიმართ და პარლამენტის მიერ მედიის ფაქტორის გამოყენების მნიშვნელობა; აღნიშნულია მედიის წვლილი ხელისუფლების სამი შტოს გაკონტროლებაში, მისი გავლენა საჯარო დებატების შინაარსისა და საკითხების პრიორიტეტულობის განსაზღვრაში და ა.შ. მოვიხმობთ ციტატას, რომელიც განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს რეალობისთვის: “იმ ქვეყნებში, სადაც მედია დამოკიდებულია სამთავრობო ინსტიტუტებზე, იგი გაცილებით უფრო ხშირად ხდება მმართველთა პროპაგანდისტული მიზნების მსხვერპლი. ამგვარ ვითარებაში მედია არ წარმოადგენს უსაფრთხოების სექტორზე დემოკრატიული კონტროლის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფ ერთ-ერთ ინსტრუმენტს.” (63, 39)

მასმედიის არსის ზოგადი მიმოხილვის ამ მცდელობას დავასრულებთ მისი ზემოქმედების ფენომენის ასენის კიდევ ერთი რაკურსით. ცნობილი ფრანგი მოაზროვნე, “პოსტმოდერნის გურუდ” წოდებული ჟან ბოდრიარი, პირველივე წიგნში “საგანთა სისტემა” (პირველად გამოიცა 1968 წელს), მთლიანად მასმედიის ზემოქმედების “სპეციფიურ ლოგიკას” რეკლამის ზემოქმედების იდენტურად მიიჩნევს და მას “თოვლის პაპის” ლოგიკას/ფენომენს უწოდებს: ჩვენ გვწამს არა რეკლამირებული საქონლის დირსება, არამედ გვწამს რეკლამა, რომელიც ჩვენს დარწმუნებას ცდილობს. მომხმარებელზე გადამწყვეტ ზემოქმედებას ახდენს არა რეკლამის რიტორიკული ან ინფორმაციული დისკურსი საქონლის დირსებათა შესახებ; ინდივიდი მგრძნობიარეა იმ ნაბოქები მზრუნველობისა და დაცულობის ფარული მოტივების მიმართ, რომელსაც “სხვები” იჩენენ მისი დარწმუნებისა და

გადაბირებისთვის. აქედან მომდინარეობს რეკლამის/მასშედის საფხებით რეალური ქმედითობა – მისი ლოგიკა არა მხოლოდ შთაგონების და რეფლექსის ლოგიკაა, არამედ არანაკლებ მკაცრი ლოგიკა რწმენისა და რეგრესის. (9)

ჩვენი აზრით, “რეგრესია” ამ კონტექსტში მოხმობილია არა “უკუსვლის”, არამედ იმ მნიშვნელობით, რომლითაც იგი სტილისტიკაში აღნიშნავს სიტყვათა უკუწყობას: ანუ, რეკლამირებულ საქონელს ვყიდულობთ არა იმიტომ, რომ რეკლამამ დაგვარწმუნა მის ლირსებებში, არამედ, იმიტომ რომ “გვრამს რეკლამა, რომელიც ჩვენს დარწმუნებას ცდილობს”. იგივე ეხება მასშედის ზემოქმედებასაც; მის პროდუქციას – ინფორმაციას, მოვიხმართ და ვენდობით არა იმიტომ, რომ ეჭვმიუტანლად გვჯერა ყველა ინფორმაციის, არამედ იმიტომ, რომ გვრამს მასშედის, “რომელიც ჩვენს დარწმუნებას ცდილობს”.

თითქოს პარადოქსია, რომ იმ ვითარებაში, როცა მომხმარებელს არ სჯერა რეკლამის, იცის მისი მზაკვრული ხასიათი, ის მაინც ყიდულობს რეკლამირებულ საქონელს; უფრო მეტიც, რეკლამა მას უჩენს მოთხოვნილებას (შესაბამისად, მოთხოვნასაც) ისეთ საქონელზე, რომელიც ხშირად არც საჭიროა მისთვის, არც აუცილებელი და არც ხელმისაწვდომი. თვისობრივი განსხვავება მართლაც არ არის მასშედიასთან მიმართებაში – მას აკრიტიკებენ, არ ენდობიან, იციან, რომ უმეტესწილად მისი ინფორმაცია ემყარება სუბიექტურ ინტრაპრეტაციებს და არა ამბის/მოვლენის ამსახველ ფაქტებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არათუ მოიხმარენ მასშედის პროდუქტს, არამედ, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ემორჩილებიან კიდეც საინფორმაციო ინჟინერიით მოდელირებულ “რეალობას” და თავადაც აქტიურად მონაწილეობენ მის შექმნაში.

ერთი მხრივ, უსაფრთხოების, დაცულობის შეგრძნება (9, 34), რომელსაც ბადებს ინფორმაციის ფლობა და, მეორე მხრივ, ავტორიტეტული აზრის გავლენის, სხვათა აზრის დამოწმების ფაქტორი (73), სათანადო გელს ქმნის ინდივიდსა თუ მასებში მასშედისადმი რწმენის განწყობის შესაქმნელად. ე.წ. ავტორიტეტული, გავლენიანი მედიის ცნებაც ამას ადასტურებს: ადამიანებს სჭირდებათ ავტორიტეტული დადასტურება/უარყოფა/კორექცია თავიანთი აზრებისა და შეხედულებებისა, ან, სხვათა აზრისა და შეხედულებების გათვალისწინება.

• ახალი ათასწლეულის ქართული მედიის ზოგადი შტრიხები

დისერტაციის ამ ნაწილში შევცდებით წარმოვაჩინოთ, რა როლი განესაზღვრა ქართულ მედიას გარდამავალ პერიოდში, როგორ შეესაბამებოდა ის მისთვის დაკისრებულ ფუნქციას; როგორი იყო ათასწლეულის დამდეგის და “ვარდების რევოლუციის” პერიოდის მედია, რა კლიშეებსა და სტერეოტიპებს ქმნიდა ამ პერიოდის

პრესა; რა პარამეტრებით განისაზღვრება, საერთოდ, მედიის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რაა საერთო და განმასხვავებელი ამ თვალსაზრისით განვითარებულ დემოკრატიებსა და ქართულ სინამდვილეს შორის.

მასმედიის თავისუფლების ხარისხი ქვეყნის დემოკრატიულობის ბარომეტრად ითვლება; ამიტომ, უცხოელი დამკვირვებლებიცა და ქართველი ექსპერტებიც საქართველოში დემოკრატიის განვითარების პროცესის ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებლად თავისუფალი მედიის არსებობას ასახელებდნენ. ოდონდაც, უნდა დავაკონკრეტოთ, რომ უმთავრესად ცნება “თავისუფალი მედია” გამოიყენებოდა, და ინერციით დღემდე ასე გრძელდება, “სიტყვის თავისუფლების” თანაბარზომიერ ცნებად.

პროპაგანდისტული წენების, პარტიული და სახელმწიფო დიქტატისა და ცენზურისაგან სიტყვის გათავისუფლების თავდაპირველი ეტაპი, ქართულმა მედიამ მართლაც საკმაოდ წარმატებულად განვლო; მაგრამ ამ პირველ ეტაპს უნდა მოჰყოლოდა მედიის მიერ ფინანსური და სარედაქციო დამოუკიდებლობის მოპოვების, სიტყვის თავისუფლებასთან პასუხისმგებლობის შეხამების, პროფესიული სტანდარტების დამკვიდრების და ა.შ. ეტაპები, რომლის გარეშეც “თავისუფალი მედია” მხოლოდ ფორმალური ცნებაა.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისადმი მიძღვნილ პვლევაში პოლიტოლოგი გია ნოდია იყენებს დეფინიციას “დამოუკიდებელი მედია”. ამთავითვე ვიტყვით, რომ თავისი ჭეშმარიტი მნიშვნელობით ეს განსაზღვრება ქართულ მედიას ნამდვილად არ მიესადაგება და ეს კარგად ჩანს თუნდაც სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი პრესის ანალიზითაც. თუმცა, იგი გამოხატავს განსხვავებას საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს (ანუ, დეკლარირებულად დამოუკიდებელი) მედიას შორის და, როგორც ჩანს, ამ შინაარსს დებენ მასში ქართველი თუ უცხოელი შემფასებლები.

გია ნოდია აღნიშნავს, რომ: “დამოუკიდებელი მედია, ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, საქართველოში დამოუკიდებლობის და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებასთან ერთად შეიქმნა. როგორც ერთის, ისე მეორის ჩასახვა პარალელურად ხდებოდა 1980-იანი წლების ბოლოდან. მათი წარმატება საქართველოში, ერთი მხრივ, უშუალოდ დამოუკიდებულია ლიბერალური ინსტიტუტების განვითარების დონეზე; მეორე მხრივ კი, ამგვარი განვითარების უმთავრესი ინდიკატორია. როდესაც ბოლო 10-15 წლის მანძილზე საქართველოში დემოკრატიის განვითარების შედარებით წარმატებებზე ლაპარაკობდნენ, უპირველეს უოვლისა, სწორედ მედიისა და მესამე სექტორის განვითარება მოჰყავდათ ამის ყველაზე თვალსაჩინო საბუთად. მეორე მხრივ, როდესაც “ვარდების რევოლუციის” შემდეგ გახშირდა წუხილები იმის გამო, რომ რევოლუციამ დემოკრატიის განვითარება კი არა, მისი გარეგნული შესუსტება მოიტანა, ამის ერთ-ერთ მიზითად

გამოხატულებას სწორედ მედიაში პლურალიზმის შესუსტებასა და მესამე სექტორის აქტივობის და როლის დაქვეითებაში ხედავენ.” (56, 48)

“ვარდების რევოლუციის” შემდგომ პერიოდში, მართლაც, ერთგვარად დამუხრუჭდა ქართული მასშედიის განვითარება. “ვარდების რევოლუცია”, ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და დასავლური ღირებულებების დამკვიდრების უფრო მაღალ ფაზაში გადასვლის დეკლარირებით, ამ პროცესისთვის სტიმულის მიმცემი და ხელისშემწყობი უნდა გამხდარიყო. მაგრამ მოხდა პირიქით. ოუმც, პლურალიზმის შესუსტება, რაზეც გია ნოდია ამახვილებს ყურადღებას, ტელემედიის მაგალითზე უფრო თვალშისაცემია. პრესამ (მიუხედავად იმისა, რომ “ვარდების რევოლუციის” შემდეგ, სხვადასხვა მიზეზით, დროის გარკვეული ინტერვალით, დაიხურა ისეთი თვალსაჩინო გაზეთები, როგორიც იყო “დილის გაზეთი”, “ახალი ეპოქა”, “მთავარი გაზეთი”, “ხვალინდელი დღე”), ტელევიზიასთან შედარებით, მაინც შეძლო გარკვეული მრავალფეროვნებისა და საკუთარი პოზიციის შენარჩუნება.

ამდენად, საანალიზო პერიოდის პრესა პირობითად შეიძლება გავყოთ “ვარდების რევოლუციამდე” და “ვარდების რევოლუციის” შემდგომ პერიოდად. ოუმც, ეს დაყოფა არ იქნება მხოლოდ პირობითი. ჟურნალისტი ია ანთაძე (რომლის ანალიტიკური პუბლიკაციები გამორჩეულია ქართულ მედიაში), აყალიბებს არსებით განსხვავებას, გამოხატულს ხელისუფლების, მედიასაშუალების მფლობელისა და ჟურნალისტების ურთიერთმიმართების შეცვლით: “რევოლუციამდე რამდენიმე წლით ადრეც და რევოლუციის დღეებშიც მედიამფლობელი დაინტერესებული იყო კორუფციაში ჩაფლული, დაუძლურებული ხელისუფლების რეალური სახის ჩვენებით და ჟურნალისტებისაგან ითხოვდა სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს. მაშინ ჟურნალისტები, თავიანთ მედიამფლობელთან ერთად, ქმნიდნენ შეკრულ გუნდს, რომელიც თავდაუზოგავად უტევდა ხელისუფლებას. თუ წარმოვიდგენთ სამგუთხედს, წვერით ზევით, ხელისუფლება სწორედ ამ წვერზე იყო განთავსებული, მედიამფლობელი და ჟურნალისტები კი ქვედა ორ კუთხეში იყვნენ “გამაგრებული” ერთმანეთის გვერდით და ერთიანი ძალით ებრძოდნენ შევარდნაძეს თუ მის გარემოცვას.

რევოლუციის შემდეგ სამკუთხედი ამოყირავდა და დაუშვა წვერით ქვეყით. ზედა ორ კუთხეში ერთმანეთის გვერდით მოხვდნენ ხელისუფლება და მედიამფლობელი, ქვედა წვერში კი აღმოჩნდა დაუცველი ჟურნალისტი, რომელსაც ეს ორი დიდი ძალა – ერთ გუნდად გაერთიანებული ხელისუფლება და მედიამფლობელი – გაუსამლის ტგირთად დააწვა მხრებზე.” (1, 15)

*

მოცემული პერიოდის პრესის დახასიათება არ იქნება მართებული მისი წინარე პერიოდისაგან განცალკევებით. “80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების

დასაწყისის პრესაში სიტყვის თავისუფლება ძირითადად პოლიტიკური მოვლენების პრიტიქულ გაშუქებაში გამოიხატა და 1997-98 წლებამდე ასეთად დარჩა. თუმცა, გაჩნდა ყვითელი პრესაც, მაგრამ პოლიტიკური და ყვითელი პრესა ერთმანეთში არ არეულა”, – გიგი თევზაბე ამ მოსაზრების განვითარებისას ეყრდნობა გიგა ბოკერიას, გიგი თარგამაძისა და ლევან რამიშვილის ნაშრომს – “საქართველოს პრესა 90-იან წლებში. ნაბიჯი თავისუფლებისაკენ”. (24, 21). გიგი თევზაბე, როგორც სამოქალაქო სექტორის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი და, ამ შემთხვევაში, დემოკრატიულ ინოვაციათა ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის (პრესაში პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დაცვის ძირითადი ტენდენციები) მონაწილე და შემაჯამებელი სტატიის ავტორი, აანალიზებს პოსტსაბჭოთა პრესის ეტაპებს – სამოქალაქო საზოგადოების გარემოდან → ბიზნეს გარემოში → სახელისუფლო სივრცეში. მოვიხმობთ ვრცელ ციტატას, რომელიც კარგად ახასიათებს 90-იანი წლების მიწურულისა და 2000-იანის დამდეგის ქართულ პრესას.

“პარადოქსია, რომ 1990-1998 წლებში გაზეთების ტირაჟი შემცირდა. თუკი 80-იანი წლების ბოლოს ყველაზე პოპულარული გაზეთის “დრონის” დღიური ტირაჟი 30 ათასს აჭარბებდა, 98 წლისათვის საქართველოში გამომავალი ყველა გაზეთის დღიური ტირაჟი ერთად 20-25 ათასს ძლივს შეადგენდა. ამ პარადოქსის ასენა შესაძლებელია შემდეგში მდგომარეობდეს: პრესამ დააღწია თავი კომუნისტური ხელისუფლების დიქტატს და სოციალური ნიშა იმ დროს ჩამოყალიბების პროცესში მყოფ სამოქალაქო საზოგადოებაში იპოვა. ეს პერიოდი (1990-1998) გამოირჩევა დემოკრატიული პრესის განვითარების ხელშემწყობი გრანტებით, ტრეინინგებით. როგორც საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებამ, ასევე დემოკრატიული ქვეყნების მთავრობებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ საქართველოს ბეჭდვითი მედია სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი გამხდარიყო. (24, 21-22)... შედეგად, 97-98 წლებში მივიღეთ მცირეტირაჟიანი, მაგრამ დემოკრატიული პოლიტიკური პრესა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად აღიარებდა დემოკრატიულ ლირებულებებს და სამოქალაქო საზოგადოების განუყოფელი ნაწილი იყო... გამომდინარე სამოქალაქო საზოგადოების სიმცირიდან, შეუძლებელიც იყო მეტი ტირაჟის მოლოდინი გვქონდა. ამიტომ, აქტუალურად იქცა ბეჭდვითი მედიის ბიზნესად ქცევის საკითხი. დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა დღევანდელ საქართველოში ის არის, რომ გერა და გერ მოხერხდა ბიზნესის გამოყვანა ხელისუფლების გარემოდან და სამოქალაქო საზოგადოების ნაწილად ქცევა... ბეჭდვითი მედიის განვითარებაში ეს პროცესი საგრანტო დაბანდების შემცირებით და პოლიტიკური (პოლიტიკოსების) კაპიტალის გაზრდით გამოიხატა... სამოქალაქო საზოგადოების გარემოდან ბიზნეს გარემოში მოხვედრილი ბეჭდვითი მედია სახელისუფლებო სივრცეში აღმოჩნდა.” (24, 24)

სწორედ ბეჭდვითი მედიის ბიზნესად ქცევის პროცესმა გააჩინა ქართულ პრესაში “მრავალპოლარული” გაზეთები, რაც სრულიადაც არ ნიშნავს პლურალისტურ წონასწორობას. როგორც გ.თევზაძე წერს, “ეს გამოიხატებოდა არა იმით, რომ ერთ გაზეთში ურთიერთსაწინააღმდეგო ფილოსოფიის მქონე სტატიები იბეჭდებოდა, არამედ იმით, რომ ერთსა და იმავე გაზეთში სხვადასხვა სტილისა და პათოსის სტატია ერთმანეთის გვერდით იყო მოთავსებული – დაწყებული ანალიტიკურით, დამთავრებული სრულიად “ყვითელი” წერის სტილით... განსხვავებული სტილი არა ერთი გაზეთის, არამედ ერთი სტატიის ფარგლებში აირია. გაზეთის მაგივრად, საგაზეთო სტატია გახდა მრავალპოლარული და პოლიდისკურსული.” (24, 22-23)

შედეგად, გაზეთების მრავალრიცხოვნების მიუხედავად, ვერ ჩამოყალიბდა მრავალპოლარული პრესა; ცალკეული გაზეთი გახდა ერთბაშად ყველა სახის მკითხველზე გათვლილი (ოდონდაც, სტიქიურად, ზოგადად აუდიტორიისა და მკითხველთა კატეგორიის მოთხოვნილებათა შესწავლის გარეშე). პროფესიონალიზმის დეფიციტის პირობებში, მკითხველთა ყურადღების მიზიდვას პრესა სენსაციური შეფერილობის პუბლიკაციებით, სკანდალებით, ეწ. პულუარული ინფორმაციებით ცდილობდა. ამასთან, ერთი მხრივ, პრესაში პოლიტიკური (პოლიტიკოსების) კაპიტალის დაბანდებამ, მეორე მხრივ, გაზეთების გაყიდვისა და ტირაჟის გაზრდის აუცილებლობამ, მაქსიმალურად გაზარდა პრესის პოლიტიზების ხარისხი და იგი არსებითად ხელისუფლებისათვის ბრძოლის ინტერესს დაუქმებდებარა. პულტუროლოგი ლელა იაკობიშვილი აღნიშნავს, რომ 2003 წლამდე გაცილებით ადრე “ქართული კულტურის რეჟიმი პოლიტიკურ ბატალიიზე გადაერთო”, ხოლო 2003-ის ნოემბრის სატელევიზიო სანახაობებმა “საინფორმაციო უზრუნველყოფის ისეთი სრულყოფილება შემოგვთავაზა, თავად ინფორმაციული ცივილიზაციის შემოქმედსაც რომ შეშურდებოდა.” (26, 33-39)

ეს შეფასება პრესასაც კარგად ესადაგება, იმ განსხვავებით, რომ მას, ტელევიზიასთან შედარებით, ზემოქმედების ნაკლები ეფექტი და არეალი აქვს; თუმც, საერთო ჯამში, პრესამ, ტელევიზიასთან უნისონში, შეამზადა ნიადაგი პოსტშევარდნაძისტულ ეპოქაში “ხავერდოვანი” გადასვლისთვის; შემდგომ კი ტელე და ბეჭდური მედიის გზები ერთმანეთს საგრძნობად დასცილდა.

“ვარდების რევოლუციის” შემდეგ პრესაში გაჩნდა ტერმინები “სატელევიზიო მმართველობა”, “ტელეხელისუფლება”, რაც პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ ახალი ხელისუფლება (პირველ რიგში – პრეზიდენტი) წარმატებით იყენებს ტელევიზიის შესაძლებლობებს პიარისა და პროპაგანდისთვის; მეორე მხრივ, პრესა პერმანენტულად აპროტესტებს ტელემედიის პრიორიტეტულობასა და ბეჭდური მედიის იგნორირებას. “დილის გაზეთის” მთავარი რედაქტორი, მანანა კარტოზია, ბოლო ნომრის

სარედაქციო სტატიაში, “კითხვისუნარიანი ხელისუფლებისა და ყიდვისუნარიანი მკითხველის” სურვილითა და იმედით დაემშვიდობა მკითხველს. გაზეთ “ალიას”, ლოგოს გვერდით, წამდლვარებული აქეს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სიტყვები “პირდაპირ მინდა გითხრათ გულწრფელად, რომ მე ქართულ გაზეთებს თითქმის არ ვკითხულობ... სამწუხაროდ, მათი დონე, დიდი იშვიათი გამონაკლისების გარდა, ძალიან დაბალია.” (2005 წლის დეკემბერი)

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტელემედისადმი ხელისუფლების “განსაკუთრებული დამოკიდებულება”, ძირითადად, მისი თავისუფლების არეალის მაქსიმალურ შეზღუდვასა და კონტროლში გამოიხატება, პრესას ამ მხრივ მეტი თავისუფლება აქეს, მაგრამ, მწირი მატერიალური რესურსებით უხდება არსებობისათვის ბრძოლა. “ვარდების რევოლუციიდან” სამი თვის შემდეგ, პრესაში გამოქვეყნდა გაზეთების მსოფლიო ასოციაციის მიმართვა პრეზიდენტ სააკაშვილისადმი; მასში ყურადღება მახვილდება საქართველოში უურნალისტებზე ზეწოლისა და თავდასხმის ფაქტებზე, რაც მედიაში აჩენს შიშის სინდრომს და, შესაბამისად, თვითცენზურას. ასოციაცია დელიკატურად მიანიშნებს საქართველოს პრეზიდენტს უურნალისტების პროფესიული საქმიანობისთვის საონადო პირობების შექმნის აუცილებლობაზე. (“ჯორჯიან თაიმსი”, “ხვალინდელი დდე”, 26 თებერვალი, 2004) ამავე პერიოდში “დილის გაზეთი” აღნიშნავდა, რომ “დემოკრატიული და დია საზოგადოების ლოზუნგით მოსული რევოლუციური ხელისუფლება პრესისთვის თითქმის ყველა ინფორმაციას ბლოკავს.” (“დილის გაზეთი”, 18.02.2004)

*

ამგვარად, გამოიკვეთა კონტურები, როგორი იყო ქართული მედიის სახე ათასწლეულების მიჯნაზე, რომელიც უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო ქვეყნისა და, შესაბამისად, მედიის განვითარებისთვის. ზოგადად ამ პერიოდის ქართული მედიის და, კონკრეტულად, პრესის, შეფასება და, შემდგომ, საანალიზო პერიოდში (2000-2005 წლები) მის ძირითად საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპექტებზე მსჯელობა, შეუძლებელია იმ პარამეტრების მოშველიების გარეშე, რომლითაც, საერთოდ, მედიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხარისხი ფასდება.

თავისუფლება და დამოუკიდებლობა ძალზე ზოგადი ცნებებია, მაგრამ, არსებული თვალსაზრისების შეჯერებით, სწორედ ესაა მედიის დემოკრატიულობის განმსაზღვრელი უმთავრესი ფაქტორი. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ამ ფაქტორების არსებობას, პირველ რიგში, ქვეყნის დემოკრატიული განვითარების დონე და მედიის ფუნქციონირებისთვის არსებული გარემო-პირობები განაპირობებს.

მედიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პარამეტრებზე მსჯელობა, უპირველესად, ინფორმაციული სფეროს მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებზე (საერთაშორისო შეთანხმებები, კონვენციები, ოქმები, კონკრეტული ქვეყნის

კანონმდებლობა...) დაყრდნობით ვითარდება. ინფორმაციული სამართალი ურთელეს სფეროდ ითვლება უველა დემოკრატიულ ქვეყანაში; მედიის მკვლევარები და პროფესიონალი პრაქტიკოსები, უმეტესწილად, მიიჩნევენ, რომ ნორმატიული აქტები განსაზღვრავს მედიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლებას, მაგრამ რეალობაში, არათუ კონკრეტული ქვეყნის, არამედ კონკრეტული მედიასაშუალების შემთხვევაშიც კი, უაღრესად რთულია დადგენა, რას გულისხმობს თავისუფლება და დამოუკიდებლობა და როგორ შეიძლება მისი მიღწევა.

გაზეთების მსოფლიო ასოციაციის კვლევისა და ინფორმაციის მართვის განყოფილების დირექტორი ტატიანა რეპკოვა, რომლის გამოცდილება მოიცავს ყოფილ სოციალისტურ ეფროპაში ცხოვრებასა და უურნალისტად/რედაქტორად მუშაობასაც და თანამედროვე მედიის თეორიისა და პრაქტიკის ცოდნასაც, ერთმანეთს უხამებს მედიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის რომანტიკულ/იდეალისტურ განსაზღვრულებებსა და პრაგმატულ რეალობას. საქართველოს მედიასთან მიმართებაში განსაკუთრებით საყურადღებოა გარდამავალი დემოკრატიის ვითარება: “განვითარებად დემოკრატიულ ქვეყნებში დამოუკიდებელი მედიის შექმნის პირველი ეტაპი აუცილებლად გულისხმობს სამთავრობო საკუთრებისგან, კონტროლისა და ჩარევისგან გათავისუფლებას. სიტყვა “დამოუკიდებელი” არ გახდავთ აბსოლუტურად თვითკმარი და ამ შემთხვევაში არცთუ ზუსტად ესადაგება თავის პირველად სემანისტიკურ განსაზღვრებას. განვითარებად დემოკრატიულ ქვეყნებში პრესასთან მიმართებაში ეს სიტყვა, ჩვეულებრივ, ნიშნავს სამთავრობო კონტროლისაგან დამოუკიდებელს. მაგრამ ეს განმარტება მეტისმეტად ვიწროა.

იმის გამო, რომ განვითარებად დემოკრატიულ ქვეყნებში უურნალისტებს დამოუკიდებლობის საკმაოდ მწირი, ან ზოგჯერ არანაირი გამოცდილება არ გააჩნიათ, მათ ხშირად ჰგონიათ, რომ ხელისუფლების კონტროლისგან თავის დაღწევა, ყველანაირი კონტროლისგან თავისუფლებას ნიშნავს; რომ მათ არავინ აკონტროლებს, მათ შორის, არც გაზეთის მმართველები. სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის მათეული განსაზღვრება არარეალისტური და გაუაზრებელია და, საბოლოოდ, უურნალისტებისთვისვე კარგი არაფერი მოაქვს. დღევანდელ რთულ სამყაროში დამოუკიდებლობა სრული გერაფრით იქნება.” (62, 9-10)

მედიის თავისუფლების ცნება საქართველოშიც საკმაოდ დიდხანს იყო ასოცირებული “ყველაფრისგან თავისუფლებასთან”. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ უურნალისტებს ყველანაირი ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების შეუზღუდავი უფლება აქვთ. მედიასაშუალებების მფლობელები და უურნალისტები მტკიცნეულად განიცდიდნენ ნორმატიული აქტების მიღებას, რომლებიც არეგულირებს ინფორმაციის საჯაროობას/საიდუმლოობას, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ინფორმაციასთან დაშვების უფლებას და ა.შ. “საქართველოს ზოგადმა

ადმინისტრაციულმა კოდექსმა” (მიღებულია 1999 წლის 25 ივნისს) საკანონმდებლო დონეზე მნიშვნელოვნად მოაწესრიგა საჯარო ინფორმაციასთან ურთიერთობა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ, მეორე მხრივ, მედიის წარმომადგენლები ხშირად უჩიოდნენ, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ხელისშემსლელ ბიუროკრატიულ ბარიერებს.

ცნობილ ინგლისურ არასამთავრობო ორგანიზაციაში, “არტიკლ 19”-ში გაერთიანებულმა იურისტებმა შექმნეს და 1993 წელს გამოსცეს უნიკალური ნაშრომი, რომელშიც გადმოცემული და გაანალიზებულია მასმედიის სამართლებრივი რეგულირებისა და თვითრეგულირების სფეროში 11 დემოკრატიული ქვეყნის გამოცდილება (ავსტრია, ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, უსაბანეთი, კანადა, ნიდერლანდები, ნორვეგია, აშშ, საფრანგეთი, შვეცია); ნაშრომში, შედარებითი ანალიზის მეთოდით, გადმოცემულია არა მხოლოდ არსებული ნორმები, არამედ მათი გამოყენების პრაქტიკა, პრობლემებისა და წინააღმდეგობების ჩათვლით. ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ მრავალგვარობისა და განსხვავებების მიუხედავად, არსებობს რამდენიმე ძირითადი პირობა, რომელიც საერთოა დემოკრატიული ქვეყნებისთვის პრესის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად: რეგისტრაციის ლიბერალური პირობები (გაზეთის ან ჟურნალის დაარსებისთვის არაა საჭირო მთავრობის ნებართვა), ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა, წყაროს კონფიდენციალობა და ა.შ. უველაზე მთავარი და ჩვენთვის საყურადღებო, რაც ამ ნაშრომში იკვეთებაა, ისაა, რომ პრესის პასუხისმგებლობის განვითარების კვალობაზე, პრესასთან დაკავშირებული კონფლიქტები სამართლებრივი სფეროდან თვითრეგულირების სფეროში ინაცვლებს, რაც პრესის დამოუკიდებლობასთან ერთად, მისი ავტორიტეტისა და პრესტიუსის ამაღლებასაც უწყობს ხელს. (35)

კანონმდებლობის დონეზე, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, საქართველოში პრესის თავისუფლება და დამოუკიდებლობა საქმარისად უზრუნველყოფილია (თუმც, ტელემედიის შემთხვევაში, ხელისუფლება ახერხებს სიტუაციის მართვას სამაუწყებლო ლიცენზიებითა და საკონტროლო პაკეტებით). 2004 წლის 24 ივნისს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონმა “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ”, ისტორიის კუთხით და აქცია “გარდების რევოლუციამდე” არსებული სასამართლო პრაქტიკა, როდესაც მედიასაშუალებებს შეფასებითი მსჯელობისა და მამხილებელი ფაქტების საჯაროდ გაცხადებისათვის ხოლიდურ ჯარიმებს აკისრებდნენ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მთავარი სპეციალისტი, გიორგი გოცირიძე წერს, რომ “საქართველო შეუერთდა იმ ქვეყანათა რიცხვს, სადაც ცილისწამებამ დეპრიმინალიზაცია განიცადა, ანუ ამგვარი ქმედებისთვის გაუქმდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და იგი მთლიანად სამოქალაქო კანონმდებლობის რეგულირების სფეროში მოქმედა.” (14, 28)

არა მხოლოდ საქართველოს, არამედ განვითარებული დემოკრატიულის პრაქტიკა აჩვენებს, რომ ლიბერალური კანონმდებლობა საკმარისი არ არის პრესის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ტატიანა რეპკოვა აღნიშნავს, რომ “თავისუფალი და დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების არსებობა შესაძლებელია მხოლოდ სხვა დემოკრატიული ტრადიციების არსებობასთან ერთად.” (62, 19) ამასთან, იგი მიიჩნევს, რომ პროფესიონალიზმის დაცვა გაცილებით დიდ ძალისხმევას მოითხოვს, გიდრე დამოუკიდებლობისა: “მსოფლიოში მიღებულ მრავალ ურნალისტური ქცევის კოდექსსა და საკუთარ – რეპორტიროს და რედაქტორის – გამოცდილებაზე დაყრდნობით, ხუთი სიტყვით შემიძლია განვსაზღვრო, როგორი უნდა იყოს პროფესიონალი ურნალისტიკა: ფაქტობრივი, პატიოსანი, მიუმსრობელი, ყოვლისმომცველი და თანმიმდევრული.” (62, 26)

თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიის განვითარებისთვის სამართლებრივ გარემოზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს ბიზნეს-გარემოს; მართალია, მედია სპეციფიური ბიზნესია (უფრო სწორად, იგი არ არის მხოლოდ ბიზნესი), მაგრამ მის ფუნქციონირებას არსებითად განსაზღვრავს საბაზო კანონები.

“მთლიანობაში მედია შეიძლება განვითილოთ, ორგორც წარმოება, საზოგადოებრივი სამსახური და, აგრეთვე, პოლიტიკური ინსტიტუტი... დღეს მედიას არცერთი ზემოხსენებული მახასიათებლის იგნორირება არ შეუძლია. შედეგი არის ფუნდამენტური კონფლიქტი მეწარმეობის თავისუფლებასა და სიტყვის თავისუფლებას შორის... ამ დილემის დაძლევა იოლი არ არის... მედიის მიზანი ვერ იქნება მხოლოდ ფულის კეთება, ისევე როგორც მხოლოდ თავისუფლება: თავისუფლება აუცილებელია, მაგრამ არ არის საკმარისი. მედიის ამოცანაა კარგად ემსახუროს ყველა მოქალაქეს”, (11, 9-10) – ფრანგი მკვლევარის კლოდ-ჟან ბერტრანის მიერ ჩამოყალიბებულ ამ ფორმულაში, ფაქტობრივად, მოცემულია “სამსახოვანი” მედიის მთავარი დილემა – მისი სიტყვის თავისუფლების “ამპლიტუდა” ბიზნესის თავისუფლების “ამპლიტუდითაც” ისაზღვრება და, ორივე ერთად – დემოკრატიისა და საბაზო ეკონომიკის განვითარების ხარისხით. დემოკრატიულ სახელმწიფოში, სადაც ხელისუფლება ხალხის მიერ არჩეული და დაქირავებული მსახურია, ბუნებრივია, მედიასაც მუტი შესაძლებლობა აქვს თავისი მთავარი ამოცანის – მოქალაქეებისა და საზოგადოების მსახურების – განსახორციელებლად.

საქართველოში, ორგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ბიზნესი არ არის დისტანცირებული ხელისუფლებისგან; პრესის ბიზნესად ქცევის ამოცანა იმითაც რთულდება, რომ ისედაც მწირი სარეკლამო ბაზარი თითქმის მთლიანად ელექტრონულ მედიაზეა ორიენტირებული. 2003 წლისთვის სარეკლამო ბაზარი უზრუნველყოფდა მედიის შემოსავალს წელიწადში დაახლოებით 5 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, საიდანაც პრესის წილი დაახლოებით 20% იყო. (52, 65)

როგორც მარინა მუსეელიშვილი აღნიშნავს საქართველოში დემოკრატიის განვითარების შემაჯამებელ პალევაში, საქართველოს ეკონომიკაში დიდია ჩრდილოვანი სექტორის წილი; მედიაც უმეტესწილად ჩრდილოვან სექტორში ფუნქციონირებს; ურნალისტთა ხელფასები მეტად დაბალია, რის გამოც მაღალი პვალიფიკაციის კადრები სხვა სფეროებში ინაცვლებენ; ამასთან, “იქმნება მოჯადოებული წრე, როდესაც საწყისი თანხის არარსებობა არ იძლევა ბიზნესის განვითარების შესაძლებლობას, ხოლო საწყისი ინვესტიციის მიღება უპაგშირდება გარკვეული პოლიტიკური ვალდებულებების აღებას, რაც, საბოლოო ჯამში, პროდუქციის ხარისხის დაქვეითებას იწვევს.” (52, 65-66) შესაძლოა, სწორედ პროფესიული პრესის არარსებობით (და არა იმდენად მოსახლეობის ეკონომიკური სიდუხჭირით) აიხსნას პრესის დაბალი ტირაჟები, რასაც სოციოლოგიური გამოკლეულებიც ადასტურებს.

ბიზნესგარემოს მოუწესრიგებლობა და მატერიალური პრობლემები პრესას ხშირად აიძულებს მიმართოს ე.წ. ფარულ რეპლამას, შეკვეთილ სტატიებს; მკითხველის უურადღების მისაქცევად ინფორმაციაში ფაქტებზე მეტად ფიგურირებს “სენსაციურ-სკანდალური” შევერილობის კომენტარები; პროფესიული და ეთიკური სტანდარტების დარღვევა ჩვეულებრივი მოვლენაა ბეჭდური გამოცემების უმეტესობისთვის. ყოველივე ეს სარედაქციო დამოუკიდებლობაზეც უარყოფითად აისახება და, რაც მთავარია, ამ ვითარებაში პრესა არათუ ემსახურება მოქალაქეს, არამედ არღვევს მისი, როგორც მედიამომხმარებლის უფლებას – მიიღოს სანდო და “ეკოლოგიურად უსაფრთხო” პროდუქცია.

*

ცნობილი გერმანელი სოციოლოგი ნიკლას ლუმანი თავის წიგნში “მასმედიის რეალობა” აღნიშნავს, რომ მასმედია “მოსაზრებებს მოვლენებზე განიხილავს და აშუქებს, როგორც საკუთრივ მოვლენას” (45, 167); დაუზუსტებელ, ან მცდარ ფაქტებს მასმედია ავრცელებს როგორც ნამდვილ ცნობებს, რომლებიც მუდმივად უნდა განახლდეს, რათა სიყალბე შეუმჩნეველი დარჩეს. ახალი ამბების სახით გადმოცემული ინფორმაცია კი ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებად ითვლება. ლუმანი ჩამოთვლის კრიტერიუმებს, რომელსაც იყენებენ ინფორმაციის ახალ ამბად/ნიუსად ქცევისთვის: ინფორმაცია ახალი უნდა იყოს; უპირატესობა ენიჭება კონფლიქტებს; უაღრესად მნიშვნელოვანია ნორმების დარღვევა, რომელიც მასმედიის ინტერპერეტაციით ხშირად სკანდალის სახეს იღებს და ა.შ.

ქართული მასმედიის ინტერპრეტაციულ ხასიათზე ყურადღებას ამახვილებს სოციოლოგი იაგო კაჭკაჭიშვილი; იგი ამბობს, რომ საინფორმაციო გადაცემების ერთმანეთთან შედარება პოსტმოდერნული პარადიგმის ლეგიტიმურობაში არწმუნებს – “არ არსებობს რეალობა თავისთავად. იგი ისეთია, როგორადაც მისი ინტერპრეტაცია

ხდება. ხოლო რამდენადაც ინტერპრეტაცია ბევრია, რეალობაც სხვადასხვანაირია... სინამდვილე გაწოვილია ინტერპრეტაციაში.” (31) მაგრამ რახან სოციოლოგია ემყარება დაშვებას რომ ობიექტური რეალობა (თუნდაც ემპირიული, ანუ დრო-სივრცული) არსებობს, იაგო კაჭკაჭიშვილი მსჯელობას ასე ავითარებას: “ე.ი. შესაძლებელია ვისაუბროთ რეალობის აღეპვატურ და არააღეპვატურ ინტერპრეტაციაზე.”

თუნდაც, ერთი მხრივ, გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკისა” და, მეორე მხრივ, დანარჩენი გაზეთების (“ალია”, “ახალი ვერსია”, “რეზონანსი”, “ახალი თაობა”, “ჯორჯიან თამსი” და სხვ) ზედაპირული შედარებაც კი ადასტურებს ამ თვალსაზრისს. 2000-2003 წლებში “საქართველოს რესპუბლიკით” შექმნილი სურათი ისე დიამეტრალურად განსხვავდება სხვა გაზეთებისაგან, რომ მნელია დაიჯერო რომ ეს ერთი და იგივე ქვეყნის რეალობის ასახვაა. “საქართველოს რესპუბლიკის” მედიასურათი, საბჭოური ინერციით, სტაბილურობისა და უძრაობის განწყობას გვიქმნის, დაახლოებით ასეთი სქემით – “ყველაფერი რიგზეა!”, მთავარია “ბუნტი არ იყოს”; დანარჩენი გაზეთების მედიასურათი, სიჭრელის მიუხედავად, მუდმივი დესტაბილიზაციისა და ნიჟილიზმის განწყობას ამძაფრებს. ხოლო იმის დადგენა, რომელი მედიასაშუალების ინტერპრეტაციაა რეალობის აღეპვატური, ან არააღეპვატური, პრაქტიკულად შეუძლებელია.

ასეთივე მიმართება იყო ამ პერიოდში ტელეკომპანია “პირველი არხისა” და ტ/კ “რუსთავი 2”-ის მიერ შექმნილ “ინტერპრეტაციულ რეალობებს” შორის. ამ ორი მედიასაშუალების შედარება სხვა რამითაცაა საგულისხმო. დისერტაციის I ნაწილში მოვიხმეთ მაკლუენის ცნობილი ფორმულა – “მედიუმი არის მესიჯი”. “რუსთავი 2” – ანუ მედიუმი/საშუალება, ერთის მხრივ, თავისი კომუნიკაციური შესაძლებლობებით (ვგულისხმობთ სიხშირეს, დაფინანსებას, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, კადრებს...) არ აღემატებოდა “პირველ არხს” (მედიუმს/საშუალებას), მაგრამ “რუსთავი 2”, როგორც მედიასაშუალება, თავისთავად იყო გარკვეული მესიჯი, ერთგვარი კოდი, რომელიც არა მხოლოდ მიმდინარე პროცესებსა და საზოგადოების განწყობაზე ახდენდა ზეგავლენას, არამედ, სხვა მედიასაშუალებებზეც.

აქვე მოკლედ შევეხებით საერთოდ “რუსთავი 2”-ის განსაკუთრებულ და, შეიძლება ითქვას, უქსაკლუზიურ როლს. ჯერ კიდევ 2000 წელს, მედიის ანალიზი წარმოაჩენდა ამგვარ სქემას: საზოგადოებრივი აზრის აქცენტირების ფუნქციას ასრულებდა “რუსთავი 2”. საინფორმაციო პროგრამის – “კურიერი 9 საათზე” ანონსი, ზედმიწევნით გათვლილი, პოლიტიკურად და ემოციურად დამუხტული, ტონს აძლევდა საინფორმაციო ამინდის შემქმნელ სხვა მედიასაშუალებებს (პირველ რიგში, “რეზონანსსა” და “ალია”); “ღამის კურიერი” (11 საათზე), პლურალიზმის დაცვის ეფექტით, ოსტატურად ავითარებდა მთავარ აქცენტებს. სათანადო განწყობის

შესაქმნელ ფონს ქმნიდა არა მხოლოდ დღის საინფორმაციო გამოშვებები, არამედ, სხვა გადაცემებიც და არხის სტრატეგიული დიზაინიც.

ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი, რომელიც დაწვრილებით ეხება მედიის როლს 2003 წლის მოვლენებში, ღრმად აანალიზებს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში “ახალი პოლიტიკური აქტორის ნიშის” (რომელიც სწორედ “რუსთავი 2”-მა დაკავა) გაჩენის წინაპირობებს: გარდამავალი ხანის საზოგადოებისათვის დამახასიათებელია “სწრაფად ცვალებადი სიტუაციითა და რთული სოციალური მდგომარეობით გამოწვეული ინფორმაციული შიმშილის განცდა, რაც რიგით ადამიანს ტოტალურად დამოკიდებულს ხდის ელექტრონული მედიის ფუნქციონირებაზე... ამ დროს ძლიერია ცდუნება იმისა, რომ მოხდეს ელექტრონული მედიის როლის პიკერბოლიზება, როგორც საზოგადოებრივ განწყობილებათა მართვის ინსტრუმენტისა... საზოგადოება მთლიანად დამოკიდებული ხდება არა მხოლოდ მედიის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე, არამედ, ამ ინფორმაციის ინტერპრეტაციაზეც.” (71, 172)

ზაზა ფირალიშვილი კარგად ხსნის, როგორ იქცა “რუსთავი 2” არა მხოლოდ უმნიშვნელოვანეს მედიააქტორად, არამედ პოლიტიკურ აქტორადაც: არხის მესვეურები ფლობდნენ საინფორმაციო ომის სტრატეგიათა ცოდნას; “აგრესიული ტონით, ნიშანთა სისტემის პროფესიონალური გამოყენებით, ჟურნალისტიკისათვის აუცილებელი ავანტიურიზმით მათ თანდათან მიაღწიეს საზოგადოებრივი აზრის უკონკურენტო კრეატორთა მდგომარეობას.” (71, 174-175)

აქ, და დისერტაციის სხვა მონაკვეთებშიც, “რუსთავი 2”-ის ფიგურირება განპირობებულია ბოლო წლების ქართულ მედიასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე მისი უდავოდ დიდი გავლენით. ამასთან, ქართული მასშედიის განვითარებაზე მსჯელობისას (განსაკუთრებით, “ვარდების რევოლუციის” კონტექსტში) უცხოელი თუ ქართველი ექსპერტების ათვლის წერტილი ტელევიზიაა, უფრო ზუსტად, “რუსთავი 2”. გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული პრესის აქცენტები ან პირდაპირ უკავშირდებოდა, ან დიდწილად იყო განპირობებული სწორედ ამ ტელეარხის მესიჯებით. ზაზა ფირალიშვილი აღნიშნავს, რომ “რუსთავი 2”-ის მიერ შემუშავებული გზავნილები, რომლებიც საინფორმაციო გამოშვებების ანონსებში ხმიანდებოდა, მეორე დღეს თითქმის უცვლელი სახით გადადიოდა გაზეთებში. უფრო მეტიც, “რუსთავი 2” ქმნიდა მოვლენათა იმ დირებულებით იერარქიასაც, რომელსაც შემდეგ არა მხოლოდ ბეჭდვითი საშუალებები, არამედ ელექტრონული მედიის სხვა აქტორებიც იმეორებდნენ.” (71, 174)

2003 წლის მედიატენდენციების შემაჯამებელ სტატიაში, “თავისუფლების ინსტიტუტის” წარმომადგენელს, თამარ კინწურაშვილს “რუსთავი 2”-ის როლი სამოქალაქო ჟურნალისტიკის რანგში აყავს: “ის, რაც დასავლეთში რამდენიმე წელიწადია სამოქალაქო ჟურნალისტიკის სახელით იკიდებს ფეხს, საქართველოში

გასული წლის ურნალისტურ ნოვაციად იქცა... თუ ამერიკაში სამოქალაქო ურნალისტიკის განვითარების პროცესში გარკვეული კატალიზატორის როლი 11 სექტემბრის ტრაგედიამაც შეასრულა, საქართველოში ანალოგიური დატვირთვა 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებს ჰქონდა”, – წერს კინტურაშვილი და, ფაქტობრივად, აყალიბებს იმ კრიტერიუმს, რომლის წყალობითაც “რუსთავი 2” “გამარჯვებული ხალხის ტელევიზიად” იქცა: “იმ ვითარებაში, როცა პოზიციის არქონა დემოკრატიული ფასეულობების დალატის ტოლფასი იყო, ურნალისტთა ერთმანაშილმა დაარღვია ქართულ მედიაში დამკიდრებული სტერეოტიპი, თითქოს ობიექტურობა ურნალისტიკაში იმის საპირისპირო მტკიცებაა, რისი განზრახვაც პოლიტიკოსებს ამოძრავებთ”; თუმც, იქვე დასძენს, რომ “პოსტრევოლუციურ პერიოდში მისი მარტოოდენ “გამარჯვებულთა” ტელევიზიად გადაქცევის საშიშროება გაჩნდა.”

ამასთან, თამარ კინტურაშვილი აღნიშნავს, რომ “სხვა რევოლუციური ძვრები” ქართულ მედიაში არ შეინიშნება; პრესასთან მიმართებაში კი ძუნწი კომენტარით შემოიფარგლება იმის თაობაზე, რომ ზოგიერთი გამოცემა მკითხველზე მეტად პოლიტიკოსთა ვიწრო ჯგუფზეა ორიენტირებული. (32, 138)

აქედან გამომდინარე, ალოგიკურად აღარ ჩანს ერთი წლის შემდეგ ურნალ “თავისუფლების” პუბლიკაციაში საქართველოს სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა მოსაზრება, რომ საქართველოშიც უნდა დაიწყოს სამოქალაქო ურნალისტიკის ექსპერიმენტი. ანუ, “სამოქალაქო ურნალისტიკის ნოვაციამ” განვითარება ვეღარ ჰქონდა არათუ ქართულ მედიაში, არამედ თავად “რუსთავი 2”-ის შემდგომ პრაქტიკაში. პუბლიკაციის ავტორი მერაბ ბასილაია აღნიშნავს: საქართველოს სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები (რომლებიც ბასილაიას აზრით, არცთუ ისე მრავალრიცხვანი არიან) იზიარებენ დასავლელ მკვლევართა მოსაზრებას, რომ სამოქალაქო ურნალისტიკა ხალხისა და მედიის ურთიერთობის თვისობრივად ახალი ეტაპია და თვლიან, რომ “საქართველოშიც უნდა დაიწყოს სამოქალაქო ურნალისტიკის ექსპერიმენტი. ამ ექსპერიმენტის არსი სათქმელად მარტივია: ურნალისტი საზოგადოებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. საზოგადოება გაცილებით მეტს უნდა ნიშნავდეს, ვიდრე საინფორმაციო ბაზარი. ურნალისტმა მოქალაქეში უნდა დაინახოს არა ინფორმაციის მომხმარებელი, არამედ, იმავე საზოგადოების წევრი, რომელსაც ურნალისტი თავად ეკუთვნის. პროფესიულ მიუკერძოებლობას ამოფარება და საკუთარი პოზიციის არგამუდავნება, არცთუ იშვიათად თავის მოტყუება და ფარისევლობაა.” (6, 20)

“ვარდების რევოლუციის” შემდეგ, საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა თვალსაჩინო წარმომადგენლობა, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ინიციატივით, ბაკურიანში შეიკრიბა ქართული სახელმწიფოს, საზოგადოებისა და მესამე სექტორის მდგომარეობასა და მომავალზე

სამსჯელოდ. მათ მიერ ქართული მედიის შეფასებებში ხსენდება “ცენზურა”, “მედიის შეზღუდვა”, “დასუსტება” და ა.შ. “გამარჯვებული ხალხის ტელევიზიაზე” კი ნათქვამია: “რუსთავი 2” დუმს იმიტომ, რომ იქ არის უამრავი ანგარებიანი გარიგება.” (50, 36)

მართლაც, ახალი ხელისუფლების მიმართ მედია უჩვეულოდ შემწყნარებლური გახდა, მაგრამ ეს ძირითადად მაინც ტელევიზიას ეხება. “ვარდების რევოლუციის” შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, ტელევიზიისა და პრესის გზები საგრძნობლად დაშორიშორდა: ტელევიზიის საბრძოლო პათოსი დაცხრა და წინა პლანზე სანახაობამ გადმოიწია, პრესამ კი შეძლებისდაგვარად შეინარჩუნა მიმდინარე მოვლენების შეფასებისა და ანალიზის ფუნქცია. საერთოდ კი, პოსტრევოლუციურ პერიოდში საფუძვლიანად შეერყა საფუძველი მედიაზეობას, ანუ მედიის ყოვლისშემძლეობის იმიჯს.

“ვარდების რევოლუციიდან” ზუსტად რვა თვის შემდეგ გაზეთ “რეზონანსში” გამოქვეყნდა პუბლიკაცია სათაურით “მედიის რექვიემი პოსტრევოლუციურ საქართველოში”. სათაურში უკვე გაცხადებულია მთავარი სათქმელი, რომელსაც პულტუროლოგი ლელა იაკობიშვილი ასე აყალიბებს: “ჩვენს საინფორმაციო სივრცეში სრული დაბნეულობაა; თითქოსდა ცოცხალი მედია, რომელმაც იცოდა, როგორ “გაეჩინა” საზოგადოებრივ ორგანიზმში ახალი, “სხვა” (ანუ საკუთარი თავის სხვაგვარი ვერსია), დღეს, ვფიქრობ, რომ პარალიზებულია. სრული შთაბეჭდილება იყო იმისა, რომ ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზმში ორი სფერო – პოლიტიკა და ჟურნალისტიკა მაინც ინარჩუნებდა ცოცხალ მუხტს. ხშირად ინფანტილურად, უფრო – ისტერიულად, მაგრამ მაინც ინარჩუნებდა. ამ ორ სფეროს ერთმანეთის მიმართ პქონდა ინტერესი და დანარჩენი ადარაფერი აინტერესებდათ – საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი სხვა ასპექტი. ეს იყო ერთმანეთზე ორიენტირებული ძალაუფლების ორი სივრცე, რომლებიც ერთმანეთს ასაზრდოვებდნენ... დღეს მედია-სივრცე გამოეთიშა საზოგადოებრივ ორგანიზმს და პოლიტიკის იმედზე დატოვა ქვეყანა, თითონ კი მის უსიცოცხლო იარაღად იქცა.” (85)

ეს, ერთი შეხედვით მკვეთრი შეფასება, ზედმიწევნით გამოხატავს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ქართული მედიის მთავარ მახასიათებელს – პოლიტიკის პრიმატს; პოლიტიზების ტენდენცია ტელემედიისა და პრესის საერთო მახასიათებელია, თუმც, პრესისაგან განსხვავდით, პოსტრევოლუციურ პერიოდში ამ თვალსაზრისით ტელევიზია უფრო ინერტული გახდა. ლელა იაკობიშვილის შეფასებაც ალბათ, პირველ რიგში, სწორედ ტელემედიას ეხება, მაგრამ ვერც პრესამ შეინარჩუნა “რევოლუციამდელი” დინამიზმი, სიმძაფრე და აქტუალობა.

ამ შეფასებაში კიდევ ერთი არსებითი ტენდენციაა ჩამოყალიბებული – საზოგადოებრივი ცხოვრების დანარჩენი ასპექტების იგნორირება მედიის მიერ, გარდა

პოლიტიკური ბატალიებისა. თუ უფრო დავაზუსტებთ, ეს გულისხმობს არა პოლიტიკურ დებატებს, ჯანსაღი პოლიტიკური კონკურენციის, პოლიტიკური სპექტრის ფართოდ წარმოჩენას, არამედ, სახელისუფლო ბრძოლების ქცევას ცენტრალურ თემად, და არა მხოლოდ არჩევნების წინარე და მომდევნო პერიოდებში, როცა, ეს მიმართულება მედიაში თავისთავად იწევს წინა პლანზე.

“პრესა საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის არსებულ გამყოფ ხაზს ზემოთ, ხელისუფლების სიახლოეს იმყოფება”, – აცხადებდა უურნალისტი ია ანთაძე 2000 წელს, “დილის გაზეთთან” ინტერვიუში (ეს გაზეთი დიდ უურადლებას უთმობდა ქართული მედიის ავ-კარგზე მსჯელობას და დემოკრატიული გამოცდილების გაზიარებას), – “როდესაც ხელისუფლების ერთი შტო, ნაწილი ან ჯგუფი დაპირისპირებულია მეორესთან, ის პრესის სეგმენტიდან საკუთარ სამეცნიერო წრეს კარგად იყენებს ამ ჯგუფთან დასაჯახებლად. სწორედ ეს იწვევს პრესის დისკრედიტაციას... სამწუხაროდ, ჩვეულებრივი ადამიანები არავის აინტერესებს. დახედეთ ნებისმიერი გაზეთის პირველ გვერდს და თუ თქვენ იპოვით რიგითი ადამიანის სურათს, მაშინ უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები.” (113)

საქართველოში დემოკრატიის განვითარების შემაჯამებელ საექსპერტო კვლევაში, სტატია “მასმედიის” ავტორი მარინა მუსხელიშვილი ასკვნის, რომ პრესა, როგორც სამომხმარებლო პროდუქტი, “თითქმის მთლიანად პოლიტიკაზეა მიმართული და თითქმის არ ასახავს მკითხველის პრობლემებს... ეს მიღვომა, ერთი მხრივ, ასახავს არსებული პოლიტიკური სივრცის მკვეთრად ელიტისტურ ხასიათს, მეორე მხრივ, კიდევ უფრო ამძაფრებს მოსახლეობისა და პოლიტიკური კლასის გაუცხოებას, ზღუდავს საზოგადოების უნარს, გაიაზროს მის წინაშე მდგარი გამოწვევები.” (52, 67)

უნდა შევნიშნოთ, რომ პრესის ორიენტირება პოლიტიკაზე არ გულისხმობს იმას, რომ თუნდაც ამ სფეროს იგი უოვლისმომცველად და მრავალმხრივად აშუქებს; როგორც აღვნიშნეთ, უმეტესწილად პრესა გამოხატავს არა თუნდაც ხელისუფლების ინტერესს, არამედ ხელისუფლებისათვის ბრძოლის ინტერესს. ამაზე მიანიშნებს ია ანთაძის აქცენტიც პრესის ანგაუირებულობაზე. ამასთან, ეს ციტატა შეიცავს იგივე დისკურსს, როგორსაც ლელა იაკობიშვილის ინტერვიუ – საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთი სხვა ასპექტი, სახელისუფლო დაპირისპირებების გარდა. საბედნიეროდ, ეს შეფასება ყველაზე ნაკლებად ეკუთვნის “დილის გაზეთისნაირ” გამოცემას, რომლის უურადლების არეალში საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტი ხვდებოდა და არც მხოლოდ პოლიტიკოსები იყვნენ მისი “მთავარი გმირები”. მირითადად კი, ქართული პრესა, საზოგადოებრივი აზრის გამოხატვისა და საზოგადოებრივი ინტერესის სადარაჯოზე დგომის ნაცვლად, უფრო წარმატებით მანიპულირებს საზოგადოებრივი აზრით. ეს კი, ამა თუ იმ ფორმით, მაინც ახდენს გავლენას საზოგადოებრივი აზრის, ოდონდ – დეფორმირებულის – ფორმირებაზე. “პრესის

საშუალებით ბეგრი დესტრუქციული იდეა მკვიდრდება. ამ პროცესში ჟურნალისტები უშუალოდ არიან ჩართულნი. ვერ ვიტყვი, რომ გაუთვითცნობიერებლად”, – აღნიშნავს ჟურნალისტი ია ანთაძე ზემოხსენებულ ინტერვიუში. (113) რა როლი მიუძლოდა პრესას არა მხოლოდ დესტრუქციული იდეების დამკვიდრებაში, არამედ, დესტაბილიზაციური პროცესების ინიცირებაში, ამ თემას საგანგებოდ შევეხებით დისერტაციის ერთ-ერთ მომდევნო ნაკვეთში.

ზემოთ ყურადღება გავამახვილეთ პრესის პოლიტიკების ტენდენციაზე, ამ ნაკვეთის დასაწყისში კი – ანალიტიკური და “ყვითელი” სტილის ურთიერთადრევაზე. პოლიტიზებისკენ მიდრეკილება ე.წ. ბულვარულ პრესაშიც შეიმჩნევა, ისევე როგორც თვალშისაცემია საზოგადოებრიგ-პოლიტიკურ გამოცემებად მიჩნეული ჟურნალ-გაზეთების “სიყვითლე” – იაფფასიანი “სენსაციებითა” და “სკანდალური ამბებით” გატაცება და, რაც მთავარია, დაწერილი თუ “დაუწერელი” კანონებისა და საზოგადოებრივი ნორმების უგულებელყოფა, რომ ადარაფერი ვთქვათ ჟურნალისტური ეთიკის ნორმებზე.

მოვიშველიებთ მწერალ ნაირა გელაშვილის შეფასებას: “... თუ დასავლეთში ბულვარულ პრესას სრულიად გარკვეული სოციალური ფენა ეტანება, კერძოდ: კულტურულ-ინტელექტუალურ სამყაროს სრულიად მოწყვეტილი ნაწილი საზოგადოებისა, ჩვენთან ამ მხრივ არავითარი “ფენოვანება” არ შეინიშნება”. ჩვენი საზოგადოება ნაკლებ წენია და გულზიზდიანია, როგორც დანაგვიანებული ეზო-ქუჩების, ისე დანაგვიანებული მასმედიის მიმართ: მდარე გაზეთებს “ინტელიგენცია” ისევე ისრუტავს, როგორც ორკლასდამთავრებული ან დაუმთავრებელი ხალხი”. (112)

ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვა ქართულ პრესაში სცილდება ჩვენი საკვლევი თემის ფარგლებს, მაგრამ აქ საილუსტრაციო მოვიხმობთ ერთ პუბლიკაციას, რომელიც არა მხოლოდ ეთიკის დარღვევის, არამედ “სიყვითლის” საუკეთესო ნიმუშია. მით უფრო, რომ იგი გამოქვეყნებულია მაშინდელ საზოგადოებრიგ-პოლიტიკურ გამოცემებს შორის “პირველ ვიოლინოდ” მიჩნეულ გაზეთში. “რეზონანსის” 2000 წლის 8 ივლისის ნომერში, მეორე გვერდზე, განთავსებულია პუბლიკაცია სათაურით – “ჩემი პრეზიდენტი ჩემი მუცელია”, ქვესათაურით – “შევარდნაძეს ტუალეტში ქალალდის მაგიერ 50-დოლარიანები უკიდია და კუჭაშლილობის პერიოდში ხმარობს”. პუბლიკაციას წამდგარებული აქვს შავი პეტიტიო აწყობილი ლიდი: “თბილისელი “გაიშნიკები” პრეზიდენტ შევარდნაძის ტუალეტში დაკიდებულ 50 დოლარიანებზე ოცნებობენ”. შემდგომ ეს “ნიუსი” უფრო საგულდაგულოდაა განვითარებული: “იმას, ჩვენს დამაქცევარს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, რა უჭირს, ტუალეტში ალბათ ქალალდის მაგიერ 50-დოლარიანები უკიდია და კუჭაშლილობის პერიოდში ხმარობს. გადმომიგდოს ბატონი ის

გაიმასქნებული ფული და გეფიცებით, არც მძღოლს წავართმევ რამეს და არც ქუჩაში დავხვდები ვინმეს”. (97)

ეს ნიმუში საგანგებოდ მოვიხმეთ არა მხოლოდ ეთიკის დარღვევისა და “სიყვითლის” გამო. მთელი ეს პუბლიკაცია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ახალი ამბებისთვის განკუთვნილ “ტერიტორიაზეა” განთავსებული, რა თქმა უნდა, არავითარ ამბავს არ შეიცავს, მით უფრო – ფაქტს. და ამგვარი ხასიათის მასალები (ოდონდაც, არა ყოველთვის ამ ზომამდე წრებადასული) იშვიათი გამონაკლისი არ იყო იმდროინდელი “რეზონანსისთვის”. ამ გარემოებაზე იმიტომაც ვამახვილებო ყურადღებას, რომ შემდეგ ქვეთავებში ხშირად დავიმოწმებო ამ რეიტინგულ გაზეოს და ვნახავთ, როგორი ტრანსფორმაცია განიცადა მან სოლიდურობის მიმართულებით.

თავი II

საქართველოს სახელმწიფო პრესის პრიზმაში

• სახელმწიფოს იმიჯი

ახალი ათასწლეულის დამდეგს ქართული მასშტაბის ფლაგმანებში საქართველო ფიგურირებს, როგორც “არშემდგარი ქვეყანა”, “საშიში ქვეყანა”, “ვითომ ქვეყანა”, ქვეყანა, რომელიც “გასულია მომსახურეობის ზონიდან”; “სახელმწიფო” კი “არშემდგარის” კონტექსტშიც იშვიათად ხსენდება.

ვერ ვიტყვით, რომ ამაში ბრალი მასშტაბისა და ჟურნალისტებს მიუძღვოდათ. ეს იყო კანონზომიერი შედეგი – წარმატებული საინფორმაციო ომების შედეგად დაშლილი სსრკ-ის შემადგენლობიდან გამოთავისუფლებული პოსტსაბჭოთა ქვეყანა და იდეოლოგიური დიქტატისა და ცენზურისაგან ახალგამოხსნილი მასშტაბი მზად არ იყო თანამედროვე საინფორმაციო სივრცის ზემოქმედებაზე ადეკვატური რეაგირებისათვის.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დეკლარირება, 90-იანი წლების პრესაში, ხშირად მოიხსენიებოდა, როგორც სახელმწიფოებრიობის აღდგენა. მაგრამ ისტორიული სახელმწიფოებრიობისაგან ხანგრძლივი დროისმიერი დისტანცირების გამო ეს ცნება რეალობას არ შეესაბამებოდა. 1994 წელს აკაკი ბაქრაძე წერდა, რომ ქართველი ხალხი “სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა დამოუკიდებელი და თავისუფალი ცხოვრებისათვის”, რადგანაც “ჩვენ დამოუკიდებლობა ორი საუკუნის წინათ კი არ დავგარგეთ..., არამედ ბევრად უფრო ადრე... საქართველო კოლონიურ მდგომარეობაში სულ ცოტა 1555 წლიდან მაინც იმყოფება.” აკაკი ბაქრაძე გვაფრთხილებდა, რომ დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყნის აშენებას ხანგრძლივი და სისტემატური მომზადება სჭირდება, უპირველესად კი – “ერის სულიერ სამყაროში საკუთარი თავისადმი რწმენის აღზრდა”, “საპუთარი სახელმწიფოებრივი ენერგიის” რწმენა. (7, 391)

მართლაც, სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების თანმდევმა კატაკლიზმებმა ამ პროცესისთვის მოუმზადებელი ქვეყნის საზოგადოება საკუთარ შესაძლებლობებში დააეჭვა, მასშტაბის ფსიქოლოგიურმა ზემოქმედებამ კი, თავის მხრივ, საამისოდ სათანადო ფონი შექმნა. ჩვენი აზრით, ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, ეს განაპირობა ყველაზე არსებითმა “წარსულის გადმონაშოთმაც” – საბჭოთა იდეოლოგიის ინერციამ – რომ ყოფიერება არის ბაზისი, ცნობიერება კი – ზედნაშენი; ამ ლოგიკით, სახელმწიფო ცნობიერება შესაძლოა ჩამოყალიბდეს სახელმწიფოს ინსტიტუციონალური, ეკონომიკური და ა.შ. გაძლიერების კვალობაზე. ბუნებრივია, რომ სახელმწიფოს სიძლიერე სახელმწიფოებრივ აზროვნებასაც მყარ საფუძველს უქმნის;

მაგრამ, მეორეს მხრივ, უიმედობით, ნიპილიზმითა და არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი ხალხი სახელმწიფოს ვერ ჩამოაყალიბებს. მედიის რუსი მკვლევარი სერგეი კორკონოსენკო წერს, რომ ახალი “მეცნიერებათა მეცნიერების” – ინფორმაციოლოგიის შემქმნელთა თვალსაზრისით, “არა იმდენად ყოფა განსაზღვრავს ცნობიერებას, რამდენადაც ცნობიერება, ინფორმაციის ფორმით, განსაზღვრავს სამყაროს.” (33, 74)

XX საუკუნის 80-90-იანი წლების ქართული პრესის ერთ-ერთი აქტუალური თემა – დისკუსია ეროვნული იდეოლოგიის თაობაზე, ახალი ათასწლეულის პრესაშიც იჩენს თავს, ოდონდაც ამჯერად უკვე მარგინალიზებული. ანუ, თანდათან ცნება “ეროვნულობაში” პრესაში დევალგაცია განიცადა.

“ალბათ ისტორიულ იდეათა და ისტორიულ სტრატეგიათა უწყვეტობაა ის ძალა, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოებას ისტორიის სუბიექტად ჰქონავს და ფუნქციონალურადაც მიუჩენს ადგილს... თუ თვალს გადავავლებო ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ბოლო ოცი წლის ისტორიას, ძნელი არაა დავრწმუნდეთ, ისტორიულ იდეათა როგორი დეფიციტის პირობებში გვიწევს არსებობაც და ქართული სახელმწიფოებრიობის შენებაც. ეს ძირეული საქმე თითქოს რადაც ისტორიული მომენტიდან ვიდაც სხვას გადავაბარეთ და ფუნდამენტურ იდეათა მხოლოდ იმპორტირებასდა ვჯერდებით,” – აღნიშნავს ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი. (71, 101-105) მართლაც, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქართული მედიის ფლაგმანები, განსაკუთრებით 2000-2001 წლების პერიოდში, ერთგვარად ნიადაგს ამზადებენ “იმპორტირებულ იდეათა” აღქმისთვის. მაგალითად, გაზეთების “რეზონანსისა” და “ალიას” პუბლიკაციებში ცნებები – “სახელმწიფო”, “ეროვნული” შეგნებულადაა იგნორირებული და თუ გამოკრთება აქა-იქ, ისიც უსათუოდ უარყოფით კონტექსტში. საქართველო განიხილება ქვეყნად, რომელსაც, თითქოსდა, ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გარდა, არც უკან – წარსულში, არც წინ – მომავალში და, მით უფრო, აწმყოში, საიმედო, ხელჩასაჭიდი და სახელმწიფოებრიობის განმსაზღვრელი სხვა პერსპექტივა არ ჰქონდეს. ეს ტენდენცია ყველგან იგრძნობა – პოლიტიკაზე, რელიგიაზე, ეროვნულ რეკვიზიტებსა თუ კულტურაზე მსჯელობისას და ავითარებს არსებით აზრს – რომ ეროვნულობა ჩამორჩნილობის, ვიწროკუთხურობის მაჩვენებელია და ხელს უშლის დემოკრატიის განვითარებას. სახელმწიფოსადმი მასმედიის ამგვარ დამოკიდებულებას უკვე ბუნებრივად მივუვაროთ იმ კონდიციამდე, როცა ცნება “არშემდგარი ქვეყანა” შეჩვეული სიტყვა ხდება მკითხველისა თუ მაყურებლისთვის და, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, განსაზღვრავს მის ადეკვატურ რეაქციას.

პირობითად, ამ პერიოდის პრესა სამ ნაკადად შეიძლება დავყოთ:

ერთი მხრივ, “ალია”, “რეზონანსი”, “ახალი ვერსია” ქმნიან კლიშეებს – საქართველო – არშემდგარი ქვეყანა, საშიში ქვეყანა, პანკისი – ტერორიზმის ბუდე, შევარდნაძე მილოშევიჩი, წითელი პრეზიდენტი, შევარდნაძისტები – რეტროგრადები, უვანიას გუნდი – რეფორმატორები;

“ასავალ-დასავალი”, “დრო”, “მეოთხე”, “მართალი გაზეთი” – რეფორმატორებს დასავლეთის ემისრებად მიიჩნევენ, მასონური მმართველობის საფრთხეზე და უვანია-სააკაშვილის წარმომავლობაზე მსჯელობენ;

“დილის გაზეთი”, “კვირის პალიტრა”, “ახალი თაობა”, “მერიდიანი”/“ახალი მერიდიანი”, “დრონი”, “განახლებული ივერია” ცდილობენ ეროვნული ცნობიერების, სახელმწიფო აზროვნების გააქტიურებას – ტრადიციული ღირებულებების შენარჩუნებით.

მიუხედავად რიცხობრივი უპირატესობისა, ხსნებულ გაზეთებსა და პლუს კიდევ სხვა გამოცემებს არ შეუძლიათ გადაფარონ “ალიასა” და “რეზონანსის” საინფორმაციო ზეგავლენა, რამდენიმე არსებითი ფაქტორის გამო: გავრცელების ფართო გეოგრაფიული არეალის, ტირაჟისა და რეიტინგის გარდა, ისინი მოქმედებენ განსაზღვრული საინფორმაციო სტრატეგიით, რაზეც უპევ ვამახვილებდით ყურადღებას ტ/კ “რუსთავი 2”-ის მაგალითზე. (2001 წელს, კომპანია “ნიკოლო მ”-ის მიერ ჩატარებული საქართველოს მედიაბაზრის პვლევის შედეგად, “ალია”, “რეზონანსი” და ”ახალი ვერსია” ლიდერობენ მკითხველთა ნდობისა და კითხვადობის რეიტინგში; ხოლო “ალიასა” და “რეზონანსს”, “კვირის პალიტრასთან” ერთად, გავრცელების ყველაზე ფართო არეალი აქვთ.)*

ეროვნული და სახელმწიფო ცნობიერების მოშლის შორსგამიზნული პროცესი უწინარესად ახალგაზრდობისკენ იყო მიმართული. პირველ რიგში სწორედ მათზე იყო გათვლილი “დარღუბალას” სერიალი (ტ/კ “რუსთავი 2”), “რეზონანსის” “მორიგე რედაქტორის ჩანაწერები”, “ალიას” პუბლიკაციები, რომლებიც ერთდროულად აღვივებდა რელიგიურ ნიკილიზმსაც და რელიგიურ ექსტრემიზმსაც; საინფორმაციო ამინდის შემქმნელი მასმედიის მთავარი თემები – დესტაბილიზაციის პერმანენტული საფრთხე, ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში მხოლოდ უარყოფითის ძიება, უფროსი და საშუალო თაობის მუდმივი დადანაშაულება კომუნისტურ დროში ცხოვრებისათვის (იმ ფაქტორის იგნორირებით, რომ მათ დროისა და ქვეყნის არჩევა არ შეძლოთ), სახელმწიფოს დისკრედიტაციისაკენ მიმართული საინფორმაციო კამპანია და ა.შ.

თუ ამ თვალსაზრისით თუნდაც “რეზონანსის” “მორიგე რედაქტორის ჩანაწერებს” განვიხილავთ, დავრწმუნდებით რომ გაზეთის ამ მინიატურულ “სავიზიტო

* პვლევის შედეგის გამოყენება შეთანხმებულია კომპანია “ნიკოლო მ”-თან.

ბარათში” აკუმულირებულია უდიდესი საბრძოლო მუხტი და შეურიგებლობა სისტემის, მმართველობის, ტრადიციების, უფროსი თაობისადმი და ა.შ. ამასთან, მისი ენობრივი ქსოვილი – შავი იუმორს შერწყმული სლენგი, “დარღუბალასაც” ებმაურება და კარგად ესადაგება თინეიჯერულ გემოვნებასა და განწყობასაც. “ჩანაწერების” პოზიცია გამყარებულია ანშლაგებად გაშლილი საპირველგვერდო სათაურებითა და კარიკატურებით, რომელთა მთავარი “გმირია” პრეზიდენტი:

- “საქართველო საკონცენტრაციო ბანაკია”. (“რეზონანსი”, 26 ოქტომბერი, 2001).
 - “ოროსნების ქვეყანა” – “რეზონანსი” ყურს უწევს ოროსნების მეთაურ წითელ პრეზიდენტს. (“რეზონანსი” 6 აპრილი, 2001).
 - “აქ ოდესდაც საქართველო იყო...”; ფოტომონტაჟი – საქართველოს რუკაზე განფენილი პრეზიდენტის ფოტოპორტრეტი. (“რეზონანსი”, 18 აპრილი, 2001).
 - “საქართველოს ხელისუფლებაში ერთი პომოსაპიენსიც არ ურევია!; კარიკატურა – ცენტრში დიდ გამოხატულ ძვალზე შემდგარი პრეზიდენტი – პირველყოფილი ადამიანი, ჩაქუჩ-ნამგლიანი ავგაროზით. (“რეზონანსი”, 14 აპრილი, 2001)* და ა.შ. პრესის პუბლიკაციების მეორე ნაკადი ქვეყანაში არსებულ მძიმე ვითარებას ხსნის “იმპორტირებული იდეებისა” და ეროვნული ნიჭილიზმის მომდლავრებით და ამ პროცესს, პირდაპირ თუ ირიბად, აკავშირებს “დასავლური ყაიდის” ახალგაზრდა პოლიტიკოსებთან, ანუ ე.წ. რეფორმატორებთან:
- “სამწუხაროა, რომ ის ადამიანები, რომლებიც თითქოსდა ქმნიან საქართველოს ხელისუფლების უზრუნველყოფის მინისტრი არიან. ეს წმინდა წყლის ქართული პარადოქსია, რომლის მსგავსს, ვთქვათ ამერიკელი, კოშმარულ სიზმარშიც ვერ ნახავს. ამაში ჩანს ჩვენი გამოუცდელობა – მართალია, კი გაგვაჩნია სახელმწიფოებრიობის ათასწლოვანი ტრადიცია, მაგრამ ისტორიული გამოცდილების დეფიციტს მაინც განვიცდით”. (161)
 - “ჩვენი ქვეყნის უბედურებაში ძირითადი წვლილის შემტანნი ქართველები არიან. აქედან მოდის განცდაც, რომ ქართველები არაფრის ლირსნი ვართ. ეს ტყუილია, რადგან მათ მეტად სერიოზული შემკვეთები ჰყავთ. უოველივე დაკავშირებულია ერთ დიდ თეორიასთან, რომელიც შეიქმნა დასავლეთში, ძალიან საინტერესო ინსტიტუტებში.

ეს არის მსოფლიო გლობალიზაციის თეორია, რომელსაც ერთი კი არა, შემკვეთთა მთელი ერთობლიობა ჰყავს, რომელიც წარმართავს დანარჩენ

*

დისერტაციის ამ მონაკვეთში განვითარების/უზრნალების და თარიღების აქვე მითითება მნიშვნელოვანია საერთო კონტექსტისთვის. ამიტომ, აქაც და შემდგომაც, იძულებული გართ დაგარდვით პერიოდიკის დამოწმების სტანდარტი.

მსოფლიოს... შიშველი ამერიკანიზმი ემსახურება ქართული ეროვნული სახელმწიფოებრივი საფუძვლების მოშლას. ამას აკეთებენ სმპ საგანგებო ემისრები, რომელთაც ლიდერის სტატუსი აქვთ ბოძებული”. (130)

პრესის პუბლიკაციების მესამე ნაკადი ცდილობს სახელმწიფო აზროვნების ჩამოყალიბების აუცილებლობისკენ მიაპყროს საზოგადოების ყურადღება. (ამ მხრივ ყველაზე მეტი თანმიმდევრობით გამოირჩევა “განახლებული ივერია”, რომლის პუბლიკაციები მოწმობს საქართველოში სახელმწიფოებრიობის ძლიერი ტრადიციის არსებობას. თუმც, ამ გაზეთის პერიოდულობა და სტატიების სპეციფიკა მასობრივ მკითხველზე ზემოქმედების საშუალებას არ იძლეოდა). ამ ტიპის პუბლიკაციებში, პირველ ყოვლისა, შეიმჩნევა ეროვნული ნიპილიზმის, სახელმწიფოებრიობის ეჭვავებული გამომწვევი მიზეზების გაანალიზება და იმ საყრდენის ძიება, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ერის ფსიქოლოგიური წონასწორობა.

ერთ-ერთ საგაზეო პუბლიკაციაში პოლიტოლოგი გივი ბოლოთაშვილი თანმიმდევრულად აყალიბებს იმ ფაქტორებს, რომელთა მიხედვითაც საქართველო არშემდგარი სახელმწიფოა: “საქართველო ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების ინტეგრაციას, სოციალური ერთიანობის საკითხების გადაჭრას, კანონის უზენაესობას, მოქალაქეთა ინტერესების დაცვას, გარეშე თავდასხმებისგან ქვეყნის დაცვას, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას, კულტურულ-ადმინისტრაციითი ფუნქციის განხორციელებას და ა.შ. რაც მთავარია, საქართველოში ვერ შეიქმნა საშუალო ფენა. შედეგად, 5%-ია მდიდართა ფენა, დანარჩენი ლუმპენპოლეტარიატის დონემდევა დაყვანილი.” (91).

იგივე პრობლემების სათავეს მწერალი ერლომ ახვლედიანი გაცილებით დრმა ფესვებში ეძიებს, ასახელებს თითქმის ყველა ძირითად ობიექტურ მიზეზ-შედეგს და, რაც მთავარია, ცდილობს მათი წარმოშობაც და მოგვარებაც დაუკავშიროს არა მხოლოდ გარეშე ფაქტორებს (როგორც ეს ამ ტიპის პუბლიკაციათა უმეტესობაში გვხვდება), არამედ, დაგვანახოს საკუთარი ბრალეულობაც და საკუთარი ძალების ამოქმედების გარდაუგალი აუცილებლობაც: “ქაოსი, რომელშიც ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით, მხოლოდ ჩვენი ბრალი არ არის. ჩვენ ხალხს უამრავი სახადი ერთბაშად შეეყარა, არადა, მათგან თითოეული შეიძლებოდა საბედისწერო გამხდარიყო. ჩვენი ბრალი აქ ის არის რომ მათ ჩვენ ვერ ვუვლით, როგორც სახადს, ბატონებს, ვერ ვუქმნით მშვიდ გარემოს, პირიქით, ვაავებთ ჩვენი დაპირისპირებით, ხმაურით. ეს სახადი უამრავია: სოციალური წყობის შეცვლა, მოპოვებული დამოუკიდებლობა, თავისუფლება მრავალი მიმართულებით, პლურალიზმი, კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების მწვავე პროცესი, ეთნიკური პრობლემების დამოუკიდებლად რეგულირება, ძველი და ახალი მენტალიტების დაჯახება, უსამართლოდ წართმეული ტერიტორიები, ორიენტაციის მკვეთრი შეცვლა, მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის

მოგვარება, სარწმუნოებრივი ექსპანსიები, მეგობრებისა და მტრების გარჩევის სიძნელე, გეოპოლიტიკური მდგომარეობის სირთულე და ა.შ. ყოველივე ამას, ამ ქაოსურ მდგომარეობას, ძნელია მოუქებნო საერთო მაჩვენებელი, ერთიანი საყრდენი, რომელიც ჩვენ ჩვენსავე თავში უნდა ვიპოვოთ, რადგან ჩვენ თუ ასეთი საყრდენი შინ ვერ ვიპოვეთ, მაშინ ბუნებრივია “მეგობარი” ქვეყნების სიძლიერეში უნდა ვიპოვოთ ახალი “მფარველი”, ანდა ძველს დაგუბრუნდეთ”. (87)

ეს ვრცელი ციტატა მოვიხმეთ იმის საილუსტრაციოდაც, პრესის ჰეშმარიტი თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის პირობებში, რა ძირითადი პარამეტრები უნდა ქცეულიყო მის პრიორიტეტად.

სახელმწიფო აზროვნების გააქტიურებისკენ მიმართული პუბლიკაციების ნიმუშად მოვიხმობთ კიდევ ერთ მაგალითს – საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის, ვალერი ჩხეიძის ინტერვიუს გაზეთ “კვირის პალიტრასთან”. “ჩვენ უნდა გვქონდეს ნათლად გამოკვეთილი ეროვნული მოდელი სახელმწიფოებრიობისა, დაყრდნობილი ისტორიულ ტრადიციებსა და ფსიქოლოგიაზე. საქართველომ დიდი სახელმწიფოების პოლიტიკურ თამაშებში გამსვლელი ან შესაწირი პაიკის როლი კი არ უნდა ითამაშოს, არამედ ჩვენს ქვეყანას საკუთარი მყარი და ძლიერი ადგილი, თავისი მისია უნდა ჰქონდეს ამ ურთულეს და ძნელ “საჭადრაკო დაფაზე”, – აცხადებს მადალჩინოსანი სახელმწიფო მოხელე და მიიჩნევს, რომ საამისოდ საქართველოს სჭირდება ნეიტრალიტეტი. (ინტერვიუ ვალერი ჩხეიძესთან, “კვირის პალიტრა”, 27 ნოემბერი, 2000).

მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდისთვის (2000-2001 წლები) საქართველო დასავლურ დირექტულებებსა და დემოკრატიის მშენებლობაზე ორიენტირებულ ქვეყნად ითვლებოდა, პრესაში ნაკლებად გვხვდება პუბლიკაციები, რომლებშიც ახსნილია დემოკრატიული განვითარების არსი, გარდამავალი დემოკრატიის თავისებურება და პრობლემები, საქართველოს წინაშე მდგომი კონკრეტული ამოცანები და ა.შ. დემოკრატია უმთავრესად ხსენდება ზოგად კონტექსტში, ან, სიტყვის თავისუფლების, პიროვნების უფლების შელახვის საბაზით. რა თქმა უნდა, გვხვდება გამონაცლისებიც. მაგალითის სახით მოვიშველიებთ გაზეთ “ახალი თაობის” პუბლიკაციას – “როდის განვითარდება საქართველოში დემოკრატია?”, რომლის ავტორი, უურნალისტი ლადო მკერვალიშვილი პროფესიულად წარმართავს მსჯელობას და ქართული პრესისთვის ჩვეული სუბიექტურ-ემოციური დამოკიდებულების ნაცვლად, მოვლენების პრაგმატულ ხედვას იჩენს: “სახელმწიფოს წინაშე სულ სხვა ამოცანები და მიზნები დგას. მათი ფორმულირება კი ერთი სიტყვით შეიძლება – გადარჩენა. როცა ეს პრობლემები გადაიჭრება, დემოკრატიის დამყარებისათვის ყველა ბარიერი მოიხსნება. ქართველი ერი თავისი მენტალიტეტით თუ ფსიქოლოგიით ყოველთვის დემოკრატიი იყო და ეს მისთვის ახალი ხილი არ არის... საქართველოში დემოკრატია განვითარდება მას

შემდეგ, რაც წამოიწევს ეპონომიკა, გაერთიანდება საზოგადოება და ამაღლდება ეროვნული თვითშეგნება. დემოკრატია, როგორც წესი, სიღატაკეში არ ხარობს.” (141)

2002 წელს საქართველოში აშშ-ის “წრთვნისა და აღჭურვის” პროგრამის დაწყებამ მასმედიის განწყობა საგრძნობად გადახარა ოპტიმიზმისაგენ და, შესაბამისად, იყლო აგრესიამ, საინფორმაციო აქიოტაჟებმა, შერბილდა სახელმწიფოსა და პრეზიდენტისაკენ მიმართული უარყოფითი აქცენტები. ამ პერიოდში უკვე “რეზონანსის” პირველ გვერდებზე აღარ ჩნდება სარკასტული კარიკატურები “მთავარი გმირით” – “პრეზიდენტით”, შეიცვალა “მორიგე რედაქტორის ჩანაწერების” პათოსიც, სახელმწიფოსა და პრეზიდენტის შეურაცხმყოფელი. შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით “რეზონანსი” ერთგვარი ინდიკატორია, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვიმსჯელოთ სახელმწიფოს ცხოვრებაში მომხდარ თვისობრივ ცვლილებაზე. “წრთვნისა და აღჭურვის პროგრამა არ უნდა ჩაიშალოს” – ასე ასათაურებს “რეზონანსის” წამყვანი ჟურნალისტი ელისო ჩაფიძე პუბლიკაციას, რომელშიც მკაფიოდ გამოხატავს თავის ჟურნალისტურ პოზიციას და, ფაქტობრივად, არა მხოლოდ მკითხველს, კოლეგებსაც მოუწოდებს სახელმწიფოებრივი ერთსულოვნებისკენ: “... დღეს საქართველოში არსებული სიტუაცია არავის, არც ჯარისკაცს, არც ერს და არც ბერს იმის უფლებას არ აძლევს სპონსორული და ემოციური გადაწყვეტილებები მიიღოს. ერთი დიდი მწერლის თქმისა არ იყოს, სამშობლო ხაჭაპური არ არის და ყველანაირი უნდა გიყვარდეს. უნდა გიყვარდეს განსაკუთრებით მაშინ, როცა ის დაძაბუნებულია და უჭირს. ჩვენ კი ხანდახან წინდაუხედაობითა თუ სიჩქარით, ზოგჯერ მიზანმიმართულად, ისეთ ფრაზას და ბრალდებას ვისვრით, რაც საქართველოს დახმარების სურვილს ნებისმიერ ქვეყანას გაუქრობდა”. (164)

“რეზონანსისა” და ზოგიერთი სხვა გამოცემის ტონისა და აქცენტის შეცვლა კიდევ ერთმა გარემოებამ განაპირობა – 2001 წლის ოქტომბერ-ნოემბრის მოვლენების (რომლის დროსაც ზურაბ ჟვანია პარლამენტის თავმჯდომარეობიდან გადადგა) შემდგომ პერიოდში საინფორმაციო ამინდის შემქმნელი მასმედიის “მონოპოლიზების” ფაქტორი აშკარად შესუსტდა და, შესაბამისად, განელდა სახელმწიფოსა და პრეზიდენტ შევარდნაძის უარყოფით იმიჯზე მომუშავე საინფორმაციო მუხტი. დემოკრატიის, პროდასავლურობის, კორუფციასთან ბრძოლის შირმის მიღმა აშკარა სახელისუფლებო ბრძოლის ინტერესის გამედავნებამაც შეიტანა კორექტივი ჟურნალისტთა გარკვეული ნაწილის ხედვაში. ამ დასკვნის გასამყარებლად მოვიშველიებოთ არასამთავრობო სექტორის თვალსაჩინო წარმომადგენლის, გიგი თევზაბის მოსაზრებას (წიგნიდან “საქართველო: ძალაუფლების დაბრუნება”) იმის თაობაზე, რომ “ჟვანიასაც სჭირდებოდა ლიბერალური დემოკრატიის საყრდენი”, ანუ არასამთავრობო სექტორისა და მედიის “ლია მხარდაჭერა” “ძალაუფლების საკუთარი

სქემის” შესადგენად. (25, .20) ზურაბ ჟვანიას გავლენას მედიაზე მომდევნო ნაკვეთებში შევეხებით, აქ კი დავძენო, რომ ეს გავლენა პარლამენტის თავმჯდომარეობიდან მისი გადადგომით ერთბაშად არ გაქარწყლებულა, მაგრამ გაცილებით შესუსტდა.

ამ ქვეთავის დასაწყისში, “არშემდგარ სახელმწიფოსთან” მიმართებაში, შეგნებულად არ შევეხეთ რუსეთის ფაქტორს, რადგან ეს, ობიექტური ფაქტორის გარდა, ერთგვარი კლიშეა, რომელსაც საანალიზო პერიოდის ქართული პრესა მუდმივად იშველიებს და ლამის უოველგვარი უბედურების სათავედ სახავს. საგანგებოდ გადმოვანაცვლეთ ეს თემა ქვეთავის ამ მონაცემში, სადაც ქართულ პრესაში სახელმწიფო ინტერესის გამოხატვის სიმპტომების გაჩენას შევეხეთ. პრესის ვერსიებს საქართველოში განვითარებულ დესტაბილიზაციურ სიტუაციებთან რუსეთის მიმართების თაობაზე ერთ-ერთ მომდევნო ქვეთავში შვეხებით. აქ კი მოვიხმობთ არა ქართული ან რუსული მედიის ინტერპრეტაციებს, არამედ რუსეთის “საგარეო პოლიტიკის ნაციონალური ლაბორატორიის”* ინტერნეტ-საიტზე 2002 წლის აგვისტოში განთავსებულ ანალიტიკურ მასალას – “პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში”. მის ერთ-ერთ ქვეთავში – “საქართველოს დახასიათება და რუსეთის ინტერესები”, საქართველო ასეა წარმოდგენილი: “ამერიკულ და რუსულ მასშედიაში საქართველოს ახასიათებენ, როგორც “არშემდგარ სახელმწიფოს”. საქართველოს სახელმწიფოს არ ძალუბს თავად უზრუნველყოს თავისი მთლიანობა და უსაფრთხოება და მუდმივად სჭირდება გარეშე დახმარება... საქართველოს სახელმწიფოებრივი სისუსტის შედეგად, რუსეთისათვის ისეთი რუტინული პროცედურაც კი, როგორიცაა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, საქართველოში იწვევს ხელჩართულ ბრძოლას, ქუჩის შეტაკებებს, სროლებს და ქვეყანაში სიტუაციის დესტაბილიზაციის საფრთხეს ქმნის”. ამ ქვეთავში განმარტებული არ არის, რაში მდგომარეობს “რუსეთის ინტერესი”, მაგრამ, როგორც ჩანს, იგულისხმება, რომ იგი ისედაც გასაგებია. (58)

რუსი ექსპერტების პოზიციისგან დიამეტრალურად განსხვავებულია ნატო-ში აშშ-ის ყოფილი ელჩის, რობერტ პანტერის მოსაზრება საქართველოზე. მისი აზრით, “საქართველო არავითარ შემთხვევაში არ არის არშემდგარი ქვეყანა და არც იქცევა ასეთად”. იგი საქართველოს, წინსვლის მიხედვით, პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამეცნიერო ან ოთხეულში თვლის, ედუარდ შევარდნაძეს კი – ყველაზე დემოკრატიულად დანარჩენ პოსტსაბჭოურ ლიდერებს შორის. (118)

* ხსენებული ლაბორატორია 2002 წელსაა დაფუძნებული; მისი პრეზიდენტია ცნობილი პოლიტოლოგი და პოლიტტექნიკოლოგი გლებ პავლოვსკი. როგორც ჩანს, ლაბორატორიამ ერთ-ერთ პირველ საგარეო პოლიტიკურ ფაქტორად საქართველოს ფაქტორი მიიჩნია და ფუნდამენტურად შეისწავლა და გააანალიზა მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის თითქმის ყველა არსებითი პრობლემა.

დაახლოებით ასეთი საინფორმაციო განწყობითაა წარმოდგენილი საქართველოს სახელმწიფოს ზოგადი სახე პრესაში “ვარდების რევოლუციამდე”. შედარებისთვის საინტერესოა, როგორ ფიგურირებს ამ პერიოდის საქართველო საექსპერტო შეფასებებში. 2003 წლის მდგომარეობით, პოლიტოლოგი გია ნოდია (საექსპერტო ნაშრომში – “დემოკრატიის შექმნის ორი მცდელობა საქართველოში: თხუთმეტწლიანი გზის შეჯამება”) საქართველოს მიაკუთვნებს ქვეყნებს, რომლებმაც დემოკრატიის მიმართულებით რამდენიმე საწყისი ნაბიჯი გადადგეს და სადღაც შუა გზაზე, “ნაცრისფერ ზონაში” გაჩერდნენ; მისი მომავლის პერსპექტივა სამ სცენარს შორის მერყეობს: სერიოზული წინსვლა დემოკრატიის მიმართულებით; აგტორიტარული სისტემისკენ დაბრუნება; კიდევ დიდხანს დარჩენა არსებულ გაურკვევლობაში. (55, 38)

2005 წლის, ანუ პოსტრევოლუციური საქართველო, “მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის” გამოცემაში (კოორდინატორ-რედაქტორები გია ნოდია და ალვარო პინტო სქოლტბახი), ასეა შეფასებული: “საქართველო ცნობილია, როგორც პოლიტიკურად არასტაბილური სახელმწიფო, რაც დემოკრატიაზე გადასვლის (ტრანზიციის) მრავალჯერად მცდელობაში გამოიხატა... (ხაზი აგტორის, – ლ.კ.) 2003 წლის ნოემბრის ვარდების რევოლუცია საქართველოში დემოკრატიული ტრანსფორმაციის კიდევ ერთი მცდელობაა... მთავარი გამოწვევა, რაც საქართველოს დემოკრატიის წინაშე დგას, ისაა, რომ 2003 წლის ნოემბერი საქართველოს ისტორიაში შევიდეს როგორც “რევოლუცია, რომელმაც ყველა რევოლუცია დაასრულდა.” (ხაზი ჩვენია, – ლ.კ.) ეს გულისხმობს, რომ უნდა მოხდეს დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაცია და ძალაუფლების კონსტიტუციური ცვლაც რუტინულ პროცედურად უნდა იქცეს.” (64, 5-9)

“ვარდების რევოლუციამ”, როგორც დისერტაციის პირველ ნაკვეთში აღვნიშნეთ, მასმედიას დაუკარგა წამყვანი პოზიცია, მაგრამ დაეხმარა ახალი ფუნქციის შექმნაში – მედიის მეშვეობით ჩამოყალიბება დაიწყო საქართველოს ახალმა იმიჯმა. საქართველო, პირველ რიგში, ასოცირდება ცნობად სახელმწიფოსთან; ქვეყანა, რომელსაც დიდი ძალისხმევა უხდებოდა თავისი არსებობის დასაფიქსირებლად, საერთაშორისო ყურადღების ობიექტი გახდა. მხედველობაში გვაქს არა მხოლოდ ხმაურიანი საინფორმაციო საბაბები (ვარდების რევოლუციის რეზონანსი, აჭარაში განვითარებული მოვლენები და ა.შ.), არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის საქმიანი დაინტერესება.

სანიმუშოდ მოვიშველიებთ თუნდაც სამ საინფორმაციო საბაბს:

2004 წლის ივნისში, ბრიუსელში, ევროკავშირის ეგიდით გამართული საქართველოს დონორთა საერთაშორისო კონფერენციის გაშუქების ფონზე, საქართველო პრესაში ფიგურირებს როგორც სახელმწიფო, რომელსაც ეგროპა უკვე

აღიქვამს არა მხოლოდ გეოგრაფიულ, არამედ მსოფლიმსედველობრივ და კულტურულ მეზობლად; როგორც ქვეყანა, რომლის მიმართაც უცხოელი პარტნიორები, დაინტერესებასთან ერთად, კომპეტენტურობასა და ინფორმირებულობასაც ამჟღავნებენ.

მსოფლიოში შექმნილი ვითარება უნიკალური შანსია საქართველოსთვის – დაახლოებით ასეთია პრესის საერთო აქცენტი. 1 მილიარდი დოლარი – დონორებისაგან; 400 მილიონამდე (სამი წლის განმავლობაში) – “ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისგან”; 12 მლნ – ევროპაგშირისგან; “მთავარი გაზეთის” აზრით, დონორების ამგვარი ხელგაშლილობა დასავლეთისაგან საქართველოს ხელისუფლების დადებით შეფასებაზე მიუთითებს. ამავე დროს, თბილისს კატეგორიულად აფრთხილებენ, რომ მილიარდდოლარიანი დახმარება უპანასკნელი შანსია საქართველოსთვის. მიუხედავად იმისა რომ ქართველებისაგან ბოლო ათი წლის განმავლობაში მსგავსი შინაარსის განცხადებები არაერთხელ მოუსმენიათ, ბრიუსელში მაინც ირწმუნეს საქართველოს პრემიერ მინისტრის ოპტიმისტური პროგნოზი – “სამ წელიწადში საქართველო თავად დაეხმარება სხვებს.” (“მთავარი გაზეთი”, 22 ივნისი, 2004) ევროპული პოლიტიკის ცენტრში გამოსვლისას პრემიერ-მინისტრმა ზურაბ უვანიამ აღნიშნა, რომ ევროპამ აღიარა საქართველოს ევროპული ამბიცია. პრესა ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ამ ცენტრში შეხვედრისას თვალშისაცემი იყო უცხოელთა კომპეტენტურობა საქართველოს საკითხებში.

პრესის შეფასებით, საერთაშორისო საზოგადოებრიობამ ეს მილიონობით დოლარი ქართული რევოლუციის შედეგის – ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებაში დააბანდა; ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მთავარი გარანტი ინტერესთა პრაგმატული თანხვედრაა; რაკი ინვესტიციათა რაოდენობა უკვე ათნიშნა ციფრებით განისაზღვრება, დასავლეთი საქართველოს ასე აღვილად არ დათმობს. ლუქსემბურგში, ევროპაგშირის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, საქართველო, აზერბაიჯანსა და სომხეთან ერთად, ოფიციალურად ჩაერთო “ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში”. ამ გადაწყვეტილებით ევროპაგშირმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებში უფრო აქტიურ მონაწილეობას აპირებს.

2004 წლის ნოემბერ-დეკემბერში, უკრაინის “ნარინჯისფერი რევოლუციის” რეზონანსით, არა მხოლოდ “ვარდების რევოლუციის” პარალელი ჩნდება – პრესა არგუმენტირებულად მსჯელობს, რას გულისხმობდა “ქართული რევოლუციის ექსპორტი”, რა ნიშნით უნდა იქცეს საქართველო – ჯერ კიდევ სუსტი და კონფლიქტური რეგიონების მქონე სახელმწიფო, დემოკრატიული განვითარებისა და სტაბილურობის მისაბაძ მაგალითად მთელი რეგიონისა და პოსტსაბჭოთა სივრცისათვის. თანაც, უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებით გამოწვეულმა რევოლუციურმა მღელვარებამ, რომელიც ექსპერტთა შეფასებით, მეტისმეტად

გაჭიანურდა, ცხადყო, რომ მსგავსი პროცესის “იოლად მოგვარების” ქართული მოდელი მართლაც მიესადაგება დასავლელ სტრატეგთა იდეალისტური პოლიტიკის თეორიებს.

2005 წლის მაისში, აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტი თბილისში, მომგებიანი საინფორმაციო საბაბი იყო პრესაში საქართველოს იმიჯის პოზიტიური პოზიციონირებისთვის. “მთავარ გაზეთთან” ინტერვიუში, “გარდამავალი დემოკრატიების” პროექტის ხელმძღვანელი ბრიუს ჯექსონი აცხადებდა, რომ “საქართველო ნამდვილად ლიდერია კავკასიაში, შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში, ევროპის ერთ ნაწილში და ცენტრალურ აზიაშიც. უკრაინა თანალიდერია.” (120)

ჯორჯ ბუშის ვიზიტის რეზონანსს პრესაში საგანგებოდ შევეხებით დისერტაციის ერთ-ერთ მომდევნო ნაკვეთში; აქ კი უურადღებას გავამახვილებოთ კიდევ ერთ ნიუანსზე – “ვარდების რევოლუციაში” არა მხოლოდ საქართველოს საგარეო იმიჯზე მოახდინა პოზიტიური ზეგავლენა, ქვეყნის შიგნითაც არსებითად შეიცვალა სახელმწიფოსადმი დამოკიდებულება – ნიბილიზმიდან ოპტიმიზმისაკენ. აღსანიშნავია, რომ “გორბი” – “გელაპ ინტერნეიშენალის” მიერ 2004 წლის მიწურულს ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგით, საქართველო, ოპტიმიზმის მიხედვით, მსოფლიოს 65 ქვეყანას შორის მეორე ადგილზე აღმოჩნდა. (მსოფლიოს 50-ზე მეტი ქვეყნის “გელაპის” ინსტიტუტები, ყოველი წლის ბოლოს ადგენენ მოსახლეობის ოპტიმიზმის მაჩვენებელს, ანუ საზოგადოების დამოკიდებულებას მომავლის მიმართ. 2004 წლის ოპტიმისტ ქვეყანათა ათეული ასეთია: ტუნისი, ვიეტნამი – 72%, საქართველო – 71%, ჩინეთი, ჰონგ კონგი, ქუვეითი – 70%, კოსოვო – 67%, პანამა – 66%, აშშ – 65%, ავსტრალია – 61%.) (160)

• დასავლეთი თუ რუსეთი?

(სახელმწიფოს ორიენტაციის პრობლემის ასპექტები პრესაში)

საქართველოს დამოუკიდებლობის სათავესთან, გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს, ქართულ პრესას, გაზეთ ”მამულის“ წინამდოლობით, ცხარე დისკუსიი ჰქონდა გამართული – რა ორიენტაცია, სახელმწიფო მოწყობის რა მოდელი, რა ეკონომიკური სტრატეგია უნდა აერჩია საქართველოს, რომ იგი ჭეშმარიტად დამოუკიდებელ (დე იურე, დე ფაქტო) ქვეყნად ჩამოყალიბებულიყო. დრომ მალე გამოაჩინა, რომ დეკლარირებული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გადაზრდა რეალურ დამოუკიდებლობაში რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია. ამ თემის განვრცობა ჩვენი თემისა და კომპეტენციის ფარგლებს სცილდება; ამდენად, შევეცდებით მოკლედ ჩამოვაყალიბოთ თემის განვითარების დინამიკა საანალიზო პერიოდის ქართულ პრესაში.

დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ წლებში, აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ქართული პრესის მეშვეობით გაცხადებული საერთო იდეალი (თუ შეიძლება ასე ითქვას), იყო საქართველოს ნეიტრალიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ დროსა და სივრცეში ეს უტოპიური იდეა იყო; მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით საქართველომ ოფიციალურად გააქცირა ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისკენ სწრაფვა, ნეიტრალიტეტის თემა ხანგამოშვებით ისევ იჩენდა თავს პრესაში, ოღონდაც, არა უურნალისტური ან სარედაქციო ინიციატივით; ძირითადად, ეს უკავშირდებოდა საარჩევნო კამპანიის პერიოდებს, ან, გამოიყენებოდა ნატო-სთან საქართველოს მიმართების გააქტიურებისას “თემის გადასაფარად.”

საქართველოს მიერ საერთაშორისო აღიარების მოპოვებისთანავე, სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევის პროცესში, გაჩნდა დილემა – დასავლეთი თუ რუსეთი?! ამთავითვე ადვიმნავთ, რომ წლების მანძილზე, საგარეო პრიორიტეტებზე მსჯელობისა თუ ნებისმიერი სხვა საბაბით ამ თემის წარმოშობისას, პრესის აქცენტები, უპირატესად, სწორედ ამ ორი პოლუსისკენ მიემართება.

კვლევაში – “საქართველო სამხრეთ კავკასიის რეგიონის კონტექსტში”, დავით დარჩიაშვილი ასე აყალიბებს საქართველოს პოლიტიკური არჩევანის წინააღმდეგობრივ ხასიათს: “საქართველოს ადგილს სამხრეთ კავკასიის რეგიონული პოლიტიკის კონტექსტში, უპირველეს ყოვლისა, მისი საგარეო პოლიტიკური არჩევანი განსაზღვრავს. ამ არჩევანის ძირითადი ორიენტირია დიქტომია – დასავლეთი-რუსეთი: პირველის ხიბლი და მეორის შიში. სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტის ფონზე ქართული საგარეო პოლიტიკა, არსებითად, გადარჩენისათვის ბრძოლა, არსებობის გარანტიათა ძიებაა. ამასთან, ზოგჯერ ძნელი გასარკვევია, საჭმე ეხება ქვეყნის თუ სახელისუფლებო რეჟიმის გადარჩენას. შედეგად, პოლიტიკა ეპლექტურობის ელფერს იძენს, თუმცა მაინც დომინირებს დასავლურ, ევროატლანტიკურ სამყაროში ინტეგრირების ოცნება. საქართველოს ხელისუფლებას აქვს მეტ-ნაკლებად სტაბილური იდეა – ქვეყნისათვის დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის სატრანზიტო კორიდორის ფუნქციის შეძენა.” (17, 25)

ჩვენი საანალიზო პერიოდის ათვლის წერტილისთვის, ანუ 2000 წლისთვის, საქართველოს საგარეო პრიორიტეტი – დასავლური გაქტორი უკვე გამოკვეთილი იყო, მაგრამ პრესაში (ისევე, როგორც ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში) ჯერ კიდევ ძლიერია რუსული ფაქტორის გავლენა, რუსეთის პრიმატი მაშინაც კი იგრძნობა, როცა მის იგნორირებას ცდილობენ; რუსეთთან მიმართებაში ყველაზე თვალსაჩინოდ იკვეთება ქართული პრესის მიდრეკილება კლიშეებისა და სტერეოტიპებისაკენ; ერთ-ერთი მთავარი კლიშე – “ორი რუსეთი”, რომელიც წლების მანძილზე ფიგურირებდა რუსეთთან ურთიერთობის თემის განვითარებისას, ბოლო პერიოდის ქართულ პრესაში თითქმის აღარ გვხვდება (იგი ჩაანაცვლა დასკვნამ, რომ

არავითარი ორი რუსეთი არ არსებობს); სამაგიეროდ, თითქმის უცვლელი დარჩა კლიშე – რუსეთი “მტრის ხატის” როლში. (თითქოს პარადოქსია, მაგრამ დიდი რუსეთიც ასეთივე წარმატებით ქმნის საქართველოსგან “მტრის ხატს”).

უნდა აღინიშნოს, რომ პრესაში რუსეთისადმი ნებატიური დამოკიდებულების გამოხატვას საფუძვლად უდევს არა რუსოფობია (იშვიათი გამონაკლისების გარდა), არამედ, აქცენტი მის იმპერიულ არსზე. ამასთან, უმეტესწილად, საქართველოს მასმედიაში ანტირუსული კამპანიის გაძლიერება გამოძახილია რუსული მასმედიის ანტიქართული ისტერიისა. თავის მხრივ, ქართული მასმედიის მიერ რუსული თემის უარყოფით კონტექსტში აუიტირება რუსეთში პპოვებს გამოძახილს. ოდონდაც, აშკარაა საინფორმაციო ომის უთანაბრობა. “ვარდების რევოლუციის” შემდგა, საქართველოს საერთაშორისო რეზონანსის გაძლიერებამ ეს უთანაბრობა გარკვეულწილად გაანეიტრალირდა. ჩვენი აზრით, მიზანმიმართული საინფორმაციო სტრატეგიის წყალობით, საქართველოს ხელისუფლებამ მოახერხა რუსეთის სტატუსის, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებში “მესამე მხარის”, შეცვლა და ლიად უწოდა მას კონფლიქტების მონაწილე მხარე, კონფლიქტების გამჩადებელი და, უფრო მეტიც, ანექსორი. მიუხედავად ამისა, 2005 წელს მიღებულ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, რუსეთი განხილულია არა როგორც მტერი სახელმწიფო, არამედ როგორც პარტნიორი, აზერბაიჯანთან და სომხეთთან ერთად (სტრატეგიულ პარტნიორებად სახელდება აშშ, უკრაინა და თურქეთი). (64, 45)

შევეცდებით, მოკლედ მიმოვიხილოთ პრესაში საგარეო პრიორიტეტების ასახვის ძირითადი ასპექტები. მთავარი ტენდენცია ამ თემასთან მიმართებაში ისევ და ისევ თემის პოლიტიზება, პერსონიფიცირება და პიროვნულ/კლანური დაპირისპირებების ჭრილში წარმოსახვა; ამ ფონზე იკარგება პრობლემის არსი და წინა პლანზე იწევს კონკრეტული მიზანი (არც თუ იშვიათად – უმიზნობა ან პრობლემის გაუაზრებლობა), რომელსაც ემსახურება ამ თემის მუსირება შესაბამის კონტექსტში.

2000-2001 წლებში ჩრდილოეთ-დასავლეთის ვნებათაღელვა პრესაში ძირითადად ტრიალებს, ერთის მხრივ, ედუარდ შევარდნაძისა და, მეორეს მხრივ, ეწ. “რეფორმატორების” (ანუ, “მოქალაქეთა კავშირის” ახალგაზრდული ფრთა, უვანია-სააკაშვილის გუნდი) გარშემო. საინფორმაციო ამინდის განმსაზღვრელ მასმედიაში შექმნილი სურათით, ორიენტაციის მიხედვით საქართველოს პოლიტელიტა ასე წარმოჩნდება: პრეზიდენტი, მისი გარემოცვა (სიმბოლურად – კანცელარია) – რეტროგრადები, ანუ რუსეთზე ორიენტირებული; პერსონალურად პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე – ხან ერთ, ხან მეორე მხარეს გადახრილი, ხანაც – ამ ორ პოლუსს შორის “მოთამაშე”; ეწ. “რეფორმატორები”, ანუ ძირითადად სმკს ახალგაზრდული ფრთა – “დასავლურები”, ზურაბ ქვანია – პროდასავლური ლიდერი; აღიარებული “რუსეთუმეები” – ასლან აბაშიძე (იგულისხმება პარტია “აღორძინებაც”),

სოციალისტები, ვახტანგ რჩეულიშვილის ლიდერობით, კომუნისტები, პანტელეიმონ გიორგაძის მეთაურობით, პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ გოგუაძე...

მოვიშველიებთ ორ ვრცელ ციტატას, რომლებშიც, ფაქტობრივად, ასახულია იმ პერიოდში დასავლურ-რუსული ვექტორებისადმი დამოკიდებულების სტერეოტიპი:

- “**უგანია-სააკაშვილის გუნდმა ყველაფერი გააკეთა დასავლეთისადმი სწობური, უკიდურესად პროგინციული დამოკიდებულების რეანიმირებისთვის.** პარალელურად, იგივე გუნდი ყველაფერს აკეთებს რუსეთთან ურთიერთობის რაც შეიძლება მეტად დასაძაბავად. მათი მსჯელობის ლოგიკა ამგვარია: ჩვენ რაც შეიძლება მეტად გავამწვავებო ურთიერთობას ჩრდილოელ მეზობელთან. თუ იგი საპასუხოდ მიმართავს აგრესიულ ქმედებას, საქართველო, რასაკვირველია, აბსოლუტურად ვერაფერს დაუპირისპირებს, მაგრამ მოვა ცივილიზებული დასავლეთი და ჭავას ასწავლის რუსეთს.” (140)
- “**ეს პუბლიკაცია (საუბარია ზემოთ ციტირებულ პუბლიკაციაზე – ღ.კ) აგრძელებს იმ ანტიდასავლურ პროპაგანდისტულ კამპანიას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს პოლიტიკური კურსის საწინააღმდეგო იდეოლოგიური ფონის შექმნას – იმ აზრის დამკაიდრებას, რომ დასავლური ცივილიზაცია უცხოა ქართველებისათვის გენეტიკურად, პულტურულად, ეთნოფსიქოლოგიურად, ისტორიულად, პოლიტიკურად და სექსუალურადაც კი. სამაგიეროდ, ახლოა რუსეთი. სათავე და მიზეზი ამ კამპანიის არის რუსეთის სურვილი, შეინარჩუნოს სამხედრო ბაზები და პოლიტიკური გავლენა საქართველოში, მაგრამ, ჯერჯერობით, დიად ვერ მოქმედებს და კმაყოფილდება საქართველოს ხელისუფლებაში და საზოგადოებაში არსებული იმ ძალების ხელშეწყობით, რომელთაც უხილავი ძაფებით მართავს.” (135)**

ეს ორი დიამეტრალურად განსხვავებული თვალსაზრისი იმითაცაა საყურადღებო, რომ ერთის ავტორი საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველია, მეორისა კი – პარლამენტარი (უგანიას გუნდის წევრი). ბუნებრივია, რომ კანცელარიის მოხელეებსა და პარლამენტარებს თუნდაც სახელმწიფო პოლიტიკის გამოსახატავად უნიფიცირებული აზრები ვერ ექნებოდათ (და არც უნდა ჰქონდათ), მაგრამ ამგვარი რადიკალიზმი ქვეყნის ორიენტაციის დიდმიშვნელოვან პრობლემასთან მიმართებაში, პრესის მეშვეობით ტონს აძლევდა საზოგადოების ასევე რადიკალურ დამოკიდებულებას.

ამავე პერიოდში (2000 წლის გაზაფხულზე), პრესაში იკვეთება ტენდენცია, რომ საქართველო ხდება რეგიონში გავლენისათვის რუსეთ-აშშ-ის ბრძოლის ასპარეზი. საყურადღებოა გაზეთ “დრონის” სარედაქციო სტატია (“საქართველოს ადგილი და როლი კაგასიაში აშშ-სა და ნატოს სტრატეგიულ მიმართულებებში”), რომელშიც განხილულია რუსეთის დუმის დსთ-ს საქმეთა კომიტეტის ანალიტიკოსების მიერ

დუმისთვის წარდგენილი მოხსენება. მოხსენების ავტორები “შეშფოთებული არიან რეგიონში ამერიკული და დასავლური დასწრების გამო” და გულისწყრომას გამოთქამენ რუსეთის მმართველი ელიტის მიმართ, რომელმაც საქართველოში რუსოფილია გააჩაღა. (101) გაზეთ “7 დღის” პუბლიკაციაში ვითარდება ვერსია, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში მოსკოვისა და ვაშინგტონის კონკურენცია, შესაძლოა, “აფხაზეთისთვის იქცეს ჰეშმარიტების მომენტიდ”; ვინაიდან კონფლიქტის გადაწყვეტის თვალსაზრისით რუსეთს აფხაზეთში გაცილებით მეტი ბერკეტები აქვს, ვიდრე ყარაბაღში (რაცი იქ მისი “სამშვიდობო ძალები” არ არიან განლაგებული), მოსკოვი უმჯობელად შეეცდება “დაასწროს” ამერიკას ამ რეგიონში მაინც”. (162)

საგანგებოდ აღვნიშნავთ გაზეთ “რეზონანსში” გამოქვეყნებულ ერთ პუბლიკაციას, რომელიც ეხება მსოფლიო პოლიტიკის ინსტიტუტის ევროაზიული კვლევის პროგრამის დირექტორის, იან ბრემერის “საკმაოდ არასახარბიელო განცხადებას”. მოვიხმობთ ციტატას: “ბრემერის სიტყვებით, პოსტსაბჭოური ეპოქის საწყის პერიოდში ამერიკა ცდილობდა კავკასიაზე რუსეთის ისტორიული გავლენა შეემცირებინა, რეგიონის ენერგორესურსებზე დაბალი ფასების გამო, თუმცა, “ვაშინგტონმა მაშინ ვერ განსაზღვრა, როგორი იქნებოდა მისი ახალი, ჰეგემონური საგარეო პოლიტიკა”... ზოგიერთი პროექტი, მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მილსადენი, სწორედ რუსეთის გავლენის დაკნინებისაკენ არის მიმართული, მაგრამ დღეს მსგავსი პროტესტი ძალას კარგავს... რაც შეეხება საქართველოსა და აზერბაიჯანის ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივას, პროფესორ იან ბრემერის თქმით, ამის შორეული შესაძლებლობაც კი არ არსებობს.” (“რეზონანსი”, 14 მაისი, 2000).

შესაძლოა, ბრემერის მიერ განვითარებული თვალსაზრისი ამ ეტაპზე უფრო აქტუალური იყოს, რადგან, ნატო-ში გაწევრიანება და ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მილსადენის მეშვეობით რეგიონში საქართველოს გეოსტრატეგიული მნიშვნელობის გამყარება, რეალობისგან უფრო დაშორებული პერსპექტივა აღმოჩნდა, ვიდრე ეს იმ პერიოდში შეიძლებოდა გვევარაუდა (პრესაში განვითარებული ვერსიების მიხედვით, ჯერ ნატო-ში და შემდგომ ევროკავშირში საქართველოს გაერთიანება 2008-10 წლებისთვის იყო პროგნოზირებული).

რეგიონში გავლენისათვის რუსეთ-აშშ-ის ბრძოლის კონტექსტში საინტერესო იქნება გავიხსენოთ ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის, სემუელ ჰანტინგთონის კონცეფცია რუსეთსა და დასავლეთს შორის ბალანსის განსაზღვრისა, რომლის მიხედვითაც ორივე მხარე უნდა შეთანხმდეს პრინციპული თანასწორობისა და თითოეულის გავლენის სფეროების შესახებ: “პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი დათანხმდება ევროკავშირისა და ნატო-ს გაფართოებას, მათში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დასავლურქრისტიანული ქვეყნების ჩართვას, დასავლეთი კი ვალდებულებას აიღებს არ გააფართოოს ნატო უფრო აღმოსავლეთით – თუკი უკრაინა

არ გაიხლიჩება ორ სახელმწიფოდ.” პანთინგთონის ხედვით, დასავლური ცივილიზაციის ძალის შესანარჩუნებლად, აშშ-სა და ევროპული სახელმწიფოების ინტერესში უნდა იყოს რუსეთის აღიარება მართლმადიდებლური სამყაროს ბირთვ სახელმწიფოდ, რომელსაც აქვს თავისი სამხრეთი საზღვრების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კანონიერი ინტერესები. (78). როგორც ერ-ერთ მომდევნო ნაკვეთში (“ბუშის ვიზიტის რეზონანსი პრესაში”) ვნახავთ, დასავლეთის/აშშ-ის სწრაფვა გავლენის სფეროების გაფართოებისკენ გასცდა ამ არეალს; ამან, არსებითად, განაპირობა ჩვენი ქმექნის დეკლარირებული დასავლური ორიენტაციის თანმდევი კატაკლიზმები.

2001 წლის დეკემბრიდან ზემოთხამოყალიბებულმა “სქემაშ” (პოლიტელიტის საგარეო ორიენტაციის) პრესაში, ერთი შეხედვით არც თუ ისე მკვეთრი, მაგრამ, ჩვენი აზრით, არსებითი ტრანსფორმაცია განიცადა; პარლამენტის თავმჯდომარეობიდან ზურაბ ჟვანიას გადადგომის შემდეგ ახალგაზრდა “რეფორმატორთა” საგარეო ორიენტაცია უფრო მეტად გახდა პრესის განსჯის საგანი; მათი “დასავლურობა” ისევ ფიგურირებს პრესის პუბლიკაციებში, მაგრამ უფრო ინტენსიური ხდება აქცენტი მათ “რუსულ კავშირებზე”. გაზეთი “დრონი”, მაგალითად, მიანიშნებს ამ ცვლილებაზე: “... ამერიკელები უკვე აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ რეფორმებს და არა “რეფორმატორებს”. (170); გაზეთი “ახალი მერიდიანი” კი პირდაპირ ბრალს დებს ახალგაზრდა რეფორმატორებს: “უგანია-სააკაშვილი-მერაბიშვილის გუნდს მისცეს დაგალება, რომ როგორმე საქართველოში გაღვივდეს სამოქალაქო დაპირისპირება. მათი ეს განზრახვა თუ განხორციელდა, საქართველოს აუცილებლად დააჩოქებენ. 1991-1992 წლებში რუსებმა ერთხელ უკვე დაგვაჩოქეს. თუ იგივე განმეორდა, ამას ვეღარ გადავურჩებით. ეს არის რუსეთის სპეცსამსახურების გეგმა, ჩანაფიქრი, რომელსაც უგანია-სააკაშვილის გუნდი ასრულებს. ეს აშკარად ჩანს”. (“ახალი მერიდიანი”, 14.12.2001).

“დილის გაზეთის” ანალიტიკურ პუბლიკაციაში, რომელიც პოზიტიური რაკურსით წარმოაჩენს “ახალგაზრდა რეფორმატორებს” და მათ დასავლურ ორიენტაციას, ამავდროულად, რუსულ კავშირებზეც მახვილდება ყურადღება: “ისინი მწყრალად არც რუსეთთან არიან. ამას მოწმობს არა იმდენად მათი საარჩევნო კამპანიის რუსული ფინანსები, არამედ ირაკლი ჩუბინიშვილის ახლო კავშირები რუსულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტთან და მმები ბეჭუაშვილების ასევე არანაკლებ ინტენსიური ურთიერთობები რუსულ კაპიტალთან.” (103)

“რეფორმატორთა” “ორმაგ სტანდარტზე” პოლიტოლოგებიც მიანიშნებენ: “ისინი ყოველთვის თამაშობენ ორივე, ანუ, დასავლეთისა და რუსეთის მიმართულებით”, – აცხადებს რამაზ საყვარელიძე “კვირის პალიტრასთან” ინტერვიუში. (117). ამ ტიპის მოსაზრებებზე დაყრდნობით, “კვირის პალიტრა” აყალიბებს საგულისხმო ფორმულას,

რომ საქართველოში ამერიკული ფულით რუსული ინტერესი ფინანსდება. ამ ფორმულას ეხმიანება მწერალ ელიზბარ ჯაველიძის თვალსაზრისიც: “რუსეთიცა და დასავლეთიც მიხვდნენ, მხოლოდ ეროვნულ ტალღაზე მოსულ ხელისუფლებას შეუძლია ხალხის გაერთიანება, ამიტომაც “შემოაგორეს” ცრუნაციონალური მოძრაობის ტალღა, რომელიც გარედან იმართება.” (116)

ორიენტაციის ვექტორის ქრონოლოგიურ ცვლილებას, ურნალისტი ია ანთაძე ასე წარმოადგენს:

1992-1995 წლებში პოლიტიკურ პროცესებს მთლიანად რუსეთი მართავდა;

1995 წლის ტერაქტის შემდეგ პრორუსული ძალების შევიწროება და დასავლური ორიენტაციის ძალების გაძლიერება დაიწყო. 1998 წლიდან დაიწყო მედასავლეთე ძალების “გადასროლა” პარლამენტიდან მთავრობაში; პოლიტიკური ლოგიკით, ერთიანი პროცესის მეორე ეტაპი, ანუ დასავლური ორიენტაციის ძალების გაძლიერება, უნდა დასრულებულიყო თავად უვანიას გადასვლით აღმასრულებელ ხელისუფლებაში, კერძოდ, პრემიერ-მინისტრის პოსტზე. მეორე ეტაპი მართლაც მაშინ დასრულდა, როდესაც უვანია დასახელდა პრემიერობის კანდიდატად, მაგრამ სახელისუფლო ძალების ერთიანი წინააღმდეგობის შედეგად, პრემიერი ვერ გახდა;

ერთიანი პროცესის მესამე ეტაპი დაიწყო პრეზიდენტის გადადგომით მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის პოსტიდან. ედუარდ შევარდნაძის ეს გადაწყვეტილება უნდა მივიჩნიოთ ადეკვატურ რეაქციად პროდასავლური ძალების დამარცხებაზე. პრეზიდენტი ყოველთვის მიიჩნეოდა მედასავლეთე ორიენტაციის ბურჯად. ბოლოხანს განვითარებული მოვლენების ფონზე კი მას ორი არჩევანიდა დარჩა: ან უნდა მიატოვოს მედასავლეთეთა ბანაკი და პოლიტიკურ მეტოქებს ჩაუდგეს სათავეში, ან უნდა დარჩეს მედასავლეთეთა ლიდერად, მაგრამ დამარცხებული გუნდი სხვა, ახალი მედასავლეთეებით ჩაანაცვლოს.” (82)

ეს ანალიტიკური პუბლიკაცია 2001 წლის ნოემბრის მოვლენებამდეა გამოქვეყნებული. როგორც ვხედავთ, აქ პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ უვანია პროდასავლური ძალების ლიდერებად არიან წარმოდგენილები; ამავე პუბლიკაციის ლოგიკით, მოცემული პერიოდისთვის ორივემ ფიასკო განიცადა და პროდასავლური ძალებიც დამარცხდნენ. რაც შეეხება შევარდნაძის ორ შესაძლო არჩევანს: თუკი ჩავთვლით, რომ 2002 წლისთვის ოპოზიციურ პარტიებად ჩამოყალიბებული “გაერთიანებული დემოკრატები” (ზურაბ უვანიას ლიდერობით) და “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” (მიხეილ სააკაშვილის ლიდერობით) დასავლურ რელსებზე მოძრაობდნენ და, საბოლოოდ, “ვარდების რევოლუციამდე” მიიყვანეს ქვეყანა, ხოლო 2003 წლისთვის ედუარდ შევარდნაძე იყო ფაქტობრივი ლიდერი საარჩევნო ბლოკისა “ახალი საქართველოსათვის” (რომელიც დასავლური ორიენტაციით ნამდვილად არ გამოირჩეოდა), მაშინ გამოდის, რომ

პარლამენტის თავმჯდომარეობიდან ზურაბ გვანიას გადადგომით, ფაქტობრივად, “გაფორმდა” ედუარდ შევარდნაძის დისტანციონური (ნებითი თუ უნებლივ) პროდასავლური პლატფორმიდან. ეს, ერთი შეხედვით რთული ლოგიკა, ემყარება პრესის პუბლიკაციების ანალიზს, რომლებსაც მომდევნო ეტაპებზე არათუ შეაქვთ სიცხადე საკითხები – საბოლოოდ მაინც როგორია მმართველი პოლიტიკური ელიტის დისპოზიცია საგარეო ორიენტაციისა და პრიორიტეტების მიხედვით, არამედ, სურათი უფრო და უფრო წინააღმდეგობრივი ხდება; მისი გაშიფვრა და წაკითხვა კი ელოდება შესაბამისი პროფილის პროფესიონალებს, რომლებსაც, შესაძლოა, მედიაანალიზიც გამოადგეთ საქართველოს უახლესი ისტორიის ამ უმნიშვნელოვანების და ურთულესი მონაკვეთის აღსაწერად.

• საგარეო თემის რამდენიმე ძირითადი ასპექტი

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მხარდაჭერით შექმნილ კვლევაში – “საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი” (2005 წლის მდგომარეობით), პოსტსაბჭოთა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ზოგადი გექტორები ასეა დახასიათებული: “დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, შიდა პოლიტიკური კონფლიქტების მიუხედავად, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ზოგადი მიმართულებები უცვლელია. ზგიად გამსახურდიას, რეალურად, არ პქონია საერთაშორისო პოლიტიკის განსაზღვრის და გატარების დრო... რაც შეეხება ედუარდ შევარდნაძეს და მიხეილ სააკაშვილს, ორივე მათგანის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენდა საერთაშორისო დონეზე შეერთებული შტატებისა და ევროპის პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა და საერთაშორისო ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობა; მთავარი ამოცანა კი ნატო-სა და ევროკავშირის წევრობის მოპოვებაა.” (64, 40)

დასავლეთთან საქართველოს ინტეგრაციის შანსების გაზრდის პირდაპირპორციულად მძაფრდებოდა დამაბულობა საქართველო-რუსეთს შორის. ევროსტრუქტურებსა და ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივას, “წრთვისა და აღჭურვის პროგრამას”, ბაქო-თბილისი-ჯეიშანის ნაგობსადენს, შაპდენიზის გაზსადენს, ჯერ პრეზიდენტ შევარდნაძისა და შემდგომ – მიხეილ სააკაშვილის დასავლურ აქცენტებს “ცივი ომის” მსგავს ვითარებაში გადაყავდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა.

პანკისის ხეობა და ჩეჩენი “ბოევიკები” ერთ-ერთი მთავარი საბაბი იყო რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის უკიდურესად დაძაბვისთვის. 2001 წლის დამდეგისთვის რუსულმა მასმედიამ, რომელმაც საფუძვლიანი იდეოლოგიური ნიადაგი მოუმზადა პანკისში ჩეჩენი “ბოევიკების” ლიკვიდაციის საბაბით ჩვენი ქვეყნის

ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედების დაწყების ალბათობას (რისთვისაც ქართული მასმედიაც საკმაო წარმატებით გამოიყენა), საქართველო საინფორმაციო ალექში მოაქცია. რუსულ მედიაში, განსაკუთრებით კი ისეთი გამოცემებში, როგორიცაა “ტრუდ” და “კრასნაია ზვეზდა”, რუსი გენერლები, რუსეთის დუმის წარმომადგენლები, მაღალჩინოსანი სახელმწიფო მოხელეები დაუფარავად საუბრობენ არა მხოლოდ პანკისის ხეობაში “ტერორისტების ბუდის” განადგურების ამოცანაზე, არამედ, უფრო შორსმიმავალ მიზანზეც – რომ საქართველო შეიძლება გახდეს “მეორე ჩეჩენეთი”.

ამ ვითარებას კარგად ასახავს მოსკოვში გაზეთ “დრონის” საკუთარი კორესპონდენტის რუსუდან ნიკურაძის პუბლიკაცია – “რატომ “გამოამწყვდია” რუსეთმა ტერორისტები პანკისის ხეობაში?” ეს მასალა იმითაც არის საყურადღებო, რომ მისი ავტორი კარგად ინფორმირებული და საქმის კურსში მყოფი ჟურნალისტია, რუსეთის სახელმწიფო ინსტანციებში შესაბამისი აკრედიტაციის მქონე. “რუსულ წყაროებზე დაყრდნობით, ბოევიკების განადგურება პუტინს 2001 წლის გაზაფხულზე აქვს ჩაფიქრებული და ეს ოპერაცია საქართველოს ტერიტორიაზე ჩაივლის. რამ შეიძლება იხსნას საქართველო გარდაუგალი ომისაგან? რუსეთის მასობრივი ინფორმაციის ელექტრონულ საშუალებებს თუ დაგუჯერებთ, “საგიზო რეჟიმს იმ დღესვე გააუქმებენ, თუ რუსეთს ტერორისტების განადგურებაში საქართველო საკუთარ ტერიტორიაზე ხელს არ შეუშლის”... რუსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სამხრეთის ფედერალურ ოლქში ვიქტორ კაზანცევი აცხადებს, რომ “დღეს საქართველოს ტერიტორიაზე 3000 ჩეჩენი ტერორისტი იმყოფება და მათ წინააღმდეგ ბრძოლა ზამთარში დასრულდება”, – წერს რუსუდან ნიკურაძე აღნიშნულ სტატიაში. (144)

ბუნებრივია, რომ, შესაბამისად, დაძაბულობა, განგაშის განწყობა და ომის მოლოდინი იგრძნობა ქართული პრესის პუბლიკაციებში და ეს ის შემთხვევაა, როცა გერ ვიტყვით, რომ ჟურნალისტები საგანგებოდ ამწვავებენ სიტუაციას. ქართველი პოლიტოლოგები არ გამორიცხავენ რუსეთ-საქართველოს შორის ომის დაწყების საშიშროებას. რამაზ კლიმიაშვილი, მაგალითად, პანკისში ნატოს ჯარების ჩაყენებაში ხედავს გამოსავალს; წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი აზრით, “რუსეთის სპეცსამსახურები ყველაფერს გააკეთებენ, რომ ბოევიკები მთლიანად გადმორეკონ საქართველოში და შემდეგ პროვოკაციის მოწყობა და კონფლიქტის გაჩადება მხოლოდ “ტექნიკის” საქმედა იქნება... ამით რუსები ჩეჩენეთის პრობლემასაც მოიშორებენ და საქართველოს ტერიტორიაზე ჩეჩენეთის ისეთივე ავტონომიის შექმნაც არ არის გამორიცხული, როგორიც სამხრეთ ოსეთის სახით შეიქმნა, 100 წლის წინათ ოსებით დაუსახლებელ ტერიტორიაზე.” (115) პოლიტოლოგი გია ნოდია თვლის, რომ საქართველო, სისუსტის მიუხედავად, არავითარ კომპრომისზე არ უნდა წავიდეს და

მეორედ არ დაუშვას საქართველოს ტერიტორიაზე კავკასიის ხალხების მეომრული ენერგიის გადმოტანა, ისევე, როგორც აფხაზეთის შემთხვევაში. (114)

აღსანიშნავია, რომ ევროპასა და მსოფლიოში ერთ-ერთი ავტორიტეტული და გავლენიანი გაზეთი “ფაინენშალ თაიმსი”, რომელიც იმ პერიოდში აქტიურად დაინტერესდა საქართველოსა და ზოგადად კავკასიაში არსებული გეოპოლიტიკური სიტუაციით, საქართველოს ურჩევდა ევროპაგშირის მოხალისე ქვეყნებისაგან სწრაფი რეაგირების ძალები მოეთხოვა რუსეთის მოსალოდნელ აგრესიასთან გასამკლავებლად. სხვა საქმეა, რეალურად რამდენად განხორციელებადი და მიზანშეწონილი იყო და არის საქართველოსთვის ამგვარი პერსპექტივა, მაგრამ ამ გაზეთის პუბლიკაციები ჩვენთვის უპირველესად იმით არის საყურადღებო, რომ იგი, ერთის მხრივ, გულისხმობს საქართველოს ყოფნას დასავლეთის ყურადღების არეალში, და მეორეს მხრივ, ადასტურებს, რომ რუსეთის აგრესიის საფრთხე არ არის მხოლოდ საქართველოს მასშედიის მიერ აჟიტირებული თემა.

ამავე პერიოდს ემთხვევა რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტი აზერბაიჯანში. ბაქოში პუტინის ვიზიტის გაშუქებისას უცხოური საინფორმაციო საშუალებები უერადღებას ამახვილებდნენ იმ ფაქტორზე, რომ ამ ვიზიტისთვის პრეზიდენტმა პუტინმა, რომელიც “მათრახითა და თაფლაკვერით” აპირებს აზერბაიჯანის დაბრუნებას რუსეთის ორბიტაზე, ხელსაყრელი მომენტი შეარჩია; ბოლო ხანს დასავლეთი უკმაყოფილოა აზერბაიჯანით: ევროპელი და ამერიკელი დიპლომატები აზერბაიჯანს გამუდმებით ადანაშაულებდნენ ადამიანის უფლებათა დარღვევაში; ჰეიდარ ალიევის მიერ შვილისთვის ძალაუფლების გადაცემის განხრახვაც იწვევდა დასავლეთის უკმაყოფილებას; ნატო-სთან აზერბაიჯანის დაახლოების მცდელობამაც ვერ გამოიღო პოლიტიკური შედეგი; დასავლეთი ბაქოს ყარაბახის საკითხში სომხეთისადმი მხარდაჭერაშიც ადანაშაულებს. ამასთან, ბაქოში ვიზიტით პუტინმა მოახდინა დემონსტრირება იმისა, რომ კავკასია მისთვის პრიორიტეტული ზონაა და ამ რეგიონში კრემლის ინტერესების გასატარებლად შესაძლოა არჩეულ იქნეს სწორედ აზერბაიჯანი და არა საქართველო, რომელთანაც უკანასკნელ ხანს მოსკოვმა ურთიერთობა ვერ ააწეო. რუსულ ონლაინ-მედიაში ბაქოში პუტინის ვიზიტს უწოდებენ ჰუსასასწავლს “ამერიკასთან დემონსტრაციულად დამუგობრებული შეფარდნაძის რეჟიმისთვის”; არა მხოლოდ უერნალისტები ფიქრობენ ასე – რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერი ლუკინი ამ ვიზიტს “საქართველოსადმი ნიშნისმოგებად” მიიჩნევს. საერთო შთაბეჭდილებით, პუტინს “კავკასიური დემარში” უმთავრესად საქართველოზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისა და დასავლეთში მისი მხარდამჭერებისთვის კავკასიაში რუსეთის “ძველებური გავლენის” დემონსტრირებისთვის ჰქონდა გათვლილი.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ქართულმა პრესამ ამჯერად არ აიტაცა რუსეთის გამოწვევა და, ჩვეულებისამებრ, მყვირალა საპირველგვერდო ანშლაგებად არ გარდაქმნა. ყველაზე მკვეთრი სათაური, რომელიც ამ ვიზიტს ეხმაურებოდა, გაზეთ “დრონის” პირველ გვერდზე იყო დაბეჭდილი ჩვეულებრივი სასათაურო სტანდარტით: “ამიერკავკასიის გეოპოლიტიკური ცენტრი – აზერბაიჯანი”; ქვესათაური – “საქართველო, როგორც ჩანს, სამთა შორის მესამე ადგილზე ჩამოქვეთდა”. (“დრონი”, 13 იანვარი, 2001) გაზეთ ”რეზონანსს”, მაგალითად, ამ ვიზიტის კონტექსტში საქართველო არც უსსენებია. მესამე გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში (“პუტინი და ალიევი კასპიის ზღვას იყოფენ”, 10 იანვარი, 2001) მთელი აქცენტი კასპიის პრობლემაზეა გადატანილი. ქართული პრესის უფერულ გამოხმაურებას პუტინის ხმაურიან ვიზიტზე ინფორმაციის დეფიციტით ვერ ავხსნით, რადგანაც რუსული ონლაინ-მედია სავსე იყო ვიზიტის ამსახველი მასალებითა თუ პროგოკაციული ხასიათის პუბლიკაციებით. შეიძლება ვიგარაუდოთ, რომ ამ ვიზიტის ფონზე, პრესას საბაბი ადარ პქონდა საქართველოსა და მისი პრეზიდენტის ნებატიური იმიჯით წარმოდგენისათვის. საქართველოსთვის რუსეთის პრეზიდენტის გვერდის ავლამ მასმედიას საბაბი ადარ დაუტოვა “ჩრდილოეთიდან ამომავალი მზისა” და “რუსეთისაგან მართული შევარდნაძის” თემით მანიპულირებისათვის. შედარებისთვის გავიხსენებთ, რომ ედუარდ შევარდნაძის მოქნილი საგარეო პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში (რომელსაც ყველაზე რაღიკალური ოპონენტებიც ვერ უარყოფდნენ), პოლიტიკური და ურნალისტური ბომონდისთვის დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხესთან, რუსეთის ვასალობასთან ასოცირდებოდა და ამ თემას წლების მანძილზე პრეზიდენტის იმიჯზე ზემოქმედებისთვის იყენებდნენ. როგორც ჩანს, ამჯერად ურნალისტებმა, რომლებსაც ხშირად უხდებათ “ორმაგი სტანდარტი” მოქმედება, კეთილგონივრულად გვერდის ავლა ამჯობინეს საქართველოსთან პუტინის ვიზიტის მიმართებისათვის.

პარალელურად, იმავე დღეებში, პრესაში ფიგურირებს უცხოურ პრესაზე დაყრდნობით მომზადებული პუბლიკაციები, რომლებიც გამოხატავს საქართველოთი დასავლეთის დაინტერესებას. “საქართველო ამ არასტაბილურ რეგიონში შეერთებული შტატებისა და დასავლეთის საკვანძო მოკავშირეა, – წერდა გავლენიანი ამერიკული გამოცემა “უოლ სტრიტ ჯორნალ”, – რუსეთი მეზობელ სუვერენულ სახელმწიფოში საკუთარი ჩარევის საბაბს ეძებს. ასეთ შემთხვევაში რუსეთს შეუძლია გამოაცხადოს, რომ საკუთარ ტერიტორიას იცავს საქართველოს ტერიტორიიდან მოქმედი ჩეჩენი ტერორისტებისაგან. მაგრამ ჯერჯერობით საქართველო ამ ანკეს არ ეგება... პრეზიდენტმა შევარდნაძემ რუს სამხედროებს არ მისცა საქართველოს ტერიტორიაზე ოპერაციის ჩატარების უფლება.” (159)

“საქართველო არის სასინჯი ქვა, რომელიც რუსეთ-ამერიკას შორის ურთიერთობას გაარკვევს”, – აღნიშნა საქართველოს ელჩმა აშშ-ში თედო ჯაფარიძემ საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში შეხვედრისას. მისი ინფორმაციით, საქართველო თეორ სახლში ადმინისტრაციის შეცვლის არეულ პროცესშიც არ დავიწყებიათ, მაგრამ ელჩმა მიანიშნა, რომ ”თუ საქართველოს უნდა უფრო ანგარიშგასაწევი ქვეყანა გახდეს, მაშინ თავად უნდა გამოასწოროს შიდა პოლიტიკა.” (152)

აქვე აღვნიშნავთ, რომ ერთი წლის შემდგომ, 2002 წელს, ნუგზარ საჯაიას ტრაგიული გარდაცვალების შემდეგ, უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობაზე თედო ჯაფარიძის კანდიდატურის დასახელება პოლიტიკოსთა, ექსპერტთა და უურნალისტთა დიდმა ნაწილმა პრეზიდენტ ელუარდ შევარდნაძის პროდასავლური კურსის აფიშირებად მიიჩნია:

- “ჯაფარიძის კანდიდატურის დასახელებამ პარლამენტარები პრეზიდენტის პროდასავლურ პოლიტიკურ ორიენტაციაში საბოლოოდ დაარწმუნა”. (“რეზონანსი”, 07.03.2002).
- “ეს დანიშვნა საქართველოს საგარეო კურსის და ძირითადი ორიენტირის ხაზგასმა იყო. ანუ, შევარდნაძემ საბოლოოდ აიღო დასავლური კურსი”. (“ახალი თაობა”, 07.03.2002).
- “მთავარი ფსონი აშშ-ში ელჩზე გაკეთდა და ეს უბრე ნიშნავს იმას, რომ საქართველომ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში უბრე საბოლოოდ გადაწყვიტა საგარეო კურსში დასავლეთისთვის მიენიჭებინა უპირატესობა.” (“ახალი თაობა”, 08.03.2002)
- “პატონი თედო ჯაფარიძის გამოჩენა ქართულ პოლიტიკაში დასავლური ხაზის გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ.” (“ალია”, 07.03.2002)

შედარებისთვის – 2000 წლის მიწურულს, საქართველოსთან აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის დამოკიდებულების რკვევის, სავალუტო ფონდის ტრანშის მიღება-არმიღების, რუსეთთან უკიდურესად გამწვავებული ურთიერთობის ფონზე, მასმედია დასავლეთისაგან საქართველოს მიტოვებას, ქვეყნისა და პირადად პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკის, ანუ “შევარდნაძის ერთადერთი კოზირის” გაბანკროტებას წინასწარმეტყველებდა.

საქართველოს მოქცევა რუსეთ-ამერიკის სტრატეგიულ ინტერესებს შორის პრესის ინტენსიური განხილვის საგანი გახდა საქართველოში მაღალჩინოსანი ამერიკელი და რესი სამხედროების ერთდროული ვიზიტების საინფორმაციო საბაბით. გაზეთი “იზვესტია”-ც კი წერდა, რომ “ორი ქვეყნის სამხედრო დელეგაციების ვიზიტი საქართველოს პრიორიტეტებზე მეტყველებს”.

თბილისში რუსეთისა და ამერიკის ინტერესების მქაფიო გადაკვეთამ პრესა აიძულა ამ თემის გაშუქებისას, მყვირალა სათაურებისა და გამომწვევი შეფასებების ნაცვლად, მეტ-ნაკლებად ზომიერი ტონი აერჩია. გაზეთმა ”ალიამაც” კი ამჯობინა თემაზე – “რუსეთი თუ დასავლეთი... იქნებ ნეიტრალიტეტი?” – სასაუბროდ პრეზიდენტის მრჩეველ გელა ჩარკვიანისათვის მიემართა და სოლიდური ინტერვიუ გამოუქვეყნებინა. საქართველოს გეოპოლიტიკური დაბაბულობის ყველაზე მკვეთრ მომენტებში ნეიტრალიტეტის თემა თავისთავად ჩნდება პრესაში. ამჯერად, ისევე როგორც ”ალიაზ”, სხვა გაზეთებმაც საგარეო ურთიერთობებში ჩახედულ რესპონდენტებს მიმართეს ამ თემის გასაშუქებლად.

გელა ჩარკვიანი მიიჩნევს, რომ ”დღეს საქართველო გამოცხადებული ნეიტრალიტეტისთვის მზად არ არის”; საუბარი შეიძლება მხოლოდ სამხედრო ნეიტრალიტეტზე, ანუ, საქართველო არც ერთ ბლოკში არ უნდა იყოს ჩართული. (167)

საპარლამენტო ფრაქცია ”მოქალაქეთა კავშირის” თავმჯდომარე რევაზ ადამიაც ფიქრობს, რომ საქართველოსთვის ნეიტრალიტეტი შეუძლებელია იმ პირობებში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. იგი მომხრეა, რომ საქართველო ნატო-ში გაწევრიანებისაკენ მიისწრაფოდეს, ვინაიდან ეს მართლაც რეალური უსაფრთხოებითი ქოლგაა საქართველოსთვის”. (123)

განსხვავებული პოზიცია აქვს პარლამენტის დსთ-ს ქვეყნებთან ურთიერთობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარეს, ირაკლი გოგავას: ”ნეიტრალიტეტი რეგიონალური უსაფრთხოების არქიტექტურის ყველაზე კარგი მოდელია. ამ შემთხვევაში, სამხრეთ კავკასია იქნება წარმოდგენილი ერთგვარი მშვიდობიანი ბუფერის სახით ორ, ისტორიულად დაპირისპირებულ ძალას შორის, როგორიცაა რუსეთი და თურქეთი.” (122)

საინტერესო მოსაზრებებს ავითარებს ”დილის გაზეთის” მიმომხილველი ვანო გამგებელი. მისი აზრით, რუს პოლიტოლოგ-ანალიტიკოსთა მტკიცებას, თითქოსდა საქართველოს ნეიტრალიტეტი ვერ უზრუნველყოფს რუსეთის უსაფრთხოებას ჩრდილოეთ კავკასიაში, სინამდვილეში სულ სხვა მიზეზი აქვს – მოსკოვს აცოვებს ის რეალობა, რომ პირველად 200 წლის განმავლობაში ჩეჩენებმა ზურგს უკან ”არარუსეთი” იგრძნეს. რუსეთი პლანეტის მასშტაბით ვედარ ჩაითვლება აშშ-ის (დასავლეთის) მეტოქედ, მაგრამ პოსტსაბჭოთა სივრცეში მათ დაახლოებით თანაბარი გავლენა აქვთ, რუსეთი შეიძლება აჭარბებდეს კიდევ. ”ნეიტრალიტეტი ძალიან დიდ ძალას გულისხმობს და მოითხოვს. შესაძლოა, საქართველოსთვის ამგვარი სტატუსი ხელსაყრელიც იყოს, მაგრამ ჩვენს რეგიონში ”ნეიტრალური საქართველო” აღიქმება როგორც ბუფერი ორ პოლუსს შორის, ამას კი არც ერთი მათგანი არ დაუშვებს.” (92)

ნეიტრალიტეტზე მსჯელობისას ანალოგიურ დასკვნას აკეთებს გაზეთ ”მერიდიანის” მიმომხილველი ზვიად არაბული: ”საქართველოს ნეიტრალიტეტი

მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ იგი დაეფუძნებოდა ერთგვარ პოლიტიკურ შეთანხმებას, ან “გეოპოლიტიკურ ძალთა ბალანსს” – რეგიონში მოქმედი უკელა დიდი სახელმწიფოს ინტერესთა “პატური” თანაფარდობის (საჭადრაკო ტერმინით) რეალობას. ასეთი რეალობა კი არ არსებობს და ალბათ აღარც იარსებებს უახლოეს ისტორიულ პერსპექტივაში.” (ზვიად არაბული, “ნეიტრალიტეტი თუ ნატო?”, “მერიდიანი”, 14 თებერვალი, 2001).

ნეიტრალიტეტის თემას ასე ვრცლად საგანგებოდ შევეხეთ რამდენიმე მიზეზის გამო: ჯერ ერთი, ასე კომპაქტურად, ერთბაშად რამდენიმე გაზეთში ამ თემის გაშლა საანალიზო პერიოდში სხვა დროს არ გვხვდება; მეორეც, აქ მოხმობილი ციტატებიდან და სხვა პუბლიკაციებიდანაც, ჩანს, რომ თემის წარმოშობას რაიმე კონკრეტული საფუძველი არა აქვს; გარდა ამისა, საქართველოს ნეიტრალიტეტი ამჯერად უფრო არარეალისტურ პერსპექტივად არის წარმოდგენილი, ვიდრე წინა წლებში ამ თემაზე მსჯელობისას (განსაკუთრებით, გასული საუკუნის 90-იან წლებში); თანაც, საქართველოში ამერიკელი და რუსი სამხედროების ერთდროული ვიზიტები, რომელთა საინფორმაციო საბაბითაც მოხდა ნეიტრალიტეტის თემის ინიცირება პრესაში, ფაქტობრივად, მედიისთვის დახურული თემა იყო. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ასეთ უნისონში ნეიტრალიტეტის თემის წარმოდგენა პრესაში გარკვეული ტაქტიკა იყო, რომლის განხორცილებისას პრესა, შესაძლოა, გარკვეულ ამოცანასაც ასრულებდა – ან სახელმწიფოებრივს, ან – სრულიად საწინააღმდეგოს. (ამ შემთხვევაში ვარაუდის უფრო დაკონკრეტების საფუძველს არც პრესა გვაძლევს, არც კომპეტენცია და არც სადისერტაციო ნაშრომის ფორმატი).

რუსეთ-საქართველოს უკიდურესად დაძაბული ურთიერთობის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა პქონდა ამ ორი ქვეყნის პრეზიდენტთა შეხვედრას, რომელიც, როგორც იქნა, შედგა 2001 წლის 30 ნოემბერს. მისი შედეგების შეფასებისას რადიკალურად განსხვავებული იყო ე.წ. ოფიციოზი და დანარჩენი მასმედია.

გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკის” შეფასებით, “საქართველო-რუსეთის “გრილი ურთიერთობა” ახალ ფაზაში, იმედი ვიქონიოთ, დათბობის ფაზაში შევიდა... ეს არის შემობრუნების დასაწყისი. ეს არ არის რაღაც ახალი ეტაპი, მაგრამ როდესაც საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება მომზადდება და მას ხელს მოვაწერთ, მაშინ კი ახალი ურთიერთობის მშენებლობა დაიწყება.” (154)

თავად პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, პუტინთან პირისპირ შეხვედრას “რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში შემობრუნების დასაწყისი” უწოდა, დიპლომატიურად გაამართლა პუტინის მკვანე და უცერემონიო პასუხი პანკისის ინციდენტის თაობაზე და ერთგვარი კმაყოფილებაც კი გამოთქვა მისდამი რუსეთის პრეზიდენტის პირადი დამოკიდებულების გამო. ვიზიტის შემდგომ, საქართველოს

პრეზიდენტის ორშაბათის ტრადიციულ რადიონინტერვიუში, პუტინთან შეხვედრას უკვე “საქართველო-რუსეთს შორის თანამშრომლობის დიდი გარდატეხის ეტაპის დასაწყისის” შეფასება მიეცა: ამ შეხვედრის გამოძახილი იყო “მოქალაქეთა კავშირის” ყრილობაზე პრეზიდენტის მიერ კატეგორიულად ნათქვამი: “მეზობელს ვერავინ შეგვიცვლის, რუსეთთან უნდა ვიმეზობლოთ!”

საქართველოს პრეზიდენტისა და ოფიციოზის ოპტიმიზმი ვერ გაიზიარეს დამოუკიდებელმა ტელეარხებმა და პრესამ.

“დილის გაზეობა” ედუარდ შევარდნაძის პოზიციას “სასურველის სინამდვილედ გასაღება” უწოდა: “გაუგებარია რაში დასჭირდა შევარდნაძეს მოსკოვში მისი სტუმრობის მხოლოდ ერთი რაკურსით წარმოდგენა და მიუჟეჩება იმისა, რამაც ჩვენი საზოგადოება დაზაფრა და გააოგნა, ანუ პუტინისეულ ბრალდებებზე წაყრუება... პრეზიდენტი ხომ, ამასთან, სახელმწიფოს სუვერენიტეტის გარანტია! ამიტომ, კიდევ ერთხელ გვინდა გავიმეოროთ – როდესაც სახელმწიფოს ლირსებას ლახავენ, პირველმა ალბათ სწორედ მისმა პრეზიდენტმა უნდა აიმაღლოს ხმა და დატუქსული ბავშვივით თავჩაღუნული არ უნდა იჯდეს.” (86)

გაზეობის: “რეზონანსის”, “ახალი ვერსიისა” და “ალიას” შეფასებით, მოსკოვური ვოიაჟი საქართველოსთვის წარუმატებელი იყო:

- “რუსულ-ქართულ ურთიერთობებში ტრადიციული სცენარი გათამაშდა – მოსკოვმა თბილისს კიდევ ერთხელ დაუქნია თითი. მოსკოვში ჩასული შევარდნაძე, რომელსაც ქვეყანა რუსულმა თვითმფრინავებმა სწორედ საიუბილეო თარიღის წინა დღეს დაუბომბეს, მორჩილად ისმენდა პრეზიდენტ პუტინის საბრალდებო სიტყვას... საგულისხმოა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაჯანსაღებას მხოლოდ რამდენიმე ადამიანი, პრეზიდენტი შევარდნაძე, ვახტანგ რჩეულიშვილი, ვლადიმერ გუდევი და კიდევ რამდენიმე ქართველი მაღალჩინოსანი ამჩნევს. პოლიტიკოსთა და ექსპერტთა უმრავლესობა კი მიიჩნევს, რომ საქართველო საომარ მდგომარეობაშია და რუსეთის აგრესია, შესაძლოა, ნებისმიერ დროს განმეორდეს.” (104)
- “შევარდნაძესა და პუტინს შორის გამართული შეხვედრა რუსეთის ახალგაზრდა პრეზიდენტის გამარჯვებით დასრულდა. საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც რუსეთს რუსული თვითმფრინავებით საქართველოს დაბომბვის შემდეგ ესტუმრა, ტერორისტებისა და ნარკობარონების მფარველობაში დადანაშაულეს.” (109)
- “ტრადიციულ ბრიფინგზე პრეზიდენტი უზომოდ კარგ ხასიათზე იყო. თუმცა, გაუგებარია, წარუმატებელი მოსკოვური ვოიაჟის შემდეგ რა აცინებდა მას? კრემლის ახალმა მეპატრონებმ ქოში უკუღმა ყარა – რა დაბომბვა, რის დაბომბვაო. პრეზიდენტ შევარდნაძეს ხმაც არ ამოუღია. რუსული მასმედია მას შემდეგ საქართველოს დასცინის და ამასხარავებს.” (129)

ამგვარ ფონზე კონსტრუქციული იყო გაზეთ “დრონის” მოსკოველი კორესპონდენტის მიერ მომზადებული პუბლიკაცია, რომელიც საგულისხმო დასკვნით მთავრდება: “პუტინ-შევარდნაძის საჯარო, სიტყვიერი პაექრობის მიუხედავად, რუსი დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ “საქართველო გადაურჩა რუსეთთან რეალურ კონფრონტაციას”. რუსეთ-საქართველოს შორის ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბება შევარდნაძის ეპოქის დასასრულს დაემთხვევა.” (145)

ამ შეხვედრამ დამატებითი სტიმული მისცა ქართული პოლიტიკური სპექტრის წევულ დებატებს დასავლეთ-ჩრდილოეთის ოქმაზე. მაგალითად, რუსეთის ფაქტორი, ტელეკომპანია “პირველი არხის” პირდაპირ ეთერში, “განხეთქილების ვაშლად” იქცა პარლამენტარების – გია ბარამიძისა (“მოქავშირი”) და ჯემალ გოგიტიძისთვის (“აღორძინება”); ჯემალ გოგიტიძემ რუსეთთან “აღორძინების”, ასლან აბაშიძისა და, საერთოდ, აჭარის დამოკიდებულებას, რეალისტური უწოდა; ამ პოზიციის საპირისპირო და კატეგორიული იყო გია ბარამიძის შეფასება – რუსეთზე დიდი მტერი საქართველოს არ ჰყავს, თქვენ კი მას დაუწევთო.

ქართველმა სოციალისტებმა და მათმა ლიდერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა გაააქტიურეს თავიანთი რუსული ორიენტაციის აფიშირება. ვახტანგ რჩეულიშვილის თვალსაზრისი ასეთია: “თუ რუსეთთან არ გამოსწორდა ურთიერთობა, თურქეთის გუბერნიად გადავიქცევით. მე არც თურქეთის გუბერნიობა მინდა, არც რუსეთის, მინდა საქართველო გახდეს ევროპის ლირსეული წევრი და ამაში, როგორც თურქეთი, ასევე რუსეთიც უნდა დაგვეხმაროს. დღეს, როცა პუტინი შემოტრიალდა საქართველოსაპერ, გაჩნდა წინაპირობა, რომ აღვადგინოთ რუსეთთან ურთიერთობა, ამ დროს ხელს გვიშლიან ჩვენი, ქართველი პოლიტიკოსები, ვინც გვდუპავდნენ და დღესაც რუსეთთან ცივი ომის პოლიტიკას ატარებენ”. (146)

შევარდნაძე-პუტინის შეხვედრის შედეგებს გულისხმობდა, უპირველეს ყოვლისა, საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენადარიშვილი, როცა 2001 წლის შეფასებისას ერთ-ერთ მთავარ შედეგად რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება, მოვლენების ნებატიური განვითარების შეჩერება მიიჩნია. (ტ/კ “I არხი”, “მე-9 არხი”, 4-6 იანვრის საინფორმაციო პროგრამები, 2002)

2001-დან 2002-ის განმავლით პერიოდი გარდამავალი კერით გარდამტები უტაპი იყო ჩრდილოეთ-დასავლეთს შორის ლავირების (მეტ-ნაკლები წარმატებით) დასრულებისა და ერთი კონკრეტული ვაქტორისთვის პრიორიტეტის მინიჭების პროცესისთვის. 2002 წლის გაზაფხულზე შეერთებულმა შტატებმა დაიწყო საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის “წრთვნისა და აღჭურვის” მრავალმილიონიანი პროგრამის განხორციელება. 2002 წლის ნოემბერში, ნატო-ს პრაღის სამიტზე, საქართველომ თუიციალურად განაცხადა თავისი სურვილი – გამხდარიყო ნატო-ს წევრი. საქართველოში დაიწყო რეგულარული სამხედრო ვარჯიშების ჩატარება ნატო-ს

პროგრამის – “პარტნიორობა მშვიდობისათვის” ფარგლებში, აშშ-სა და თურქეთის დახმარება სამხედრო ტექნიკით, ევროკავშირის მიერ განხორციელებული ტექნიკური დახმარების პროგრამები და ა.შ.

ამ პროცესებს წინ უძღვდა 2001 წლის დეკემბერში აშშ-ის თავდაცვის მინისტრის, რამსფელდის ვიზიტი საქართველოში. ეს ფაქტი პრესისთვისაც ერთგვარი სიგნალი გახდა იმისათვის, რომ მაქსიმალური თავშეკავება გამოეჩინათ და მორიდებოდნენ რადიკალურ შეფასებებს. ამჯერად ურნალისტები პოზიტიურ კონტენტში აქცევენ პრეზიდენტის ლავირების პოლიტიკას და თავადაც ცდილობენ მოზომილი კომენტარებით შემოიფარგლონ. “საქართველოს ხელისუფლება ეცდება, მოქმედების ისეთი ტაქტიკა აირჩიოს, რომ არც მწვადი დაწვას და არც ჟამფური. სავარაუდოდ, თავდაცვის მინისტრთან (რამსფელდთან – ლ.კ.) შეხვედრის დროს ქართული მხარე ეცდება, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემიდან აშშ-ის გამოსვლის შეფასებისას ზომიერი იყოს და რუსეთის გადიზიანება არ გამოიწვიოს... მაღალჩინოსანი ამერიკელის საქართველოში ვიზიტი, ექსპერტების აზრით, შეანელებს იმ აგრესიას, რაც, შესაძლოა, რუსეთმა კავკასიის რეგიონის მიმართ გამოავლინოს”, – წერდა გაზეთი “რეზონანსი.” (105)

ვიზიტის გაშუქებისას გაზეთი “კვირის პალიტრა” ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ ქართული, არამედ ამერიკული მხარის თავშეკავებულ პოზიციაზე: “შევარდნამემ ერთგვარი რევერანსი მაინც გააკეთა პუტინის მისამართით (რამსფელდს რუსეთზე კრინტიც არ დაუძრავს, მიუხედავად იმისა, რომ კომენტარი სთხოვეს რუსეთის ავიაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის დაბომბვის შესახებ) და ბრძანა: “მიუხედავად იმისა, რომ პუტინმა შეცდომა უწოდა ვაშინგტონის გადაწყვეტილებას რაკეტსაწინააღმდეგო ხელშეკრულებიდან გასვლასთან დაკავშირებით, პუტინის გამოსვლა სტაბილურობის გარანტიების სამართლებრივი ბაზის შექმნაზე იყო აქცენტირებული, რაც ხელს შეუწყობს აშშ-რუსეთის თანამშრომლობას”. (142)

ამ პერიოდიდან მოყოლებული საქართველო-რუსეთის ურთიერთობის პერიპეტიები ქართულ მასშტაბიში თითქმის აღარ განიხილება ამერიკასთან მიმართების გარეშე. თუ წინა წლებში პოლიტიკოსების, საერთოდ, საზოგადოებისა და, შესაბამისად, ურნალისტების აქცენტი ორი უკიდურესობით ხასიათდებოდა – რუსეთი ან დასავლეთი, ეს ტენდენცია პრესაში თანდათან შეიცვალა ურთიერთმიმართებით – საქართველო აშშ-ისა და რუსეთის ინტერესებს შორის. ეს ზოგადი ტენდენცია, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ამ ტიპის რადიკალურ შეხედულებებს: ერთის მხრივ, რუსული საფრთხის მეტისმეტად გაზიადებას და რუსეთის არეალში დარჩენის წარმოდგენას გარდაუვალ აუცილებლობად; მეორეს მხრივ, ამერიკული ყოვლისშემძლეობის გაფეხიშებას. მასმედიაში უფრო და უფრო მკვეთრად წარმოჩინდება ტენდენცია, რომ დასავლეთ-საქართველოს ურთიერთდაინტერესება

კვლავინდებურად მაბავს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს და ეს დაძაბულობა დასავლეთთან საქართველოს ინტეგრაციის შანსების გაზრდის პირდაპირპროპორციულად მძაფრდება.

2002 წლის ივლის-აგვისტოში, რუსეთის პროვოკაციებისა და მოსალოდნელი აგრესის საფრთხის გაშუქებისას, ქართულ პრესაში არსებითი ცვლილებები გაჩნდა – იმატა ურნალისტურმა განსჯამ და ანალიზმა, მოვლენებს შორის ურთიერთკავშირის დადგენისა და პოზიციების შეჯერების მცდელობამ; შესამჩნევად გამკვეთრდა აქცენტი სახელმწიფოებრივ ინტერესზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა გაზეთი “რეზონანსი”, რომელმაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ ერთ-ერთ ქვეთავში, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა “წრთვნისა და აღჭურვის” პროგრამისა და ჩრდილოატლანტიკური ორიენტაციისათვის სათანადო საინფორმაციო ფონის შესაქმნელად (იგივე შეიძლება ითქვას 2002 წლის მაისში დაარსებულ გაზეთ “24 საათზეც, რომელიც, საერთოდ, გამოირჩევა დასავლურ ლიბერალურ დირებულებებზე ორიენტაციით).

“რეზონანსის” წამყვანი ურნალისტი ელისო ჩაფიძე “მორიგე რედაქტორის სვეტში” მკაფიოდ გამოხატავს თავისი და რედაქტირის პოზიციას პუტინის მიერ საქართველოს ხელისუფლების მიმართ გაკეთებული მკაცრი განცხადების გამო: “რუსეთის პრეზიდენტის განცხადებაში ფარული მუქარა ჟღერდა, მან ქართველი ხალხი და ხელისუფლება გამიჯნა. კეთილი ხალხი, ბოროტი ხელისუფლება... ამ განცხადებიდან საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზებამდე დიდი რუსეთის ჩეკისტურ ორგანოებს ერთი ნაბიჯიდა აშორებთ... ამხანაგ პუტინის გასაგნად უნდა ითქვას, რომ რამდენადაც ცუდი ხელისუფლება უნდა გვყავდეს, მისი ლანძღვა საქართველოს მოქალაქეების პრეზოგატივაა. საქართველოს პრეზიდენტი რუსეთის პრეზიდენტის გასალანდი არ არის.” (165)

ურნალისტური აქცენტი რუსეთის პრეზიდენტის ფარულ მუქარაზე ადეკვატურია იმ რეალური საფრთხისა, რაც პრესაში პირდაპირ იწოდება ომის საფრთხედ. “საქართველო და რუსეთი ომის ზღვარზე” (“ალია”, 01.08.2002), “რუსეთი საქართველოში ომს იწყებს” (“ქრონიკა”, 05.08.2002) – პუბლიკაციათა ამგვარი სათაურები, წინა პერიოდებისაგან განსხვავებით, ამჯერად არ არის უტრიოებული; პანკისის საბაბით საქართველოზე რუსეთის გალაშქრების რიტორიკა გაცილებით უფრო ძლიერი იყო იმ პერიოდის რუსულ საინფორმაციო სივრცეში, ვიდრე 2001 წლის დამდეგს. ნიშანდობლივია, რომ 2001 წელს, საქართველოში მოსალოდნელი რუსული აგრესის თემაზე მსჯელობისას, ოფიციალური მოსკოვის პოზიცია დიად არ ფიქსირდებოდა, საქართველოს ტერიტორიის მორიგი დაბომბვის შემთხვევაში კი ჩნდებოდა ბუნდოვანი მინიშნება რუსი მაღალჩინოსანი სამხედროების თვითნებური მოქმედების თაობაზე. ამჯერად ქართულ მასმედიას აღარ დასჭირდა “ორი რუსეთის”

თემაზე მსჯელობა, რადგან ოფიციალური რუსეთის პოზიცია “შავი გენერლების” თვალთახედგას დაემთხვა:

- “რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა ხმამაღლა განაცხადა, რომ პანკისის ხეობის პრობლემა მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებით გადაწყდება. “უელში ამომივიდა უაზრო მოლაპარაკებები საქართველოს ხელისუფლებასთან, – ამბობს იავანოვი, – პანკისში ჩვენ უახლოეს დღეებში “სპეცნაზს” შევიყვანთ.” (“ხვალინდელი დღე”, 31.07.2002)
- პუტინის მრჩეველი სერგეი იასტრეემბეკი: “ქართველებმა პანკისის ხეობა “პრახადნო დვორად” აქციეს და, დროა, ამას ერთხელ და სამუდამოდ დაესვას წერტილი.” (“ხვალინდელი დღე”, 31.07.2002)

ქართული პრესის პუბლიკაციებში (რომლებიც, არსებითად, ემყარება რუსული მედიის მასალებს) კონცენტრირებულია პანკისის პრობლემასთან დაკავშირებით ორივე მხარის – რუსეთისა და საქართველოს პოზიცია:

ოფიციალური მოსკოვი პანკისში ოპერაციის ჩატარებას კი აღარ ითხოვს, არამედ მოითხოვს; ოფიციალური რუსეთი აშშ-ს სთხოვს მხარდაჭერას საქართველოში ანტიტერორისტული ოპერაციის ჩასატარებლად – საქართველომ ხომ, ბოლოს და ბოლოს, აღიარა ჩეჩენი ბოევიკების არსებობა; რუსეთის ფედერაციის საბჭო მზად არის შესაბამისი ოპერაციისთვის ნების დასართავად, ხოლო საჰარ-სადესანტო ჯარები და მათი სარდალი მხოლოდ ბრძანებას ელოდებიან სპეცოპერაციის დასაწყებად; ოფიციალური რუსეთის პოზიციას ეთანხმება ჩეჩენის მთავრობის თავმჯდომარე, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევს ბოევიკთა საქართველოს ტერიტორიაზე განადგურებას; რაც მთავარია, რუსეთს უკვე შემზადებული აქვს საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ფორმულასავით ყალიბდება რუსულ მედიაში გაჩენილ ასეთ მოსაზრებაში: “ამერიკის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტერორიზმთან ბრძოლის დროს ეროვნული საზღვრები სუვერენული აღარ არის.”

საქართველოს ხელისუფლება ჯერჯერობით რუსეთს უძალიანდება და პანკისის ხეობაში სამხედრო ოპერაციის ჩატარების უფლებას არ აძლევს და, თავის მხრივ, რუსეთს ადანაშაულებს ჩეჩენი მებრძოლების იარაღით მომარაგებაში.

არსებითი განსხვავება რუსეთისა და საქართველოს ურთიერთდადანაშაულებისას ის არის, რომ რუსეთი თავის პოზიციას ფაქტებით ამყარებს, საქართველოს მხარე კი, როგორც პრესა წერს, “ფაქტებს საპნის ბუშტივით უშვებს ხელიდან”; ოფიციალური თბილისი ხშირად ურთიერთგამომრიცხავინფორმაციებს ავრცელებს, ერთმანეთს ეწინააღმდეგება ძალოვანი უწყებების კომენტარებიც.

პარალელურად, “ქართულ საფრთხეს”, რომელიც მუსირებდა რუსეთის საინფორმაციო საშუალებში, აფხაზეთში რუსული სამხედრო ძალების

კონცენტრირებითა და დაქირავებულ ჩრდილოგავკასიელ “მოხალისეთა” გააქტიურებით უპასუხეს (ისევე, როგორც 2001 წლის ოქტომბერ-ნოემბერში და 2001 წლის აპრილში). ქართულ მედიაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ, ამჯერად, “მოხალისეთა” რაოდენობა ორჯერ მეტია, ვიდრე აფხაზეთის ომის დროს; ამავე დროს, ტყვარჩელში აფხაზუროსური ერთობლივი წრთვნებისთვისაც ემზადებიან... ანუ, როგორც ყოველთვის, მოვლენების უკიდურეს გამწვავებას პანკისის საბაბით, თან დაერთო აფხაზეთის კოზირის ამოქმედება – ორი ფრონტი ერთდროულად, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების მაქსიმალური გამწვავების თანხლებით.

ამ ფონზე ქართველი უურნალისტები თავიანთ ხელისუფლებას რუსეთისათვის ადეკვატური პასუხის გაუცემლობაში ადანაშაულებენ, თუმც, უკვე საქართველოს მხრიდანაც იქმნება მოვლენებისათვის სახელის დარქმევის ოფიციალური პრეცენდენტი. “უფროსი ძმის როლი, რომელსაც შეუძლია უმცროსს ყოველთვის თავში ურტყას, მიუღებელია. ამას არავინ აიტანს და არც ჩვენ გაპირებთ,” – ამგვარად გამოხატა ოფიციალური პოზიცია, რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების მიერ პანკისის ხეობის ტერიტორიის დაბომბვასთან და შემდგომში რუსეთის ხელისუფლების რეაქციასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტის პრეს-მდივანმა კახა იმნაძემ, სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე, – “როდესაც ეს უზარმაზარი სამხედრო მანქანა, რომელიც რუსეთს აქვს, ვერ ახერხებს წესრიგის დამყარებას საკუთარ ტერიტორიაზე, მათ ისდა დარჩენიათ განტევების ვაცი მოძებნონ, ან შექმნან მტრის ხატი. ყოველ შემთხვევაში აშკარად ცდილობენ, რომ ასეთ მტრის ხატად წარმოჩინდეს საქართველო, როგორც მიზეზი რუსეთის ყველა უბედურებისა. მაგრამ ეს არის მათი ჭეშმარიტება, რომელსაც კატეგორიულად არ ეთანხმება მთელი ცივილიზებული მსოფლიო.” (155)

პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ, ტრადიციულ რადიოინტერვიუში მკაფიოდ გამოხატა პანკისის პრობლემის არსი: “ის, რაც ხეობაში ხდება, საქართველოს არჩევანი არ ყოფილა და პანკისის პრობლემამ კი არ განაპირობა ჩეჩენეთის მოვლენები, არამედ, პირიქით, ჩეჩენეთში არსებულმა ვითარებამ განაპირობა მდგომარეობის გართულება პანკისში”; ხოლო მასმედიისთვის გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე – საქართველოს მტკიცე პოზიცია: “პანკისის პრობლემა ხელოვნურად არის შექმნილი. ჩვენ ეს პრობლემა თავს მოგვახვიეს. ახლა საქართველოს აქვს შესაძლებლობა რომ პანკისის პრობლემა დამოუკიდებლად გადაწყვიტოს. გადავწყვიტო კიდეც. მიგგაჩნია, რომ უცხოეთის სახელმწიფოების სამხედრო ჩარევა დაუშვებელია და არც დაგუშვებთ.” (156)

რუსეთის “საგარეო პოლიტიკის ნაციონალური ლაბორატორიის” ინტერნეტ-საიტზე განთავსებულ ანალიტიკურ მასალაში (“პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში”) რუსეთთან მიმართებაში საქართველოს პოზიციის გამყარება

ამერიკის მხარდაჭერის ფაქტორთანაა დაკავშირებული: “აშშ-სთან სამხედრო თანამშრომლობის ფაქტმა მკვეთრად აამაღლა ქართული ელიტის თვითშეფასება და უბიძგა მას რუსულ-ქართული ურთიერთობის შეგნებული გამწვავებისაკენ. შემთხვევითი არ იყო, რომ ბორის პასტუხოვთან შეხვედრისას პრეზიდენტმა შევარდნაძემ რუსეთის წარმომადგენელს მკვეთრი შეკითხვა დაუსვა: “თქვენ ვერ ხვდებით, ვის წინააღმდეგ წახვედით?” (58)

გაზეთმა “რეზონანსმა”, საქართველოს საგარეო და საშინაო პრობლემებთან რუსეთ-აშშ/დასავლეთის ინტერესების მიმართება მრავალმხრივ გააანალიზა არა მხოლოდ აგვისტოს, არამედ მოგვიანებით განვითარებული მოვლენების კონტექსტში. მაგალითად, რუსეთის მიერ საქართველოსათვის თავისი საპატიო სივრცის გადაკეტგასა და შემოტევების მორიგ გააქტიურებას “რეზონანსი” აკაგშირებს საქართველოში აშშ-ის კონგრესმენების სტუმრობასთან (რომელთა ვიზიტის მიზანი საქართველოსთვის აშშ-ის მთავრობის თანადგომის ოფიციალური დადასტურება იყო) და ბაქო-თბილისი ჯეიშანის მილსადენის მშენებლობის დაწყების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებასთან: “არსებობს ინფორმაცია რომ რუსეთის სპეცსამსახურები აქტიურად “აგერბოვებენ” ქართველ სამხედროებს, მუშაობენ პოლიტიკურ პარტიებში... მათივე ხელშეწყობით ხდება რელიგიური დაპირისპირებისა და ეგზალტირებული პოლიტიკური განცხადებების აუიტირება. დღეს საქართველომ უნდა გადადგას ძალიან ფრთხილი და გონივრული ნაბიჯები იმისათვის, რომ ამ თამაშიდან მოგებული გამოვიდეს.” (169)

გაზეთ “რეზონანსთან” ინტერვიუში, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გიორგი ჭანტურია ვარაუდობს, რომ ნავთობსადენის მშენებლობის დაწყების გამო “რუსეთის მხრიდან საქართველოზე ზეწოლა კიდევ უფრო გაიზრდება”: “იცით, რატომ ბომბავს რუსეთი საქართველოს? რუსეთმა ძალიან კარგად იცის, რომ საქართველო არის ყველაზე ცენტრალური და გადამწყვეტი ტერიტორია დღეს გეოპოლიტიკურად, სოციალურად, პოლიტიკურად, სტრატეგიულად, რაზეც გადის არა მარტო ენერგოდერეფანი, არამედ გადის მსოფლიო დერბი”; “ჩვენ რუსეთს ვეუბნებით, რომ ეს არ არის მარტო აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანი. ეს არის ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფანიც.” (119)

როგორც აღვნიშნეთ, 2002 წლის ნოემბერში, ნატო-ს პრაღის სამიტზე, საქართველომ ოფიციალურად განაცხადა თავისი სურვილი – გამხდარიყო ნატო-ს წევრი. 11 ოქტომბერს, პარლამენტში პრეზიდენტ ელუარდ შევარდნაძის მოხსენების მსვლელობისას, დარბაზი ერთობლივად, პროტესტულად დატოვეს ფრაქციებმა და პოლიტკერსონებმა, რომლებიც პრესამ პირობითად გააერთიანა საერთო სახელწოდებით – “დემარშისტები”. ხუთი საპარლამენტო ფრაქციისთვის (“გაერთიანებული დემოკრატები”, “ნაციონალური მოძრაობა”, “ახალი მემარჯვენები”,

“ტრადიციონალისტები” და “ახალი აფხაზეთი”) მიუღებელი აღმოჩნდა პრეზიდენტის საანგარიშო გამოსვლა, რომელმაც, ოპოზიციონერთა მტკიცებით, “ქვეყნისათვის არც ერთ საჭიროობოტო კითხვას არ გასცა პასუხი.” იმავე დღეს თოხმა ოპოზიციურმა ფრაქციამ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართა და საზოგადოებას ამცნო, რომ ამიერიდან მათი მიზანი “საქართველოში დღეს არსებულ პოლიტიკურ მმართველობასთან ერთობლივი ბრძოლა გახდება.” პრესაში მეორე დღესვე გაჩნდა მოსაზრებები, რომ ეს აქცია სპონტანური არ ყოფილა; “რეზონანსი” წერდა: “ნაციონალების” წარმომადგენელი განო მერაბიშვილი არ მალავს, რომ ოპოზიციურ ფრაქციათა გაერთიანება შევარდნაძის ხელისუფლების დამხობისათვის მოხდა.” (“რეზონანსი”, 19.10.2002) პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი და, შესაბამისად, პრესა, დემარშს რუსული ინტერესის გამოხატვად მიიჩნევს, მედიაში ისევ ჩნდება ტერმინები: “მეხუთე კოლონა”, “საშემოდგომო დესტაბილიზაცია”, “ქაოსი”, “არეულობა” და ა.შ. ზოგან მინიშნებითა და ქვეტებსტებით, ზოგან კი პირდაპირ, ოპოზიციის ქმედება ნატო-სთან საქართველოს მიმართებასა და საერთაშორისო ენერგეტიკული პროექტების თემასთან დაკავშირდა: “ნოემბერში საქართველომ ნატო-ში შესვლასთან დაკავშირებით განაცხადი უნდა გააკეთოს. არ არის გამორიცხული, რომ ოპოზიციის ნაბიჯმა ისტორიული გადაწყვეტილების მიღებას შეუშალოს ხელი”; “რაც შეეხება ნატო-ში გაწევრიანებას, მისდამი ხელის შეშლას ადგილი ექნება, მაგრამ არა იმდენად, რამდენადაც ნავთობსადენის საკითხის გამო.” (“რეზონანსი”, 12 ოქტომბერი, 22 ოქტომბერი, 2002).

*

“ვარდების რევოლუციის” შემდეგ ქართულ და უცხოურ მედიაში განვითარებული საგარეო აქცენტები, საერთო ჯამში, ამგვარ ფორმულირებებამდე დაიყვანება: საქართველოს გამო აშშ-სა და რუსეთს შორის, შესაძლოა, ცივი ომი დაიწყოს; რუსეთს არ სურს საქართველოს გამო აშშ-სთან შეჯახება; აშშ საქართველოს გამო რუსეთთან ურთიერთობას არ დაძაბავს; გაშინგტონიცა და მოსკოვიც დაინტერესებულები არიან, რომ საქართველოს ააცილონ ქაოსში ჩაძირვა და დესტაბილიზაცია; საქართველოში აშშ-ის ინტერესი – დემოკრატია, რუსეთის – არასტაბილურობა; აშშ მხარს უჭერს ბურჯანაძის მოდელს – საქართველო-აშშ-რუსეთის სამკუთხედის შექმნის შესახებ, რომელშიც პარტნიორები თანასწორუფლებიანი იქნებიან; რუსეთი საქართველოსთან ურთიერთობაში “სამკუთხედების” და შუამავლების წინააღმდეგია.

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტ შევარდნაძის მმართველობის დროს საქართველო დეკლარებული ადგა დასავლურ კურსს, იდებდა აშშ-ის სამხედრო თუ ეკონომიკურ დახმარებასა და მხარდაჭერას; ამასთან, იყო დსთ-ის წევრი სახელმწიფო და არასოდეს უარყოფდა რუსეთის ფაქტორს, დერძი – საქართველო-აშშ-რუსეთი (ან –

პირიქით) ყოველთვის იყო რეალური და აქტუალური. ამ ვითარებას ყველაზე კარგად გამოხატავს ლონდონელი ანალიტიკოსის სიტყვები: “ქართველები უკვე დიდი ხანია მიეჩვივნენ, რომ მათ ამერიკელები ანებივრებენ და რუსები აშინებენ, მათი ხელმძღვანელობა კი ერთსაც აქეზებს და მეორესაც.” (“სკობოდნაია გრუზია”, 06.12.2003)

რუსეთის ინტერესმა საქართველოსთვის ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი იჩინა თავი: “გამალებული კონსულტაციების დროს, როცა საქართველოში ხელისუფლების შეცვლამდე სულ რაღაც ორი საათი რჩებოდა, ივანოვმა ორ ქვეყანას შორის ჩარჩო-ხელშეკრულების აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება”, – წერდა “მთავარი გაზეთი”. (“მთავარი გაზეთი”, 25.11.2003) განსხვავებით აშშ-ის პოზიციისაგან, რუსეთის პრეზიდენტმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ საქართველოში ხელისუფლების შეცვლა ედუარდ შევარდნაძეზე ძლიერი ზეწოლის შედეგად მოხდა და, ამასთან, დემონსტრაციულად განაცხადა, რომ შევარდნაძე დიქტატორი არასოდეს ყოფილა. როგორც ჩანს, ამ განცხადების მიღმა იყითხება დამოკიდებულება იმ პროცესების მიმართ, რომელმაც საქართველოში ხელისუფლების შეცვლა მოახდინა რუსეთის პრიმატის გარეშე. საგარეო საქმეთა მინისტრის, იგორ ივანოვის წარმოგზავნა საქართველოში უპირველესად ამავე კონტექსტში ჯდება – რუსეთმა დააფიქსირა თავისი მნიშვნელობა საქართველოში, ანუ ის, რომ მის გარეშე ამ ქვეყანაში არაფერი ხდება. ეს იყო ძალზე მნიშვნელოვანი მესიჯი, ერთდროულად ორიენტირებული საკუთრივ საქართველოსა და დასავლეთზეც. პრესის ანალიზით იკვეთება, რომ რუსეთის ფაქტორი მომავალ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებზე, დასავლეთის ძალისხმევით, მინიმუმამდე უნდა შემცირებულიყო; რომ ამისათვის, ევროპული ოჯახი და აშშ, არც ფინანსებს დაიშურებენ და არც სხვა სახის დახმარებას. პარალელურად, პრესაში იკვეთება “რუსული ფაქტორის” სხვაგვარი გავლენა – ტრადიციულად, პირდაპირ თუ ირიბად, “რუსულ ხელწერასთან” კავშირდება “დინამიკური ქაოსის” შექმნის მცდელობა, რომლის განხორციელება ეჭვება დააყენებს “ვარდების რევოლუციის” მონაპოვარს და, ელემენტარულად, ჩამლის არჩევნებს. როგორც “მთავარი გაზეთი” აღნიშნავს, “რუსულ ვებ-გვერდებზე, ჯერ კიდევ შევარდნაძის გადადგომამდე განთავსებულ სტატიებში, საქართველოში არსებული კონფლიქტის სააკაშვილი-ბურჯანაძე-უვანიას სასარგებლოდ გადაწყვეტა რუსეთისთვის ყველაზე ნაკლებ სასარგებლო სცენარად არის შეფასებული.” (“მთავარი გაზეთი”, 25.11.2003)

საგულისხმოა რუსული მედიის აქცენტები საქართველოს დაშლის შესაძლებლობის თაობაზე: “რადიკალი ნაციონალებისა” და მათი ლიდერის, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში გარდაუვალია შეიარაღებული კონფლიქტი აჭარასთან; თბილისში ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში აჭარის

საზღვრების ჩაკეტვის მუქარა ამ რეგიონის საქართველოსაგან გამოყოფის პირველი სიმპტომია; ჯაგახეთში დასახლებულ სომხებთან შევარდნაძე ახერხებდა საერთო ენის გამონახვას, ქართველი რადიკალების ნაციონალური განცხადებები კი მათ აშინებთ. სომხებთან შესაძლო შეტაკება, სამსედრო ბაზების ფაქტორის გათვალისწინებით, კონფლიქტში რუსეთის ჩართვის წინაპირობას შექმნის; თბილისში ნაციონალური ოპოზიციის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარების შესაძლებლობა კიდევ დიდი ხნით გადაიწევს უკან. პრეზიდენტის რანგში სააკაშვილის გამოჩენა “არაღიარებული ქვეყნების” ხელმძღვანელობას აიძულებს კიდევ ერთხელ წამოაყენონ რუსეთის შემადგენლობაში მათი შეყვანის საკითხი. საშიში პრეცენდენტის შექმნის საბაბით, რუსეთი იძულებული იქნება მათ უარით უპასუხოს. კრემლის მხრიდან სხვანაირ რეაქციას იმ შემთხვევაში უნდა ველოდოთ, თუ თბილისი აშკარა ანტირუსულ კამპანიას წამოიწყებს. რუსული ინტერნეტ-გამოცემები ხელისუფლებაში სააკაშვილის მოსვლას უკავშირებენ ურთიერთობის მოსალოდნელ გაუარესებას მეზობელ ქვეყნებთან – აზერბაიჯანსა და სომხეთთან. სომხეთთან დაკავშირებით რუსული მედიის აქცენტი კიდევ უფრო მკვეთრია – თუ ქართველი რადიკალები სომხეთს ბლოკადას გამოუცხადებენ, რუსეთის მოკავშირე ქვეყანას ეკონომიკური კოლაფსი ელის. “დილის გაზეთი” აქვეყნებს რუსული ჟურნალის, “იტოგი”-ს მოსაზრებას, რომ საქართველო დგას ძალიან სერიოზული საფრთხის წინაშე – დაიშალოს რამდენიმე სახელმწიფოდ. (“დილის გაზეთი”, 02.12.2003)

მედიაში აქტუალურია აქცენტი, რომ საქართველო კვლავ რჩება რუსეთისა და აშშ-ის ინტერესთა შეჯახების (ზოგჯერ – ურთიერთდამთხვევის) ასპარეზად. საყურადღებოა, მოსკოვში ნინო ბურჯანაძის (საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის) ვიზიტის წინ რუსული მედიის მიერ შექმნილი ფონი: შესაძლოა, საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობები 2002 წლის 11 სექტემბრის სცენარით განვითარდეს; “მაშინ რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს, ფაქტობრივად, ომი გამოუცხადა, თუმცა, აშშ-ის მკაცრი პოზიციის გამო კრემლი იძულებული გახდა მუქარა მხოლოდ მუქარად დაეტოვებინა. როგორც ჩანს, კრემლი და მისი მესვეური საქართველოს ახალი ხელისუფლების მდგრადობას ამჟამადაც “კბილს უსინჯავს” და ცდილობს იმის გარკვევას, კვლავ დაუჭერს თუ არა ასე აქტიურად მხარს თეორი სახლი ოფიციალურ თბილისების.” (“მთავარი გაზეთი”, 19.12.2003)

“გარდების რევოლუციის” შემდეგ საქართველოს საგარეო პრიორიტეტებში ძლიერდება ევროპასთან დაკავშირებული აქცენტი. “საქართველო არც პრორუსული იქნება და არც პროამერიკული, საქართველო იქნება პროქართული და პროევროპული”, – განაცხადა სტრასბურგში თავისი პირველი ტურნეს ფარგლებში გამართული შეხვედრებისას საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა (“მთავარი გაზეთი”,

29.01.2004); ხოლო ევროკავშირის საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიაზე სიტყვით გამოსვლისას ასე ჩამოაყალიბა საქართველოს ახალი ხელისუფლების საგარეო გექტორი: “დღეს ჩვენი ერთადერთი ამბიციაა გავხდეთ ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი... საქართველოს ძალიან დიდიხნის და კარგი ურთიერთდამოკიდებულება აქვს აშშ-სთან. შეერთებულმა შტატებმა ჩვენ გაცილებით მეტი დახმარება გაგვიწია, ვიდრე ჩვენ ველოდებოდით... ჩვენ, ასევე, ურთიერთდამოკიდებულება და პარტნიორობა გვაქვს რუსეთთან... მე თანახმა ვარ გავაუმჯობესო რუსეთთან ურთიერთობა, ვიმეგობრო რუსეთთან და მეგობრობის ხელი გავუწოდო პრეზიდენტ პუტინს, როცა მას ვეწვევი რუსეთში.” (“24 საათი”, 29.01.2004)

პრესამ ყურადღება მიაქცია საგარეო აქცენტების მკვეთრ ცვლილებას და ახალი ხელისუფლების “პროევროპულობა” ახსნა ერთგვარი დიპლომატიური თამაშით, რომლის მეშვეობითაც ჩრდილოელ მეზობელს არ გააღიზიანებს გამოკვეთილი ამერიკული აქცენტით. რუსეთთან მიმართებაში პრეზიდენტ სააკაშვილის საგანგებო დამოკიდებულება მართლაც იგრძნობა პრესაში: ხაზგასმითაა აღნიშნული რომ სააკაშვილმა პირველი ვიზიტის პრიორიტეტი რუსეთს მიანიჭა და არა აშშ-ს; ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნება, რომ მოსკოვში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტის მომგებიანი საინფორმაციო სურათი არ უნდა დაჩრდილოს აშშ-ში მისმა ვიზიტმა (შეერთებულ შტატებში მიხეილ სააკაშვილის ვიზიტის ამსახველმა პუბლიკაციებმა ზოგიერთ გაზეთში მე-4, მე-5 გვერდებისკენ გადაინაცვლა და, საერთო ჯამში, არ მიუღია ისეთი ფართო გამოხმაურება, როგორც რუსეთში ვიზიტს). რუსეთისადმი სიფრთხილე იგრძნობა საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანი ნატო-ს სტამბულის სამიტის (2004 წლის ივნისი) გაშუქებისას; სამიტის ამსახველ მასალებში პრესა აღნიშნავდა, რომ ნატო საქართველოსთვის კვლავ პრიორიტეტია, მაგრამ, რუსეთის ფაქტორის გამო, “იჩქარე ნელას” პრინციპი უფრო მისაღებია. როგორც ჩანს, “საინფორმაციო თავშეკავებაც” ნატო-ს თემის აფიშირებისგან ამით არის განპირობებული.

მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი რუსეთში, რომელსაც რუსულმა მედიამ არა მხოლოდ წარმატებული, ეპოქალურიც უწოდა, მიზნად ისახავდა: ურთიერთობის დაწყებას “სუფთა ფურცლიდან” (“პუტინი და სააკაშვილი წინამორბედების ქმედებებზე პასუხს არ აგებენ”); დასავლეთან საქართველოს ურთიერთობის გამო რუსეთის გადიზიანების განეირალებას (სააკაშვილი: “რუსეთს საქართველოსთან ურთიერთობაში ვერცერთი ქვეყანა კონკურენციას ვერ გაუწევს”; “საქართველო არ არის აშშ-ისა და რუსეთის დაპირისპირების ადგილი”); ეკონომიკური ურთიერთობის მოგვარებას (სააკაშვილი: “ქართული ბრენდები რუსულ ბაზარზე უნდა დავაბრუნოთ”) ზემოქმედებას რუსეთის საზოგადოებრივ აზრზე (სააკაშვილი: საქართველოს იმიჯი რუსეთში უკიდურესად შერყეულია და ჩვენი მთავარი ამოცანა საზოგადოებრივი

აზრის შეცვლაა) და ა.შ. პრესამ საგანგებოდ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ევროპული ორიენტაცია ამ ვიზიტის დროსაც წინა პლანზე წამოსწია და რუსეთთან ერთად ევროპაში ინტეგრაციის სურვილი გააქცერა; ამასთან, პრესა აღნიშნავდა, რომ რუსეთში ვიზიტი იმ წარმატებული “პიარის” ნაწილია, რომლითაც პრეზიდენტი ახალი ხელისუფლების ნაკლის დაფარვას ცდილობს; ამ ეტაპზე საქართველოს გაცილებით დიდი ბერკეტი აქვს ვაშინგტონის მხარდაჭერის სახით, ვიდრე პუტინთან დამეგობრებაა. (“დილის გაზეთი”, “რეზონანსი”, “24 საათი”, “მთავარი გაზეთი”, 11-13 ოქტემბერვალი, 2004)

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც – პარლამენტის თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ დეპუტატებს სთხოვა მხარი დაქვირათ პარლამენტის მიერ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების წინააღმდეგ ადრე მიღებული დადგენილების შეჩერებისთვის. ამ თხოვნას ოპოზიციის პროტესტი მოჰყვა და პრესაში აქცენტი – პროამერიკელი პოლიტიკოსების პრორუსულებად გარდაქმნის გამო. (“24 საათი”, 17.02.2004) ამ ფონზე გაზეთი “ალია” წერს, რომ “სააკაშვილი რუსეთისთვის ვეებერთელა პოზიტიური პოტენციალის მატარებელია” – საქართველოს მაგალითი დსთ-ს ქვეყნებს აშშ-სგან განიზიდავს; მათ ურჩევნიათ რუსეთის უმცროსი პარტნიორები იყვნენ, ვიდრე საქართველოსავით აშშ-ის კოლონიები. (“ალია”, 10.02.2004)

საქართველოს ახალი ხელისუფლების ახალი საგარეო პოლიტიკური კურსის გამოკვეთისთვის მნიშვნელოვანი იყო მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი საფრანგეთში და ნოვაცია – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად საფრანგეთის მოქალაქის, სალომე ზურაბიშვილის დანიშვნა. “ევროპა ჩვენი მომავალია, ამერიკა კი თვითდამკვიდრებაში გვეხმარება”, – მიხეილ სააკაშვილის ეს პასუხი ფრანგი ქურნალისტების კითხვაზე – “ევროპა თუ ამერიკა”, როგორც ჩანს, არა მხოლოდ დიპლომატიური რევერანსია, არამედ, ერთგვარი ფორმულაც საქართველოს საგარეო ურთიერთობების პერსპექტივის განსაზღვრისთვის.

2004 წლის მარტის პრესაში განვითარებული მოსაზრებები ადასტურებს, რომ ამ ურთიერთობების ამპლიტუდა დამოკიდებულია არა მხოლოდ ამერიკა-ევროპაზე, მისი წონასწორობის წერტილს რუსეთი განსაზღვრავს. უფრო მეტიც, საფრანგეთში სააკაშვილის ვიზიტიც, უპირველეს ყოვლისა, ამ ჭრილში განიხილება – როგორც ხიდი რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებისათვის, რაც არათუ ეწინააღმდეგება, არამედ ეთანხმება კიდეც აშშ-ის ინტერესს. “ქვეყნის საგარეო კურსის უმთავრესი მიმართულება კი ევროპაგშირში ინტეგრება და რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება იქნება”, – აღნიშნავდა “მთავარი გაზეთი”, – “პრეზიდენტი არ მალავს, რომ მას რუსეთთან ურთიერთობის დათბობა ეჩქარება და ამ მისიას იმ ქვეყნის დიპლომატს ანდობს, რომლის მთავრობასაც ოფიციალურ მოსკოვთან კარგი ურთიერთობა აქვს. როგორც ირკვევა, შირაკისა და სააკაშვილის პირისპირ საუბრისას

რუსეთთან ურთიერთობა ერთ-ერთი ძირითადი საკითხი ყოფილა.” (“მთავარი გაზეთი”, 10.03.2004) “დილის გაზეთი” წერდა: “მიხეილ საბკაშვილის განცხადებით, მან შირაკისაგან მიიღო გარანტია, რომ საფრანგეთი ევროპაში ინტეგრაციის პროცესში დაგვეხმარება; გამოცდილი დიპლომატის, პირველი ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლების შთამომავლის – სალომე ზურაბიშვილის მინისტრის პოსტზე დანიშვნა კი იმედს აძლევს, რომ საქართველოს საგარეო კურსი წარმატებული იქნება. თავად სალომე ზურაბიშვილის ფორმულირებით, “ეს არის საფრანგეთის საჩუქარი საქართველოსთვის, საფრანგეთი მზადაა ახალი საქართველოს მშენებლობაში მიიღოს მონაწილეობა.” (“დილის გაზეთი”, 12.03.2004)

მარტის პრესა საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მოდურად ქცეული ცნება – ევროატლანტიკური ინტეგრაცია კონკრეტიკას იძენს, ჩნდება ახალი ნიუანსები ევროკავშირსა და ნატო-სთან საქართველოს მიმართებაში. ევროკავშირი ცალკე საქართველოს მისი წევრობის კანდიდატად არ განიხილავდა; საქართველო, მთლიანი სამხრეთკავკასიის რეგიონის ფარგლებში, სახარბიცელო ვითარებაში არ იმყოფებოდა. “ვარდების რევოლუციის” შემდეგ კონსერვატიული ევროკავშირი საქართველოსადმი პოზიციებს იცვლის და არ გამორიცხავს მის ჩართვას “ფართო ევროპის” ინიციატივაში; თუმცა, ისიც აღინიშნება, რომ ეს ძნელად მისაღწევი და შორეული ამოცანაა. ექსპერტების ვარაუდით, შესაძლოა, უფრო რეალური იყოს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება.

“აფხაზეთის სანაპიროებთან ნატოს სამხედრო ფლოტი დაიწყებს პატრულირებას” – იუწყებოდა 11 მარტის “რეზონანსი”. ამერიკელი გენერლის ჯეიმს ჯონსის განცხადებით, ნატო-ს მიზანი ექსტრემისტულ ორგანიზაციათა და კრიმინალურ დაჯგუფებათა მოქმედებების აღკვეთაა. გაზეთი ამ ფაქტს აკავშირებს მიხეილ სააკაშვილის განცხადებასთან – რომ წლის ბოლომდე საქართველო აფხაზეთის საზღვაო აკვატორიას მთლიანად გააკონტროლებს. ქართველი პოლიტოლოგების აზრით, ამით ნატო-ს სურს შავ ზღვაზე ძალის დემონსტრაცია, ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენა, რუსეთის გავლენისა და რეაქციის მოსინჯვა, მიზანი კი – ამ გავლენის შემცირების მცდელობაა. რუსეთის რეაქციის დემონსტრირება მოხდა მარტის ბოლოს, აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე პოსტსოციალისტური ქვეყნისა (ბულგარეთი, რუმინეთი, სლოვენია, სლოვაკეთი) და პოსტსაბჭოთა ბალტიისპირეთის ნატო-ში გაწევრიანების გამო. ამ ქვეყნების ნატო-ში შესვლას თავის დროზე ძალიან ეწინაღმდეგებოდა რუსეთი და მისმა სამხედრო და პოლიტიკურმა ელიტამ მტკიცნეულად აღიქვა ეს ფაქტი. ამერიკული გაზეთის “დეილი ნიუსის” მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რუსი გენერლები იმუქრებიან, რომ დაუყოვნებლივ ჩამოაგდებენ ნატო-ს თვითმფრინავებს, თუ ისინი ბალტიისპირეთის ქვეყნების თავზე გამოჩნდებიან; უკრაინული ინტერნეტ-სააგენტოს ინფორმაციით,

რუსეთში განსაკუთრებით აღშფოთებთ ის ფაქტი, რომ ნატო დატვირთვის რადიოლოგიური დაკვირვების ბაზის აშენებას გეგმავს. (“რეზონანსი”, 30.03.2004)

რუსეთის თემის პრიმატით გამოირჩევა 2004 წლის მაისის პრესა; ეს ერთდროულად რამდენიმე საინფორმაციო საბაბმა განაპირობა: საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და პრემიერ-მინისტრის ვიზიტები რუსეთში; საქართველო-რუსეთის ბიზნეს-ფორუმი; რუსეთში მოღვაწე ოლიგარქის, კახა ბენდუქიძის დანიშვნა საქართველოს ეკონომიკის მინისტრად. ამასთან, თურქეთში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ვიზიტიც, გარკვეულწილად, პრესაში რუსეთის თემას უკავშირდება.

საგარეო საქმეთა მინისტრ სალომე ზურაბიშვილის ვიზიტისას მოსკოვში პირველად გაცხადდა ოფიციალური თბილისის პოზიცია – **რუსეთის ბაზები საქართველოდან აუცილებლად უნდა გავიღნენ სამწლიან ვადაში.** ამით ნაწილობრივ გაიფანტა ეჭვი, თითქოს რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის, იგორ ივანოვის პოზიტიური ჩარეგა ბათუმის კრიზისში იქ განლაგებული რუსული ბაზების დატოვების სანაცვლოდ მოხდა. რუსულ ბაზებს, გამოცდილმა ქართველმა დიპლომატმა, მსოფლიო არსებული ტერორისტული საფრთხის ფონზე ახალი დეფინიცია მოუძებნა – **“ტერორიზმის სამიზნე”.** ბაზების პუნქტი გახდა მთავარი საკითხი ჩარჩო-სელშეკრულების პროექტზე მსჯელობის დროსაც – რუსეთი ითხოვდა ხელშეკრულებაში ასახულიყო ვალდებულება, რომ რუსული ბაზების გაყვანის შემდეგ საქართველოში სხვა ქვეყნის ბაზები არ განთავსდებოდა. სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ საქართველო არ აპირებს საგუთარ ტერიტორიაზე არც ერთი ქვეყნის ბაზის განლაგებას, მაგრამ ჩარჩო ხელშეკრულება არ არის ის დოკუმენტი, რომელშიც მსგავსი ტიპის განცხადება უნდა გაკეთდეს. (“მთავარი გაზეთი”, “დილის გაზეთი”, 8 მაისი, 2004) სალომე ზურაბიშვილის მოსკოვური ვიზიტის გაშუქებისას პრესამ უურადღება გაამახვილა ერთი შეხედვით მეორეხარისხოვან, მაგრამ ახალი რეალობის გამომსატველ დეტალზე – ქართველმა დიპლომატმა არა მხოლოდ პრესკონფერენცია, არამედ ოფიციალური მოლაპარაკებებიც ქართულ ენაზე გამართა, რაც იმდენად უწვეულო აღმოჩნდა რუსეთის საგარეო უწყებისთვის, რომ თარჯიმნის მიწვევა პოსტ-ფაქტუმ დასჭირდათ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას მოსკოვში ვიზიტის მიზანი, ოფიციალური ვერსიით, რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ფორუმის თემა იყო, ხოლო არაოფიციალურით – აფხაზეთი. პრესაში ვითარდებოდა ვარაუდი, რომ ამ ვიზიტება დამოკიდებული 26 მაისს მიხეილ სააკაშვილის განცხადება აფხაზეთის თაობაზე, რის შესახებაც იგი წინასწარ იუწყებოდა. (როგორც ჩანს, აჭარის პრობლემის მოგვარების ეიფორიამ სეპარატისტული რეგიონების პრობლემის გადაჭრის ილუზიაც შექმნა, მაგრამ პრეზიდენტის მიერ 26 მაისს წარმოთქმულ სიტყვაში კონკრეტული სიახლე აფხაზეთის თაობაზე არ გაუდერებულა). საქართველოს პრემიერ-

მინისტრთან შეხვედრისას რუსეთის საგარეო უწყება კვლავ მიუბრუნდა ტრადიციულ თემას – მოთხოვნას, რომ საქართველომ ორმხრივი ხელშეკრულებით დაადასტუროს მესამე ქვეყნის სამხედრო ძალებზე უარის თქმის საკითხი. მოსკოვს აფრთხობს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მეტისმეტად მიახლოება საკუთარ საზღვრებთან. როგორც პრესა აღნიშნავს, უვანიამ მიანიშნა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ ესეც შეიძლება განხილვის საგანი გახდეს, ანუ საქართველო ამ მხრივ კომპრომისზე წავა, თუ რუსეთი შეიცვლის პოლიტიკას აფხაზეთთან დაკავშირებით. ამავე დროს, ზურაბ უვანიამ შეასენა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, სერგეი ლავროვს, რომ თბილისი მზად არის, საქართველოდან რუსული სამხედრო ჯონტინგენტის გაყვანის სანაცვლოდ, გაითვალისწინოს მოსკოვის ინტერესები და ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად თბილისში შეიქმნას ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრი, შესაბამისი ძალისმიერი სტრუქტურით. (“დილის გაზეთი”, “24 საათი”, “ალია”, 25-27 მაისი, 2004)

მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი თურქეთში, აჭარაში განვითარებული მოვლენების შემდეგ, მნიშვნელოვანი იყო ერთდროულად რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით: თურქეთი საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი დღეებიდანვე ანგარიშგასაწევი და საიმედო პარტნიორია; ასლან აბაშიძესა და ცენტრს შორის ურთიერთობის გართულებისას კი ანკარის პოზიციამ საქართველოს ხელისუფლებას მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია და აბაშიძემ, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ შეძლო ყარსის ხელშეკრულებაზე აპელირებით საქართველოსთვის სახიფათო მოვლენების პროცესირება. აჭარაში ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ თურქეთ-საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობასაც სულ სხვა დატვირთვა მიეცა. მიხეილ სააკაშვილმა იმედი გამოთქა, რომ საქართველოში, განსაკუთრებით კი აჭარის რეგიონში, თურქელი კაპიტალი წარმატებით იმუშავებს. თურქეთის პრეზიდენტ აქმედ სეზერთან შეხვედრისას მიხეილ სააკაშვილი ახალი ინიციატივით გამოვიდა. მან შესაძლებლად მიიჩნია საქართველო-თურქეთის დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალის ამოქმედება, რომელმაც საქართველო ევროპას, ხოლო თურქეთი ცენტრალურ აზიასა და რუსეთთან უნდა დააკავშიროს. მოგვიანებით პრესა აღნიშნავდა, რომ თურქეთ-საქართველოს რკინიგზის მშენებლობის პერსპექტივამ სერიოზულად შეაშფოთა სომხეთისა და რუსეთის ხელისუფლება, რომელთა ინტერესებში, პირველ რიგში, სოხუმი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის ამოქმედება შედის. ვიზიტისას გამოიკვეთა, ასევე, ორი ქვეყნის დამაკავშირებელი დიდი ავტობანის მშენებლობის, სავიზო რეჟიმის გამარტივების პერსპექტივა; ეს კი იმ პირობებში, როცა თურქეთი და საქართველო ევროკავშირისკენ მიისწრაფვიან, დააჩქარებს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური სისტემების ინტეგრირებასაც. შესაძლოა, თურქეთი გახდეს ევროპასთან არა მხოლოდ

საქართველოს, არამედ, ზოგადად კავკასიის დამაკავშირებელი ხიდი. მნიშვნელოვანი იყო მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა თურქეთის მოქალაქეებთან – ქართული წარმომავლობის ბიზნესმენებთან, რომლებსაც მან ორმაგი მოქალაქეობის მიღებისა და საქართველოში მათი ინვესტიციების დაცვის გარანტია მისცა. (21 მაისის პრესა)

“მილიონერთა დესანტი საქართველოში”, “რუსული ექსპედიცია თუ რუსული ექსპანსია”, “რუსეთის მეგობრული ხელი თუ ეკონომიკური ექსპანსია”, “რუსული მოწყალება თუ იმპერიული განზრახვა”, “როგორი რუსი უფრო სახიფათოა – ფულიანი თუ უფულო?”, “რუსული ბიზნესი რუსულ პოლიტიკას ხარგს უხდის”, “ლია თამაში საქართველოსა და რუსეთს შორის” – ეს სათაურები კარგად გამოხატავს პრესის საერთო დამოკიდებულებას საქართველო-რუსეთის ბიზნეს-ფორუმისადმი. “ამ თვითმფრინავთან ერთად რამდენიმე მილიარდი დოლარის ინვესტიცია “ჩამოფრინდა.” მათგან საქართველოში რამდენი განხორციელდება, ქართულ მხარეზეა დამოკიდებული”, – თვითმფრინავიდან ჩამოსვლისთანავე განაცხადა რუსეთის ეკონომიკისა და განვითარების მინისტრმა გერმან გრეფმა. (“24 საათი”, 28.05.2004) გრეფის შესახებ პრესა გვაუწეუბს, რომ იგი “კრემლის ეკონომიკური აგრესიის ერთ-ერთი არქიტექტორია”. ბიზნეს-ფორუმი და ბოლო დროს გააქტიურებული რუსული ფაქტორი პრესას აძლევს საფუძველს “ახალ რეალობაზე” მსჯელობისთვის: როგორც ჩანს, ამერიკას არაფერი აქვს საწინააღმდეგო საქართველოში რუსული კაპიტალის შემოსვლის, მაგრამ ვაშინგტონი მტკიცნეულად რეაგირებს ყველა ტენდენციაზე, რაც, მათი აზრით, ხელს შეუშლის საქართველოს ტერიტორიის გავლით ნავთობსადენისა და, განსაკუთრებით, გაზსადენის, მშენებლობას. ამ კონტექსტში განიხილება პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებაც, რომ სტრატეგიული გაზსადენები და პორტები პრივატიზებას არ ექვემდებარება. თუმც, მას არ გამოურიცხავს გაზსადენის პროექტში “გაზპრომის” მონაწილეობა – წილობრივი საწარმოს შექმნით, რომელშიც რუსულ კომპანიას საკონტროლო პაკეტი არ ექნება. (29-31 მაისის პრესა, 2004)

ზემოაღნიშნული ვიზიტებისა და, საერთოდ, ქართულ პოლიტიკაში რუსეთის როლის გააქტიურების ფონზე, პრესა ინტენსიურად განიხილავს კავკასიაში გეოპოლიტიკური კონიუნქტურის შეცვლისა და საქართველოს სასარგებლოდ მისი გამოყენების შესაძლებლობას. პრესაში იკვეთება რუსი პოლიტოლოგების შეშფოთება და ქართველების ოპტიმიზმი, თუმც, მათი მოსაზრებები ერთ წერტილში მაინც იკვეთება – რუსეთს ამ ვითარებაში არ გააჩნია განსაზღვრული კავკასიური პოლიტიკა, ასევე, მან არ იცის, როგორ ააგოს ახალი ურთიერთობა საქართველოსთან. მეორე მხრივ, ფიგურირებს მოსაზრებაც, რომ პუტინი საქართველოში კაპიტალს ცვლის; ასლან აბაშიძესა და სოხუმის ახლანდელ რეჟიმსაც ელცინისდროინდედ ფიგურებთან პქონდათ ურთიერთობა. ამ თვალსაზრისით მოსკოვისა და თბილისის პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა – პუტინი ცდილობს ფინანსები დაიმორჩილოს და

გააკონტროლოს, სააკაშვილი – საქართველოს იურისდიქცია აღადგინოს. ამასთან, კონფლიქტების მოგვარება დიპლომატიური თვალსაზრისითაც მომგებიანია რუსეთისთვის, იგი, ბოლოს და ბოლოს, შეასრულებს სამშვიდობო მისიას და დსთის სივრცესა და, კერძოდ, კავკასიაში საკუთარ ფუნქციებს დააფიქსირებს. გარდა ამისა, პრესაში გვხვდება ვერსიაც, რომ შესაძლოა აჭარასა და აფხაზეთში, რუსეთის ინტერესის დასაკმაყოფილებლად, საქართველოს ხელისუფლებამ თავისუფალი ეკონომიკური ზონა შემოიღოს; ამასთან, ცნოს აფხაზეთში რუსული ბიზნესის მიერ შესყიდული ობიექტების კანონიერება.

შესაძლოა, ამგვარი ახსნა ნაწილობრივ პასუხობდეს კითხვებს, რომელიც აქტიურად მუსირებს 2004 წლის მაისის პრესაში – რატომ შეასრულა რუსეთმა რევოლუციებად წოდებულ პროცესებში პოზიტიური როლი; რა დათმო საქართველომ სანაცვლოდ? საქართველოს ხელისუფლება პრორუსულია თუ აშშ-მ მოახდინა ზემოქმედება რუსეთზე? ქართული პრესა, აჭარის მოვლენებით მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებების გამოხმაურებაზე დაყრდნობით, აღნიშნავს, რომ საქართველოში ნოემბრისა და მაისის რევოლუციების მშვიდობიანად დასრულება ორი გიგანტი სახელმწიფოს – აშშ-ისა და რუსეთის გარიგების შედეგია. პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე საქართველოს ლოიალობას რუსეთის ეკონომიკური პოლიტიკისა და კაპიტალის მიმართ აშშ-ის პოლიტიკას უკავშირებს. მისი აზრით, ასეთი მოქმედებით ვაშინგტონს სურს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სიმძიმე არ დააწვეს აშშ-ს, როგორც ეს უქსპრეზიდენტ შევარდნაძის დროს იყო და თბილისმა აიღოს საკუთარ თავზე ამ პრობლემის მოგვარება, ეკონომიკური მექანიზმების ჩართვით. (“რეზონანსი”, 29.05.2004) ამ მოსაზრებას ამყარებს აშშ-ში სალომე ზურაბიშვილის ვიზიტისას კოლინ პაუელთან შეხვედრის შემდგომ გაეთებული განცხადებები იმის თაობაზე, რომ ამერიკა არ არის წინააღმდეგი საქართველოში არსებული კონფლიქტები რუსეთის დახმარებით მოგვარდეს. ეს განცხადება მით უფრო მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ ამ შეხვედრის ძირითადი თემა აჭარის საკითხი, ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის პრობლემები იყო. (“მთავარი გაზეთი”, 02.06.2004)

პრესის ანალიზისას თვალშისაცემია ერთი გარემოება – ევროატლანტიკური ინტეგრაციის თემა, რომელიც წინა პერიოდში ფიგურირებდა საგარეო პრიორიტეტების განსაზღვრისას, ერთგვარად ჩრდილში მოექცა. როგორც აღვნიშნეთ, ევროპის თემის გააქტიურებით საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა რუსეთის თავმოყვარეობა ნაკლებ შელახულიყო – დასავლეთისკენ საქართველოს სწრაფვის გამო. როგორც ჩანს, ამ თვალსაზრისით “ევროატლანტიკურმა მესიჯმა” უკვე შეასრულა გარკვეული საინფორმაციო და დიპლომატიური ფუნქცია. ამასთან, პრესაში აქტიურდება ნატო-ს თემა, ისევ და ისევ რუსეთის თემასთან მჭიდრო კავშირში.

საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევების ასოციაცია “გორბის” ინფორმაციით, 2004 წელს წარმოებული კვლევის მონაცემებით, წინა წლებთან შედარებით, გამოკითხულთა კიდევ უფრო დიდი ნაწილი – 76% უჭერს მსარს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრიანების იდეას (კვლევაში მონაწილეობდა 2000 რესპონდენტი საქართველოს მასშტაბით). პოლიტოლოგ კახა ქენქაძეს 3-4 წელიწადში ნატო-ში საქართველოს შესვლა რეალურად ესახება, რამდენადაც, საქართველო ნატო-ს სამი დიდი სამომავლო ინიციატივის (პროგრამა – პარტნიორობა მშვიდობისათვის, ხმელთაშუაზღვის დიალოგი, სტამბოლის თანამშრომლობის ინიციატივა) გადაკვეთის წერტილში მქონეა. (“რეზონანსი”, 23.06.2004)

ნატო-ს თემას პრესაში ლაიტმოტივად გახდევს ამ საკითხთან რუსეთის მწვავე დამოკიდებულების აქცენტი. მიუხედავად იმისა, რომ ივნისში ბრიუსელიდან საქართველოს დელეგაცია მიღიარდიანი დახმარების პერსპექტივით დაბრუნდა, რუსული მედიის ყურადღების ცენტრში მოუქცა არა იმდენად ეს ფაქტი, არამედ, საქართველოს თავდაცვის მინისტრის, გიორგი ბარამიძის, განცხადება დონორი ქვეყნების წინაშე – რომ საქართველო მზადაა ნატოს ჯარებს თავისი ტერიტორია დაუთმოს. ამგვარი განცხადება თავისთავადაც ალოგიკური იყო, საქართველოს პრეზიდენტისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ არაერთგზის დაფიქსირებული, დიამეტრალურად განსხვავებული პოზიციის ფონზე. შესაბამისად, მედიასაც გაუჭირდა მისი ახსნა. პოლიტოლოგ პაატა ზაქარეიშვილის კომენტარით, მინისტრის განცხადებას ისეთი დატვირთვა არა აქვს, როგორიც პრეზიდენტის განცხადებას; მეორეც – აშშ-ს რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება არ უდირს, მით უფრო, რომ სტრატეგიული თვალსაზრისით საქართველოში ბაზების განლაგება ბევრს არაფერს მოუტანს და თურქეთი აბსოლუტურად აქმაყოფილებს. (“რეზონანსი”, 19.06.2004)

ამავე პერიოდში, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, რუსეთსა და საქართველოს შორის განახლდა კონსულტაციები სამხედრო საკითხებზე. თბილისმა მოსკოვს, სამხედრო ბაზების ნაცვლად, საქართველოში რუსულ-ქართული ანტიტერორისტული ცენტრის შექმნა შესთავაზა. სამხედრო ექსპერტების ვარაუდით, ჩეჩენურ-ინგუშური მოვლენები რუსეთს ქმედითი ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნისკენ უბიძგებს. რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი აცხადებს, რომ ანტიტერორისტული ცენტრის შექმნა ბაზების ლიკვიდაციის პროცესთან არ არის დაკავშირებული (თუმც, თავის დროზე ამგვარი ცენტრის შექმნის იდეა რუსეთის ხელისუფლებას ეპუთვნოდა). რუსეთთან სამხედრო მოლაპარაკებაში წარმატების მისაღწევად საქართველოს მთავრობა მზადაა ოფიციალურადაც დაადასტუროს, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ბაზების განლაგებას არ აპირებს. როგორც აღვნიშნეთ, მოსკოვში ვიზიტისას, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე

ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ საქართველო არ აპირებს საკუთარ ტერიტორიაზე არც ერთი ქვეყნის ბაზის განლაგებას, მაგრამ ჩარჩო-ხელშეკრულება არ არის ის დოკუმენტი, რომელშიც მსგავსი ტიპის განცხადება უნდა გაპეთდეს. ამჯერად იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს ეს პოზიცია ჩარჩო ხელშეკრულებაში დაფიქსირდეს. (“საქართველოს რესპუბლიკა”, “მთავარი გაზეთი”, 23.06.2004) ამასთან, ვიდრე რუსეთის ბაზების გაყვანის საკითხი არ გადაწყდება, საქართველოს ხელისუფლება შეუძლებლად მიიჩნევს რუსეთ-საქართველოს შორის ჩარჩო-ხელშეკრულების გაფორმებას.

ნატო-ს სტამბულის სამიტის წინ რუსეთი ბაზებით “გაჭრობას” იწყებს; თავდაცვის მინისტრი ასახელებს ბაზების გაყვანის “შეღავათიან” თანხას – 300 მლნ დოლარს, 500-ის ნაცვლად. გაზეთ “რეზონანსის” ინფორმაციით, საქართველოში დარჩენილ ორ რუსულ ბაზაზე – ახალქალაქება და ბათუმში დასაქმებული რუსი სამხედროებისა და საქართველოს მოქალაქების საერთო რაოდენობა დაახლოებით 5000-ია. სამხედრო ექსპერტი ირაკლი ალადაშვილის აზრით, მათი გაყვანისთვის 300 მლნ დოლარის დასახელება გადაჭარბებულია; მით უფრო, რომ სამხედრო მოსამსახურეთა დიდი ნაწილი ადგილობრივი მოსახლეა, რომელთაც რუსეთის მოქალაქეობა მიიღეს და, ბაზების გაყვანის შემთხვევაში თუ საქართველოში დარჩენას გადაწყვეტენ, მათზე საქართველოს ხელისუფლება იზრუნებს. (“რეზონანსი”, 23.06.2004)

ნატო-ს სამიტზე სპეციალური კომუნიკა მიიღეს, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოდან და მოლდოვადან რუსეთის ბაზების გაყვანა “ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების” რატიფიცირების პირობებს შექმნის. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ცდილობდა ალიანსის მოთხოვნების იგნორირებას; მისი განმარტებით, “ხელშეკრულების რატიფიკაცია იურიდიულად არ უკავშირდება ბაზების გაყვანის პროცესს. თუმცა, რუსი დიპლომატი იმასაც აღნიშნავს, რომ, “კეთილი ნების გამოვლენის შემთხვევაში, საკითხი შესაძლოა თპერატიულად მოგვარდეს.” რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში კი აცხადებენ, რომ კეთილი ნება საქართველოს მხრიდან ნატო-ში ინტეგრირებაზე უარის თქმაა.” (“მთავარი გაზეთი,” 29.06.2004) საქართველომ არა თუ უარი თქვა ნატო-სკენ სწრაფვაზე, არამედ სამიტზე დამტკიცდა ალიანსთან საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის სამხედრო ნაწილი და ოფიციალურად გახდა ცნობილი, რომ აგვისტოში საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვევოდა ნატო-ს გენერალური მდივანი პოპ სხევერი.

ნატო-ს სტამბულის სამიტზე შედგა საქართველოს პრეზიდენტის პირისპირ შეხვედრა აშშ-ის პრეზიდენტთან, რომელზეც, პრეზის ვერსიით, ბაზების გაყვანის საკითხზეც ისაუბრეს. ჯორჯ ბუშისა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრის შემდეგ ურნალისტებისათვის ცნობილი გახდა, რომ ნატო-ს წევრი ქვეყნების ერთობლივი კომუნიკა მოუწოდებს რუსეთს დააჩქაროს საქართველოდან და მოლდოვადან

სამხედრო ბაზების გაყვანის პროცესი. გარდა ამისა, კომუნიკები საქართველო და ზოგადად კავკასია, მოხსენიებულია, ოგორც ნატო-სთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონი. ნატო-ს ასეთ დამოკიდებულებას რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა არაკორექტული უწოდა და ალიანსი რუსეთის მიმართულებით სამხედრო გააქტიურებაში დაადანაშაულა: “ეს ორგანიზაცია ახალ სახელმწიფოებს ითვისებს და სულ უფრო აძლიერებს თავის ძალებს რუსეთის საზღვრებთან. ნატო ანგარიშს არ უწევს რუსეთის ინტერესებს და ცალმხრივ გადაწყვეტილებებს იღებს”, – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა და სამიტი პროტესტის ნიშნად დატოვა, ისე რომ ხელი არ მოაწერა დოკუმენტს ევროატლანტიკური პარტნიორობის განახლებაზე. ლავროვის დემარშის საპასუხოდ, საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ კონფლიქტები კავკასიაში სწორედ რუსეთის შექმნილია და მას აქვს იმედი, რომ პრეზიდენტი პუტინი ამ საკითხებს რეალისტურად მიუდგება. (“ხვალინდელი დღე”, “24 საათი”, 30 ივნისი, 2004) ამ კონტექსტში ნათლად გამოჩნდა ის რეალური მიზეზი, რის გამოც რუსეთის პრეზიდენტმა, მრავალგზის მიპატიუების მიუხედავად, თავი აარიდა სამიტი მონაწილეობას.

საინტერესოა, რომ რუსული საინფორმაციო პორტალი “რეგნუმ”, პუბლიკაციაში – “რუსული დემარში სტამბულში”, აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მოახერხა ლავროვის დემარშის შემდეგ დაძაბული სიტუაციის განმუხტვა. მართალია, მან განაცხადა, რომ კონფლიქტების წარმოქმნას მნიშვნელოვნად განაპირობებდა რუსეთი, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ “დღეისათვის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები თანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის პრინციპებით წარიმართება. “რეგნუმის” ინფორმაციით, ამის შემდეგ ლავროვმა განაცხადა, რომ დარბაზიდან მისი გასვლა პოლიტიკური მოსაზრებით არ იყო ნაკარნახევი. (Regnum.ru.29.06.04)

მიხეილ სააკაშვილი სამიტის ოფიციალურ გახსნამდეც აცხადებდა, რომ “ბოლოს და ბოლოს წარსულს უნდა ჩაბარდეს ის დრო, როცა კონფლიქტებზე საუბარს ყველა თავს არიდებდა” და მიზნად ისახავდა კონფლიქტებთან დაკავშირებით ნატო-ს წევრი ქვეყნების ინფორმირებას. სამიტის ამსახველ პუბლიკაციებში ვხვდებით ინფორმაციას, რომ აშშ ცდილობს ევროპის როლის გააქტიურებას კავკასიის კონფლიქტების მოგვარების პროცესში. ანალიტიკოსების აზრით, არსებობს ორი გზა – ან კავკასია უნდა იქცეს დასავლეთის და რუსეთის თანამშრომლობის პლაცდარმად, ან აშშ-ისა და რუსეთის (არა მხოლოდ!) ინტერესთა დაპირისპირების ზონად. პრესაში ვითარდება მოსაზრებაც, რომ ძლიერი და კეთილგანწყობილი საქართველო რუსეთს სამხერეთით მთელ რიგ პრობლემებს ავტომატურად მოუხსნის; კრემლშიც ძნელად, მაგრამ აცნობიერებენ, რომ მოძლიერებული საქართველო სასარგებლო იქნება თავად რუსეთისთვის. (“ხვალინდელი დღე”, “მთავარი გაზეთი”, 29.06.2004)

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე, სამიტის შედეგების კომენტირებისას, შეშფოთებას გამოთქვამს იმ კონფლიქტური განლაგების გამო, რომლის მიხედვითაც ნატო და საქართველო ერთმანეთის მხარეს არიან, ხოლო რუსეთი – ცალკე. ამან შეიძლება სირთულეები წარმოშვას, როგორც აფხაზეთის, ისე ოსეთის მიმართულებით. (“რეზონანსი”, 30.06.2004) ამ მოსაზრების ილუსტრაციად გამოდგება რუსული მედიის გამოხმაურება სტამბულის სამიტზე – გადიზიანება არა მხოლოდ ბაზების საკითხით, არამედ ბუშისა და სააკაშვილის პირისპირ საუბრით და იმ ფაქტითაც, რომ პროტოკოლით გათვალისწინებული ფოტოს გადაღებისას ბუში დემონსტრატიულად დაუდგა გვერდით ქართველ კოლეგას.

სტამბულის სამიტის “დამსახურება” რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივნის, იგორ ივანოვის განცხადება, რომ “ხელისუფლების შეცვლა ჯერ საქართველოში და შემდეგ აჭარაში, არ ყოფილა არც ვარდების და არც ხავერდოვანი რევოლუცია. ეს იყო ხელისუფლების ძალით შეცვლა და ორივე შემთხვევაში სისხლისდგრის თავიდან აცილება რუსეთის დამსახურება.” (“მთავარი გაზეთი”, 01.07.2004)

ნატო-ს სტამბულის სამიტს ქართული პრესა ქართული დიპლომატიის წარმატებად მიიჩნევს; “დილის გაზეთი” წერდა, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა თურქეთი მედია-ტექნოლოგიებით დაიძყრო, იგი სრულყოფილად ფლობს ახალი ეპოქის ტექნოლოგიებს. პრეზიდენტ სააკაშვილის შეფასებით, “საქართველოსთვის იწყება სრულიად ახალი ეტაპი. დაგჭირდება დრო, დაგჭირდება მოთმინება”; “ნატო ბილეთია ევროკავშირში შესასვლელად.” (“დილის გაზეთი”, “24 საათი”, “მთავარი გაზეთი”, 01.07.2004)

აქვე აღვნიშნავთ, რომ ნატო-ს სამიტზე საპატიო სტუმრის სტატუსით მიწვეული მიხეილ სააკაშვილისთვის სტამბულში ყოფნა მნიშვნელოვანი იყო თურქეთთან ურთიერთობის გაღრმავების თვალსაზრისითაც. პრესის შეფასებით, თურქეთის ხელისუფლებამ საქართველოსთან განსაკუთრებული დამოკიდებულების დემონსტრირება მოახდინა; მიხეილ სააკაშვილს სტამბულის ერთ-ერთმა მუნიციპალიტეტმა საზეიმო შეხვედრა მოუწყო, ვარდებითა და კონცერტით. თავის მხრივ, სააკაშვილმა, ფრანგულ “ლე მონდ”-თან ინტერვიუში, განაცხადა, რომ ევროპამ უნდა შეაფასოს თურქეთის დირსებები და ამ შეფასებაზე რელიგიურმა საკითხმა გავლენა არ უნდა მოახდინოს. თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში, საქართველო მას ავტომატურად მიჰყება. სტამბულში მყოფ საქართველოს პრეზიდენტს ოფიციალური შეხვედრა ჰქონდა თურქეთის პრეზიდენტ ახმედ ნეჯეფ სეზერთან. შეხვედრაზე გადაწყდა საქართველოში თურქ ბიზნესმენთა ასკაციანი დელეგაციისა და თურქეთის პრემიერ-მინისტრის ჩამოსვლა და ბიზნესფორუმის გამართვა. (“საქართველოს რესპუბლიკა”, 29.06.2004)

ნატო-ს სამიტის თემის გაანალიზებისას გაზეთ “ახალ ვერსიაში” ყურადღება მიიპყრო ასეთმა მოსაზრებამ: “რუსეთზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ამერიკა დასაყრდენს არა მხოლოდ კაგასიაში, არამედ მთლიანად ახლო აღმოსავლეთში ეძებს. ქართველ ექსპერტთა ერთი ნაწილის მტკიცებით, უკვე შემუშავებულია დასავლური გეგმა ამ პროცესში ფერეიდნელი ქართველების ჩართვის თვალსაზრისით. ამერიკას სურს ირანში ფეხის მოსაკიდებლად და მუსულმანური ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ძლიერი პლაცდარმი შექმნას. დაუდასტურებელი ინფორმაციით, საქართველოს ხელისუფლებამ უკვე მისცა თანხმობა ამ პროცესში ფერეიდნელ ქართველთა ჩართვასთან დაკავშირებით. ამ მიზნით, ქართული მხარე ფერეიდანში სპეციალურ იდეოლოგიურ მუშაობას დაიწებს. ასევე, ამერიკული დასაყრდენის პუთხით განიხილებიან თურქეთში მცხოვრები ლაზებიც.” (“ახალი ვერსია”, 28.06.2004)

ამავე გაზეთში, პრეზიდენტ სააკაშვილის ირანული ვოიაჟისადმი მიძღვნილ პუბლიკაციაში, ეს მოსაზრება უკვე სათაურსა და ქვესათაურში ფიგურირებს: “დასავლური ინტერესები ფერეიდანში”, “ამერიკა ირანში პოლიტიკურ დასაყრდენს ეძებს”. პუბლიკაციის ლიდში კი ვკითხულობთ: “სახელისუფლო კულტარებში” საუბარი დაიწყო იმაზე, რომ საქართველო ირანში დასავლურ ინტერესებს ლობირებს. ლაპარაკია ფერეიდანში ერთგვარი სამხედრო-პოლიტიკური პლაცდარმის შექმნაზე, რომელსაც ამერიკა ისლამისტური ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენებს. საქართველოს ამ გეგმაში მთავარი იდეოლოგის ფუნქცია აკისრია.” პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე, ამ მოსაზრების კომენტირებისას, არ გამორიცხავს “ფერეიდნული კარტის” გათამაშებას, მაგრამ ფიქრობს, რომ ბუშის ადმინისტრაცია ამ გეგმიდან მაინცადამაინც დიდ შედეგს არ უნდა ელოდეს; ფერეიდნული დიასპორა ირანში არ წარმოადგენს ისეთ ძლიერ წარმონაქმნეს, რომ მან სერიოზული როლის შესრულება შეძლოს: “თუკი თბილისსა და მოსკოვს შორის ბოლო პერიოდში დამთბარ ურთიერთობებს გავითვალისწინებთ, არ არის გამორიცხული, საქართველო ირანში არა მხოლოდ ამერიკის, არამედ რუსეთის ინტერესების ლობისტადაც მოგვევლინოს,” – აღნიშნავს საყვარელიძე. მისივე თქმით, “კაგასიის რეგიონში ძნელად მოიძებნება ქვეყანა, რომელსაც ერთნაირად მიესვლება როგორც ირანთან და თურქეთთან, ისე ამერიკასთან და რუსეთთან. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით, საქართველოს თავისუფლად შეუძლია პოლიტიკური დამბალანსებლის ფუნქციები საკუთარ თავზე აიდოს.” (“ახალი ვერსია”, 09.07.2004)

ეს ვერსია უნიადაგო არ ჩანს იმის გათვალისწინებითაც, რომ ნატო-ს სამიტის წინა პერიოდში საქართველოს ტელეარხები (“მზე”, “იმედი”, “რუსთავი-2”) ერთმანეთს ასწრებდნენ ფერეიდნელებსა თუ ლაზებზე გადაღებული ახალი ვიდეოფილმების ჩვენებას. აღსანიშნავია ისიც, რომ მიხეილ სააკაშვილის სტუმრობამ ფერეიდანში

ძლიერი ემოციური ფონი შექმნა და ეს ვიზიტი არ გადაიდო აგვისტოში ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენების მიუხედავადაც.

სააკაშვილისა და პუტინის არაფორმალური შეხვედრა მოსკოვში, ნატო-ს სამიტის ლოგიკური გაგრძელება იყო. შეხვედრამ, პრესის ინფორმაციით, დაგეგმილზე გაცილებით მეტ ხანს გასტანა; სააკაშვილი ცდილობდა პუტინის დარწმუნებას, რომ საქართველოში ნატო-ს სამხედრო ბაზა არ ამოქმედდება, რუსეთის ბაზებს “ადამიანური პირობების სრული დაცვით გააცილებს” და რომ რუსეთს შეუძლია საქართველოსთან ერთობლივ ანტიტერორისტულ ცენტრში ითანამშრომლოს. როგორც ჩანს, პუტინის დარწმუნება ნაწილობრივ მაინც მოხერხდა, რადგან სააკაშვილის განცხადებით, კრემლი თანახმად საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი გაამარტივოს. რუსეთის პრეზიდენტი კი აცხადებს, რომ მზადაა განიხილოს საქართველოს კონკრეტული წინადადებები კონფლიქტის (ცხინვალის) მოწესრიგების საკითხთან დაკავშირებით; რომ რუსეთის უშიშროების საბჭო და საქართველოს უშიშროების საბჭო დაიწყებენ პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შესაქმნელად.

პრესის პუბლიკაციებში არ კონკრეტდება, შეთანხმდნენ თუ არა პრეზიდენტები ცხინვალის კონფლიქტში რუსეთის სრულ ჩაურევლობაზე, თუმც, მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ “პუტინი კეთილგანწყობილია და ოსებს რუსეთის ჩარევის იმედი ადარ უნდა ჰქონდეთ”. გაზეთ “იზვესტია”-სთვის მიცემულ ინტერვიუში იგი ამბობს, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობაში იმაზე მნიშვნელოვანი საკითხები არსებობს, ვიდრე “სამხრეთ ოსეთია”. ამით სააკაშვილი კოკოითის რეჟიმს მიანიშნებს, რომ მოსკოვისთვის ცხინვალის რეგიონი არ არის ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის, კრემლს რომ დასავლეთთან ურთიერთობის გაფუჭებად უდირდეს. გაზეთ “ახალი ვერსიის” კომენტარით, “რუსეთს ნატო-ს კომპლექსი აქვს გადასალახი და, როგორც ჩანს, პრეზიდენტი სააკაშვილი ცდილობს პუტინს ეს პრობლემა მაქსიმალურად უმტკივნეულოდ მოაგვარებინოს.” (“ახალი ვერსია”, 05.07.2004) ყურადღებას შევაჩერებთ ერთ ნიუანსზეც: ერთადერთი დოკუმენტი, რომელთან დაკავშირებითაც დსთ-ის მოსკოვის არაოფიციალური სამიტის მონაწილე პრეზიდენტებმა ოფიციალური პოზიცია გამოხატეს, ყაზახეთის ინიციატივა იყო – ეუთო-ს საქმიანობის კრიტიკულად შეფასების მოთხოვნა. ეს წინადადება რუსეთმაც მოიწონა. საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა კი ეუთო-ს საწინააღმდეგო განცხადების მიღებას მხარი არ დაუჭირეს.

2004 წლის ოქტომბერში, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ამ წლის ბოლო საგარეო ვიზიტით, ეწვია ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს – ესტონეთს, ლატვიასა და ლიტვას. ვიზიტების ამსახველ პუბლიკაციებში იკვეთება, რომ ბალტიის ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობა ევროსტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის

ერთ-ერთი რეალური გარანტიაა. ვიზიტების შედეგებიდან, როგორც თავად პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აღნიშნავს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლიტგაში ხელმოწერილი დეკლარაცია რეგიონული თანამშრომლობისა და ეკონომიკული და ეკო-ატლანტიკური ინტეგრაციის სფეროში თანადგომის შესახებ: “ეს იმას ნიშნავს, რომ ნატო-სა და ეკონომიკური კავშირში ლობისტი გაგვიჩნდა... ჩვენ ერთობლივი ინიციატივით გამოვდივართ – 3+3 ფორმატით შეიქმნას სამი კავკასიური და ბალტიისპირეთის სამი სახელმწიფოს ახალი რეგიონული თანამშრომლობის მექანიზმი. ეს მექანიზმი სომხეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანს ყოველმხრივ წაადგება. ბალტიის სამი ქვეყანა დაგვეხმარება, რომ ჩვენი ინტერესები ეკონოკავშირში გააქციეროს, დავუახლოვდეთ ეკონომიკური და უკელა ეკონომიკულ თრგანიზაციაში ჩვენი ხმა მუდმივად ისმოდეს.” (“24 საათი”, 15-16.10.2004) პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტორზე, რომ ნატო-ს სტანდარტებთან მიახლოების თვალსაზრისით ბალტიის ქვეყნებს დიდი გამოცდილება აქვთ. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ უკრაინაში პრორუსული ძალების გამარჯვების შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვნად შეიცვლება ამ რეგიონში გეოსტრატეგიული პასეანსი. (“რეზონანსი”, 13.10.2004)

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დაგასკვნათ:

“ვარდების რევოლუციის” შემდგომ პერიოდში საინფორმაციო გელში დისკურსი – საქართველო-რუსეთი-აშშ თითქოს არსებითად არ შეცვლილა, მაგრამ განსხვავება მაინც თვალშისაცემია; ტრადიციული “რუსული ფაქტორი” ისევ ძალაში რჩება, მაგრამ რუსეთის ყოვლისშემძლეობის ფსიქოლოგიურ და საინფორმაციო იმიჯს თანდათან ენაცვლება ახალი რაკურსი – საქართველოს პრობლემების გასაღები აღარ ძევს მხოლოდ რუსეთში; გარდა იმისა, რომ არა მხოლოდ საქართველო, არამედ დასავლეთიც აუცილებლად უწევს ანგარიშს რუსეთის ფაქტორს, თავის მხრივ, რუსეთსაც უხდება საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესისა და, პიროვნულად, მიხეილ სააკაშვილის ფაქტორის გათვალისწინება. საქართველოს პრეზიდენტი, ერთის მხრივ, თავს უფლებას აძლევს “სახელი დაარქვას” რუსეთის დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ (მაგალითად გამოდგება თუნდაც მისი განცხადება ნატო-ს სტამბულის სამიტზე), მეორე მხრივ, პარალელურად ავრცელებს მესიჯს, რომ მას ყოველთვის აქვს პრეზიდენტი პუტინის პრაგმატული პოლიტიკის, მასთან კონსტრუქციული დიალოგისა და მეგობრული ურთიერთობის იმედი. პუტინი, ძირითადად, პოზიტიურ კონტექსტში ფიგურირებს, რეალისტი პოლიტიკოსის იმიჯით. რუსული მხარის “ძველი მენტალობის” ტიპიურ მაგალითად კი, გამოდგება რუსი პარლამენტარის მიერ ქართველი უურნალისტებისთვის ნათქვამი ფრაზა: “ჩვენმა ვოვამ თქვენს ბუშს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ჩააბარა.” (“24 საათი”, 11.06.2004) ეს ფრაზა მოვიხმეთ კიდევ ერთ ტენდენციაზე მისანიშნებლადაც – პრესაში (2004 წლის

აგვისტოს მოვლენებამდე) მართლაც იგრძნობა რუსეთისა და აშშ-ის “გარიგების” მეშვეობით კონფლიქტების მოგვარების იმედი.

საქართველო-რუსეთის კონფრონტაციისა და საქართველო-აშშ-ის პარტნიორობის დასაბალანსებლად წინა პლანზე იწევს ეკონომიკური ფაქტორი, რაც, პრესაში შექმნილი სურათის მიხედვით, მომგებიანია სამივე მხარისა და, პლუს, ევროპისთვის.

საქართველოს “პროევროპული” აქცენტის გაძლიერება არა მხოლოდ რუსეთის გაღიზიანების (უმთავრესად, ნატო-სკენ საქართველოს მისწრაფების გამო) გამანეიტრალებელი მესიჯია, არამედ იგი, ამასთან, გამოხატავს, საქართველოს მიმართ ევროპის ინტერესის გააქტიურებასაც.

დისერტაციის ამ ნაწილში შევუცადეთ შეძლებისდაგვარად ფართოდ წარმოგებელინა პრესის საგარეო-პოლიტიკური აქცენტები, რამდენადაც, საქართველო იყო და არის ქვეყანა, რომლის არსებობასა და განვითარებას, არსებითად, განსაზღვრავს საერთაშორისო კონიუნქტურა. 2004 წლის პირველ ნახევარში – აჭარაში, აგვისტოში კი – ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებთან რუსეთის, აშშ-ისა და ევროპის მიმართებას განვიხილავთ შესაბამის ქვეთავებში – “აჭარის მოვლენები – “ვარდების რევოლუციის” ლოგიკური გაგრძელება” და “კონფლიქტური რეგიონები”; ხოლო მონაკვეთი – “საქართველოში ჯორჯ ბუშის ვიზიტის რეზონანსი პრესაში” ასახავს ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში საქართველოს ჩართვის პერსპექტივას.

• დესტაბილიზაციის “საინფორმაციო უზრუნველყოფა”

“ჩემი კოლეგების არცთუ უმნიშვნელო ნაწილი სექტემბერ-ოქტომბერში დიდ სენსაციებსა და ცხელ-ცხელ რეპორტაჟებს გეგმავს... იწერება “სერიალები” პაერში დატრიალებულ დენთის სუნზე, საეჭვო შენაერთებზე, ხალხის აზვირთებულ ტალღებსა და არეულობებზე... უურნალისტები მონდომებით ცდილობენ, როგორმე დააჩქარონ სასურველი რეალობის დადგომა... ბევრი პუბლიკაცია თუ სატელევიზიო გადაცემა ხალხის დანამუშება და შეგულიანებაა – ამდენს ვლაპარაკობთ, დევებთან მებრძოლ გმირებად გსახავთ და, აბა თქვენ იცით, არ გამოგვიჩვრათ ყელი, საშემოდგომოდ მოსავლის აღებას არ გადაჰყეთ და “დესტაბილიზაციის” გარეშე არ დაგვტოვოთო...”, – წერდა 2000 წლის ივლისში, გაზეთ “დროს” მთავარი რედაქტორი, მარინე გიგინეიშვილი, პუბლიკაციაში, რომლის სათაური – “კოლეგებო, “ნანატრი” დესტაბილიზაცია იგვიანებს!” – პირდაპირ შეხებაშია ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის ამ ქვეთავის დასახელებასთან. (96) “უურნალისტებში”, როგორც ჩანს, მარინე გიგინეიშვილი თავის კოლეგებს, გამომცემლებსა და გაზეობის ხელმძღვანელებს

გულისხმობს, რომელთა პრიორიტეტია დაგეგმვა და სარედაქციო პოლიტიკის წარმართვა.

ქვეთავის ამგვარი დასათაურება ჩვენთვის თვითმიზანი არ ყოფილა; არც ჩვენ და არც მოხმობილი პუბლიკაციის ავტორი, არ ვგულისხმობთ, რომ დესტაბილიზაციური პროცესები ჟურნალისტების სურვილითა და ფანტაზიით იყო ინიცირებული; მაგრამ ორივე შემთხვევაში იგულისხმება, ყოველ კონკრეტულ ეტაპზე, დეტაბილიზაციისთვის საინფორმაციო ფონის შექმნის ტენდენცია.

2000-2002 წლებში დესტაბილიზაციის დინამიკა ასეთ სურათს ქმნიდა:

- I წელი – 2000 წელი – პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის არჩევისთანავე დაწყებული, მისი და აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრედიტაციის კამპანიიდან – “შემოდგომის დესტაბილიზაციამდე”, ანუ, ნოემბერ-დეკემბრის “ენერგეტიკულ ბუნტამდე”;
- II წელი – 2001 წელი – წლის დამდეგს პანკისში რუსეთის სამხედრო ოპერაციის დაწყების საფრთხიდან კვლავ “შემოდგომის დესტაბილიზაციამდე”, ანუ ე.წ. “ნოემბრის რევოლუციამდე”;
- III წელი – 2002 წელი – პანკისის პერმანენტული საფრთხისა და რუსეთის აგრესიის ფონზე – კვლავ საინფორმაციო სამზადისი “შემოდგომის დესტაბილიზაციისათვის”.

დესტაბილიზაციის სცენარები ამ წლებში დაახლოებით ერთნაირი დრამატურგიით ვითარდებოდა – “მოქმედი ვულკანი” – პანკისი, აფხაზეთი, კოდორი და რუსეთის საფრთხის მუდმივი საინფორმაციო აუთოტაჟი; “სათადარიგო ვარიანტები” – სამეცნიერო, სამცხე-ჯავახეთი, სოციალური უკაყაფილების გამოხატვისა და დემოკრატიის დაცვის საბაბით გამართული აქციები, არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობითა და შესაბამისი საინფორმაციო უზრუნველყოფით...

2000 წელს – აქციები: რეინიგზის გადაკეტვა, ფეროშენადნობთა ქარხნის მუშების გაფიცვა, “რუსთავი 2”-ის გადაცემა “60 წელისა” და მისი ავტორის აკაკი გოგიაშვილის დასაცავად, სასამართლო რეფორმის მხარდასაჭერად, პრესის თავისუფლების მოთხოვნით; ფეთქებადი სამეცნიერო (“ქობალიას სინდრომი”); “ზეიადისტების” გაქცევა ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან; დევნილები, მრავალშვილიანები სახელმწიფო კანცელარიის მისადგომებთან; წლის მიწურულს – “ენერგეტიკული ბუნტი” პოლიტიკური მოთხოვნებით...

2001 წელს – საინფორმაციო ფონის მომზადება პანკისში რუსეთის სამხედრო ოპერაციის პროვოცირებისთვის; მუხროვანის ამბოხი; გიორგი სანაიას მკვლელობით გამოწვეული აქციები; დევნილების, მრავალშვილიანების, მეანაბრეებისა და ა.შ. პერმანენტული აქციები; ერთი მხრივ – ისევ “რუსთავი 2”-ისა და პრესის თავისუფლების დაცვის საბაბით დაწყებული მასობრივი მდელვარება (სტუდენტობის აქტიურობით), გადაზრდილი “ნოემბრის რევოლუციაში” – მთავრობისა და

პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით (რასაც, საბოლოოდ, შედეგად მოჰყვა პარლამენტის თავმჯდომარის, ზურაბ ჯგანიას გადადგომა და შე მინისტრის, კახა თარგამაძის გადაყენება თანამდებობიდან); მეორე მხრივ – კოდორის, პანკისისა და აფხაზეთის საფრთხის უკიდურესი გაწვავება...

2002 წელი – პანკისის გარშემო სიტუაციის კიდევ უფრო დაძაბვა “წრთვნისა და აღჭურვის პროგრამის” პასუხად, რუსების დესანტი კოდორში; დაპირისპირების პიკი “მოქავშირში”, უგანიასა და მისი გუნდის გადასვლა ოპოზიციაში; ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო კამპანიის გამოყენება სიტუაციის დასაძაბავად, ბატალიები ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან; ბუნტი კოჯრის ბატალიონში; კვლავ საომარი მოქმედებების პროცესირება ერთდროულად პანკისის, კოდორისა და აფხაზეთის მიმართულებით...

დესტაბილიზაციურ პროცესებს საერთო ფონს უქმნიდა საინფორმაციო ამინდის შემქმნელი მედიის მეშვეობით ჩამოყალიბებული სტრუქტიპი – რომ საქართველო არშემდგარი სახელმწიფოა, რომ საქართველო საშიში ქვეყნაა.

2003 წელს, “ვარდების რევოლუციის” წინაპერიოდში, წინასწარ იქმნებოდა ფონი, რომ საქართველოში აუცილებლად გაყალბდებოდა არჩევნები და ხალხი ქუჩაში უნდა გამოსულიყო; “ხალხის ქუჩაში გამოყვანა ადვილია, შეყვანა კი – ძნელი... 1991 წელს გამოყვანილი მოსახლეობა ჯერაც გარეთ არის”, – ამბობდა ყოფილი სახელმწიფო მინისტრი და ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ლიდერი ვაჟა ლორთქიფანიძე, (“ახალი ვერსია”, 02.06.2003). ივლისში, საქართველოში ჯეიმს ბეიქერის ვიზიტმა, ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში მნიშვნელოვნად შეცვალა მოვლენების განვითარება. პრეზიდენტოან და ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან რამდენიმე დახურული შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ბეიქერმა საქართველოში საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ამერიკული სქემა ჩამოიტანა და ამ სქემის პირობებზე მხარეების დაყოლიება მოახერხა. როგორც პრესა აღნიშნავდა, “ბეიქერის ჩამოსვლამ თპოზიციას დესტაბილიზაციის გეგმა ჩაუშალა” და მისმა ვიზიტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ამერიკის ძირითადი მიზანი საქართველოში არის სტაბილური სახელმწიფოს შექმნა.

*

პრესაში აკუმულირებული მძაფრი ემოციური მუხტი და დესტაბილიზაციის მოლოდინი ხშირად წინ უსწრებს საზოგადოების ადეკვატურ განწყობას და თითქოს ერთგვარი “სასიგნალო გასროლის” როლს ასრულებს. დესტაბილიზაციის დრამატურგიის განვითარებას, მის საინფორმაციო უზრუნველყოფასა და რეზონანსს, განვითარების 2000 წლის მაგალითზე, რადგან არა მხოლოდ ამ წელს განვითარებული პროცესები, არამედ მათთან პრესის მიმართება უაღრესად საინტერესო და საგულისხმო სურათს ქმნის.

“ერთი წლის განმავლობაში სოციალურ აფეთქებას უნდა ველოდეთ”, – ერთი წლით ადრე აკონკრეტებს “რეზონანსი” დესტაბილიზაციის თარიღს და იქვე, პირველ გვერდზე, ანშლაგირებული სათაურებით ამყარებს ამ პროგნოზს – “ჰაერში დენთის სუნი სულ უფრო და უფრო მძაფრდება”, “შევარდნაძეს სოციალური აფეთქებისკენ მივყავართ” (“რეზონანსი”, 22.05.2000); “შემოდგომაზე “ბუნტი” ატყდება” (“ახალი თაობა”, 31.05.2000); “ზედმიწევნით ბევრი აქცია მოეწყო გასულ კვირას. არც თუ უსაფუძვლოდ ჩნდება ეჭვი, რომ ეს ვიღაცას აწყობს” (“დრო”, 02.05.2000). საგაზეთო სტატიებსა და “ტ/კ “რუსთავი 2”-ის ეთერში მუსირებას იწყებს “იმპიჩმენტის” ცნება.

დესტაბილიზაციის დრამატურგიული ხაზის განვითარება არც ზაფხულში წყდება, საყოველთაო დაბაბულობის მუხტი არ უნდა განეიტრალდეს. ამიტომაც, ზაფხულში წინა პლანზე იწევს სამეგრელოს ფაქტორი. პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელოში, ბონდო ჯიქია, რეგიონში სიტუაციის დაძაბვას გარკვეულ დესტაბილიზაციურ ძალებს აბრალებს და მთავრობის სხდომაზე გადადგომას ითხოვს (ჯერ კიდევ აპრილში გაზეთი ”ალია” წერდა, რომ ხელისუფლების მთავარი ბერკეტი ჯერჯერობით ტყეში გახიზნული “თუთაშხიებია”). ზაფხულში ეს ბერკეტი – მეგრელი აბრაგების ფაქტორი – ელიაგას მკვლელობის გარშემო ატეხილი საინფორმაციო აჟიოტაჟის ფონზე “ამუშავდა”. “სამეგრელო არ წამოეგება ამ ანკესზე!” – განუცხადა ჟურნალისტებს აკაკი ელიაგას ძმამ. ზაფხულშივე კიდევ ერთხელ გააქტიურდა საპროტესტო აქციებისა და გამოსვლების ტალღა, რომელთაგან თითოეულს, ბუნებრივია, თავისი გამომწვევი ობიექტური მიზეზები ჰქონდა, მაგრამ, შესაძლოა, “საშემოდგომო სპექტაკლის რეპეტიციის” ფუნქციაც ეკისრებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ “პოლიტიკური შემოდგომა” შედარებით მშვიდობიანად დაიწყო, მეტ-ნაკლებად მშვიდი გაზეთის, “ახალი თაობის” მიმომხილველებიც კი საშემოდგომო დესტაბილიზაციას გარდაუვალ მოვლენად მიიჩნევენ. ეს ტერმინი მაგიური პაროლივითაა, რომელიც, თუნდაც მინავლული, მუდმივად უნდა არსებობდეს, რომ ნებისმიერ საჭირო მომენტში იყოს შესაძლებელი მისი გააქტიურება, მით უფრო, დათქმულ დროს. “ჯერ სიმუშიდვა. საშემოდგომო მდელგარება ალბათ გარდაუვალია, მაგრამ ის საშიში არ არის, თუ განსაზღვრულ ნორმებში ჩაჯდა. შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელიცაა, მაგრამ საშიშროების გამორიცხვის შესაძლებლობა არ არსებობს – არეულობის შექმნის ფონი არსებობს”, – ერთგვარი ირონიზებით წერს “ახალი თაობის” ჟურნალისტი ანი მიროტაძე. (137).

საშემოდგომო დესტაბილიზაციის პრელუდიის როლი ისევ “სამეგრელოს სინდრომმა” შეასრულა, რომელსაც მალევე მოჰყვა პატიმრების გაქცევა. “წარსულის აჩრდილოა” თუ “მარად გუშინდელთა” გაქცევა ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან, შესაძლოა, საქართველოში მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესთა კატალიზატორად იქცეს, – წერდა “დილის გაზეთი” სარედაქციო სტატიაში, –

“ქართული დემოკრატიის” შენობა შეიძლება ძლიერი პოლიტიკური მიწისძვრის შედეგად დაინგრეს, თუ “ქობალიას სინდრომი” დასავლეთ საქართველოში (უპირველესად სამეგრელოში) ტრაიბალიზმში გადაიზრდება ან შეიარაღებულ ექსცესებში გამოვლინდება.” (“დილის გაზეთი”, “ქობალიას სინდრომი”, 3 ოქტომბერი, 2000).

“დილის გაზეთის” იმავე ნომერში (ისევ სარედაქციო სტატიით!) პატიმრების გაქცევის თემა სხვა რაკურსითაც ჩნდება: “არ გამოვრიცხავ, რომ ეს შემთხვევა ბევრად უფრო სერიოზული გეგმის ნაწილი იყოს”, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარებ ციხის საავადმყოფოდან პატიმრების გაქცევის თაობაზე ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ეჭვი არავის ეპარება, რომ კვირის მოვლენები ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების უკიდურესად დაძაბგაზე არის გათვლილი. ამას ზურაბ ჟვანიაც ადასტურებს: “გაანგარიშება დესტაბილიზაციაზე იყო”, – აცხადებს იგი... რეზო ადამია უფრო კატეგორიულია და ფიქრობს, რომ გაქცევის მიზანი ხელისუფლების დამხობა და შემდგომ უკვე ქვეყნის სათავეში მოსვლა იყო, რაც ბუნებრივია, გარე ძალების დახმარების გარეშე წარმოუდგენელია.” (99).

პრესის ანალიტიკურ პუბლიკაციებზე დაყრდნობით, ოქტომბრის მიწურულს საქართველოს პოლიტიკურ სცენაზე ასეთი სურათი იხატებოდა:

- 2000 წლის გაზაფხულზე გამოკვეთილი ახალგაზრდა რეფორმატორთა უოკლისშემძლეობის იმიჯი და საპრეზიდენტო ხელისუფლების დისკრედიტაციის საფრთხე, ფაქტობრივად, უკნებელყოფილია. თუ ვარაუდებით უფრო შორს წავალთ, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ეს “დრამატურგიული ხაზი” – საპრეზიდენტო არჩევნებში ედუარდ შევარდნაძის 80%-იანი გამარჯვება, არჩევნების დამთავრებისთანავე დასავლეთის დაეჭვება მის რეალობაში, ახალგაზრდა რეფორმატორთა მიერ “ბრჭყალების” ნაადრევი გამოჩენა, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მკვეთრი დაპირისპირება (სახელმწიფო მინისტრის გადაყენების ჩათვლით), საშემოდგომო დესტაბილიზაციის საფრთხის აუიტირება და შემდეგ განვითარებული პროცესები – საპარლამენტო უმრავლესობაში ბზარის გაჩენიდან მოყოლებული მისი რდგევის ჩათვლით – იყო კომპონენტები ერთი მთლიანი სცენარისა (რომელიც დაიგეგმა ან ქვეყნისავე შიგნით, ან, მის ფარგლებს გარეთ).
- ბოლო ხანებში განვითარებული მოვლენების მთავარი შედეგი – დესტაბილიზაცია მართვადია! მართვადია უმრავლესობაც და მისი მართვის სადაცეებს გარდამავალი უპირატესობით ფლობენ პრეზიდენტი და ზურაბ ჟვანიაც.
- პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენილი “ახალი მოძრაობა” (დაგით გამყრელიძისა და ლევან გაჩეჩილაძის ტანდემით) აღიქმება როგორც შესაკრებთა

გადანაცვლება, რომლის მიზანი – უმრავლესობის დაბალანსება, ნაწილობრივ მიღწეულადაც შეიძლება ჩაითვალოს, თუმც რეალურ პოლიტიკურ ძალად ან არსებით სიახლედ “ახალი მოძრაობა” ჯერ არ აღიქმება.

- საერთო პროცესების ფონზე ვაკის მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნები მნიშვნელოვან პოლიტიკურ დატვირთვას იძენს ძალთა დაბალანსების თვალსაზრისით და ამ ფონზე, ხმაურიანი განცხადებებითა და “მხედრიონის” ხელახალი აღზევების საფრთხით, პოლიტიკურ ავანსცენაზე ისევ გამოდის ჯაბა იოსელიანი.
- ძლიერდება ფონი საპარლამენტო რესპუბლიკის ცნების გაშინაურებისთვის. ოდონდ წინა პერიოდისაგან განსხვავებით, როცა ეს თემა ზურაბ ჯვანიასგან ინიცირებულად ითვლებოდა, ფიგურირებს მოსაზრებაც, რომ, შესაძლოა, თავად პრეზიდენტსაც აწყობდეს მის შემდეგ მმართველობის ეს ფორმა, რათა აიცილოს უფუნქციოდ დარჩენა, მემკვიდრეზე პასუხისმგებლობა და, სხვა თუ არაფერი, ისტორიაში დარჩეს საქართველოს ბოლო პრეზიდენტად.

დაახლოებით ასეთი სურათით იწურებოდა დესტაბილიზაციისათვის დათქმული პერიოდის – შემოდგომის ორი თვე. შინა თუ გარე სტრეს-ფაქტორების: პატიმრების გაქცევის, “მხედრიონის” გააქტიურების, ჩეჩენთა მიერ საზღვრის დარღვევის, სამხედრო ბაზებისა და სავიზო რეჟიმის პრობლემების გამწვავების მიუხედავად, გაჩნდა იმედი, რომ შეიძლება დესტაბილიზაცია აღარ შედგეს. ოქტომბრის მიწურულს, თითქოს ნიშანი მისცესო, ვითარება მკვეთრად შეიცვალა. გაზეთ “7 დღეში” გამოქვეყნებული ერთი სტატია, რომელიც თითქოს კორუფციის თემას ეხება (“ქართულ კორუფციას პინოჩეტივით პატიოსანი გენერლები სჭირდება”), უნებლივდ (არ გამოვრიცხავთ, რომ საგანგებოდაც) შიფრავს იმ ტაქტიკურ ხაზსს, რომლითაც უნდა განვითარდეს მოვლენები. მოვიხმობთ ვრცელ ციტატას: “კორუმპირებული ქართული სახელმწიფოს შემთხვევაში ეს სცენარი ასე გამოიყურება: განვითარდეს პროცესები ლოგიკური გზით – ხაზინის დაცარიელება, სახელმწიფო სტრუქტურების კვდომა და დეზინტეგრაცია, სტაგნაცია ეკონომიკაში და ბიუროკრატიული წნების გაძლიერება მოსახლეობას აიძულებს გამოვიდეს ქუჩაში და ჩამოაგდოს მთავრობა. მსგავსი რამ მოხდა ბულგარეთში, რუმინეთში და სულ ახლახან იუგოსლავიაში.

მეორე ვარიანტი – კორუფციისაგან იძულებით განკურნება. სწორედ იძულებით და ვერანაირად სხვანაირად, რადგან ის ადამიანები, ვინც კორუმპირებული ურთიერთობებით მიღიონიან სასახლეებს იშენებენ და შვეიცარიის ბანკებში ანგარიშები აქვთ გახსნილი, ასეთ ურთიერთობებს ნებით არ გაწყვეტენ. პირიქით, ისინი საკმაო დამცავ მექანიზმებს ფლობენ და საჭიროების შემთხვევაში აამოქმედებენ კიდევ… ცეცხლსაშიშ ნაზავს სახელად დაერქმევა საქართველოს გათავისუფლება პროამერიკული მარიონეტული ხელისუფლებისაგან, ეროვნული ხელისუფლების

მოსვლა სათავეში, ჭეშმარიტი ფასეულობებისა და ტრადიციების აღდგენა. ანუ, კლანების დაფინანსებით და ხელშეწყობით “გგაჩუქებენ” ნაციონალისტური რიტორიკით აღჭურვილ მთავრობას, რომლისაც იქნება სახელი, სახრავი კი ვისიც იყო, იმასვე დარჩება. ასეთ მექანიზმებს ფლობენ კორუფციის კათოდები და ანოდები: შსს, პროკურატურა, უშიშროება, კანცელარიის ნაწილი. ფინანსებს მათთან ერთად ფლობს ის, ვინც ამ უწყებების დახმარებით შოულობს ფულს...

რამდენიმე ახალგაზრდა პროგრესულად განწყობილი პარლამენტარი და იმდენივე პროგრესული პოლიტიკოსი აღმასრულებელი ხელისუფლებაში ამინდს არ ქმნიან. ისინი ქართულ პოლიტიკურ უკუნეთში ობლად მოციმციმე ციცინათელებივით გამოიყერებიან... ვერ იქნა და ვერ გამოიხატა ქართული საზოგადოებრივი აზრი მასობრივ დემონსტრაციებში და მიტინგებში... ასე, რომ ჯერ კიდევ გაუსვრელ და გულგაუტეხელ პოლიტიკოსებს ერთი გზა რჩებათ: დატოვონ საპარლამენტო და სამთავრობო კომიტეტები სავარძლები და გავიდნენ ხალხში... დაეხმარონ რიგით მოქალაქეებს დაძლიონ შიშის და გულგრილობის სინდრომი, დაარწმუნონ საკუთარ ძალებში. ასეთ შემთხვევაში მივიღებთ ზემოთ უკვე ნახსენები უკვე იუგოსლავის, რუმინეთის და სხვათა ვარიანტს.” (121).

ხელისუფლებაზე “რევოლუციური შეტევის” სცენარი რომ შეინიდბოს და ბოლომდე არც “დემოკრატიული ქვეყნის” იმიჯი დაირღვეს, პარლამენტი ქვეყნის მოწყობის ახალი მოდელის თემას ააქტიურებს. თუმც, ამ თემის განვითარებაც დესტაბილიზაციის წისქვილზე ასხამს წყალს, რადგან საპარლამენტო რესპუბლიკის შემოღების აუცილებლობას ამ იდეის მხარდამჭერები და მასმედია ხსნიან საპრეზიდენტო მმართველობის კრიზისით, უფრო მეტიც, დიქტატურაში გადაზრდით.

ნოემბერი ორი ფაქტორის – ზამთრისა და ენერგოკრიზისის დაკავშირებამ ბუნებრივად მიიყვანა საშემოდგომო დესტაბილიზაცია პიკის წერტილთან. ენერგობლოკების ისტერიული ჩართვა-გამორთვისა და ენერგოკრიზისის ჩინოვნიკური გარჩევების პროცესზე აღარ შევჩერდებით, მაგრამ ყურადღებას ისევ იპყრობს მასმედიის გულმოდგინება (განსაკუთრებით “რუსთავი 2”-ის, “ალიასა” და “რეზონანსის”) კრიზისის დინამიკის დაძაბვისთვის.

თბილისში, ვაკეში დაწყებული აქციის ორგანიზატორები და მონაწილეები საზგასმით ამტკიცებდნენ, რომ ამ გამოსვლებს არამც და არამც არა აქვს პოლიტიკური ხასიათი. პრესაში კი ასეთი სურათია:

- “ალია”, 13 ნოემბერი, “ხელისუფლება სოციალურ ნაღმზეა”: “დღეს მოსახლეობა ელექტროენერგიას ითხოვს, ხვალ მთავრობის გადადგომას მოითხოვს, ზეგ პარლამენტის გარეპას და მაზეგ პარლამენტის შეცვლას. მოკლედ, დიდი შანსია იმისა, რომ სოციალური პრობლემებით გაწამებულმა მოსახლეობამ საჭირო შეძახილის შემთხვევაში პოლიტიკური პროტესტიც გამოხატოს.

სოციალური პროტესტიდან სოციალურ ბუნტამდე ნაბიჯი ფაქტობრივად აღარ დარჩა. სოციალური ბუნტი კი პოლიტიკური ბუნტის პირდაპიროპორციულია.” (127).

- “რეზონანსი”, 15 ნოემბერი, “ჩაბნელებული თბილისი რევოლუციისთვის ემზადება”, “ედუარდ დამაბნელებელი” უშუქობას შეეწირება!” – აცხადებდნენ მოპიკეტები.”

პირველ გვერდზე მორიგე რედაქტორის (ლევან რამიშვილის) ტრადიციულ ჩანაწერში პრეზიდენტის სახე ასეა პაროდირებული: “ედუარდ დამაბნელებელი” – ასე მონათლეს გუშინ ვაკელებმა ჩვენი დიდი მბრძანებელი და საჭეომპყრობელი. ზოგმა გაუზრდელმა და ხულიგანმა იმის თქმაც კი გაბედა, ეგ დამაბნელებელი კი არა, ბნელიაო. ვიდაცამ მიუგო, რას ამბობ, ბნელი როგორ იქნება, საფერშლო აქვს დამთავრებულიო. ატყდა ერთი სიცილი და ხორხოცი. პრეზიდენტის დირსების შელახვასთან გვერდა საქმე”. (149)

- “რეზონანსი”, 16 ნოემბერი, “რევოლუცია ცოტა ხნით გადაიდო”, “ძალაუფლების ნაწილი მომიტინგეთა და მოპიკეტეთა საბჭოებს გადაეცათ”. (უნებლივდ ჩნდება სოციალისტური რევოლუციის ასოციაცია, ცნობილი ლოზუნგით – “ძალაუფლება საბჭოებს!”).
- “რეზონანსი”, 18 ნოემბერი, “რევოლუციიდან რევოლუციამდე ერთი ნაბიჯია”. “რევოლუციების” ქვემოთ ორი ფოტოა განთავსებული: ერთი საარქივო, შავთეთრი, 1991-92 წლების შეტაკება რუსთაველზე; მეორე – ახალი, ფერადი, კადრში – აქცია, ქუჩაში დანოებული კოცონი და ხერგილი. პირველ გვერდზევე – კარიკატურა “მეფე შიშველია!!!” “მეფის”, ანუ, პრეზიდენტის, ანუ, საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავიანი დიქტატორის, ფერხთით დაყრილი უსულო ბავშვები. იქნეა მორიგე რედაქტორის, ლევან რამიშვილის ჩანაწერი – “გუშინ ქვეყანას ბავშვები მართავდნენ”: “...ახლა უკვე ცხოველების ჯგრო ვართ და არა ერთ, რადგან ამდენი ბოროტების მერე მხოლოდ უდენობით გავგიუდით და გავცოფდით. არც ერთი იდეა არაფრად არ ღირს. მით უფრო, არც ერთი ბავშვის სიცოცხლედ არ ღირს დენი. მაგრამ ხვალ რომ კარიკატურაზე გამოსახული სურათი რეალობა გახდეს, ჩვენ ჩვენს გაყინულ სოროებში შევიყუჩებით.” (150)
- “ალია”, 16 ნოემბერი, “ბუნტი მორჩა... გეშინოდეთ!” პირველ გვერდზე ფოტომონტაჟი – მარცხნივ, ზეიად გამსახურდია მომიტინგეთა ფონზე; მარჯვნივ – ედუარდ შევარდნაძე აქციის ფონზე. “შევარდნაძის ხელისუფლებას მსგავსი კრიზისი არასოდეს პქონია. სოციალური ბუნტი ფაქტობრივად სახეზე. სოციალური ბუნტიდან პოლიტიკურ დაუმორჩილებლობამდე კი ერთი ნაბიჯია”. (128).

- “ალია”, 23 ნოემბერი, პირველ გვერდზე, დიდ შავ ფონზე (გვერდის მეოთხედზე), უზარმაზარი შრიფტით აწყობილია ორი მაგიური სიტყვა “სახელმწიფო გადატრიალება?!”, მარცხნივ კუთხეში კი პატია მინაწერია – “დეპუტატის სკანდალური განცხადება”; სათაურის შესაბამისი მასალა, საიდანაც ვიგებთ, რომ თურმე ამ “ზესკანდალური” განცხადების ავტორი პარლამენტარი ჯემალ გამახარია, გაზეთის მე-3 გვერდზეა განთავსებული. “თარგამაძე და ძალოვანი უწყებები საგანგებო მდგომარეობის გამოსაცხადებლად ეზადებოდნენ, მაგრამ რადგანაც საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონი არ იციან, გასულ ხუთშაბათსა და პარასკევს ბეჯითად სწავლობდნენ. ამ გზით ისინი ფაქტობრივად ხელში აიღებდნენ ძალაუფლებას... ისინი, სხვათაშორის, პარლამენტში ეძებდნენ კანონს საგანგებო მდგომარეობის შესახებ”, – აცხადებს გამახარია.

დესტაბილიზაციის გამომწვევ ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზებზე მსჯელობა ჩვენი დისერტაციის ფარგლებს სცილდება. აქ მხოლოდ დავაფიქსირებთ იმ ვერსიებს, რომლებიც მასმედიის მეშვეობით წარმოჩინდა. მათგან ერთ-ერთი სახელმწიფო გადატრიალების ზემოხსენებული ვერსიაა, რომელიც ყველაზე მკვეთრად “ალიას” პუბლიკაციაში იყო გამოთქმული, თუმც, სხვა ფორმით ამ ვერსიას “დილის გაზეთშიც” ვხვდებით: “სელისუფლება და სახელისუფლო მედია საკუთარ მოსახლეობას ხელისუფლებაში მათი მოსვლის წლების გახსენებით აშინებს... ნაცვლად იმისა, რომ ქვეყანა ქვეყანას დაამსგავსოს, მტრის ხატების “წერით” არის გართული”. (163).

ამავე გაზეთში, პოლიტიკოსების გამოკითხის (“ვის აძლევს ხელს დესტაბილიზაცია საქართველოში?”) შედეგად, ამ ვერსიას – სელისუფლების დადანაშაულებას – მხარს უჭერს პარლამენტარი ელენე თევდორაძე; პარლამენტარი გიორგი თარგამაძე სელისუფლების ორივე განშტოებას ადანაშაულებს “მართულ დესტაბილიზაციაში”; ირინა სარიშვილი-ჭანტურია კი – ყველა იმ ძალას, უპირველეს ყოვლისა “მოქალაქეთა კავშირს”, რომლებიც “შევარდნაძის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ არჩევნების გზით ვერ მოვლენ ხელისუფლების სათავეში”; პარლამენტარი მიხეილ ნანეიშვილი აქცენტს რუსეთზე აკეთებს: “რაგინდ ურთიერთდაპირისპირებული ჯგუფებიც უნდა იყვნენ დესტაბილიზაციის მსურველი, მათ ზურგს უკან, აშკარად თუ ფარულად, დგას რუსეთი... ეს ვარაუდი არ არის. მე, უბრალოდ, ვიცი, რომ ეს ასეა”; “რესპუბლიკელთა” ლიდერი დავით ბერძენიშვილი სელისუფლების დამხობას წინასწარმეტყველებს: “კართაგენი უნდა დაინგრეს... მოქალაქეთა კავშირში არ არის შიდა რეზერვები, რომლებიც შევარდნაძის რეჟიმს გააკეთილშობილებდა”. (100)

თუ პარლამენტარი ჯემალ გამახარია ზურაბ უვანიას წინააღმდეგ მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალების ვარაუდს გამოთქვამდა, პარლამენტარი ფიქრია ჩიხრაძე პირიქით – თავად უვანიას მიიჩნევს დესტაბილიზაციისათვის ხელის შემწყობად: “...რაც

შეეხება იმას, რომ უვანია მივიდა ვაკეში გამართული აქციის მონაწილეებთან, ამან შეიძლება ითქვას, ფსიქოლოგიური ბიძგი მისცა ამ საკითხის კიდევ უფრო მეტად გააქტიურებას. ყველაზე მეტად განვლილი ერთი წლის განმავლობაში ვინ საუბრობდა შემოღომაზე მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე. ეს იყვნენ მმართველი ძალის წარმომადგენლები, უშუალოდ პარლამენტის თავმჯდომარე. თუ ისინი ამხელა ინფორმაციას ფლობდნენ, რომ მაიცდამაინც ენერგეტიკის თემაზე მოხდებოდა ეს დესტაბილიზაცია და მაინც თითო თითზე არ დააკარეს, ე.ო. ხელი შეუწყვეს ამ სიტუაციის ესკალაციას.” (138)

ზურაბ უვანიას მხრიდან აქციების პროცეციონების თემას ედპ-ს ლიდერი, ირინა სარიშვილი-ჭანტურიაც ავითარებს: “...უვანიას და „მხედრიონის“ მხრიდან არის ეს აქციები პროცეციონებული... „მოქავშირისთვის“ შევარდნაძის ვადაზე ადრე წასვლა პრეზიდენტობიდან ყველაზე რეალური შანსია ხელისუფლებაში დასარჩენად... მაშინ სახელმწიფოს პირველი პირი გახდება პარლამენტის თავმჯდომარე, რომელმაც სამი თვის შემდეგ უნდა დანიშნოს ახალი არჩევნები”. (“ახალი თაობა”, 1611.2000).

“მხედრიონთან” მიმართებაში საყურადღებოა “ახალ 7 დღეში” გამოქვეყნებული გრცელი ინტერვიუ დავით ბერძენიშვილთან, რომელიც ჯაბა იოსელიანთან დაკავშირებით ასეთ აზრს ავითარებს: “მინდა გამსახურდიასა და შევარდნაძისაგან თრგზის გამოყენებულ ჯაბა იოსელიანს ვურჩიო, ისე ნუ დახურდავდება, ამჯერად უვანიას გამოყენებინოს თავი... თუ „მხედრიონს“ აქვს პერსპექტივა, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალში საქართველო გადატრიალების არენად გადაიქცევა”. (90)

მოვლენების განზოგადებისას უურნალისტი ია ანთაძე საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ განხორციელებულ და განსახორციელებელ პროცესებს რუსეთისაგან წარმართულად მიიჩნევს: “მოვლენების განვითარების ლოგიკა ასეთია: რუსეთმა ჯერ იოლად ჩაითრია ჩვენი ფუფუნების მოყვარული ხელისუფლება კორუფციის ჭაობში; შემდეგ პრეზიდენტს თავისი საპარლამენტო უმრავლესობისთვის „მკლავები აგრეხინა“ ძველი მთავრობის დასამტკიცებლად (რომელთანაც რუსეთს “საკუთარი ანგარიშები” ჰქონდა); ბოლოს კი გამოცხადდა, რომ მმართველი დაჯგუფება პოლიტიკური არენიდან ხალხმა უნდა განდევნოს”. (81). ამ პუბლიკაციის ლოგიკით, რუსეთის ხელით წარმართული ბრძოლის სამიზნედ ზურაბ უვანიაც იგულისხმება.

საგულისხმოა, რომ აზრთა სიჭრელისა და ურთიერთგამომრიცხაობის მიუხედავად, ამ პუბლიკაციებს აქვს ერთი საერთო – პოლიტიკოსებიცა და უურნალისტებიც, აქციების გამომწვევ მიზეზებზე მეტად, უურადღებას ამახვილებენ იმაზე, ვისი აგორებულია დესტაბილიზაციის ტალღა. ყველა გამოთქვამს ვარაუდს, რომ არსებული ობიექტური მიზეზების მიუხედავად, “უხილავი რეჟისორის” წარმმართველი ხელი იგრძნობა ამ ყველაფრის უკან; ხოლო ბრალდებების ვექტორი,

არა მხოლოდ პიროვნული პოზიციების სხვადასხვაობის, არამედ, იმის მიხედვითაც იცვლის მიმართულებას, თუ ვის ინტერესებს გამოხატავენ რესპონდენტები, რედაქციები და ჟურნალისტები.

*

პრესის რეზონანსი 2001 წლის შემოდგომის მოვლენებზე, რომელსაც შედეგად პარლამენტის თავმჯდომარისა და მთავრობის გადადგომა მოჰყვა, მოწმობს, რომ რუსეთი არც ამ შემთხვევაში გამოირიცხა “სცენარის ავტორობიდან”. მით უფრო, რომ დროში საქართველოდ დაექმოხვა ერთმანეთს ტერორიზმში საქართველოს დადანაშაულება, კოდორისა და პანკისის დაბომბვა, “რუსთავი 2”-ის ინციდენტი, რომელმაც თავისუფალი მედიის დაცვის საბაბით, მრავალრიცხოვანი მიტინგების ტალღა ააგორა და უცებ გადაიზარდა პოლიტიკურ გამოსვლებში, ხელისუფლებისა და პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით.

“თუკი ჩეჩენი ბოევიკები აფხაზეთში საქართველოდან მოხვდნენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მათი იქ მოხვედრა ისეგ რუსებმა უზრუნველყოს საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად. ეს ე.წ. ოპერაციები კი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ისინი რუსეთის მოწყობილია, რომელიც გუდაუთის ბაზის შენარჩუნებას ისახავს მიზნად”, – აცხადებდა პარლამენტარი კობა დავითაშვილი გაზეთ “ახალ თაობასთან” ინტერვიუში. (“ახალი თაობა”, 10.10.2001).

რუსულ ონლაინ-მედიაზე დაყრდნობით, რუსული პროგრაციის ვერსიას ავითარებდა გაზეთი “ახალი მერიდიანი”: “ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთ რუსულ ინტერნეტ-საიტზე ინფორმაცია კოდორის დაბომბვის შესახებ თვით საპარტო დარტყმის განხორციელებამდე 1 საათით ადრე გაჩნდა. გასათვალისწინებელია, რომ “რუ”-ს ინტერნეტპორტალებს მკაცრად აკონტროლებს რუსეთის მთავრობის შესაბამისი ქვედანაყოფი და ისინი ძალიან ხშირად, უშუალოდ სპეცსამსახურებიდან საზრდოობენ. მაშასადამე, საქმე გვაქვს წინასწარ დაგეგმილ პროგრაციასთან. რუსეთმა უკვე აამოქმედა საინფორმაციო ომის ძველი მეთოდები.” (მამუკა ხურციძე, “რუსეთის ქართველოფობიური დემარშები ყოველგვარ კომპრომისს გამორიცხავს”, “ახალი მერიდიანი”, 12 ოქტომბერი, 2001); “...ერთი-ორი ბომბი “სრულიად შემთხვევით” პანკისის ხეობაშიც ჩამოვარდება და მეტი რა უნდა დესტაბილიზაციას საქართველოში, მით უმეტეს ზამთარში – უშუქობისა და სიცივის პერიოდში. საქართველოც თავისდაუნებულად ჩაერთვება ჩეჩენეთის წინააღმდეგ მიმართულ აგრესიაში და შემდგომად ამისა რაც მოხდება... ქართველ ხალხს არაერთხელ აქვს ნაგრძნობი რუსული ჩექმის სიმწარე.” (166).

საქართველოს ხელისუფლების შეცვლის ერთ-ერთი მომდევნო “რუსული სცენარის” “ფრაგმენტები” ბევრგან გვხვდება 2001 წლის ნოემბერ-დეკემბრის ქართულ პრესაში და იგი ერთგვარ კრებით ფორმას იღებს გაზეთ “ახალ ვერსიაში”, რომლის

პუბლიკაციის სათაურიც (“ვინ მოქმედებდა რუსეთის სცენარით – თარგამაძე-პატარკაციშვილი თუ უვანია-საკაშვილი?”) მიანიშნებს ორ სავარაუდო ვერსიაზე, მთავარი მიზანი კი მასალის ლიდში ფიგურირებს: “პოლიტოლოგთა საერთო აზრით (პუბლიკაცია ეყრდნობა პოლიტოლოგების – ლევან ბერძნიშვილის, გიგი ბოლოთაშვილის, რამაზ კლიმიაშვილის, გია ნოდიას მოსაზრებებს, ლ.ქ.), რუსეთი საქართველოს მიმართ ლია აგრესიულ პოლიტიკას უმავარდება და შეუფარავად აწარმოებს. რუსული პილიტიკური ისტებლიშმენტისათვის შევარდნაძე დღითიდლე უფრო მიუღებელი ხდება და ამიტომ რუსულ საინფორმაციო საშუალებებშიც ანტიშევარდნაძისტული ისტერია იწყება. არ არის გამორიცხული, რუსეთის მაღალ ეშელონებში საქართველოს ხელისუფლების შეცვლის სცენარი იწერებოდეს.” (134).

სსენებული პუბლიკაციის მიხედვით პირველი ვერსია ასეთია: ექსპერტთა საერთო შეფასებით, სექტემბრის ბოლოს აფხაზეთსა და კოდორში განვითარებული მოვლენები მიმართული იყო არა აფხაზეთის დასაბრუნებლად, არამედ, საქართველოში ხელისუფლების შესაცვლელად, რუსეთში შემუშავებული სცენარის მიხედვით: ჩეჩენი ტერორისტების ხელით მოხდებოდა აფხაზეთის რომელიმე რეგიონის აღება და ამ გამარჯვების გმირად გამოცხადდებოდა მაშინდელი შს მინისტრი კახა თარგამაძე. ქვეყნის მმართველადაც ის მოგვევლინებოდა. ამასთან, რუსეთი ცდილობდა “მოურჯულებელი” ჩეჩენები მოეშორებინა პანკისისთვის (რომელიც ახლოსაა ჩეჩენეთთან), ჩაესახლებინა აფხაზეთში და ამით “ორი კურდღელი ერთად დაეჭირა”.

მეორე ვერსიის თანახმად, საქართველოში ხავერდოვანი რევოლუცია იგეგმებოდა. სტუდენტური გამოსვლების უკან, რუსეთის დირექტივით, უვანია-საკაშვილის გუნდი იდგა. შევარდნაძის “გადასარჩენად” რუსეთი გაითამაშებდა კურმასა და ალიევის ანალოგს (როცა მათ “კეთილი ფერის” როლში “ჩრდილოელი დათვი” მოევლინათ) და, ამ სამსახურის სანაცვლოდ, საქართველოს რუსულ ორბიტაზე მოაქცევდა.

“ახალი ვერსიის” სხვა პუბლიკაციის მიხედვით, საქართველო აფხაზეთში მდგომარეობის გართულებისაგან ამერიკაში მომხდარმა ტერაქტებმა იხსნა და რუსეთმა საქართველოში “მეორე ხაზიც” გახსნა. ეს საქართველოში რუსული კაპიტალის შემოდინებას და ამ გზით ხელისუფლების შეცვლას გულისხმობს.” (“ახალი ვერსია”, 01.10. 2001).

კიდევ ერთხელ მოვიშველიებთ რუსეთის “საგარეო პოლიტიკის ნაციონალური ლაბორატორიის” ანალიტიკურ მასალას – “პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში”, რომელშიც აღნიშნულია: “2001 წლის მოვლენებმა უჩვენეს, რომ “ახალგაზრდა რეფორმატორებს” შეუძლიათ თავიანთი მხარდაჭერისთვის მასების მობილიზება და მასშტაბური კრიზისის პროცესირება, მაგრამ მათ არ ძალუდო ხელისუფლების ხელში აღება და სიტუაციაზე კონტროლის შენარჩუნება. 2001 წლის ბოლოს სწორედ

ოპოზიციას მოუხდა დათმობა.” (58) მაშინ, როცა ქართული პრესა ბჭობდა, ვისი მოწყობილი იყო 2001 წლის “ნოემბრის რევოლუციად” წოდებული კრიზისი, რუსი ანალიტიკები ამ საკითხს არც სათუოდ ხდიან და არც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ, ისინი კონკრეტულად ასახელებენ “ადრესატს” – “ახალგაზრდა რეფორმატორები”.

პრესის ანალიზი ერთი შეხედვით პარადოქსული დასკვნის საშუალებასაც იძლევა: რუსეთისაკენ მიმართული ბრალდებების მიუხედავად, “ფეთქებადსაშიში მოვლენების” ინიცირებით ზოგიერთი ქართული გამოცემა ლამის რუსულის იდენტურია. მხედველობაში გვაქვს არა ფაქტების დამთხვევა, არამედ აქცენტი, მასალების პროგოკაციული ხასიათი. მაგალითად, გაზეთი “ახალი ვერსია” რუსულ მედიას ბევრად აჭარბებს თუნდაც პანკისის თემის აუიტირებაში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს გაზეთი სკეციალურად ამისთვისაა შექმნილი; პირველი ნომრიდან მოყოლებული, ფართო ანშლაგებით, გამომწვევი სათაურებით, გვერდიდან გვერდზე გარდამავალი ვრცელი მასალებით, პანკისის საფრთხე ისეა წარმოჩენილი, რომ რუსეთს ისდა დარჩენია, დაბომბოს ხეობა (გაზეთის პირველივე ნომერს, ლოგოს ზემოთ, ლამის 100-პუნქტიანი შრიფტით აწყობილი “ქისტიანობა” ხსნიდა და ეს სათაური თუ მესიჯი, გვერდიდან გვერდზე გადადიოდა. ამ ნომერში, და ზოგიერთ სხვა ნომერშიც, მხოლოდ ამ თემას ერთდროულად რამდენიმე საგაზეთო გვერდი ეთმობა).

“ახალი ვერსია” გამონაკლისი როდია. მაგალითდ, ტელეკომპანია “რუსთავი 2”, პანკისში ერთი თოფის გავარდნისთანავე, ისე წარმართავდა ხეობიდან რეპორტაჟებს, როგორც ფრონტის წინა ხაზიდან; ვერც კი მოასწრო რუსეთმა წესიერად საქართველოს დადანაშაულება ტერორიზმში, რომ გაზეთმა “რეზონანსმა” გაშლილ გვერდებზე გამოაქვეყნა პუბლიკაცია “მასობრივი ტერორიზმის საფრთხე კავკასიაში” (“რეზონანსი”, 02.10.2001), რომელიც საქართველოში ამ საფრთხის გააქტიურების პროგნოზით მთავრდება. ხსენებული მასალა შთამბეჭდადაა რეკლამირებული გაზეთის პირველ გვერდზე.

სადისერტაციო ნაშრომში უკვე ხსენებული პრესის მოსაზრება, რომ საქართველოში ამერიკული ფულით რუსული ინტერესი ფინანსდება, შესაძლოა, ამგვარ ვითარებასაც გულისხმობდა, როცა დემოკრატიული მედიის განვითარებისთვის გამოყოფილი დასავლური გრანტებითა და სხვა სახის დახმარებებით მოღონიერებული მასმედია პოლიტიკური სიტუაციების გამწვავებისა და შესაბამისი მანევრირებისათვის გამოიყენებოდა. თუმც, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს არ იყო მხოლოდ “გარედან მართული” პროცესი; ამ მანევრს სახელისუფლო ბრძოლაში შიდა პოლიტიკური ძალებიც მიმართავდნენ, რაც, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვნად აზიანებდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასაც და ასუსტებდა საქართველოს სახელმწიფოებრიობას.

- აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემის რამდენიმე ასპექტი

პარადოქსია, მაგრამ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის თემა, ნამდვილად არ ყოფილა საანალიზო პერიოდის პრესის არც ძირითადი და არც მთავარი ასპექტი; მხედველობაში გვაქვს არა პრესაში ამ რეგიონების ხსენების სიხშირე, არამედ, მისი ქცევა თუნდაც ისეთ აქტუალურ და პრიორიტეტულ ასპექტად, როგორადაცაა, მაგალითად, წარმოდგენილი პრესაში სახელისუფლო ბრძოლები. ძირითადად, ამ რეგიონებთან დაკავშირებული პრესის აქცენტები ვითარდება დესტაბილიზაციური პროცესების, საქართველოსთან რუსეთისა და დასავლეთის მიმართების კონტექსტში და ა.შ. ეს ვითარება, რა თქმა უნდა, არ არის განპირობებული პრესის დაუდევრობითა და უგულისყურობით. მიუხედავად იმისა, რომ თითქოსდა ტერიტორიული პრობლემის მოგარება უმთავრესი პრიორიტეტია, არ იგრძნობა რომ სახელმწიფო თავისი სახელმწიფოებრივი ცნობიერების არეალში აქცევდეს ამ რეგიონებს, იქაური მოსახლეობის პრობლემებს. მაშინ, როცა, ერთის მხრივ, მწვავედ ვრეაგირებთ მათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებაზე, ჩვენის მხრივ, იგივე მოქალაქეები დისტანცირებული გვყავს საქართველოს სახელმწიფოს სივრციდან, შესაბამისად, საინფორმაციო არეალიდანაც.

აფხაზეთი (უფრო იშვიათად ე.წ. სამხრეთ ოსეთი) პრესაში მოიხსენიება პოლიტიკური კაპიტალის დაგროვებისთვის, როგორც ხელისუფლების, ასევე, ოპოზიციის, მხრიდან, ემოციური განცხადებების დონეზე, პრაგმატიზმის გარეშე, ან – სამიტინგო-პატრიოტული პათოსის გასაძლიერებლად.

ორგანიზაცია “შერიგების რესურსის” მხარდაჭერით შექმნილ უაღრესად საყურადღებო ნაშრომში – “აფხაზეთი ქართველი პოლიტიკოსების წინასაარჩევნო მენიუში” (ნაშრომი ეყრდნობა 2003-2004 წლების პრესის პუბლიკაციებს), ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ “აფხაზეთი არ ყოფილა წინასაარჩევნო თემა, არც 2003 წლის საპარლამენტო, არც 2004 წლის საპრეზიდენტო, და არც 2004 წლის განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების დროს”; რომ “აფხაზეთის თემაზ დაკარგა ის სიმწვავე და აქტუალობა, რაც მას რამდენიმე წლის წინათ ჰქონდა; რომ “პოლიტიკურ პარტიებს დღემდე არ წარმოუდგენიათ ამ პრობლემასთან მიმართებაში არც ახალი იდეები, არც ახალი კონცეპტუალური დამოკიდებულება.” (29, III)

90-იან და 2000-2002 წლებშიც, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემა ძირითადად ისევ ეთნოგრანფლიქტად იწოდება, ისევე როგორც რუსულ მედიაში; და პრესაში უმთავრესად გვხვდება მოსაზრება, რომ კონფლიქტების გასაღები რუსეთში ძევს. ამავე პერიოდში პრესაში ფიგურირებს ტერმინი “გაყინული კონფლიქტები” და მოსაზრება, რომ რუსეთს აწყობს კონფლიქტების გაყინვა და არსებული სტატუს ქვოს შენარჩუნება, ვიდრე თუნდაც მათი ასოცირებულ წევრებად მიღება, მით უფრო –

დამოუკიდებლობის აღიარება (მაგალითად, პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე მიიჩნევდა, რომ რუსეთს არ აწყობს ამ კონფლიქტების ბოლომდე მოგვარება, რათა არ დაკარგოს საქართველოზე ზეწოლის შესანიშნავი ბერკეტები); 2002 წლიდან, ჩრდილო ატლანტიკური ინტეგრაციის ვაქტორის გამოკვეთასთან ერთად, პრესაში კონფლიქტების მოგვარების იმედი უფრო და უფრო უკავშირდება ნატო-ში საქართველოს შესაძლო გაწევრიანებას; იცვლება დეფინიციაც – **სეპარატისტული რეგიონები**, ეთნოკონფლიქტების ნაცვლად; 2003-2004 წლიდან, ნატო-ს თემის გააქტიურებასთან დაკავშირებით, პრესაში ჩნდება მოსაზრებები, რომ შესაძლოა, ნატო-ში მიგვიღონ მოუგვარებელი კონფლიქტებით, ან – აფხაზეთისა და ოსეთის გარეშე. არასამთავრობო ორგანიზაციათა საანგარიშო მასალებში, კონფლიქტოლოგთა და პოლიტოლოგთა ლექსიკაში გამოიყენება ტერმინი – **განდგომილი რეგიონები**, მაგრამ პრესაში მან ფეხი ვერ მოკიდა. “განდგომილი რეგიონი”, ძირითადად, აჭარის კონტექსტში გვხვდება. “გარდების რევოლუციის” შემდეგ, საქართველოს სახელმწიფოებრივ სივრცეში აჭარის დაბრუნებისთანავე, პრესაში გააქტიურდა, დაახლოებით ისეთივე სცენარით, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის შემოერთების აქცენტი და რუსეთის განხილვა არა შუამავლად, არამედ კონფლიქტის მხარედ.

სადისერტაციო ნაშრომის შესაბამის ქვეთავებში ნაწილობრივ ასახულია აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული ასაექტები (საგარეო ურთიერთობათა, დესტაბილიზაციის კონტექსტში და ა.შ.). ამჯერად, მოკლედ შევჩერდებით 2004 წლის აგვისტოს “ცხინვალის კონფლიქტზე”.

“ჩვენ დაგვაყენეს ამგვარი რეალობის წინაშე – საქართველოში შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი კონფლიქტი დაიწყოს”, – განაცხადა 19 აგვისტოს, ცხინვალში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გამართულ საგანგებო ბრიფინგზე, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, – “ჩვენ ბოლო დღეებში გვიშენდნენ რამდენიმე სიმაღლიდან, გვიშენდა ე.წ. მესამე ძალა, რომელიც, რა თქმა უნდა, არავითარი მესამე ძალა არ არის. დღეს დილით, ირაკლი ოქრუაშვილის ხელმძღვანელობით, ჩვენმა ნაწილმა ამ ძალის განადგურება, მწყობრიდან მთლიანად გამოყვანა და ამ სიმაღლეების დაკავება მოახერხა. ამ სიმაღლეების დაკავება ჩვენ საშუალებას გვაძლევს კონფლიქტის ზონაში არსებული ძალების ახალი გადაჯგუფება მოვახდინოთ. ჩვენ მზად ვართ, ამ სიმაღლეების კონტროლი სამმხრივ სამშვიდობო კონტინგენტს გადავცეთ, რომელშიც ქართველებიც შედიან... ამის შემდგომ მოწინააღმდეგეს აღარ ექნება საბაბიც კი, რათა გაამართლოს სიტუაციის შემდგომი ესკალაცია. მაგრამ უველას ახსოვდეს – ეს მშვიდობისათვის ბოლო შანსია.” (“24 საათი”, 20.08.2004)

პრეზიდენტი ამგვარი განცხადების შემდეგ, ცხინვალის რეგიონიდან ქართული სამხედროების გამოყვანის გადაწყვეტილებამ შეაშფოთა ადგილობრივი ქართული

მოსახლეობა; მათ გზაც კი გადაუდობეს სამხედროებს. “თუ ოსები ერთ ბომბს ჩამოაგდებენ, ჩვენი ჯარი 15 წუთში ცხინვალში იქნება“, – განაცხადა შს მინისტრმა ირაკლი ოქროაშვილმა.

“24 საათის” ინფორმაციით, “19 აგვისტოს, ფერისცვალების დღეს, საქართველო დიდ სისხლისღვრას გადაურჩა. როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრმა, ირაკლი ოქროაშვილმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში არსებული რამდენიმე სტრატეგიული სიმაღლე დაიკავა, რუსეთის არმიის რეგულარული ნაწილები, თურმე, მზად იყვნენ საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დასაწყებად. 40 შვეულმფრენი, 80-მდე “ბეჭმპე”, ათეულობით ტანკი, სახმელეთო და საავიაციო დესანტი როგის გვირაბთან იყო კონცენტრირებული და შეტევაზე გადასვლის ბრძანებას ელოდა. “ჩვენ ძალიან სერიოზული საფრთხე ავიცილეთ თავიდან”, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, გივი თარგამაძემ, რომლის თქმითაც, სამი რუსული სამხედრო შენაერთი როგის გვირაბთან ისევ სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფება. გივი თრაგამაძემ მასმედიას წარუდგინა ვიდეომასალა, რომელშიც ნაჩვენებია, თუ როგორ ემზადებიან რუსეთის საჯარისო შენაერთები სამხრეთ თეთის ტერიტორიაზე შესაჭრელად.” (“24 საათი”, 25.08.2004)

კონფლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილის აზრით, სააკაშვილის შეთავაზება, რომელიც ქართული შენაერთების მიერ აღებული სტრატეგიული ობიექტების სამშვიდობოებისთვის დათმობას შეეხებოდა, მეორე სწორი ნაბიჯია; პირველი სწორი ნაბიჯი ერგნეთის ბაზრობის დაკეტვა იყო; დანარჩენი ყველა ნაბიჯი – პირველი ლედის რეგიონში ჩასვლა, გორში ტანკების შეყვანა, ბლოკპოსტების შექმნა – ეს იყო შეცდომების რიგი, რომელმაც სერიოზულ კრიზისამდე მიგიყვანა. კრიზისიდან გამოსვლისათვის ყველაზე სწორი პრეზიდენტის გადაწყვეტილება იყო. (“რეზონანსი”, 20.08.2004)

ექსპერტები მოვლენების განვითარების რამდენიმე ვარიანტს განიხილავდნენ; ალექსანდრე რონდელის აზრით, რუსეთს აქვს სამი გზა: შეიერთოს ე.წ. სამხრეთ თეთი, შეინარჩუნოს იქ სტატუს ქვო, ან დაუთმოს საქართველოს. პირველი – არ შეუძლია, მესამე – არ უნდა, რჩება მეორე – შეინარჩუნოს სტატუს ქვო, ანუ, გაყინოს კონფლიქტი და ამით ისარგებლოს – მუდმივად აკონტროლოს სიტუაცია საქართველოში. თავდაპირველად ქართული მხარე კონფლიქტის ზონიდან ზედმეტი იარაღის გატანას მოითხოვდა, დღეს კი ყურადღებას საერთაშორისო კონტროლის დამყარებაზე ამახვილებს. ექსპერტთა ვარაუდით, თუ სრულ დემილიტარიზაციაზეა საუბარი, მაშინ ქართულ მხარეს, ისევე როგორც ოსურ და რუსულ მხარეებს, კონფლიქტის ზონაში 500 კაციანი სამშვიდობო მისის ნაწილი რჩება, რაც ისევ რუსეთს უხსნის ხელ-ფეხს; არსებულ ვითარებაში ყველაზე სარისკოდ ქართული

სოფლებიდან ხალხის დაცლის პროცესი ითვლება. რუსულ-ოსური სტრატეგიის კიდევ ერთი ჩანაფიქრი ქართველებსა და ოსებს შორის შედარებით დამთბარი ურთიერთობის საბოლოოდ გაფუჭებაა, რასაც ნაწილობრივ უკვე შეესხა ხორცი, როცა კონფლიქტის ზონაში ორივე მხარეს პირველი მსხვერპლი გაჩნდა.

რაც შეეხება მსხვერპლს, პრესაში არ გვხვდება ოფიციალური ცნობები, გაზეთები სხვადასხვა ციფრს ასახელებენ (მაგალითად, 19 აგვისტოს “რეზონანსი” იუწყება, რომ სამაჩაბლოში სროლების დაწყებიდან 26 ქართველი ჯარისპაცია დაღუპული); ამასთან, აღნიშნავენ, რომ ორივე მხარე – ცხინვალიც და თბილისიც, ცდილობს არ გაახმაუროს მებრძოლთა დაღუპვისა და დაჭრის ფაქტები. პარალელურად, პრეზიდენტი სააკაშვილი და ხელისუფლების წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავენ სამხედროების პროფესიონალიზმსა და სიმამაცეს.

ცხინვალის რეგიონში შექმნილი ვითარების ფორმულირება პრესაში არაერთგვარია; მოვლენების გაშუქებისას “ახალი ვერსია”, “ალია”, “ხვალინდელი დღე” ხშირად იყენებენ განსაზღვრებას – “ომი”, სხვები ამ ფორმულირებისაგან თავს იკავებენ. “ხელისუფლება არ აღიარებს, რომ ეს ომია და კვლავ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირებაზე საუბრობს. აღნიშნულ სიტუაციას საპარლამენტო ოპოზიცია მწვავე შეფასებას აძლევს... მათი განცხადებით, კონფლიქტის ზონაში რეალურად ომი გვაქვს სახეზე, რომელსაც აღიარებაც არ სჭირდება.” (“ხვალინდელი დღე”, 20.08.2004)

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკა რურუა: “არავითარი ომი ეს არ არის. ესაა მშვიდობის დასამყარებლად და ჩვენი საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლის დასაცავად ჩატარებული სპეციალურაცია. საერთოდ, ომი, როგორც ცნობილია, ცხადდება. არ შეიძლება ომი გამოუცხადო შენს საკუთარ ტერიტორიას! ჩვენ კონსტიტუციურ წესრიგს ვამყარებთ საკუთარ ტერიტორიაზე, რომელსაც აღიარებს ყველა დემოკრატიული ქვეყანა (ამას, სხვათა შორის, ცნობს ისეთი არადემოკრატიული ქვეყანაც, როგორიც რუსეთია).” (“ახალი თაობა”, 20.08.2004)

ცხინვალის რეგიონში შექმნილმა კრიზისულმა ვითარებამ გაამწვავა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა და, როგორც პრესა აღნიშნავს, იგი არა მხოლოდ დაუბრუნდა “ცივი ომის” მდგომარეობას, არამედ დია დაპირისპირების სახე მიიღო. ქართულ მედიაში გაძლიერდა ნეგატიური მუხტი კრემლის იმპერიალისტური პოლიტიკისა და პრეზიდენტ პუტინის მიმართ, თუმც, რუსული მედიის გააგრესიულება საქართველოს მიმართ გაცილებით თვალშისაცემია (პრეზიდენტი სააკაშვილი “იზვესტიაშ” პიტლერსაც კი შეადარა).

“გორბის” დირექტორ მერაბ ფაჩულიას კომენტარით, საინფორმაციო ომმა საგრძნობლად შეცვალა საშუალო რუსი მოქალაქის დამოკიდებულება საქართველოში

მიმდინარე მოვლენების მიმართ. 12-17 ივლისს რუსეთის მასშტაბით ჩატარებულმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ (1500 რესპონდენტი) ასეთი შედეგი აჩვენა: პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ ნდობა, გასული ორი თვის განმავლობაში, 27%-დან 11%-მდე დაეცა; მიუხედავად ანტიქართული კამპანიისა, მხოლოდ 3 პუნქტით შემცირდა საქართველოს მიმართ რუსეთის მოსახლეობის დადებითი დამოკიდებულება – დღეს მოსახლეობის 40% დადებითადაა განწყობილი ჩვენი ქვეყნის მიმართ; გამოკითხულთა უმრავლესობა – 53%, საქართველოს მთავრობას აკისრებს პასუხისმგებლობას რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის გამწვავებისთვის; შემდეგი – შეერთებული შტატებია, შედარებით მოკრძალებული მაჩვენებლით – 15%; რუსეთის მთავრობა – 8%; თსეთის – 5%. (“რეზონანსი”, 20.08.2004)

რუსეთის “მესამე ძალად” დასახელების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები საუბრობდნენ იმაზე, რომ მათ ხელთ არსებული მტკიცებულებების გამომზეურებით რუსეთს ოფიციალურად დაედებოდა ბრალი სეპარატისტთა დახმარებაში. საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი იშველიებდა ვიდეოკადრებს, რომელზეც ასახული იყო რუსული დესანტისა და რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილების გადმოსხმა როკის გვირაბს აქეთ; რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი გააკეთა სპეციალური განცხადება, რომ საქართველომ ვერ მოახერხა იმ მტკიცებულებების გამომზეურება, რაც რუსეთის პირდაპირ დაადანაშაულებდა ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის პროგოცირებაში.

ცხინვალში შექმნილი საომარი მდგომარეობის ფონზე ოფიციალური მოსკოვის პოზიცია გაურკვეველი იყო, პრეზიდენტი პუტინი პოზიციის ლიად გამოვლენას არ ჩქარობდა. 18 აგვისტოს, სოჭში გამართულ პრესკონფერენციაზე, პუტინმა უარყო “თეზისი” იმის შესახებ, რომ კონფლიქტი ორმხრივ, ქართულ-რუსული კონფლიქტის ხასიათს იძენს და საქართველოში სიტუაციის გამწვავება 1990-იანი წლების მოვლენების რეციდივად გამოაცხადა. მისი განცხადებით, ეთნოკონფლიქტები დაიწყო საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და აფხაზეთისა და სამხრეთ თსეთის ავტონომიების გაუქმების თაობაზე “სულელური გადაწყვეტილებით”. პუტინმა განაცხადა იმის თაობაზეც, რომ აღარ აპირებს შემოდგომაზე საქართველოში ჩასვლას. (19 აგვისტოს პრესა, 2004)

ქართულმა საინფორმაციო სააგენტო “ინტერ-პრესმა” “კრემლის ერთ-ერთი ყველაზე თავხედური პოლიტიკური დემარში” უწოდა სოჭში რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის შეხვედრას აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტობის კანდიდატ რაულ ხაჯინბასთან. “პუტინმა აფხაზეთის სეპარატისტი პრეზიდენტი უკვე დანიშნა”, – წერს გაზეთი “რეზონანსი”. (“რეზონანსი”, 31.08.2004)

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის კომენტარით, რუსეთს აწყობს გამწვავებული კონფლიქტები. მას კონფლიქტის მოსპობა ერთ დღეში შეუძლია, მაგრამ სურს მეტი დაძაბულობა ამ რეგიონში, რათა გავლენის შენარჩუნება შეძლოს. პოლიტოლოგი ეჭვობს, რომ რუსეთს კავკასიური მარწუხი სჭირდება იმისთვისაც, რომ ამერიკასთან ეკონომიკურ საკითხებზე იგაჭროს კავკასიის სანაცვლოდ. (“რეზონანსი”, 20.08.2004)

საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შემდეგაც, “ახალი ვერსია”, რომლის ავტორმაც, გაზეთის განცხადებით, “ყველა უურნალისტისთვის დახურულ გასაიდუმლოებულ ზონაში შეაღწია”, აქვეყნებს სკეციალურ რეპორტაჟს – “რუსულ-ოსური სამხედრო მანქანა სანგრებს თხრის და ახალი ომისათვის ემზადება”. (“ახალი ვერსია”, 27.08.2004)

ცხინვალი ისევ ცდილობს თავისი პირობები წაუყენოს საქართველოს ხელისუფლებას – დე ფაქტო ხელისუფლების ინფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირინა გაგლოვა იწუნებს ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის, სოლომან პასის მიერ უვანია-კოკოითის შეხვედრის ადგილად შეთავაზებულ ქვეყნას – ბულგარეთს; გაგლოვას განცხადებით, ეს ქვეყანა საქართველოს იარაღს აწვდის და შეხვედრის ჩატარებისთვის ყველაზე შესაფერის ნეიტრალურ ტერიტორიად მოსკოვს ასახელებს. (“ახალი თაობა”, 31.08.2004)

“ალიას” პოლიტიკური მიმომხილველის ინფორმაციით, საქართველოზე ზემოქმედებისთვის კრემლი, ტრადიციულად, მოსკოვში მყოფი ფიგურების გააქტიურებასაც გეგმავს. მალე მოსკოვში ახალი პოლიტიკური პარტია დაფუძნდება, რომელშიც თავს მოიყრის ყველა განაწყენებული ჩინოვნიკი. “იმას, რაც ვერ მოახერხა იგორ გიორგაძემ შევარდნაძის წინააღმდეგ, ახლა აბაშიძე, კოკოითი და ხაჯინბა ერთად განახორციელებენ, ოღონდ უკვე სააკაშვილის წინააღმდეგ.” (“ალია”, 31.08.2004) “ალია”, ასევე, აქვეყნებს ინტერვიუს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ყოფილ თავმჯდომარესთან, თამაზ ნადარეიშვილთან, რომლის ინფორმაციითაც მზადდება დოკუმენტი დსთ-ის სივრცეში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის აღიარების საკითხის განხილვისთვის. (“ალია”, 31.08.2004)

პარალელურად, პრესა აღნიშნავს, რომ მაშინ, როცა ცხინვალის რეგიონში სეპარატისტები ქართულ სოფლებს ბომბავდნენ, პრეზიდენტ სააკაშვილის, პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს საგარეო უწყების არაერთგზის მიმართის მიუხედავად, საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის ევროკავშირი, ევროსაბჭო და ეუთო, კონკრეტული პოზიციის დაფიქსირებისაგან თავს იკავებდნენ. (აგვისტოს შუა რიცხვებში ეუთოს სამდივნოს მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ზოგადად ნათევამია, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში საომარი მოქმედებების ესკალაცია და ადამიანების დაღუპვა მკაცრად უნდა დაიგმოს). რუსული აგრესიისა და საერთაშორისო დუმილის ფონზე პრესაში იკვეთებოდა ეჭვი – ხომ არ

დარჩება საქართველო კვლავ მარტო, რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების პირისპირ, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა.

კონფლიქტის ზონიდან ჯარის გამოყვანის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების შემდეგ თითქმის ყველა ევროპულმა სტრუქტურამ თავისი პოზიცია უკვე დიად დააფიქსირა. განსაკუთრებით გააქტიურდა ევროპავშირი, რომელმაც განაცხადა, რომ “აღიარებს საქართველოს უფლებას, გააკონტროლოს საკუთარი საზღვრები, მათ შორის რუსეთის საზღვარზე მყოფი როკის გვირაბი”. (“ახალი ვერსია”, 23.08.2004)

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოუწოდა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ყველა მხარეს და ეუთო-ს სხვა პარტნიორებს – მაქსიმალურად გამოიყენონ საქართველოს მიერ ცხინვალიდან ჯარის გამოყვანით შექმნილი პოზიტიური მომენტი და შექმნან მოლაპარაკებების ეფექტური მექანიზმი საკითხის პოლიტიკური გადაწყვეტისათვის, რომლის ფარგლებშიც შენარჩუნებული იქნება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური სტატუსი საქართველოში. “საქართველოს უნარი, განახორციელოს სერიოზული რეფორმები, დამოკიდებულია მშვიდობასა და სტაბილურობაზე”, – ნათქვამი იყო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში. (“რეზონანსი”, 24.08.2004)

ცხინვალის კონფლიქტის გამწვავებას, საინფორმაციო თვალსაზრისით, საქართველოსთვის ერთი არსებითი შედეგი მოჰყვა: საქართველოს ხელისუფლების მიერ რუსეთის აღიარება კონფლიქტში დაინტერესებულ მხარედ, რასაც რეზონანსულად მოჰყვა უცხოურ მედიაში ადეკვატური აქცენტის გაჩენა.

“მთავარი გაზეთის” ფორმულირებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთში განვითარებულმა მოვლენებმა რუსეთ-საქართველოს კეთილმეზობლური თანაცხოვრების “განახლებული იდეა” საპნის ბუშტივით გააქრო. საქართველოს პარლამენტმა რუსეთი მსოფლიოს წინაშე ქართულ-ოსურ კონფლიქტში მონაწილე, დაინტერესებულ მხარედ თფიციალურად დაასახელა და შესაბამისი განცხადების საფუძველზე საერთაშორისო ორგანიზაციებს ცხინვალის რეგიონში რუსეთის სამშვიდობო მანდატის შესაწყვეტად დახმარება სთხოვა. (“მთავარი გაზეთი”, 14.08.2004)

თავი III

სახელისუფლო ბრძოლები – პრესის ძირითადი თემა

ეს მონაკვეთი, შეიძლება ითქვას, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ცენტრალური ნაწილია, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საანალიზო მონაკვეთში პრესის ძირითადად ასახავდა სახელისუფლო ბატალიებს და გამოხატავდა ხელისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლის ინტერესს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მხედველობაში გვაქვს პრესის მთავარი ტენდენციები და მთავარი თემები, რომელიც საერთოა მთელი ამ პერიოდისთვის. ხელისუფლების სამივა შტოც (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო), განსაკუთრებით – პარლამენტი და მთავრობა, პრესის ყურადღების საგანი უმთავრესად ამ კონტექსტში ხდება.

სახელისუფლო ბრძოლის ვექტორები და ეტაპები, პირობითად, ასე იკვეთება:

- პარლამენტისა და მთავრობის დაპირისპირება (2000-2001 წლები)
- დაპირისპირება მმართველი პარტიის – “მოქავშირის” წიაღში (2000-2001)
- დაპირისპირება პოლიტიკურ ძალებსა და ინტერესებს შორის (“მოქავშირი აღორძინება”, “გაერთიანებული დემოკრატები”-“ნაციონალური მოძრაობა” – ”მოქავშირი” და ა.შ.) – 2000-2003 წლები
- პიროვნული დაპირისპირებები

ამ დაყოფის პირობითობა უპირველესად გულისხმობს იმას, რომ ინსტიტუციონალური დაპირისპირებისა და, უფრო მეტიც, ქვეყნის ორიენტაციაზე აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაშიც, რეალურად, იკვეთება არა კონცეპტუალური, არამედ პიროვნული ფაქტორი (მაგალითად, პარლამენტი-კანცელარიის დაპირისპირება უვანია-შევარდნაძის დაპირისპირება; გარდაცვლილი ნუგზარ საჯაიას ნაცვლად, უშიშროების მდივნად აშშ-ში საქართველოს ელჩის, თედო ჯაფარიძის დანიშვნა განიხილება შევარდნაძის პროდასავლურობის ნიშნად და ა.შ.). “ძველსა” და “ახალს”, ე.წ. რეტროგრადებსა და ე.წ. რეფორმატორებს შორის დაპირისპირებაც, საბოლოო ჯამში, პიროვნულ დაპირისპირებამდე დადის და აღმოჩნდება, რომ აქაც წინა პლანზე ხელისუფლებისათვის ბრძოლის ინტერესია და არა მხოლოდ საბჭოური მემკვიდრეობიდან გათავისუფლებისა და ქვეყნის დემოკრატიული გარდაქმნის მიზანი.

ფილოსოფოსი გიგი თევზაძე, თავის ფილოსოფიურ-პოლიტიკურ ესეებში (“ძალაუფლების სიმულაცია” და “საქართველო: ძალაუფლების დაბრუნება”), პოსტსაბჭოთა საქართველოში მიმდინარე პროცესებს განიხილავს, როგორც “დემოკრატიის და ლიბერალური მომავლის სიმულაციას”. ედუარდ შევარდნაძის “რელიქტური ხელისუფლება” (რომელიც თავდაპირველად თვითონაც აქტიურად მონაწილეობდა “სიმულაციური ორბიტების” შექმნაში) “...უფროხოდა, ერთი მხრივ,

დასავლეთს, რომელსაც წარმოებულ სიმულაციაში ლიბერალური დემოკრატიის გარანტის როლი ჰქონდა მინიჭებული, ხოლო მეორე მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებას, რომელიც ამავე სიმულაციის სცენარში დემოკრატიის ძირითადი დამცველის სახით იყო წარმოდგენილი.” (ხაზი ავტორის, – ლ.კ.) (25, 33-34)

გიგი თევზაბის ესეისტურმა ხედვამ განსაკუთრებით მიიპყრო ჩვენი უურადღება ორი ძირითადი მიზეზით: ერთი, რომ იგი არა მხოლოდ ფილოსოფიის დოქტორია, არამედ, სამოქალაქო სექტორის გავლენიანი აქტორი და მცოდნე პოსტსაბჭოთა საქართველოში მიმდინარე პროცესებისა; მეორეც, ზემოაღნიშნულ ესეებში განვითარებული თვალსაზრისები “დოკუმენტურად” დასტურდება ბოლო 10 წლის განმავლობაში ჩვენს მიერ წარმოებული მედიანალიზითა და მედიამონიტორინგით.

“სიმულირებული დემოკრატიის” თემა შემთხვევით არ შემოვიტანეთ დისერტაციის ამ ნაწილში. ერთი შეხედვით, ის “სახელმწიფოს” ნაკვეთს უფრო ესადაგებოდა, მაგრამ როგორც ქვემოთ ვნახავთ, საბჭოთა “უანტომური” რეალობიდან (მერაბ მამარდაშვილი) “სიმულირებულ” რეალობაში საქართველოს გადანაცვლების გზა სწორედ სახელისუფლო ბრძოლების წინა ხაზე გადის. როგორც გიგი თევზაბე წერს, “სიმულაციის პრეექტი ხელს აძლევდა უველას – მათაც, ვისაც ძალაუფლებაში მოსვლა უნდოდა, და მათაც, ვისაც არ უნდოდა წასულიყო ძალაუფლებიდან: ანუ, ეს აწყობდა როგორც იმ გუნდს, რომელიც უვანიას გარშემო ყალიბდებოდა, ასევე იმ გუნდსაც, რომელიც თავს იკრებდა შევარდნაძის გარშემო.” (25, 36)

• ზურაბ უვანიას “პოლიტიკური გონი” – მითი თუ რეალობა

სახელისუფლო ბრძოლების ძირითადი პერიპეტიების განხილვამდე მოკლედ შევეხებით წინაპირობას იმ პოლიტიკური პერსონის და გუნდის ფორმირებისა, რომელიც, ედუარდ შევარდნაძესთან ტანდემსა თუ მასთან კონფრონტაციაში, 2000-2003 წლებში არსებითად განსაზღვრავდა პოლიტიკური სკექტრის კონფიგურაციასაც და სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ვექტორების მიმართულებას; ხოლო “ვარდების რევოლუციის” შემდგომ პერიოდში, ზურაბ უვანიას გარდაცვალებამდე (2003-ის ნოემბრიდან 2005-ის თებერვლამდე) – მიხეილ სააკაშვილთან ტანდემში (და ღია თუ ფარული კონკურენციის პირობებში), მართავდა პოსტშევარდნაძისტულ საქართველოს.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ 2000 წელს “დილის გაზეთის” სამ ნომერში საერთო სათაურით (“ქართული პოლიტიკური გონი – მითი თუ რეალობა”, ავტორი – ირაკლი ლითანიშვილი) გამოქვეყნებულ სამ პუბლიკაციაზე: “უვანიას ჰქონდა პოლიტიკოსისათვის აუცილებელი რამდენიმე თვისება” (25 მაისი), “უველაზე ძლიერი და პერსპექტიული ფიგურა... შევარდნაძის შემდეგ” (26 მაისი), “ვინ გადასძალავს –

ჟვანია თუ შევარდნაძე” (30 მაისი). უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის კარგად გააზრებული ანალიტიკური სტატიები, რომელთა ავტორი გონივრულად აანალიზებს და საგანგებო პატივს მიაგებს საქართველოში დაბრუნებული ედუარდ შევარდნაძის საკადრო პოლიტიკას, შეიარაღებული “სამოქმედის” თარეშის პერიოდიდან მოყოლებული “მოქალაქეთა კავშირის” საარჩევნო გამარჯვებამდე, და ამ ფონზე დამაჯერებლად წარმოაჩენს ზურაბ ჟვანიას პოლიტიკური ზრდის ეტაპებს:

I პერიოდი – ჟვანიამ ეროვნული მოძრაობის ქაოსით მოცულ პერიოდში შექმნა პარტია, რომელიც თავისი მიზნებით იზიდავდა ხალხის ინტერესებსაც, დასავლეთის მხარდაჭერასაც... სახელმწიფო საბჭოში მან ზუსტად აირჩია ორიენტირები და ისწავლა აქცენტების დასმა იქ, სადაც საჭირო იყო და როგორც საჭირო იყო... პარალელურად, მან შექმნა პატარა, მაგრამ ერთგული და მობილური გუნდი.

II პერიოდი (1995 წლის შემდეგ) – მან უნაკლოდ აითვისა კულტურული ინტრიგების, სვლების ტექნიკურობია, “დაყავი და იბატონეს” პრინციპი: დახლიჩა ედპ, რითაც დიდწილად გაანეიტრალა “მოქავშირის” ძირითადი კონკურენტი... ზურაბ ჟვანიამ შესანიშნავად შეიგრძნო გუნდურობის პრინციპის მომგებიანობა და აქცენტი გადაიტანა არა მხოლოდ საკუთარი პერსონის რეკლამირებაზე (როგორც ამას ირინა სარიშვილი აკეთებდა), არამედ ასპარეზზე გამოიყვანა და შესანიშნავი იმიჯი შეუქმნა თავის გუნდს არაერთი ახალი სახელით – მიხეილ სააკაშვილი, მიხეილ მაჭავარიანი, ნინო ჩხობაძე, რევაზ ადამია, ნინო ბურჯანაძე, ელენე თევდორაძე და სხვ. ამასთან, თითოეულს გამორჩეული ფუნქცია დააკისრა, რითაც მოსახლეობის ფაქტობრივად ყველა ფენაზე იმუშავა...

ჟვანიამ შესანიშნავად ააწყო ურთიერთობები დასავლეთთან. იგი დემოკრატისა და რეფორმატორის იმიჯით სარგებლობს, აქეს გავლენიანი კონტაქტები დასავლეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ წრეებთან და ერთ-ერთი უპირველესთაგანია, ვისაც დასავლეთი პოსტშევარდნაძისტული საქართველოს ლიდერად აღიქვამს... ამასთან, ჟვანიამ კიდევ ერთხელ გონივრულად გათვალა და პოზიციები გაიმუარა რეგიონში საქართველოს უმთავრეს პარტნიორთან – აზერბაიჯანთან, სადაც მას არაჩვეულებრივი ფინანსური და პოლიტიკური კავშირები აქვს... ერთ-ერთ პრაქტიკულ და მომგებიან ნაბიჯად ჟვანიას უნდა ჩაეთვალოს პრესასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ზედმიწევნით დახვეწილი ურთიერთობების აწყობა... ამ პერიოდში იგი ჩამოყალიბდა უდავოდ სერიოზულ, ანგარიშგასაწევ, გამჭრიას, გონიერ და ძლიერ პოლიტიკოსად.

III პერიოდი – ზურაბ ჟვანიას მორიგი, მესამე “ხუთწლეული” – ჟვანიას შტაბი მაქსიმალურად ცდილობდა პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიისათვის (2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნები – ლ.კ.) არ გაეკარებინა სახელმწიფო კანცელარიის შესაბამისი სტრუქტურები. როგორც ჩანს, ჟვანიას სურდა საარჩევნო კამპანიის მთელი სიმძიმე მაქსიმალურად აედო თავისთავზე, რათა არჩევნებში სასურველი შედეგის მიღწევის

შემთხვევაში, მადლობის ნიშნად პრეზიდენტისაგან ასევე მაქსიმუმი გამოეთხოვა... უვანია ითხოვდა მთავრობის, ფაქტობრივად, სრულად დაკომპლექტებას; ანუ, რაც შეიძლება მეტი სახელისუფლებო ბერკეტის ხელში აღებას პოსტშევარდნამისტულ ეპოქაში ლიდერის პოზიციის შესანარჩუნებლად...

უვანიას წინ უდევს, საუკეთესო შემთხვევაში, “მოქალაქეთა კავშირის” დახვეწა-გადახალისების, ან, უკიდურეს შემთხვევაში, თავისი ბირთვის საფუძველზე ახალი კონგლომერატის (ამჯერად მყარი) შექმნის პროცესი. (131; 132; 133)

განხილული პუბლიკაციები არ აიდეალებს ზურაბ უვანიას ყველა თვისებას და პოლიტიკურ ნაბიჯს, ყურადღებას ამახვილებს მის მიერ თუნდაც იმ პერიოდში დაშვებულ არსებით შეცდომებზე (ედუარდ შევარდნამის შესაძლებლობების სათანადოდ შეუფასებლობა და მისი ძალაუფლების დროზე ადრე შეზღუდვის მცდელობა, სულსწრაფობა, შესაფერი დროისა და მომენტის ვერშერჩევა...), რითაც უფრო მეტ დამაჯერებლობას იძენს.

დავუბრუნდეთ გიგი თევზაბის ზემოხსენებულ ესეს, რომელშიც კარგადაა ახსნილი, როგორ ჩაჯდა უვანიას ფაქტორი შევარდნამის სახელისუფლო ტექნოლოგიაში: შევარდნამე „სჭირდებოდა ადამიანი, ვინც პასუხისმგებლობას აიღებდა მის გადაწყვეტილებებზე. ასეთი კაცი კი, არსებულ კანდიდატურებს შორის, მხოლოდ უვანია იყო. ასე იქცა უვანია ათქაციანი ფრაქციის ლიდერიდან ძალაუფლების მოზიარედ – მართალია, ჯერჯერობით მხოლოდ პასუხისმგებლობის ასპექტში, მაგრამ ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ მალე გადაწყვეტილების ნაწილიც მისი საკუთრება გახდებოდა.“ 1995 წელს უვანია პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს და მან „ძალაუფლების საკუთარი წილიც მიიღო“; „... ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც შევარდნამე აშკარად გაყო ძალაუფლება: პარლამენტი უვანიას ჩააბარა დემოკრატიისა და ძალაუფლების სიმულირებისათვის, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება – ლეგიშვილს, ძველი ხელისუფლების სუბიექტების გამოცდილი მეთოდებით საკონტროლოდ.“ (25, 19-20)

ამ მასალების შეჯერება წარმოდგენას იძლევა არა მხოლოდ უვანიას ძალაუფლების ანატომიაზე, არამედ კარგად შიფრაცს სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში აღწერილი სახელისუფლო ბრძოლების განვითარების კანონზომიერებას და, ამასთან, საშუალებას გვაძლევს ამ სქემას შევუდაროთ შესაბამისი პროცესების პროექცია პრესაში.

• პარლამენტისა და მთავრობის დაპირისპირება

2000 წლის აპრილ-მაისში, ტელეკომპანია ”რუსთავი 2”-მა, ”რეზონანსმა”, ”ალიამ”, ”დილის გაზეთმა”, გაამძაფრეს ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებს შორის წარმოშობილი დაძაბულობა; როგორც ”ალია” წერდა, ”შევარდნაძე ამ ორი სახელისუფლო შტოს უთანხმოების ეპიცენტრში მოექცა. ორთაბრძოლა თითქოს დაშანტაჟების ფორმასაც კი იძენს. შანტაჟის ობიექტად ისევ შევარდნაძეს იყენებენ.” (“ალია”, 30.04.2000)

საგაზეთო სტატიებსა და სატელევიზიო ეთერში მუსირებდა ამგვარი ფორმულირებები: ”იმპირიუნგის მცდელობა”, ”პრეზიდენტის უფლებების სერიოზული სეკვესტრი”, ”პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია”, ”საკანონმდებლო საბოტაჟი”, ”საბოტაჟის მომწყობი მინისტრები”, ”სამთავრობო პორტფელების უზურპაციის მცდელობა მომავალში საპრეზიდენტო ტახტის დასაპყრობად” და ა.შ.

კონსტიტუციის თანხმად პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ ისედაც უფლებამოსილებამოხსნილი სახელმწიფო მინისტრისა და მთავრობის გადადგომის მოთხოვნას პარლამენტის მხრიდან, აქტიური ქურნალისტური მხარდაჭერა მოპყვა, ხოლო პარლამენტის ინიციატივა მთავრობის პასუხისმგებლობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ, ხმაურიანი ქურნალისტური აუთოტაჟის საბაბად იქცა. ქურნალისტური ტენდენცია, ტრადიციულად, სათაურებშივე გამჟღავნდა: ”მე ვარ ქურდი, ესე იგი მე ვარ ხელისუფლებაში” (იგულისხმება მთავრობა, – ლ.ქ.) (“რეზონანსი”, 24.04.2000); ”კანცელარიაში საჭიროს ვერაფერს გაგაებინებენ”; ”ხელისუფალთა არაკომპეტენტურობისა და დანაშაულებრივი ქმედების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონები გადის” (”დილის გაზეთი”, 12,13.04. 2000); ”ჰყავს თუ არა საქართველოს მთავრობა?”; ”პარლამენტი მკვდრის დასაფლავებაზე უარს აცხადებს” (”დილის გაზეთი”, 28.04.2000).

პარლამენტი-კანცელარიის დაპირისპირება რომ ისევ და ისევ პერსონალური სახელისუფლო ბრძოლა, კარგად იკითხება ”რეზონანსის” პირველი გვერდის ანშლაგში – ”პასუხისმგებელი პირველ რიგში შევარდნაძე”, და კარიკატურაში, რომელზეც გამოსახული არიან რინგზე დაცემული ლორთქიფანიძე, გამარჯვებული, მუშტშემართული მოკრივე უვანიას ძლევამოსილი ფიგურა და მის იდლიაში შეყული დაჩიავებული პრეზიდენტი. (“რეზონანსი”, 06.05.2000)

ზურაბ უვანიას რეალური კონკურენტის, სახელმწიფო მინისტრ ვაჟა ლორთქიფანიძის გადადგომა თანამდებობიდან ჩაითვალა არა მხოლოდ ლორთქიფანიძის დამარცხებად, არამედ პრეზიდენტ შევარდნაძის წაგებულ რაუნდად. მაისის თვეში, ”რეზონანსისა” და ”ალიას” თითქმის ყოველ ნომერში, პოლიტიკოსებთან ინტერვიუებში, უურნალისტები დაჟინებით აკეთებენ აქცენტს

“პრეზიდენტის იმპიჩმენტის მცდელობაზე”; საინფორმაციო საბაბად იყენებენ ხელმოწერების შეგროვებას პარლამენტში – მთავრობის საქმიანობის შესწავლის მოთხოვნით.

“შმართველ პარტიაში დიდი აურზაურია. პრეზიდენტის სიყვარულით ერთ მუშტად შეკრული “მოქალაქეები” ერთმანეთს დაუპირისპირდნენ... როდესაც ხელმოწერებმა 120-ს გადააჭარბა, საქმეზ სახუმარო ელფერი დაკარგა. როგორც ჩანს, აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის დამიზნებული ეს ინიციატივა პრეზიდენტმა უშუალოდ მის წინააღმდეგ წამოწყებულ აქციად აღიქვა. საქმე ხომ მის მიერ დანიშნული მთავრობის ცოდვათა გამოაშკარავებას ეხება”, – წერდა “რეზონანსი”. (“რეზონანსი”, 14.05.2000)

ამ ფონზე მუშავდება მთავარი თემა – პოსტშევარდნაძისტული მომავალი, რომელიც ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით აქცენტირდება:

- სახოგადოებრივი აზრის შემზადება და ნიადაგის მოსინჯვა ხელისუფლების სათავეში “ახალგაზრდა რეფორმატორთა” მოსვლისათვის;
- სახოგადოებრივი აზრის გააქტიურება პრეზიდენტის წინააღმდეგ;
- ფსიქოლოგიური ზემოქმედება პრეზიდენტსა და მის გარემოცვაზე.

“ალიას” პირველ გვერდზე ჩნდება ანშლაგი – “პაატას პრეზიდენტობისთვის ამზადებენ?”, შესაბამისი მასალა კი შიდა გვერდებშია გადასროლილი და გვაუწყებს, რომ “რაიონებში გაგრცელებული მოარული ხმებით, პაატა შევარდნაძეს საფუძველს უმზადებენ დიდ პოლიტიკაში მოსვლისათვის.” (“ალია”, 13.04.2000)

ასევე ანშლაგით ამჯერად “რეზონანსი” იუწყება, რომ “პაატა შევარდნაძე პოლიტიკაში მოსასვლელად ემზადება”, აქვეა მთელ გვერდზე განფენილი სათაური – “რატომ მიდის თანამდებობიდან ედუარდ შევარდნაძე?” ეფექტურად მოწოდებული ეს სათაურები მასალის წაუკითხავადაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ პრეზიდენტი მიდის და როგორც “მეფე”, მემკვიდრედ თავის ვაჟს ტოვებს. გაზეთის მეორე გვერდზე განთავსებულ პუბლიკაციაში საუბარია საქართველოს მდგრადი განვითარების სააგენტოს ჩამოყალიბების თაობაზე, რომლის პრეზიდენტი პაატა შევარდნაძე იქნება და ამ სტატუსს “რეზონანსის” ექსპერტები განიხილავენ, როგორც წინაპირობას პოლიტიკაში მოსასვლელად – “როგორც ჩანს, შევარდნაძე უმცროსმა აქტიურ პოლიტიკაში მოსასვლენად მომგებიანი პოზიცია შეარჩია.” რაც შეეხება პრეზიდენტის წასვლას თანამდებობიდან, გაზეთის მესამე გვერდზე ირკვევა, რომ “შევარდნაძეს ამჯერად არ უფიქრია პრეზიდენტობის მიტოვება. ის, უბრალოდ, “მოქალაქეთა კავშირის” თავმჯდომარეობაზე ამბობდა უარს.” (“რეზონანსი”, 09.05.2000) მომდევნო ნომრებში “რეზონანსი” ისევ აგრძელებს თემას – ედუარდ შევარდნაძის მიერ “პლაცდარმის მომზადება” შვილისათვის “ტახტის გადასაცემად”; “ალია” კი, “მოარულ

ხმებზე” დაყრდნობით, ჯერ ავრცელებს, შემდეგ კი უარყოფს “შევარდნაძის ავადმყოფობის ამბავს.”

“ალიასა” და “რეზონანსის” მიერ ინიცირებული თემის – პრეზიდენტის შემცვლელის “ურნალისტური ძიების” არეალი თანდათან ფართოვდება და პრესაში განიხილება ხელისუფლების სათავეში ახალი ძალის მოსვლის რამდენიმე ვარიანტი:

- შევარდნაძეს არანაირი ძალა და სურვილი რადიკალური ცვლილებებისათვის არა აქვს; ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში, ის მხარს დაუჭერს ახალგაზრდების მიერ წამოწყებულ რეფორმებს და პოლიტიკურ ცხოვრებაში პარლამენტს უფრო მეტი ფუნქციის აღება მოუწევს; (125) უვანიას გუნდს საპარლამენტო მმართველობა ურჩევნია, რადგან უვანიას არ გააჩნია საპრეზიდენტო ქარიზმა; (110)
- მინისტრთა კაბინეტის შემოღებით, პრემიერ-მინისტრის რანგში, უვანია მეორე კაცი გახდება პირველი კაცის ფუნქციით; (111)
- შევარდნაძე გაიმუროებს ელცინის ნაბიჯს; მისი მემკვიდრე იქნება ის, ვინც პუტინივით შეინარჩუნებს არსებულ რეჟიმს და ხელს არ ახლებს მის გარემოცვას. შესაძლოა ეს იყოს “სამართალდამცავების ბოსი” კახა თარგამაძე. (158)

საგანგებო ყურადღებას მივაქცევთ “ტრადიციონალისტთა” ლიდერის, პარლამენტარ აკაკი ასათიანის ინიციატივას – მინისტრთა კაბინეტის შემოღებისათვის საკონსტიტუციო ცვლილებების თაობაზე. მოვიხმობთ ციტატას გაზეთ “ალიას” პუბლიკაციიდან, რომელიც იმითაც არის საინტერესო, რომ აფიქსირებს პრეზიდენტის ორბიტიდან ახალი თაობის ბიზნესმენების, პარლამენტარების – ლევან გაჩეჩილაძისა და დავით გამყრელიძის, დისტანცირებას: “გაჩეჩილაძე-გამყრელიძის დუეტი იმასაც ამტკიცებს, რომ სახელმწიფო მინისტრად ზურაბ უვანიას წასვლის შემთხვევაში, ის ყველა საკითხზე პასუხისმგებლობას აიღებდა და შედეგიც უკეთესი იქნებოდა. კულუარული ინფორმაციით, ახლანდელი სახელმწიფო მინისტრი, არსენი შვილი, თანამდებობას ჰა და ჰა, ერთ წელში გამოემშვიდობება და უვანიაც აღმასრულებელი ხელისუფლების ოლიმპზე არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე გადაინაცვლებს. თუმცა... მინისტრთა კაბინეტის იდეამ ცოტა ხნით კულისებს მიღმა გადაინაცვლა. ამდენად, შესაძლოა, “ტრადიციონალისტების” თავგამოდებამ და ხელმოწერების შეგროვებამ ფუჭად ჩაიაროს. ასათიანს თუ მის დამკვეთს ამ ეტაპზე იმედებმა არ გაუმართდა, რადგან “მას” (იგულისხმება ედუარდ შევარდნაძე – ლ.კ.) ასე სურს.” (148)

მინისტრთა კაბინეტის თემამ ერთგვარად ფატალური როლი შეასრულა ზურაბ უვანიას პიროვნულ და პოლიტიკურ ბიოგრაფიაში. 2001 წლის გაზაფხულზე ისევ საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირება, ოდონდაც ამჯერად პრეზიდენტის მხრიდან, და, მის მიერვე, მინისტრთა კაბინეტის შესაძლო ხელმძღვანელად ზურაბ უვანიას

კანდიდატურის დასახელება ის სტრატეგიული სვლა აღმოჩნდა, რომელმაც ჟვანიას მიერ მოგებული სერიოზული რაუნდების შემდეგ (ჯერ ნიკო ლეკიშვილის, შემდეგ გაუა ლორთქიფანიძის გადადგომა სახელმწიფო მინისტრობიდან), ძალთა ბალანსი მის საწინააღმდეგოდ შეცვალა.

“ძალიან უცნაურად მოხდა თავის დროზე, როდესაც მინისტრთა კაბინეტის კონცეფცია შემოვიდა პრეზიდენტის მხრიდან... მაშინ ჩემთვის უცნაური იყო, რომ რატომდაც დასახელდა ჩემი სახელი და გვარი, მაშინ როდესაც სტრუქტურა საერთოდ არ იყო მიღებული. ეხლა დაახლოებით იგივე ხდება, ოღონდ სრულიად საპირისპირო მიმართულებით. ისევ დაისვა პრეზიდენტის მხრიდან, რომ აუცილებელია კაბინეტი შემოვიდოთ სასწრაფოდ, მაგრამ, ამავე დროს, სასწრაფოდ მოხდა ასლან აბაშიძის გვარის დასახელება”, – ეს განცხადება ტელეკომპანია “პირველი არხის” ეთერით გააკეთა 2001 წლის 16 ნოემბერს, “ნოემბრის რევოლუციად” წოდებული მოვლენების შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარეობიდან გადამდგარმა ზურაბ ჟვანიამ. (143)

ამჯერად ზურაბ ჟვანიამ ახსნა ორივე შემთხვევაში ამ ინიციატივის მიღმა ნაგულისხმევი სახელისუფლო ბრძოლის ტექნოლოგია (“ბუნებრივია, რომ თუ ამჯერად კაბინეტი დაუკავშირდება კიდევ რომელიდაცა კონკრეტულ პოლიტიკოსს, ამ შემთხვევაში აჭარის ლიდერს ასლან აბაშიძეს, მასაც ჰყავს ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე და ვფიქრობ არა ნაკლები, ვიდრე ზურაბ ჟვანიას და ისევ მოხდება ამ სტრუქტურის ჩაგდება”), მაგრამ გაცილებით ადრე ახსნა პრესამ (ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჟვანიამ, პრეზიდენტის წინადადებაზე დათანხმება თავისი პოლიტიკური პასუხისმგებლობისა და თავგანწირვის სადემონსტრაციოდ გამოიყენა).

პერიოდი – 2000 წლის ნოემბრ-დეკემბრის “ენერგეტიკული ბუნტიდან” 2001 წლის “ნოემბრის რევოლუციამდე” (“ნოემბრის რევოლუციად” წოდებული მოვლენები განხილულია დისერტაციის II თავის ქვეთავაში – “დესტაბილიზაციის საინფორმაციო უზრუნველყოფა”), გამოირჩეოდა სახელისუფლო დაპირისპირებების განსაკუთრებული სიმძაფრითა და პრესაში მათი ასახვის განსაკუთრებული მრავალფეროვნებით. ამავე პერიოდში, საინფორმაციო ამინდის შემქმნელ მედიაში ირლევა ზურაბ ჟვანიას მედიაზეობის, მისი გუნდის ერთიანობის, “მოქავშირის” სიძლიერის და ა.შ. მითები; ჟვანიას გუნდიდან დისტანცირებას და რეიტინგულ შეკალაზე აღმასვლას იწყებს მიხეილ სააკაშვილი, პარადოქსია, მაგრამ მედიის შეტევის ფონზე, პრესაში მოგებიანად პოზიციონირებს ედუარდ შევარდნაძის პერსონა.

- დაპირისპირება მმართველი პარტიის – “მოქავშირის” წიაღში

ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებს შორის ურთიერთობის დაძაბვის შემდგომ საინფორმაციო კამპანიის ეურადდების ცენტრში

ქვეყნის მმართველი პარტია, მის შიგნით ურთიერთდაპირისპირების, ძალთა ახალი გადანაწილების პრობლემები ექცევა. მასმედია ოდნავ ანელებს, მაგრამ მაინც განაგრძობს პრეზიდენტისა და მისი ძალაუფლების დისკრედიტაციას – უვანიასა და მისი გუნდის იმიჯის განმტკიცების ხარჯზე.

საგულისხმოა, რომ მთელი ამ პროცესების პერიოდში პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მკვეთრ რეაქციას ახდენს მხოლოდ მთავრობის წინააღმდეგ 120 პარლამენტარის ხელმოწერის კამპანიაზე, რომელსაც ტ/კ “რუსთავი 2”-ის, გაზეობის – “რეზონანსისა” და “ალიას” უურნალისტები “პრეზიდენტის იმპიჩმენტის მცდელობაზე” აქცენტირებისთვის იყენებენ.

მასმედის ფლაგმანების მიერ ახალგაზრდა რეფორმატორთა დემოკრატიულობისა და ყოვლისშემძლეობის იმიჯის შექმნის მიუხედავად, 2000 წლის ზაფხულიდან მასმედიაში აქა-იქ ჩნდება მინიშნებები და მოსაზრებები უვანიას გუნდის “კლანურ დიქტატურაზე”, “ინკუბატორული მეთოდით შერჩეული ახალგაზრდების ასაკობრივ კრიზისზე”, ახალგაზრდა რეფორმატორების ფსევდოუკროპეიზმისა და კოსმოპოლიტიზმის კრიტიკა და ა.შ. მაგრამ ძირითადი ფონი რჩება იგივე – “პოსტეპოქისთვის” მზადება და პრეზიდენტის მემკვიდრეზე მარჩიელობა, “მოქავშირში” განხეთქილების, პრეზიდენტ-უვანიას დაპირისპირების, პრეზიდენტისაგან პარტიის მოსალოდნელი დატოვების და ა.შ. თემების აჟიტირება.

2001 წლის დამდეგიდან ხელისუფლების დამხობის სულისკვეთება ნელდება, მაგრამ მასმედია ამჯერად ხავერდოვანი რევოლუციის ვერსიებს ამუშავებს; ძლიერდება პანკისის საბაბით საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო კონფლიქტის გაჩადების საფრთხე; პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე პრეზიდენტის გამოუსვლელობა ამბავრებს მის წინააღმდეგ მიმართულ საინფორმაციო კამპანიას და მასმედია პეტავ ამუშავებს “ელცინის ვარიანტისა” და ქვეყნის პირველი პირის რანგში პარლამენტის თავმჯდომარის მოვლინების ვერსიებს. თუმც, პარალელურად, ჩნდება ვერსია, რომ პოლიტიკურ კრიზისს არა პრეზიდენტი, არამედ პარლამენტის თავმჯდომარე შეუწირება. “რუსთავი 2”, “ალია” და “რეზონანსი” აქამდე ტაბუდადებულ ზურაბ უვანიას პერსონას კანტიკუნტად უკვე უარყოფით კონტექსტში იხსენიებენ და ააქტიურებენ მიხეილ სააკაშვილის პერსონისადმი ინტერესს.

ამ ფონზე “რეზონანსის” “მთავარი სნაიპერის” – მორიგე რედაქტორის ”გასროლა”, რომელიც, იმ პერიოდში, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა, აღარც ისე შემთხვევითი მოგვეჩენება. მან ზურაბ უვანიას პერსონისადმი ეწ. დამოუკიდებელი მედიისა და საზოგადოების მიმართებაში, უდავოდ შეასრულა “სასიგნალო გასროლის” როლი: “ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში არის კიდევ ერთი “გენიოსი”, რომელიც აქამდე სუფთა გამოდიოდა ყველა ჭურყიდან და რახან აზრი არა აქვს არც იუმორს, არც ანალიზს, რადგან სხვა გზა არ არის, სწორედ მას უნდა

შევძახო: “ეი, შენ შაგტ...ა მაიმუნო, ვის ქონებას ანიავებ, შე მართლა პედერასტო!” (“რეზონანსი”, 18.02.2002).

ეს ციტატა მრავალმხრივ საგულისხმოა; ჯერ ერთი, “რეზონანსი”, რომელიც ცივ ნიავს არ უშვებდა ზურაბ ჟვანიასკენ, ამ “ემოციური შეძახილითა” და ბილწსიტყვაობით ამჟღავნებს, რომ არც აქამდე მიაჩნდა ეს პერსონა უმწიკვლო არსებად; მეორეც – “რეზონანსი” დიად იმეორებს იგივე “ბრალდებას”, რომელსაც მოსკოვში მცხოვრები პოლიტოლოგის, ვახტანგ ჭავასელის მიერ უფრო “ცივილურად” და ზოგადად ნათქვამს (და “რეზონანსისაგან” ცეცხლზე ნავთდასხმულს), დიდი სკანდალი და საგანგებო საპარლამენტო განხილვა მოჰყვა (2000 წლის ნოემბერში).

“რეზონანსის” შემდეგ ნომერში ჟვანიასა და მის თანაგუნდელ რეფორმატორებს შევე ერთდროულად შეუტიეს მორიგე რედაქტორმა და გიგი მესვეტემ:

- “აღნიშნავდი, რომ მალე “ჟვანიას გუნდი” მარტო ერთ კაცს – კობა დავითაშვილს დაერქმეოდა. საქმე ის არის, რომ სააკაშვილის გამინისტრების შემდეგ რევოლუციური გარდაქმნების დროშა პარლამენტში ამ ახალგაზრდა კაცმა აიტაცა და ჟვანიას გუნდის გარეგნულ სახედაც იქცა. თუმცა, როგორც ჩანს, თავად ჟვანიას ამ დროს სულაც არ ერევოლუციება და შესაბამისად, მის გუნდში რევოლუციონერებისთვის ადგილი არ არის.” (ალექო ცქიტიშვილი, “მორიგე რედაქტორის ჩანაწერები”, “რეზონანსი”, 19 თებერვალი, 2001).
- “საზიზდარ სიტუაციაში ვართ: გვეგონა, ერთი თაობა მიდიოდა და მოდიოდა მეორე, რომელიც ქვეყნას თავის ადგილს დაუმკგიდრებდა ლოკალურად იქ სადაც არის და გლობალურად იქ, სადაც მისი ადგილია – ევროპაში. შევცდით. ბოლო ათწლეულის ახალმა სახეებმა იერი იცვალეს. თქვეს, რომ ვართ “ქართველები, ე.ი. ევროპელები”, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არც ევროპელები არიან და მით უმეტეს, არც – ქართველები. ეს ადამიანები გვიან დაიბადნენ, ადრე რომ დაბადებულიყვნენ, კლასიკური კომპავშირული ლიდერები იქნებოდნენ.” (გიგი მესვეტე, ”კორექტული სვეტი”, “რეზონანსი”, 19 თებერვალი, 2001).

საგანგებოდ მიგაპყრობო ყურადღებას მესიჯს “რევოლუციური”, რომელიც, ჩვენი აზრით, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში (შესაბამისად, პოლიტიკურ სკეტრში) თვისობრივი ცვლილებებისა და “ხავერდოვანი რევოლუციის” ტექნოლოგიური პროცესების მაუწყებელი უნდა იყოს. ეს არ არის “რევოლუციის” ხსენებით გამოწვეული ასოციაციური პარალელი. ეს ცნება ქართულ პრესში ისედაც ხშირად ფიგურირებდა, ოღონდაც, როგორც ვნახეთ, დესტაბილიზაციური პროცესების კონტექსტში. აქ კი ხაზგასმულია “რევოლუციური გარდაქმნები”, რომლის დროშა პარლამენტში ახალგაზრდა მიხეილ სააკაშვილმა აიტაცა; ჟვანიას კი, თურმე, “სულაც არ ერევოლუციება”, უფრო მეტიც, აღმოჩნდა, რომ იგი “არც ევროპელია” და “მით

უმეტეს, არც – ქართველი”; შესაბამისად, მის გუნდში რევოლუციონერებისთვის ადგილი არ არის.”

თუ უფრო შორს წავალთ, თამამად შეიძლება თქმა, რომ პრესის თვისობრივი ანალიზით შესაძლო იყო პროგნოზირება იმისა, რომ 2001 წლის “ნოემბრის რევოლუციას” პარლამენტის თავმჯდომარე, ზურაბ უვანია შეეწირებოდა (ამაზე პრესა პირდაპირ მიანიშნებდა კიდეც); რომ გარდაუვალი იყო რადიკალური ოპოზიციის სახით მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერთა ჩამოყალიბება, უვანია-სააკაშვილის პოლიტიკური გზების დაშორიშორება... სხვათა შორის, პრესის “სავტორო ფრაზა” “პოლიტიკური დასწრობანა”, რომლითაც აღინიშნებოდა ხელისუფლებიდან ოპოზიციაში გადასული უვანიასა და სააკაშვილის ფარული თუ აშკარა ქიშხი; თუმც, პრესა იმასაც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ისინი განწირულნი არიან ერთიანობისთვის, რომ მათ ერთმანეთი სჭირდებათ.

ამ თვალსაზრისის განსამტკიცებლად გამოდგება “მერაბიშვილის ინციდენტთან” (“მერაბიშვილგეიტის”) დაკავშირებული საინფორმაციო აურზაური, რომელიც პრესის პუბლიკაციათა ერთ ნაწილში არაორაზროვნად დაუკავშირა მიხეილ სააკაშვილს:

- “კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც მერაბიშვილის თემის აუიტირებით მასმედიაში გამოიკვეთა, ასეთია: რეფორმატორებად წოდებულ გუნდს ბოლო დღეებში ძალიან ხშირად სააკაშვილის გუნდად მოიხსენიებდნენ. ჯერ კიდევ წინა პარლამენტში დასახელებულ გუნდს მხოლოდ უვანიას სახელთან აიგივებდნენ; ამ პარლამენტის მოღვაწეობის ბოლო პერიოდში გუნდს უვანია-სააკაშვილის სახელი ეწოდა. დღეს გუნდის ლიდერად მხოლოდ სააკაშვილის დასახელება (მისი გააქტიურების ფონზე) აშკარად მიგვანიშნებს იმაზე, რომ საქართველოში პრეზიდენტობის ამბიცია კიდევ ერთ კაცს გაუჩნდა”. (147).
- “სააკაშვილმა თავისი საარჩევნო კამპანია ძალიან ადრე დაიწყო. თითოეული მისი მოქმედება, მანერები იმაზე მეტყველებს, რომ მას თავისი თავი პრეზიდენტობის რეალურ კანდიდატად წარმოუდგენია.” (89).
- “...მერაბიშვილი “მოქალაქეების” სიაში სააკაშვილის რეკომენდაციით მოხვდა და იგი დღემდე სააკაშვილის არსებული თუ არარსებული გუნდის წევრად ითვლება. მაგრამ “რატომლაც” სააკაშვილმა მერაბიშვილი არ დაიცვა.” (79).

ბოლო ციტატაში სიტყვა “რატომლაც” შემთხვევით არ არის ჩასმული ბრჭყალებში. ამით რედაქცია თავის პოზიციას, დამოკიდებულებას გამოხატავს და იგი არ უნდა იყოს ძნელად ასახსნელი. პრეზიდენტობის მოსურნე ახალგაზრდა პოლიტიკოსს, მიხეილ სააკაშვილს, მისი ექსცენტრიულობისა და გუნდური პრინციპების ერთგულების მიუხედავად, ამ ეტაპზე აღარ აწყობს რადიკალის იმიჯი. იგი უკვე პრემიერ-მინისტრობის რეალურ კანდიდატადაც სახელდება (გაზეთი “ახალი თაობა”, მაგალითად, ამ თემაზე პირველი გვერდის ანშლაგს მისი გვარით იწყებს –

“სააკაშვილი, უვანია თუ ლეგიშვილი?”). ამ ვითარებაში მისთვის პრეზიდენტის გულის მოგება გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე მეგობრის სარისკო გამოქომაგება.

ამ მოსახრებას “დილის გაზეთის” პუბლიკაციაც ადასტურებს: “...პარტიის (“მოქალაქეთა კავშირის”, – ლ.კ.) რადიკალური ფრთის ისეთი წარმომადგენელი, როგორიც მიხეილ სააკაშვილია, პრეზიდენტს იქით უმტკიცებდა იმას, თუ როგორი წარმატებულია საქართველოს მიერ განვლილი გზა სხვა დანარჩენ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს შორის. “მას ვერ ვაკადრებ, რომ მეგობარი დავუძახო (სააკაშვილი ამ სიტყვებში შევარდნაძეს გულისხმობს, – ლ.კ.), მაგრამ ჩვენი ურთიერთობები მაინც განსაკუთრებულად მიმაჩნია...” (107).

“მერაბიშვილგეიტად” წოდებულ, სახელისუფლო ბრძოლის უმნიშვნელოვანეს რაუნდს, ქვემოთ განვიხილავთ; აქ კი დაუბრუნდეთ ისევ თებერვლის “რეზონანსეს”. ზემოთგანხილულ პუბლიკაციებს გაზეთის მომდევნო ნომერშივე მოჟყვა ინტერვიუ “რეზონანსის” გამოცემელსა და მთავარ რედაქტორ მალხაზ რამიშვილთან; გამოვყოფთ სამ საგულისხმო მომენტს ამ მრავალმხრივ საყურადღებო პუბლიკაციიდან:

უპირველესად უნდა აღვნიშნოთ, რომ რამიშვილი მხოლოდ იმ მკითხველს უბოლიშებს მსუბუქად, “ვისაც ეხამუშა ამგვარი გამოთქმებით დახუნძლული “რეზონანსის” წაკითხვა”; მეორე – პუბლიკაციის ქვესათაურად გამოტანილია ფრაზა, რომელიც კორესპონდენტ-რესპონდენტის შეკითხვა-პასუხები არსად ფიგურირებს: “რეზონანსი” ისევე არ არის “მოქალაქეების” (იგულისხმება “მოქალაქეთა კავშირი”, – ლ.კ.), როგორც ჩინეთის იმპერატორის”. ამ კატეგორიული ფრაზის ადრესატად შესაძლო ოპონენტები არ უნდა იგულისხმებოდნენ. ეს უფრო იმის გაცხადებაა, რომ ამიერიდან “რეზონანსი” თავს მოვალედ აღარ თვლის გუნდრუგი უკმიოს პარლამენტის თავმჯდომარეს. ამას ინტერვიუს ბოლო პასუხიც ადასტურებს: “რეზონანსის” ვერაგინ აკონტროლებს და, ამიტომ, ჩვენთან “მსუბუქ რეჟიმში” მოხსენიება არავის აქვს დაბევებული.”

და ბოლოს – პუბლიკაციის სათაურად გამოტანილი ფრაზა, რომ ”გაზეთში დიდი ემციურობა რევოლუციას იწვევს. რაკიდა რედაქტორ-გამომცემელს სავსებით გააზრებული აქვს საზოგადოებრივ აზრზე ზოგადად გაზეთისა და, კონკრეტულად, “რეზონანსის” ზეგავლენის ფაქტორი, ცხადია, გაზეთის სხვა პუბლიკაციების, თუნდაც, ჩვენს მიერ ამ ნაშრომში განხილული (მაგალითად, ქვეთავში – “სახელმწიფოს იმიჯი” და სხვ.) “მორიგე რედაქტორის ჩანაწერების” საბრძოლო მუხტზეც ექნებოდა წარმოდგენა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პუბლიკაციათა სხვა ადრესატების, გნებავთ იგივე პრეზიდენტის (რომელსაც არა მეტაფორებით, არამედ გვარ-სახელით ლანძღავდა იმ წლებში, ლამის ერველ ნომერში) შეურაცხყოფით დახუნძლულ “რეზონანსის” არანაირი ფორმით ბოლიში არ მოუხდია მკითხველისთვის.

ერთი თვის შემდეგ “რეზონანსი” აქვეყნებს ინტერვიუს პარლამენტის “ახალი ფრაქციის” თავმჯდომარესთან, დავით გამყრელიძესთან. ინტერვიუს თემაა “რეზონანსის” გამოძიება შსს-ის საქმიანობასთან დაკავშირებით. პუბლიკაციის დასაწყისში შავი შრიფტით ხაზგასმულია გამყრელიძის სიტყვები: “ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც “მოქალაქეთა კავშირის” ერთი გუნდი, კონკრეტულად კი, უვანიას გუნდი, საგაზეთო პუბლიკაციებს აქტიურად იყენებს თავისი მიზნისათვის... სამწუხარო ისაა, რომ მმართველი პარტია და უვანიას გუნდი მხოლოდ ცალკეულ პუბლიკაციებზე, მხოლოდ იმ სტატიებზე რეაგირებს, რომელიც მათ აწყობთ თავისი კონკრეტული მოწინააღმდეგის დასამარცხებლად.” (124).

“რეზონანსი”, როგორც “თავისუფალ და ობიექტურ გაზეთს” (თავისივე რედაქტორ-გამომცემლის შეფასებით) ალბათ არ შეეძლო შეემოკლებინა, ან შეეცვალა რესპონდენტის მოსაზრებები. თუმც, იმის გათვალისწინებით, ვისგან რა პოზიცია იყო მოსალოდნელი, ზურაბ უვანიას ოპონენტები, როგორც წესი, “რეზონანსის” ფურცლებზე თითქმის არ ხვდებოდნენ; და თუ გამონაკლისი მაინც მოხდებოდა, მასალის მოწოდების ფორმა არ იქნებოდა ამგვარი.

შემთხვევითი არც “მონარქისტ” თემურ უორჟოლიანთან ინტერვიუში გამოთქმული მოსაზრების გამოქვეყნება უნდა იყოს: “ზვიადისტები... უვანიას მიერ დაჩმორებული ხალხია... ესენი (საქართველოს ხელისუფლებას გულისხმობს, – ლ.კ.) უველავერს აკეთებენ იმისათვის, რათა საქართველოს ხელისუფლებაში სომეხი მოიყვანონ, თანაც ისეთი სომეხი, რომელიც თავის სომხობასაც უარყოფს.” (გიორგი კალანდაძე, “შევარდნაძე ქურდი, დამნაშავე და ტერორისტია”, “რეზონანსი”, 19 მარტი, 2001).

“ვაშინგტონ პოსტში” გამოქვეყნებულ სტატიას, რომელშიც პარლამენტარ ვანო მერაბიშვილის მეშვეობით გაცხადდა, რომ შევარდნაძეს ამჟამად სიტყვა “რეფორმის” გაგონებაც არ სურს, იგი დაწლილია და არ გააჩნია პოლიტიკური ნება რაიმეს შესაცვლელად, ქართულ მასშედიაში დიდი აუთოტაჟი მოჰყვა. პრესის შეფასებით, ეს პუბლიკაცია იყო ახალგაზრდა რეფორმატორების მიერ პრეზიდენტის გამოწვევა საჯარო დუელში.

უვრნალისტებისა და პოლიტიკოსებისგან გამოთვლილი ნებისმიერი შესაძლო ვარიანტის (რეფორმატორი მინისტრების, ან პირიქით – კორუფციაში ეჭვმიტანილი მინისტრების დათხოვნა; “მოქალაქეების” დასჯა – “მოქავშირიდან” პრეზიდენტის გასვლით; უველავრის უცვლელად დატოვება და ა.შ.) განხორციელების შემთხვევაში პრეზიდენტი წამგებიან მდგომარეობაში უნდა აღმოჩნილიყო; მან კი მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელსაც ანალიტიკოსები, უველა შესაძლო ვარიანტის გამოთვლის შემდეგ, არაპროგნოზირებადს, ანუ ედუარდ შევარდნაძის, როგორც “პოლიტიკური დიდოსტატის”, გამოუცნობ სვლას უწოდებდნენ; საკონსტიტუციო ცვლილებების

ინიციატივა მინისტრთა კაბინეტის შემოღებისთვის, რის გამოც 2000 წლის მაისში აკაკი ასათიანი პარლამენტში ხელმოწერებს აგროვებდა, ამჟამად თავად პრეზიდენტმა წამოაყენა; თანაც, წინასწარ გაახმაურა პრემიერ-მინისტრის შესაძლო კანდიდატურა – ზურაბ ქვანია. პრესამ ამ ნაბიჯს “შოკის ფაქტორი” უწოდა, რომელმაც “პარტიის შიდა სახელისუფლო ინტერესთა კონფლიქტები, პრაქტიკულად, სტოპ-კადრში გაყინა”. (106)

პრეზიდენტის ინიციატივამ კარგი საკბილო გაუჩინა მასმედიას პოლიტიკური ინტრიგებისა და პერსონალიების თემაზე მრავალფეროვანი მოსაზრებების განვითარებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სშირ შემთხვევაში ერთმანეთს გამორიცხავს, პოლიტიკოსების, პოლიტოლოგების, ანალიტიკოსებისა და თავად ურნალისტების მსჯელობაში იკვეთება საერთო ტენდენციებიც, რომლებიც პირობითად ასე შეიძლება დაგაჯგუფოთ (გაზეთების: “ალიას”, “რეზონანსის”, “ახალი თაობის”, “დილის გაზეთის”, “ახალი ეპოქის”, “მერიდიანის”, “ახალი 7 დღის”, “დრონის”, “საქართველოს რესპუბლიკის” პუბლიკაციებისა და ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამების მიხედვით):

- ედუარდ შევარდნაძემ “უდაოდ ძლიერი სვლა” გააკეთა, რომელმაც “უაღრესად დაძაბული პოლიტიკური ატმოსფერო მყისიერად განმუხტა”; პრეზიდენტისადმი ლამის ღიად დაპირისპირებული მისივე პარტიის ახალგაზრდა ლიდერები უმაღ მოლბენ; უგანიას შევარდნაძის დისკრედიტაციის გეგმა ჩაეშალა; თანამდებობებისა და ძალთა ხელახლი გადანაწილების შესაძლო პერსპექტივამ უმაღ ჩახშო ახალგაზრდების აგრესია და ქვეყანას კიდევ ერთხელ დაანახა, რომ მთელი ე.წ. რეფორმატორული განცდები სხვა არაფერი იყო, თუ არა მათ მიერ მთელი სახელისუფლებო სივრცის სრული გაკონტროლებისკენ სწრაფე;
- პრეზიდენტმა ზუსტად გათვალა დრო და პოლაგ გამოამჟღავნა ქართული პოლიტიკური სპექტრის დრმა ცოდნა; ამ ნაბიჯით შევარდნაძემ კიდევ ერთხელ მოახდინა თავისი შესაძლებლობების დემონსტრირება. იგი აღიარებული სტრატეგია, “სრულყოფილად ფლობს მართვის ტექნოლოგიას, პოლიტიკურ მანევრებში წარმოუდგენლად ძლიერია” და პოლიტიკურ ბრძოლაში მას ბადალი არა ჰყავს.
- ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება ჩვენი ქვეყნის მენტალიტების შესაბამისია და არსებულ ვითარებაში იგი მმართველობის ყველაზე მომგებიანი ფორმაა. რაც შეეხება წარმოდგენილი ვარიანტით მოსალოდნელ ახალ განლაგებას, იგი ქმნის საფუძველს არა პრეზიდენტის უფლებამოსილების, არამედ პრეზიდენტის მნიშვნელობის გაზრდისათვის და მნიშვნელოვანი მომენტია საქართველოს სახელმწიფოებრივი დაფუძნების პროცესში.
- პოლიტიკოსთა და ურნალისტთა საკმაოდ დიდმა მოსალოდნელი ცვლილებებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება გამოხატა, ჩათვალა ეს ნაბიჯი სატყუარად, “შევარდნაძის ახალ ფანდალ”, ოპოზიციისთვის “სახრავი ძვალის”

გადაგდებად; დროის გაყვანის ტაქტიკად, ქვეყნის პრობლემებისაგან საზოგადოების უურადღების მოწყვეტის მცდელობად, “მოქავშირის” ინტრიგებისა და ამბიციების დასაკმაყოფილებელ და არა სახელმწიფო ინტერესის გამომსატველ ნაბიჯად; დემოკრატიული პროცესებიდან უკან დახევის სიმპტომად; ყველაზე რადიკალური შეფასება დაახლოებით ასე ფორმულირდება: შევარდნაძე “სელისუფლების ნარკომანია” და ამით ხელისუფლებაში ყოფნას იხანგრძლივებს; “ამ ნაბიჯით მან დამარცხება აღიარა”.

- საკონსტიტუციო ცვლილებებზე მსჯელობისას გაჩნდა ვერსიაც, რომ, შესაძლოა, არც თავად იდეის ავტორს – პრეზიდენტს სურდეს საკუთარი იდეის განხორციელება. სინამდვილეში შეიძლება ყველაფერი ეს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო მინისტრისთვის უფლებამოსილების გაზრდით და სახელმწიფო მინისტრად ზურაბ უვანიას დანიშვნით დასრულდეს, რაც მაინცადამაინც სახარბიელო პერსპექტივა არ არის უვანიასთვის (შევადაროთ – შვიდი თვის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარეობიდან გადამდგარი უვანიას ზემოთმოხმობილი განცხადება).

დაბოლოს, ყველაზე საყურადღებო ვერსია, რომელმაც პრესაში იჩინა თავი, უფრო სიღრმისუფლი იყო, არ იყო გათვლილი “მასობრივი აუდიტორიისთვის” და, ამდენად, საინფორმაციო აჟიოტაჟს არ დაექვემდებარა. ამ ვერსიით, პრეზიდენტმა დააჩქარა უვანიას გუნდისთვის ხელისუფლების “ხავერდოგანი გადაცემის” პროცესი.

“გუშინდელი და დღევანდელი ვითარება ისე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა”, – მრავალმნიშვნელოვნად განუცხადა უურნალისტებს “მოქავშირის” ერთ-ერთმა რეფორმატორმა ლიდერმა მიხეილ მაჭავარიანმა. (102) მართლაც, პრესაში “მერაბიშვილგეიტად” მონათლული “ვაშინგტონ პოსტის” გახმაურებული პუბლიკაცია და მისი მედია- და პოლიტიკური რეზონანსი, გარდამტეხი ეტაპი აღმოჩნდა საქართველოს პოლიტიკურ ისტებლიშმენტში ძალთა ახალი გადანაწილებისთვის. ამასთან, ჩვენი აზრით, ეს ის მომენტია, როცა პრესამ თავისი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოიყენა მოვლენათა განვითარების პლურალისტურ-ანალიტიკური სურათის წარმოსაჩენად.

თავი IV

არჩევნები და პოლიტიკური სპექტრი

ამერიკელი პოლიტოლოგები, წიგნის “ამერიკული დემოკრატიის” ავტორები (ქანეთ ჯანდა, ჯეფრი მ. ბერი, ჯერი გოლდმენი), მიიჩნევენ რომ დემოკრატიული არჩევნების ვითარებაში “მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მთავარი ფუნქციაა ხელი შეუწყოს ხალხისგან ხელისუფლებისათვის ინფორმაციის გადაცემას, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე.” (77, 151)

შეიძლება ვთქვათ, რომ ქართული პრესა “ხალხისგან ინფორმაციის გადაცემის” (ოლონდაც, არა საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე) ამოცანას უფრო ადეკვატურად პასუხობდა დეკლარირებული დამოუკიდებლობის პირველ წლებში (გასული საუკუნის 90-იანი წლების შუასანებამდე), როცა პერიოდული გამოცემები სტიქიურად, მაგრამ მაქსიმალური მრავალფეროვნებით წარმოაჩენდნენ პარტიულ პოზიციებსა თუ საზოგადოების წარმომადგენელთა თვალსაზრისებს, ხშირად, პატეგორიულად ურთიერთგამომრიცხავსაც. ჩვენი აზრით, იმ ეტაპზე, ცენტურისა და ერთპოლარულობისაგან დახსნილმა ბეჭდურმა სიტყვამ ერთგვარი “თვითნაბადი პლურალიზმის” ატმოსფერო შექმნა, როცა ქვეყნისთვის არსებითი პრობლემები თუ უმნიშვნელო საკითხები ერთნაირი პოლემიკური ჟინითა და ემოციურობით განიხილებოდა. რაც შეეხება ისეთ პუბლიკაციებს, როგორიც იყო, მაგალითად, აკაკი ბაქრაძის პუბლიცისტური წერილები გაზეთ “მამულში” და სხვა პერიოდულ გამოცემებში, აქ უკვე ღრმად და თანმიმდევრულად ანალიზდებოდა ყოველ კონკრეტულ ეტაპზე არსებული ვითარება, წანამდგრები, მოცემული იყო შექმნილი სიტუაციის გადალახვის ავტორისეული ხედვა, მოვლენების განვითარების პროგნოზი და ა.შ.

90-იანი წლების მეორე ნახევრიდან და, განსაკუთრებით, 2000 წლიდან, პრესა უფრო მეტად იქცა ხელისუფლებისათვის ბრძოლის იარაღად. ამ თვალსაზრისით იგი, საზოგადოებისთვის შესაბამისი მესიჯების გადაცემის, შესაბამისი პროცესების ინიცირების ინსტრუმენტის როლს უფრო წარმატებით ასრულებს, ვიდრე საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის მედიატორის კომუნიკაციურ ფუნქციას.

ურნალისტი მაია ტორაძე, რომელმაც თავისი სადისერტაციო ნაშრომისთვის – “თანამედროვე პრესა და არჩევნების პრობლემა (ურნალისტური ასპექტები)” მიმოიხილა და გააანალიზა 1990-2004 წლების ქართული ბეჭდვითი გამოცემები, წერს, რომ “წინასაარჩევნო პერიოდში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მოწოდებული არიან ორგვარი თანამშრომლობისათვის: ა). მას “იყენებენ” საარჩევნო კამპანიაში “მოქმედი სუბიექტები” ინფორმაციის გადასაცემად; ბ). ისინი თვითონ მოიპოვებენ და

გადასცემენ ინფორმაციას მასობრივ აუდიტორიას. ინფორმირების ორივე ფორმა ემსახურება საბოლოო მიზანს – ამომრჩეველთა სრულ გამორკვევას, არჩევნებში მათ რეალურ მონაწილეობას და თავისუფალი არჩევანის გამოხატვას.” (69, 7)

რახან კონკრეტულად არჩევნების თემა პრესაში ჩვენი კვლევის საგანი არ იყო, კატეგორიულად ვერ შევეწინააღმდეგებით მაია ტორაძეს, მაგრამ 2000-2008 წლებში ქართული პრესის პერმანენტულ მონიტორინგსა და ანალიზზე მუშაობის გამოცდილება გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ საარჩევნო კამპანიების პერიოდში მასობრივი აუდიტორიის ინფორმირების ამოცანა, მათი სრული გამორკვევის მიზნით, ალბათ არც დაუსახავს მიზნად ქართულ მედიას. ის, რა თქმა უნდა, რადაც დოზით, ნებით თუ უნებლივდ, ასრულებდა ამ ფუნქციას, მაგრამ არც არჩევნების “მოქმედ სუბიექტებს” ჰქონდათ მედიის მეშვეობით ინფორმაციის გადაცემის მეტ-ნაკლებად თანაბარი უფლება და საშუალება და ვერც მედია იყო შემწე ამომრჩეველთა “სრული გამორკვევისა” და მათი “თავისუფალი არჩევანის გამოხატვისათვის”. ამისთვის, მას არც ბიზნეს-დამოუკიდებლობა უწყობდა ხელს და არც – სარედაქციო.

ამასთან, მაია ტორაძე აღნიშნავს, რომ მის მიერ შესწავლილ მასალათა ნაწილში “აშკარად შეიმჩნევა დაკვეთის, პოლიტიკური შანტაჟისა და გამიზნული პროგოკაციის მოწყობის მცდელობის კვალიც (ხაზი ჩვენია – ლ.კ.)”, მაგრამ ამის მტკიცებულებანი არ გააჩნია, რამდენადაც “საინფორმაციო საშუალებები ამას საჭაო პროფესიონალიზმითა და კანონების სათანადო მუხლების მომარჯვებით ახერხებენ.” (69, 24)

სავსებით ვეთანხმებით კოლეგას, მით უფრო რომ ამგვარი ტენდენცია არა მხოლოდ საარჩევნო კამპანიის პერიოდში იჩენს თავს ქართულ პრესაში. ე.წ. ფარული რეკლამა და დაკვეთილი პუბლიკაციები რომ ერთი შეხედვით სოლიდური გამოცემებისთვისაც არ არის უცხო, ამაში თუნდაც ფიარკომპანიებში რამდენიმეწლიანი მუშაობის გამოცდილება მარწმუნებს (პრესის ანალიზზე რომ აღარაფერი ვთქვათ).

მეორეს მხრივ, ქართული პრესა არც მდიდარი გამომცემლებით არის განებივრებული, არც სახელმწიფო სუბსიდირებით (ირიბით თუ პირდაპირით, რასაც სხვადასხვა ფორმით ახორციელებენ, მაგალითად, ნორვეგია, საფრანგეთი და ევროპის სხვა ქვეყნები პრესის დასაცავად მონოპოლიზების საფრთხისაგან და პლურალიზმის შესანარჩუნებლად), არც მაღალი ტირაჟი უზრუნველყოფს მათ არსებობას (რამდენიმე იშვიათი გამონაკლისის გარდა). შესაბამისად, ბაზრის ულმობელი კანონი აიძულებს საინფორმაციო საშუალებებს შემოსავლის ამგვარ წყაროს მიმართონ. საარჩევნო კამპანია კი ამისათვის ყველაზე ხელსაყრელი პერიოდია.

საანალიზო პერიოდში საქართველოში ჩატარდა 2 – საპრეზიდენტო, 2 – საპარლამეტო და 1 – თვითმმართველობის არჩევნები. ამასთან, საყურადღებოა

“პოსტასლანური” აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რომელიც პირველად ჩატარდა აჭარის მმართველი პარტიის, “აღორძინების” პეგემონიისა და, უფრო მეტიც, მონაწილეობის გარეშე, და მეტ-ნაკლებად რეალური კონკურენციის პირობებში; ამდენად, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, მოკლედ ამ არჩევნებზეც გაგვემახვილებინა უერადღება.

• 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნები

1999 წლის საპარლამენტო არჩევნები “მოქალაქეთა კავშირმა” შთამბეჭდავი უპირატესობით მოუგო (41,7%) “აღორძინებას”, რომელიც (26%-ით) “ძირითადი ოპოზიცია” გახდა; საარჩევნო ბარიერი გადალახა ბლოკმა “მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს”. პრეზა აქტიურად იყო ჩართული წინასაარჩევნო ბატალიებში და, როგორც მაია ტორაძე აღნიშნავს ზემოხსენებულ სადისერტაციო ნაშრომში, “თავისუფლების მაღალი ხარისხით”, პოლიტიკური სუბიექტების სტრატეგიისა და საარჩევნო ტაქტიკის ცოდნით აშუქებდა საარჩევნო პროცესს. (69)

2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისადმი ინტერესი კი პრესაში განელდა; იგრძნობა, რომ პრეზიდენტობის ორი წლიანი კანდიდატის – ასლან აბაშიძისა და ჯუმბერ პატიაშვილის ფონზეც, ედუარდ შევარდნაძე მაინც უალტერნატივ კანდიდატად განიხილება. საინტერესოა, რომ განსხვავებით 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებისაგან, როცა “აღორძინებისაგან” “მტრის ხატი” იქმნებოდა, ამჯერად პრესის პუბლიკაციები უმთავრესად ჯუმბერ პატიაშვილზეა აქცენტირებული და მისი პერსონა სკანდალურ კონტექსტშიც ხშირად ფიგურირებს. ჯერ კიდევ 1995 წლის არჩევნებში პატიაშვილის სახელი აქტიურად უკავშირდებოდა 9 აპრილის ტრაგედიას, მის მიმართებას ამ პერიოდის მოვლენებთან; 2000 წელს, ამასთან ერთად, პრესაში ახალი კომპრომატებიც გაჩნდა – პატიაშვილისა და ხაბეიშვილის (კომპარტიის ყოფილი მაღალჩინოსანი, ისევე, როგორც ჯუმბერ პატიაშვილი) დაპირისპირების დეტალები, პატიაშვილის შესაძლო ბრალეულობა პარტიის ქუთაისის ქალაქკომის პირველი მდივნის, მამუკა ასლანიკაშვილის თვითმკვლელობაში და ა.შ.

თითქოს პარადოქსია, მაგრამ ასლან აბაშიძემ ბოლო მომენტში მოხსნა საკუთარი კანდიდატურა და ედუარდ შევარდნაძეს დაუჭირა მხარი, თავისი თანაბლოკელის, პატიაშვილის საწინააღმდეგოდ. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს პრესის “მოარულ თვალსაზრისს” იმის თაობაზე, რომ შევარდნაძე და აბაშიძე წარმატებით იყენებდნენ პირველული თუ პარტიული დაპირისპირების ფაქტორს მომგებიანი გარიგებებისთვის; განსაკუთრებით, ხელისუფლების შენარჩუნებისათვის ბრძოლის ყველაზე არსებით მომენტებში.

ნაშრომში – “საარჩევნო პროცესები საქართველოში”, დავით უსუფაშვილი და გია ნოდია აღნიშნავენ, რომ “2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, შესაძლოა, უკელაზე უარესი იყო საქართველოს საარჩევნო ისტორიაში: როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ ამომრჩეველთა აქტიურობის დონე თვალსაჩინოდ დაბალი იყო, ბიულეტენების უკანონო ჩაყრამ კი მასობრივი ხასიათი მიიღო.” (70, 26)

2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გაშუქებაზე მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ საარჩევნო კამპანიის დამთავრებისთანავე პრესამ და ტელეკომპანია “რუსთავი 2”-მა აქტიურად დაიწყეს საუბარი არა მხოლოდ არჩევნების შედეგების გაყალბებაზე, არამედ, შეტევა პრეზიდენტზე (ძირითადად, “ალიაშ” და “რეზონანსმა”) და ფონის შექმნა მისი დისკრედიტაციისათვის.

“შევარდნაძის გამყალბებლები ორი ცენტრიდან იმართებოდნენ”, “პრეზიდენტმა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სილაც იწვნია”; “არჩევნებზე ყუთში 5000 ბიულეტენი ჩავყარე”, “სტუდენტი გოგონა მთელი თვე ბეჭედს ურტყამდა და მთელი დღე არჩევნებს აყალბებდა” – საპირველგვერდო ანშლაგებით იუწყებოდა “რეზონანსი”. (“რეზონანსი”, 14,15.04.2000); ტელეკომპანია “რუსთავი 2”-ის ფორმულირებით, ეს იყო “ცარიელ საარჩევნო ყუთებში დაგროვილი 80%”. (ტ/კ “რუსთავი 2”, პროგრამა “პოსტ სკრიპტუმი”, 06.05.2000)

როგორც ჩანს, ამომრჩეველთა ინერტულობისა და ე.წ. ადმინისტრაციული რესურსის აქტიური გამოყენების ფონზე მიღებული მაღალი შედეგი (ედუარდ შევარდნაძემ ეს არჩევნები 79,3%-ით მოიგო, მისმა ძირითადმა კონკურენტმა, ჯუმბერ პატიაშვილმა კი ხმების 16,7% მიიღო) გახდა საბაბი ზემოხსენებული მედიასაშუალებებისათვის პრეზიდენტ შევარდნაძეზე აქტიური შეტევისთვის. “ალია” წინასწარმეტყველებდა, რომ “შევარდნაძის რეჟიმს ავტორიტარული და ტოტალიტარული დაერქმევა, სადაც პოლიტიკოსებს სდევნიან... ისტორია იტყვის, რომ შევარდნაძის ეპოქაში პოლიტიკური ტერორი მძვინვარებდა.” (“ალია”, 11-12.04.2000) (პუბლიკაციაში ამის მაგალითად ნახსენებია დედაქალაქის პროგურატურის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღმკრა, არჩევნების ბოიკოტისაკენ მომწოდებელი პროკლამაციების გამო, მაგრამ “პოლიტიკური ტერორის მძვინვარების” დამადასტურებელ სხვა ფაქტს იგი არ შეიცავს).

“შევარდნაძე – დიადი კომბინატორობიდან დიად ექსპრიმენტატორობამდე”, “შევარდნაძე ავტორიტარიზმის ფსკერზე ეშვება” – ამგვარი სათაურები ანშლაგებადაა გაშლილი “რეზონანსის” პირველ გვერდებზე, უმეტესწილად, კარიკატურების თანხლებით. მაგალითად, სათაურით – “პრეზიდენტი მალე პირველი დამის უფლებასაც მოითხოვს” – კარიკატურაზე გამოსახულია მოხუცი მეფის გვერდით ჩამწკრივებული საპატარძლოები (“რეზონანსი”, 26, 28.04.2000) და ა.შ.

უურადღებას შევაჩერებთ ერთ გარემოებაზეც – არა ამ კონკრეტულ ეტაპზე, არამედ შემდგომ პერიოდში, სახელისუფლო ბრძოლების ამსახველ პუბლიკაციებში, გახვდება მოსაზრება, რომ ზურაბ უვანიას გუნდმა თავისთავზე აიღო წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვა, საარჩევნო შტაბის ფაქტობრივი მონოპოლიზებით; ეს მათ საშუალებას აძლევდა საპრეზიდენტო არჩევნების წარმატებით დასრულების შემდეგ, უფრო მეტი სახელისუფლო ბერკეტი მოეთხოვათ.

• 2002 წლის ადგილობრივი არჩევნები

”პოლიტიკური მიწისძვრა“ – ასე ეწოდა პრესაში არჩევნების წინა პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს. წინასაარჩევნო დაძაბულობამ გაარღვია სუსტი ადგილები (ისევე, როგორც მიწისძვრამ) და ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა „მოქავშირში“ ჯერ ფარული დინებით მიმდინარე და ბოლოს ზედაპირზე ამოფრქვეული მძაფრი დაპირისპირებისა და მმართველი პარტიიდან (ანუ, როგორც მას უწოდებდნენ – „საპრეზიდენტო პარტიიდან“) ე.წ. რეფორმატორების გამოყოფის პროცესი.

”საარჩევნო ბუნკერი“, ”საცვლების გამოფენა პარლამენტში“, ”პოლიტიკური ანტისანიტარია“, ”პოლიტიკური კორუფცია“, ”პოლიტიკური ბალაგანი“ – ამგვარი შეფასებებით დაფიქსირდა პრესაში საქართველოს პარლამენტის 8 მაისის სკანდალური სხდომა, რომელიც საარჩევნო ვნებათაღელვის ერთგვარ ”გენერალურ რეპეტიციად“ იქცა. ამ სხდომის გაშუქება პრესაში იმითაცაა საინტერესო, რომ აქედანვე იკვეთება და თანდათან მძაფრდება პრესაში არჩევნების გაყალბების თემა. ამ მოტივს ავითარებენ თავად არჩევნებში მონაწილე პარტიები, ორი ძირითადი მიმართულებით – ერთის მხრივ, გაყალბებებში ურთიერთბრალდებებით და, მეორეს მხრივ – პრეზიდენტისა და ხელისუფლების დადანაშაულებით. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ არჩევნების შემდეგ გაყალბებაზე მსჯელობა არა მხოლოდ დამარცხებული, არამედ გამარჯვებული ძალის პრიორიტეტადაც რჩება.

გაზეთ ”ქრონიკის“ პუბლიკაციის ანონსი პირველ გვერდზე კონკრეტულად მიანიშნებს არჩევნების გაყალბების მეთოდებზე: ”შეჭდისდამრტყმელები, ბუტერბროდების მიმტანები, შუქისჩამქრობები, ვითომ ფეხმძიმე ქალები და “ბოზების მობილური ჯგუფები“. მასალაში განვითარებულია ვარაუდი, რომ ”არჩევნები აპრობირებული მეთოდებით გაყალბდება“, თუმცა, ”შაქრით არჩევნების მოგება უკვე ისტორიის გუთვილებაა.“ გაზეთის ამავე ნომერში, ”უურნალისტური გამოძიების“ რეპრიკით, დაწვრილებითაა განხილული ცენტრალური საარჩევნო კომისიის ”წვლილი“ არჩევნების ტოტალურ გაყალბებაში და მისი მეთოდები. (153)

გაზეთი “ახალი ვერსია” პირველ გვერდზე აქვეყნებს ფოტოკოლაჟს “გაყალბების დირიჟორი”. დირიჟორის როლში პრეზიდენტია, ხოლო პუბლიკაციებში – “ვინ უდირიჟორებს არჩევნების გაყალბებას?” და ”საარჩევნო პოლიტიკური ბაზარი კოლმეურნეობის ბაზარს ჰგავს” – “არჩევნების გაყალბების უნიკალურ მეთოდებზე” და “გაყალბების წყაროებზეა” საუბარი. საარჩევნო ექსპერტი ნუგზარ ივანიძე მიიჩნევს, რომ “არჩევნებზე კონტროლის მთელი ძალაუფლება ჯერჯერობით პრეზიდენტ შევარდნაძის ხელშია”; პოლიტოლოგი რამაზ კლიმიაშვილი კი თვლის, რომ “ბოლომდე ობიექტური არჩევნები არ ჩატარდება, მაგრამ არც ტოტალური გაყალბება იქნება.” (95)

არჩევნების გაყალბების აუთიფაქის, პარტიების ურთიერთქიშპის ფონზე საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას, და, შესაბამისად, პრესაში, უკანა პლანზე იწევს მთავარი – ელექტორატის ინტერესი, პარტიების საარჩევნო პროგრამები, რომელთა მიხედვითაც უნდა განსაზღვროს ამომრჩეველმა მათი შესაძლებლობები. პრესის პუბლიკაციების შეჯერებით იკვეთება მოსაზრება, რომ ეს პროგრამები დაპირებებს უფრო ჰგავს, არაა გათვლილი რეალურ პერსპექტივაზე, მოკლებულია კონკრეტულ დასაბუთებას, რა მექანიზმებით უნდა მოხდეს მათი განხორციელება. ყურადღებას იქცევს “ახალი ვერსიის” პუბლიკაცია – “გაბრუვდით, დაბოლდით, მაგრამ ფოჩიან კანფეტს ნუ დახარბდებით”. ჟურნალისტი რუსიკო გიგაშვილი (რომელიც, ამასთანავე, საარჩევნო თემაზე გამოქვეყნებული ბევრი სხვა მასალის ავტორიცაა), კომპაქტურად განიხილავს არჩევნებში მონაწილე ძირითადი პოლიტიკური სუბიექტების: “ნაციონალური მოძრაობის”, “ლეიბორისტების, “ახალი მემარჯვენებების”, “აღორძინებისა” და “მრეწველების” პროგრამებს. (94)

წინა არჩევნებისაგან განსხვავებით, როცა პარტიების “სასტარტო მდგომარეობის” განხილვა “მოქალაქეთა კავშირის” პრიმატის ფონზე ხდებოდა, ამჯერად ადგილობრივი არჩევნების ყველაზე სკანდალურ თემად სწორედ “მოქავშირი” იქცა: მისი დაყოფა “მამალაძისტებად” და “ზურისტებად”, მათ შორის ხელჩართული ბრძოლა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მისადგომებთან, სასამართლო პროცესები და ა.შ. ამ პროცესის ამსახველ პუბლიკაციებში ყველაზე ხშირად ცსკ (ცენტრალური საარჩევნო კომისია) ფიგურირებს: ”ცსკომ მოქალაქეთა კავშირს არჩევნებისაკენ გზა გადაუქმდა” (“რეზონანსი”, 14.05.2002), “ლომინაძემ მოქავშირი გააუქმა”, (“ახალი თაობა”, 14.05.2002), “ცსკ-მ მოქალაქეთა კავშირს ორივე ფრთა მოსტება” (“ალია”, 14.05.2002), “მოქავშირები ცსკ-დან გარიცხეს” (“დილის გაზეთი”, 14.05.2002) და ა.შ.

საარჩევნო კამპანიის პერიოდში ერთი შეხედვით ყველაზე “არაორდინალური” იყო “ახალი მემარჯვენების” გადაწყვეტილება – საარჩევნო კამპანიაზე უარის თქმის თაობაზე. მაგრამ მათ ამის კომპენსაცია სწორედ მასმედიის მეშვეობით მოახდინეს.

არჩევნების “პიკურ პერიოდში” თითქმის ყველა ყოველდღიურ თუ ყოველკვირკველ გაზეთში გვხვდება “ახლების” თემა, სხვადასხვა რაკურსით. ამასთან, ბევრგან სარეკლამო წესით დაიბეჭდა პუბლიკაციები “ახალი მემარჯვენების” ინიციატივით შექმნილი დახმარების ფონდის, მიწისძვრისაგან დაზარებულთათვის ბინების შეძენის შესახებ და ა.შ.

საარჩევნო კამპანიის პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი საინფორმაციო საბაბის შექმნას, რომლის მეშვეობითაც პოლიტიკური პარტიები და პერსონები ძალდაუტანებლად, შეკვეთილი სტატიების გარეშეც ხდებიან პრესის ყურადღების ობიექტები. “აღორძინებისთვის”, მაგალითად, ასეთი საბაბი იყო ჯონდი ბალათურიას ინიციატივით წარმართული კამპანია “ელექტროკავშირის” მიერ გათიშული ოცი ათასი აბონენტის დასაცავად. როგორც საარჩევნო პათოსი მოითხოვს, ჯონდი ბალათურია ამ მოვლენებს ქვეყნის პირველ პირს უკავშირებს, ხოლო “20 ათასი აბონენტის შესაძლო გამორთვაზე სრულ პასუხისმგებლობას ქალაქის მერს და ფინანსთა სამინისტროს აკისრებს.” (80).

ყურადღებას შევაჩერებოთ პრესაში გამოკვეთილ ტენდენციაზე, რაც მეტნაკლებად ეხება არჩევნებში მონაწილე ყველა მხარეს. მხედველობაში გვაქვს პრეზიდენტსა და, ზოგადად, ხელისუფლებასთან, პოლიტიკურ ძალთა უმეტესობის ნებატიური მიმართება, როგორც ერთგვარი საარჩევნო კაპიტალი. პოლიტოლოგი გია ნოდია, ურნალ “იმიჯში” გამოქვეყნებულ ინტერვიუში, აღნიშნავს, რომ “...სხვა ქვეყნებშიც ადგილობრივ არჩევნებს მოსახლეობა იყენებს ხელისუფლებისადმი საპროტესტო განწყობის გამოსახატავად და აქაც იგივე მოხდა. ხოლო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს საზოგადოება თვისობრივად სხვა კრიტერიუმებით აფასებს.” (108)

პრესის ზოგადი შეფასებით, 2 ივნისის არჩევნები პოსტშევარდნაძისტული პერიოდისათვის პოლიტიკური სპექტრის მზაობის დასადგენი ერთგვარი ტესტიც იყო. წინა არჩევნებისაგან განსხვავებით, ამჯერად პრესამ, საარჩევნო ბატალიების პარალელურად, ელექტორატსაც მიაპყრო ყურადღება. ეს განსაკუთრებით ითქმის “დილის გაზეთის” მისამართით, რომელმაც ამომრჩევლის ფაქტორს არაერთი საყურადღებო პუბლიკაცია უძღვნა. მოვიშველიებით ერთ ციტატას: “პარტიების უმეტესობას მხოლოდ ახლა გაახსენდა ხალხი. არადა პარტიამ, რომელსაც გამარჯვება უნდა, საჭიროა დასაბუთებულად განმარტოს, რომ ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ხალხი უნდა იყოს მიზანი და არა საშუალება!” (93)

არჩევნებში, თბილისის მასშტაბით, გამარჯვება მოიპოვეს “ნაციონალურმა მოძრაობამ” და “ლეიბორისტულმა პარტიამ”, რომლებიც “ხელისუფლების განსაკუთრებით მწვავე კრიტიკაში უჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ხოლო რეგიონების უმრავლესობაში უკეთესი შედეგით გამოირჩეოდნენ “ახალი მემარჯვენები”,

რომლებიც “ნაციონალური მოძრაობის” და უვანიას ჯგუფის ძირითადი ოპონენტები იყვნენ და, შესაბამისად, პრეზიდენტის ფარულ საკრდენად ითვლებოდნენ.” (55, 50) “მოქალაქეთა კავშირის” (რომელსაც არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე უვანიას გუნდი გამოეყო) დაბალი შედეგი მოსალოდნელი იყო, მაგრამ თბილისში აღებული ხმების მხოლოდ 2% (ქვეყნის მასშტაბით კი 2%-ზე ნაკლები), ყველაზე პესიმისტური პროგნოზის ფონზეც შოკისმომგვრელი აღმოჩნდა.

როგორც პოლიტოლოგი გია ნოდია აღნიშნავს, ეს არჩევნები “ძალთა ახალი განლაგების პირველ გამოცდად იქცა”, ხოლო არჩევნების შემდეგ “მოქალაქეთა კავშირის” თავმჯდომარედ სახელმწიფო მინისტრის, ავთანდილ ჯორბენაძის არჩევა მოასწავებდა ამ პარტიის, როგორც “სელისუფლების გარშემო კონსოლიდირებული “ნომენკლატურული” გაერთიანების რეკონსტრუქციის მცდელობას.” (55, 50-51)

ჩვენი აზრით, მასმედიისა და სამოქალაქო საზოგადოების თვისობრივად ახალ ეტაპზე გადასვლას უნდა მოასწავებდეს არჩევნების ჩატარების შემდეგ საარჩევნო კამპანიის, არჩევნების უახლოესი და სამომავლო შედეგების, მისი პოლიტიკური, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური და სხვა ასპექტების გაანალიზება პრესაში. გაზეთმა “ხვალინდელმა დღემ” არჩევნების შემდეგ “ელექტორატის პრივატიზების” თემა წამოსწია, გაზეთები – “ახალი ეპოქა” და “დრო” რეგიონებში არჩევნების მიმდინარეობით დაინტერესდნენ (როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ადგილობრივი არჩევნების გაშუქებისას პრესა ძირითადად დედაქალაქში მიმდინარე პროცესებით შემოიფარგლა).

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ პრესაში გამოქვეყნებული სოციოლოგიური კვლევების შედეგებზე. მაისში გამოქვეყნებული მონაცემების შედარებისას თუნდაც მიმდინარე წლის თებერვლის მონაცემებთან, ყველაზე თვალშისაცემია სამ თვეში “ნაციონალური მოძრაობის” რეიტინგის ზრდა – 2,3%-დან 10,3%-მდე. “გორბისა” და “ნეა ინტერმედიას” მიერ მაისის თვეში გამოქვეყნებული პარტიების რეიტინგები მაშინვე იძლეოდა საყურადღებო ვარაუდების განვითარების საშუალებას, ხოლო არჩევნების შედეგები ძირითადად დაემთხვა მათი წინასწარი კვლევების შედეგებს. არჩევნებმა დაადასტურა “გორბის” მიერ საქართველოს რეგიონებში ჩატარებული გამოკითხვების მთავარი შედეგიც – საქართველოს რეგიონებსა და დედაქალაქში მემარცხენე ძალების ელექტორატი სჭარბობს! ასევე, გამართლდა სოციოლოგიურ გამოკვლევებზე დაყრდნობილი ვარაუდი დედაქალაქის საკრებულოს კოალიციური მმართველობის თაობაზე, წინასწარი მონაცემებითა და რეალური შედეგებით თითქმის იდენტურია ელექტორატის ინერტულობის მაჩვენებელიც. საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ასოციაცია “გორბის” ხელმძღვანელის, მერაბ ფაჩულიას შეფასებით, “პიარ-კამპანიების ტექნოლოგია საკმაოდ დაიხვეწა და ნელ-ნელა მივდივართ იმ სიტუაციამდე, რაც 20 წლის წინ პქონდათ დასავლეთის ქვეყნებს.” (126)

2002 წლის ადგილობრივი არჩევნები მანამდე ჩატარებული ყველა სხვა არჩევნებისაგან გამოირჩეოდა იმით, რომ საარჩევნო კამპანია და მისი გაშუქება პრესაში მიმდინარეობდა ინტენსიური სოციოლოგიური კვლევებისა და თუნდაც ელემენტარული საარჩევნო ტექნოლოგიების მოშველიებით. შესაბამისად, თუ აქამდე ქართულ პრესაში “პიარის” თემას ერთგვარად ამორფული სახე პქონდა, ამჯერად გაცილებით ადგევატურ კონტექსტში და უფრო ხშირად ხსენდება (პრესაში, უმთავრესად, “ფიარის” (PR) ნაცვლად იხმარება რუსულიდან კალკირებული “პიარი”, – ლ.კ.). აქევ შევნიშნავთ, რომ პოლიტიკოსებისა თუ ურნალისტების ძირითად სამიზნედ იქცა PR კომპანია “ნიკოლო მ”-ი. ერთნი მას კანცელარიის (იგივე შევარდნაძის) მართულად მიიჩნევენ, სააკაშვილისა და სხვათა წინააღმდეგ (“ახალი თაობა”, 05.04.2002), მეორენი საპირისპიროს ამტკიცებენ – რომ სააკაშვილის წარმატება “ნიკოლო მ”-ის დამსახურებაა, რომ მისი სცენარით განვითარდა ადგილობრივი არჩევნების ბატალიები”. (“ახალი თაობა”, 06.06.2002) თავად “ნიკოლო მ”-ის ქართული წარმომადგენლობის ხელმძღვანელი გიორგი დამბაშიძე კი თვლის, რომ “ყველა პოლიტიკური პარტიის უმთავრესი საზრუნავი არჩევნებისთვის საზოგადოების მომზადება უნდა იყოს”. (“საქართველოს რესპუბლიკა”, 30.05.2002).

სიახლეა ისიც, რომ არჩევნების შედეგებზე მსჯელობისას პრესამ ყურადღება მიაქცია პოლიტიკური რეკლამის ფორმასა და შინაარსს, მის შეუსაბამობას ჩვენში უკვე არსებული რეკლამის კანონის მოთხოვნებთან (ურნალი “იმიჯი”, №4, 2002); უფრო მეტიც, პრესის ცალკეულ პუბლიკაციებში გამოიკვეთა პოლიტიკური რეკლამის თაობაზე საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის პრობლემაც.

დასასრულ, თვალშისაცემია კიდევ ერთი ნიუანსი – არჩევნების დროს პრესაში გაცილებით ხშირად ირდვევა ურნალისტური ეთიკისა და, საერთოდ, ადამიანური ურთიერთობების დაწერილი თუ დაუწერელი კანონები. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ე.წ. შეკვეთილ მასალებში (ფარულ რეკლამაში), რამდენადაც შემპკეთის, ანუ, ერთი რომელიმე მხარის ინტერესის გამოხატვა უცილობლად იწვევს არა მხოლოდ საპირისპირო მხარის ინტერესის შელახვას (ხშირ შემთხვევაში, შეურაცხოფასაც), არამედ, მკითხველის შეცდომაში შექვანასაც; რამდენადაც, ფარული რეკლამის პირობებში მკითხველი მოცემულ მასალას აღიქვამს არა როგორც კერძო ინტერესის გამომხატველს, არამედ, როგორც პრესის პოზიციას.

• 2003 წელი – პერმანენტული საარჩევნო რეჟიმი

ამ ქვეთავში განხილული პერიოდი და პროცესები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანებია სადისერტაციო ნაშრომის საანალიზო მონაკვეთისთვის; “ვარდების რევოლუციით”

დაგვირგვინებულმა ამ პერიოდმა და მასთან დაკავშირებულმა მედიაპრივობამ ფართო გამოხმაურება ჰქოვა შემდგომი პერიოდის პუბლიკაციებში (საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ) და არაერთგზის მოქმედი საჯარო განხილვებისა თუ დებატების არეალში (თუ უკანასკნების მიმართულებისა თუ სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სამეცნიერო და საკვალიფიკაციო ნაშრომთა თემებადაც იქცა). ამდენად, შევეცდებით, ამ ქვეთავეში უფრო მეტად ზოგადი სურათი წარმოვადგინოთ.

დისერტაციის წინა ნაწილებსა და ქვეთავებში წარმოდგენილი მედიაპროექტია და, საერთოდ, შესაბამისი პერიოდის მედიის ანალიზი, საშუალებას გვაძლევს ერთგვარი რეზიუმეს სახით ჩამოვაყალიბოთ იმდროინდელი ვითარების კონტურები:

საზოგადოების პოლიტიზების და პოლიტიკის პერსონიფიცირების მაღალი ხარისხი, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში მომძლავრებული თვითლობირების (საკუთარი ბიზნესისა თუ კონტრაბანდის ხელშემწყობი კანონებისა და სამთავრობო გადაწყვეტილებების მობილიზება) და ლობირების ტენდენცია, კორუფციის მაღალი დონე, ქვეყნის ცხოვრების ყვალი სფეროს – ეკონომიკის, ბიზნესის (შოუბიზნესის ჩათვლით), სოციალური სფეროს, განათლების, კულტურის და ა.შ. განუყრელი კავშირი პოლიტიკასთან.

პოლიტიკური სპექტრის ე.წ. ოპოზიციური ნაწილი, მეტ-ნაკლები აქტიურობითა და წარმატებით, მართალია, აკრიტიკებდა პრეზიდენტისა და მთავრობის პოლიტიკას, მაგრამ წამყვან პოლიტიკურ პარტიებსა და პერსონებს თავადაც არ პქონდათ გამოკვეთილი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობისა თუ ეკონომიკის განვითარების კონცეპტუალური პროგრამა, საბაზრო ეკონომიკის ნორმალური განვითარების უზრუნველყოფი პრიორიტეტები, სოციალური დაცვის პროგრამები... თუმც, ოპოზიციონერი პოლიტიკური ლიდერები აცხადებდნენ, რომ მომავალი ეტაპი უნდა იყოს ეკონომიკის პოლიტიკისაგან გათავისუფლების, კორუფციის აღმოფხვრის, მინისტრთა კაბინეტის შემოღებით სახელისუფლო ბალანსის უზრუნველყოფის პერიოდი და ა.შ.

პოლიტიკური და ბიზნესინტერესების დაპირისპირებისა თუ თანხმედრის ფაქტორები ძირითადად ფოკუსირდებოდა პოსტშევარდნაძისტულ პერიოდზე – მომავალ საკანონმდებლო ხელისუფლებაში პოზიციების გამაგრებისა და გარკვეული სამომავლო გარანტიების შექმნის, გავლენის სფეროების შენარჩუნებისა და გადანაწილების მიმართულებით (ქვეყნის საგარეო კურსის, ორიენტაციისა და პოლიტიკური ორიენტირების გათვალისწინებით).

2003 წლის საარჩევნო პერიოდი მკვეთრად განსხვავდებოდა წინა პარლამენტის არჩევნებისაგან, უპირველესად იმით, რომ, ფაქტობრივად, ეს იყო ერთგვარი გენერალური რეპეტიცია 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისა; ანუ “უშევარდნაძეო საქართველოსთვის” პლატფორმის მოსამზადებელი პროცესი. ამ ფაქტორის

გათვალისწინებით, ექსპერტთა პროგნოზები ორი საპირისპირო მიმართულებით ვითარდებოდა:

ერთნი თვლიდნენ, რომ ედუარდ შევარდნაძე შეცდებოდა ქვეყნის განვითარების მომავალი მოდელის თავისთავზე მორგებას და ქვეყნის მართვის სადაცების შენარჩუნებას სხვაგვარ კონსტიტუციურ რანგში, ან – ხელისუფლების სადაცების გადაცემას, “რუსული მოდელით” თუ სხვა ფორმით, იმ პიროვნებისა თუ პოლიტიკური ძალისათვის, რომელიც მისი რეპუტაციისა და ოჯახის ხელშეუხებლობის გარანტი იქნებოდა;

მეორე მიმართულება ავითარებდა თვალსაზრისს, რომ ედუარდ შევარდნაძემ პოლიტიკურ სპექტრს თავისუფალი განვითარების საშუალება მისცა და მეტ-ნაკლებად ბუნებრივი და თავისუფალი კონკურენციის პირობებში მოამზადა იგი ქვეყნის მართვისთვის. ამ თვალსაზრისს საფუძველს უმაგრებდა ის გარემოებაც, რომ 2001 წელს პრეზიდენტი გადადგა ქვეყნის მმართველი პარტიის – საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეობიდან; არ შეუშალა ხელი საკანონმდებლო ორგანოში მისი დასაყრდენი საპარლამენტო უმრავლესობის დაშლის პროცესს; არაერთგზის განაცხადა, რომ არ აპირებს მომავალ საპარლამენტო არჩევნებში “მოქალაქეთა კავშირისთვის” “ქულების დაგროვებაში” ხელშეწყობას და ა.შ.

რეალურად არჩევნების წინა პერიოდში შექმნილი ვითარება, ჩვენი აზრით, ზემოთხამოყალიბებული ორივე თვალსაზრისის ერთგვარი ნაზავი იყო. არჩევნებთან და პოსტშევარდნაძისტულ პერიოდთან დაკავშირებით პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი პოზიცია ასე ფორმულირდებოდა: “საერთაშორისო ორგანიზაციები გვეხმარებოდნენ იმიტომ, რომ ჩვენი სახელმწიფო კურსის სჯერათ. საქართველოს მიერ აღებული კურსი არ უნდა შეიცვალოს. ამის დიდი იმედი აქვს ჩვენს მეგობრებს. ეს რწმენა არ უნდა შეილახოს. დღეს მნიშვნელობა არა აქვს, მომავალი პრეზიდენტი ვინ იქნება. მთავარია, რომ ახალი პარლამენტი პრეზიდენტის სახელმწიფო კურსის მხარდამჭერთა მიერ დაკომპლექტდეს. ჩვენ განწყობილი ვართ საბრძოლველად და დაწყებულ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ.” (“რეზონანსი”, 24.09.2003)

აღსანიშნავია, რომ ამგვარი პოზიციითვე ახსნა თუ გაამართლა ედუარდ შევარდნაძემ 2003 წლის აპრილის დამდეგს ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სახელისუფლებო ბლოკისადმი თავისი მხარდაჭერა: “ჩვენ უნდა გავხდეთ ნატო-ს, ევროკავშირის წევრი და ა.შ. ამ კურსის ეჭვებეშ დაყენების მცდელობა არის. არიან აშკარა მოწინააღმდეგები და შენიდბულები. ის საფრთხე, რაც თვალნათლივ არ ჩანს, მაგრამ შეიძლება დაემუქროს ქვეყანას, მე მაიძულებს ჩავერთო ამ პროცესში. ამ ეტაპზე არ ვაპირებდი, მაგრამ გააქტიურება აუცილებელია... თუ კურსი არ შეიცვალა, მე ბევრი საქმე აღარ დამრჩება. რადაც გარკვეული დრო – 6 თვე, ერთი წელი, იქნებ

საჭირო იყოს გამოცდილების გაზიარებისთვის.” (“საქართველოს რესპუბლიკა”, 08.04.2003)

დროის ამ გადასახედიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ფრაზებს მიღმა იკითხება მზაობა (შესაძლოა, შემდგომი პერსპექტივის ცოდნაც) ხელისუფლების ხავერდოვანი გადაბარებისათვის და, ნაწილობრივ, ასენა “ხელისუფლების ნარკომან” (როგორც მას უწოდებდნენ) ედუარდ შევარდნაძის მშვიდობიანი “შინ წასვლისა”, ნოემბერში განვითარებული და 23 ნოემბერს ბოლო კონდიციამდე მისული პროცესის შედეგად.

ამ ქვეთავისთვის შემთხვევით არ გვიწოდებია “პერმანენტული საარჩევნო რეჟიმი”; ფაქტობრივად, წლის დამდეგიდანვე დაიწყო პოლიტიკური სუბიექტების საარჩევნო სამზადისი და საარჩევნო დისპოზიციის კონტურების გამოკვეთა; ხოლო ქვეყნის ცხოვრება მთელი წელი წარიმართა, როგორც ერთიანი საარჩევნო კამპანია; შესაბამისად, ამგვარ რეჟიმზე გადაერთო მასშედიაც.

საქართველოს პარლამენტში გამარჯვებისათვის 14 პარტია და 7 საარჩევნო ბლოკი იბრძოდა, თუმც, გამარჯვების რეალურ პრეტენდენტად მიიჩნეოდა 7-8 სუბიექტი.

პოლიტიკური სპექტრის დაყოფა პოზიციად და ოპოზიციად ამ საარჩევნო კამპანიის პერიოდში უფრო პარადოქსული იყო, ვიდრე წინა არჩევნების დროს. საკმარისი იქნება თუ ვიტყვით, რომ გაერთიანებული ოპოზიციის შესაძლო ლიდერად პრესაში ფიგურირებდა პარლამენტის თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძის კანდიდატურა, რომელიც რეალურად გახდა კონკრეტული ოპოზიციური ბლოკის (რახან ოპოზიცია ვერ გაერთიანდა), “ბურჯანაძე-დემოკრატების” ლიდერი; იგი საარჩევნო კამპანიას ბოლომდე წარმართავდა პარლამენტის თავმჯდომარის რანგში და, ზოგადად ხელისუფლების მწვავე კრიტიკისას, ივიწყებდა იმ ფაქტს, რომ თავად იყო ქვეყნის მეორე პირი. სახელისუფლებო ბლოკის (რომლის წამყვანი ძალა იყო ყოფილი მმართველი პარტია – “მოქალაქეთა კავშირი”) საარჩევნო კამპანიას, ფაქტობრივად, ასევე მაღალი პოსტიდან, წარმართავდა მისი ლიდერი, სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე (არჩევნებამდე ორი თვით ადრე ბლოკის ოფიციალური ლიდერი გახდა ექს სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე).

სამი ოპოზიციური პარტია, რომლებიც წინასაარჩევნო რეიტინგებში ლიდერობდნენ, ფაქტობრივად, ყოფილი მმართველი პარტიის – “მოქალაქეთა კავშირის” წიაღიდან იყო აღმოცენებული:

“სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა” – წინა პარლამენტში “მოქალაქეთა კავშირის” სიით გასული, ექს იუსტიციის მინისტრისა და დედაქალაქის საკრებულოს იმუამინდელი თავმჯდომარის, მიხეილ სააკაშვილის ლიდერობით;

ბლოკი “ბურჯანაძე-დემოკრატები” – პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძისა და პარლამენტის ექს თავმჯდომარის, ყოფილი მმართველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით;

“ახალი მემარჯვენები” – წინა მოწვევის პარლამენტში ასევე “მოქალაქეთა კავშირის” სიით გასული ბიზნესმენების, დავით გამყრელიძისა და ლევან გაჩეჩილაძის ლიდერობით.

გაცილებით ძველი, “ლეიბორისტული პარტია” (უცვლელი ლიდერის, შალვა ნათელაშვილის ხელმძღვანელობით), რომელიც ასევე ლიდერობდა საარჩევნო რეიტინგებში, ზემოხსენებულ პოლიტიკურ ძალებს ოპოზიციად არ მიიჩნევდა და მათ მუდმივად ადანაშაულებდა ხელისუფლებასთან ალიანსში.

“აღორძინებას” (“დემოკრატიული აღორძინების კავშირს”) (რომელიც წინა არჩევნებში “მოქალაქეთა კავშირის” ძირითადი კონკურენტი იყო) დანარჩენი ოპოზიციური ძალები სახელისუფლებო პარტიად თვლიდნენ, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველ პარტიას, თავად “აღორძინება” კი თავს ჭეშმარიტ ოპოზიციად მიიჩნევდა.

ე.წ. სახელისუფლებო ბლოკი – “ახალი საქართველოსათვის”, რამდენიმე სუბიექტისაგან შედგებოდა, რომელთა შორის იყვნენ დამოუკიდებლობის პირველ წლებში შექმნილი, წარსულში სათანადო ავტორიტეტის მქონე პარტიები: ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ), ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი, “მწვანეთა პარტია”; ამასთან, ყოფილი მმართველი პარტია – “მოქალაქეთა კავშირი”, სოციალისტური პარტია და სხვა სუბიექტები.

დიდი ოპოზიციური გაერთიანების შექმნა, რომლის მოლოდინი ძალიან მძლავრი იყო საზოგადოებაში, ყველაზე მეტად პირვენულმა ამბიციებმა შეაფერება – ყველა ზემოხსენებულ ლიდერს (ლევან გაჩეჩილაძის გარდა), აფიშირებულად თუ არააფიშირებულად, პრეზიდენტობის ამბიცია ჰქონდა (აღმოჩნდა, რომ წლების შემდგომ ეს ამბიცია გაჩეჩილაძესაც გაუჩნდა).

თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია იდენტიფიცირდებოდა ლიდერთან და არა თავის სამოქმედო კრედოსთან პირვენული ფაქტორი ამჯერადაც განმსაზღვრელი იყო ელექტორალური არჩევანისთვის.

“ლოკომოტივის” ფენომენი დომინანტურ ფაქტორად რჩებოდა 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების წინაც. რამდენიმე საარჩევნო სუბიექტმა ამ როლის შემსრულებლის სახელი თავის სახელწოდებაშიც კი შეიტანა: “ბურჯანაძე-დემოკრატები”, “სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა”, “პატიაშვილი-ერთობა”, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ იმ დროისთვის ლიდერის ფენომენს ჯერ კიდევ ენიჭებოდა უპირატესობა პარტიულ თუ ბლოკის პროგრამასთან და იდეოლოგიასთან შედარებით”, – აღნიშნავს გიგი კაპანაძე თავის ნაშრომში “ქართული მედია და დემოკრატიზაციის

პროცესი საქართველოში”. კაპანაძე მართებულად შენიშნავს, რომ “ყველაზე ძლიერ “ლოკომოტივად” ჩვენში ქარიზმატული ლიდერი ყალიბდება.” (30, 176-177) დავძენთ, რომ არა მხოლოდ ჩვენში, ქარიზმატული ლიდერის პრიორიტეტულობა, პოლიტიკურობა აზრით, დამახასიათებელია საერთოდ პოსტსაბჭოთა სივრცისთვის.

რახან პოლიტიკურობის გახსენეთ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით 2003 წლის არჩევნები აშკარად გამოირჩეოდა. 2001-2002 წლების პრესაში “აქსიონენტოს მილიონით” დაფინანსებული “იმიჯმეიკერები”, “იმიჯ-კონტაქტი” და “სიტნიკოვის რეცეპტები” სკანდალურ კონტექსტში ფიგურირებდა ზურაბ უგანიასა და რეფორმატორებთან მიმართებაში (1999 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით) და საარჩევნო პროცესებთან “პიარის” მიმართება მხოლოდ ნებატიურ ფაქტორად აღიქმებოდა. ვერ ვიტყვით, რომ ქართული მედია, ელექტორატი და არჩევნებში მონაწილე სუბიექტები ერთბაშად თანამედროვე ყაიდაზე გადაეწყვნენ და სათანადოდ გააცნობიერეს საარჩევნო ტექნოლოგიების მნიშვნელობა და მისი შესაბამისობა ჩვენს რეალობასთან; მაგრამ მედია უფრო ხშირად მიმართავს კომენტარებისთვის შესაბამისი სფეროს სპეციალისტებს; მართალია, პოლიტიკური ლიდერი ჯერჯერობით არ განიხილება, როგორც მარკეტინგული პროდუქტი, მაგრამ პრესაში ჩნდება ცნება “პოლიტიკური პროდუქტი” – ცნობად და რეიტინგულ პოლიტიკოსებთან მიმართებაში.

ამ მხრივ ყველაზე თვალსაჩინოა შედარებით ხანმოკლე პერიოდში ნინო ბურჯანაძის სტრატეგიული (საარჩევნო) იმიჯის ჩამოყალიბება, რაზეც პრესა განსაკუთრებით ამასვილებდა ყურადღებას. “ნინო ბურჯანაძის სენსაციური რეიტინგი” – ფართო ანშლაგით იუწყებოდა “ალია”, “აი-პი-ემ-ის” მონაცემებით პოლიტიკოსთა რეიტინგში ნინო ბურჯანაძის “ერთმნიშვნელოვანი” ლიდერობის ფაქტს. (168)

“ბურჯანაძე, როგორც პოლიტიკური პროდუქტი, უგანიასა და შეგარდნაძის მიერაა შექმნილი, – წერდა ჟურნალი “სარკე”, – “შევარდნაძე თავისი განცხადებებით და კულუარული პოლიტიკით ყველაფერს აკოტებდა საამისოდ. მან არ დაუშვა ოპოზიციის გაერთიანება ბურჯანაძის ირგვლივ. მოგვიანებით გააკეთა განცხადება, რომ ბურჯანაძე კარგი თავმჯდომარეა, ამის შემდეგ მკაცრ კრიტიკაზე გადავიდა. ეს თავისთავად პარლამენტის თავმჯდომარის რეიტინგზე დადებითად აისახებოდა. ბატონმა ზურაბმა ამით ოსტატურად ისარგებლა და გასაოცარი რამ მოხდა – პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც 7%-იანი ბარიერის გადალახვის არანაირი შანსი არ ჰქონდა, ბურჯანაძესთან შერწყმის შემდეგ წინასაარჩევნო მარათონის ფავორიტი გახდა.” (136)

ავანსცენაზე ნინო ბურჯანაძის გამოყვანა და ზურაბ უგანიას ჩრდილში ყოფნა პრესაში უპირატესად ახსნილია იმით, რომ უგანიას არა აქვს ქარიზმა, იგი ამ

თვალსაზრისითაც ვერ შეედრება მაღალი რეიტინგის მქონე მიხეილ სააკაშვილს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქარიზმატულობასთან ერთად, მიხეილ სააკაშვილი, როგორც პოლიტიკური ლიდერი, ასოცირდება, პირველ რიგში, კორუფციასთან მებრძოლ გმირთან, რეფორმებთან (განსაკუთრებით სასამართლო რეფორმასთან), რადიკალურ ცვლილებებთან და ა.შ. კიდევ ერთხელ დავიმოწმებთ გიგი თევზაბის ფილოსოფიურ-პოლიტიკურ ესეს (“საქართველო: ძალაუფლების დაბრუნება”), რომელშიც იგი ზურაბ ჯგანიასა და მის პარტიას განიხილავს “სიმულირებული დემოკრატიის” კონტექსტში, “ნაციონალურ მოძრაობასთან” დაკავშირებით კი აღნიშნავს, რომ ის “საკუთარ მომავალს ლიბერალურ-დემოკრატიულ გარდაქმნებს უკავშირებს. მისი წევრებისათვის ცხადია, რომ ისინი ვერასოდეს დაუპირისპირებენ მათ წინააღმდეგ არსებულ ფულს უფრო მეტ ფულს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დაუპირისპირეს, მათი უნიკალობა, ანუ მაქსიმალური დემოკრატიზაციის და ლიბერალიზმის ტალღაზე ხელისუფლებაში მოსვლისაკენ მიმართულება, გაქრება: დიდ ფულს დიდი კომპომისები მოსდევს.” (25, 29)

ამასთან, პრესაში ფიგურირებს მოსაზრებები, რომ საარჩევნო ტექნილოგიები გამოიყენება არა მხოლოდ საარჩევნო წარმატების მისაღწევად, არამედ, საზოგადოებრივი პროცესების მართვისთვისაც, თუნდაც, დესტაბილიზაციური სიტუაციების პროცესირებისთვის. “ხვალინდელი დღის” პუბლიკაციის სათაური და ქვესათაური კარგად გამოხატავს წინასაარჩევნო განწყობას – “სარეიტინგო ომი მომთაბარე ელექტორატისთვის”, “საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციით დესტაბილიზაცია მზადდება”; პუბლიკაციაში კი ვკითხულობთ: “კვლევითი ცენტრის “ანალიტიკოსის” ხელმძღვანელი, გიორგი ოკრიბელაშვილი დარწმუნებულია, რომ რეიტინგების ომი შეიძლება მძიმე შედეგებით დასრულდეს. ამას შეიძლება მოჰყეს დესტაბილიზაცია, ან უარეს შემთხვევაში, ბაქოს მოვლენები განვითარდეს; “როდესაც რეიტინგების მიხედვით პარტიას 20% აქვს და ის არჩევნებში 7%-იან ბარიერს ვერ გადალახავს, რა თქმა უნდა, ეს დესტაბილიზაციისთვის მოტივაცია იქნება”. (“ხვალინდელი დღე”, 24.10.2004)

“სოციოლოგიური ომი”, “რეიტინგების კეთება”, “რეიტინგებით მანიპულირება” – მედიის ლექსიკონში გაჩენილი ამგვარი ცნებები იმაზე მიანიშნებს, რომ ამ არჩევნებში სოციოლოგიური გამოკითხვები ერთგვარად მანიპულირების საშუალებად იქცა. პრესა წერდა იმის თაობაზე, რომ წინასაარჩევნოდ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევებით შექმნილი სურათისა და არჩევნებზე რეალურად მიღებული შედეგების განსხვავებულობა გახდება დესტაბილიზაციური სიტუაციის გამომწვევი ძირითადი მიზეზი; რომ საქართველოში გამოგონილ გამოკითხებზე უფრო დიდი მოთხოვნილებაა, ანუ კონკრეტული პარტია სოციოლოგიურ სამსახურს უკვეთავს არა გამოკითხვას, არამედ პირდაპირ შედეგს. რა თქმა უნდა, სოციოლოგიური სამსახურები

ამას კატეგორიულად უარყოფენ, სამაგიეროდ, პარტიები, რომლებიც მედიის საშუალებით გავრცელებული სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგებზე ხშირად არიან მოწინავე პოზიციებზე, ერთმანეთს გამოკითხვის შედეგების გაყალბებაში ადანაშაულებენ:

“შე ამ რეიტინგების ომს უნდობლობას ვუცხადებ, რადგანაც მასმედიის საშუალებით გადმოცემული პროგნოზები კონკრეტული პარტიების მიერ არის დაკვეთილი”, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა”; “აღსანიშნავია, რომ შალვა ნათელაშვილს ამჯერად სააკაშვილის გულწრფელობაში ეჭვი არ ეპარება: “სააკაშვილს ეს ტექნოლოგიები არ ესწავლება. ის ბანტიანი ბიჭი რომ ჰყავთ (გოჩა ცქიტიშვილი – “რეზონანსი”), იმის დახმარებით აყალბებდნენ და რაც უნდოდათ, იმას სწერდნენ. ახლა ეს ბიჭი უვანიას ბანგში გადაბარგდა და მიშას აღარ სწყალობს. ამიტომაც არის გაბრაზებული. ვისაც რეიტინგი არა აქვს, გაყალბება იმას სჭირდება. “გელაპმა” ჩაატარა გამოკვლევები და ამ კვლევებით პირველ ადგილზე ჩვენ ვართ... რეიტინგი აქვს მხოლოდ ლეიბორისტულ პარტიას.” (“რეზონანსი”, 19.09.2003)

არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მედიაში განსაკუთრებით გააქტიურდა საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების თემა. ზოგიერთი ექსპერტი აზერბაიჯანში არჩევნების შემდეგ მომხდარ სისხლიან დაპირისპირებას არაპირდაპირ ეგზიტპოლებსაც უკავშირებს (არჩევნების დღეს გამოქვეყნებული ერთ-ერთი ეგზიტპოლის მიხედვით ოპოზიციური პარტიის კანდიდატი ლიდერობდა); მართალია, დაპირისპირების პროვოცირებაში სოციოლოგიური ჯგუფი არაფერ შეუძია, მაგრამ ამ მონაცემებს შეეძლო გაემქაფრებინა არჩევნების შედეგებისადმი უნდობლობა.

მედიაში იკვეთება თვალსაზრისიც, რომ ტექნოლოგიების გააქტიურებამ ელექტორალური სივრცის ჩამოყალიბებაზეც იქნია ზეგავლენა, გაზარდა ამომრჩევლის მზაობა არჩევანისთვის. კვლევითი ცენტრის “ანალიტიკოსის” მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, პროგნოზირებული იყო, რომ საქართველოს მასშტაბით არჩევნებზე მონაწილეობას მიიღებდა მოსახლეობის 78,7%. (“ხვალინდელი დღე”, 24.10.2003) საგულისხმოა PR კომპანია “ნიკოლო მ”-ის ხელმძღვანელის, გიორგი დამბაშიძის მოსაზრება, რომელიც მიიჩნევდა, რომ “დღეს არის ჩამოყალიბებული ელექტორატი და “კარუსელების” დრო საქართველოში წავიდა”. მისი აზრით, წინა არჩევნებისაგან განსხვავებით, არ იგრძნობა პრეზიდენტის განსაკუთრებული მხარდაჭერა სახელისუფლებო ბლოკისადმი. პრეზიდენტმა მიაღწია მთავარს – გაზრდილია არჩევნებზე მონაწილეობის ელექტორალური მოთხოვნა. ამასთან, გიორგი დამბაშიძე თვლიდა, რომ საუბარი ხელისუფლებისაგან მართულ დესტაბილიზაციასა და არჩევნების ჩაშლაზე ისევ და ისევ ცნობილი ტექნოლოგიების შედეგია. (ტ/კ “იმედი”, პროგრამა “არჩევანი”, 03.10. 2003)

საინფორმაციო ტექნოლოგიების მკვლევარი გოჩა ჩოგოვაძე აღნიშნავდა, რომ “პოლიტიკური პარტიები და ბლოკები თვითონეკლამისა და საკუთარი იდეების საილუსტრაციოდ სულ უფრო ფართოდ იყენებენ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს... რაც შეეხება იმას, რამდენად ცვლიან ეს ტექნოლოგიები ქართულ პოლიტიკურ საკეტრს; თუ შევადარებო დასავლეთის წინასარჩევნო ბატალიებს საქართველოში მიმდინარე პროცესებს, მე ვიტყოდი, რომ ჩვენთან ძირითადი აქცენტი პეთდება პიროვნებებზე, მათ თვისებებზე, წარმოშობასა და შესაძლებლობებზე, როცა დასავლეთში დებარტები იმართება უფრო პარტიებისა და ბლოკების პროგრამების შესახებ.” (ქურნალი “თბილისელები”, 20.10.2003)

დისერტაციის პირველ ნაწილში ყურადღებას ვამახვილებდით მედიის ფაქტორზე, რომელმაც შეამზადა ნიადაგი პოსტშევარდნაძისტულ ეპოქაში “ხავერდოვანი” გადასვლისთვის, შემდგომში “გამარჯვებულ ტელევიზიად” წოდებული “ტ/კ “რუსთავი 2”-ის განსაკუთრებულ წვლილზე “ვარდების რევოლუციაში” და ა.შ. ელექტორალურ არჩევანზე მედიის ზემოქმედების საილუსტრაციოდ მოვიშველიებთ თანამედროვე ამერიკის ერთ-ერთი გავლენიანი და წარმატებული პოლიტიკური კონსულტანტის, დიკ მორისის (ალბათ საკმარისი იქნება თუ ვიტყოთ, რომ იგი ხელმძღვანელობდა 1996 წელს პრეზიდენტ ბილ კლინტონის მეორე ვადით არჩევის კამპანიას) მოსაზრებას. ის აღნიშნავს, რომ “ამერიკელები დღეს წარმოადგენენ საინფორმაციო ნარკომანებისაგან შემდგარ ელექტორატს”, რომელსაც ინფორმირებულობის მაღალი დონე საკუთარ პოლიტიკურ პოზიციას უყალიბებს. შესაბამისად, ამერიკელები პოლიტიკურად უფრო და უფრო დამოუკიდებლები ხდებიან და ელექტორატის დიდი წილი – 40 პროცენტი, ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც არ არიან არცერთის მხარდამჭერები – ორი ძირითადი პოლიტიკური პარტიიდან (რესპუბლიკელები და დემოკრატები, – ლ.ქ.), და ხმას არ აძლევენ მათ პროგრამებს. (51, 11-14) ელექტორატის დამოუკიდებლობის ფაქტორს დიკ მორისი ამერიკის სახელმწიფოს დემოკრატიულობის მაჩვენებლად მიიჩნევს.

“დემოკრატია – ეს არის არჩევნები, ხოლო არჩევნებით ჩვენ იმის დადგენას გცდილობთ, თუ საით უნდა წავიდეს ქვეყნის განვითარება”, – აღნიშნავს ლეშებ ბალცეროვიჩი თავის წიგნში – “სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში”. (5, 12)

როგორც გხედავთ, არჩევნები და ამომრჩევლის დამოუკიდებლობის ფაქტორი ქვეყნის დემოკრატიულობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია. ამ ფონზე პასუხისმგებლობა და როლი მედიისა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ელექტორალურ არჩევანზე, უაღრესად მნიშვნელოვანია. ეს თემა შემთხვევით არ წამოგვიწევია წინა პლანზე; “ვარდების რევოლუცია”, რომლითაც დასრულდა 2003 წლის პერმანენტული საარჩევნო რეჟიმი, ჩვენი აზრით, თავისთავად იყო “პოლიტექნოლოგიური პროდუქტი”. ამდენად, ვარჩიეთ ამ მიმართულებით პრესის ნაკლებად შესწავლილ აქცენტებზე უფრო მეტად გაგვემახვილებინა ყურადღება, ვიდრე

საარჩევნო ბატალიებზე, “კმარას” აქციებზე, “ამერიკულ საარჩევნო რეცეპტზე” (პრესის ფორმულირება), რომელიც საქართველოში ჯეიმს ბეიკერმა ჩამოიტანა (7-9 ივლისის პრესა, 2004) და ა.შ.

რაც შეეხება მედიის წვლილს “ვარდების რევოლუციის” მომზადებასა და განხორციელებაში, მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე თითქოს ბევრი ითქვა და დაიწერა, მიგვაჩნია, რომ ეს თემა საგანგებო კვლევებს იმსახურებს. ამ თემას მოკლედ ჩვენც შევეხეთ დისერტაციის სხვა თავებში, აქ კი მოვიშველიებთ მაია ტორაძის მოსაზრებას ზემოხსენებული სადისერტაციო ნაშრომიდან (“თანამედროვე პრესა და არჩევნების პრობლემა”): “2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებზე ხმების გაყალბების წინააღმდეგ ამომრჩევლის გააქტიურება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დამსახურებაა.” (69, 17)

*

არჩევნები საქართველოს გამოცდაა დემოკრატიაში – ეს დამოკიდებულება საპარლამენტო არჩევნებისადმი ყველაზე მკაფიოდ იკვეთება პრესაში. ექსპერტების (მათ შორის – დასავლელი ექსპერტების) შეფასებით, პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩატარებულ არცერთ არჩევნებს ასეთი ინტერესი არ გამოუწვევია. ამაზე მეტყველებდა უცხოელ დამკვირვებელთა სარეკორდო მაჩვენებელიც – 2000-ზე მეტი.

ოქტომბერში საქართველოში ვიზიტად მყოფმა სენატორმა ჯონ მაკეინმა განაცხადა, რომ აშშ-ის მიზანია საქართველოში სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნები ჩატარდეს: “საქართველო ამერიკელებისათვის თავისუფლების სიმბოლოა და კარგი იქნება, თუ ის არჩევნების შემდეგაც ასეთად დარჩება.” მან აღნიშნა, რომ “ამერიკას ამ არჩევნებში არ ჰყავს საკუთარი კანდიდატურა”. საგულისხმო იყო მაკეინის ფრაზა: “თუ ქვეყანა სხვას სთხოვს საკუთარი თავისუფლების დაცვას, კარგავს თავისუფლებას.” (“მთავარი გაზეთი”, 06.10.2004)

“ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის” დირექტორი მარკ მალენი მიიჩნევდა, რომ “არჩევნების ბედი მხოლოდ საქართველოს მოქალაქეთა ხელშია”; რომ “არჩევნების სამართლიანობის განსაზღვრა იმის მიხედვით, თუ რა პროცენტი მიიღო ერთმა პარტიამ და რა – მეორემ, არ შეიძლება. როგორმე ყველა პარტია ერთნაირი პასუხისმგებლობით უნდა ჩაერთოს არჩევნების სამართლიანად ჩატარების უზრუნველყოფაში.”

საქართველოსადმი დასავლეთის დამოკიდებულებისა და არჩევნების ურთიერთმიმართებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ბაქოს მოვლენების შემდეგ. საქართველოს მედიაში გაჩნდა მოსაზრებები, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა საქართველოს შემთხვევაში ისე ლოიალური არ იქნება, როგორც

აზერბაიჯანთან მიმართებაში. ეს ვარაუდი დაადასტურა 21 ოქტომბერს თბილისში ვიზიტად მყოფი ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის იაპ დე პოოპ სხეფერის განცხადებამ, რომ ეგროპა საქართველოში საპარლამენტო არჩევნების ჩატარების პროცესს განსაკუთრებით გააკონტროლებს; რომ ამ დღეს გამოჩნდება, რამდენად მყარი და საფუძვლიანია საქართველოს ამბიციები – ეგროატლანტიკურ სივრცეში ქვეყნის სრული ინტეგრაციისა. (“მთავარი გაზეთი”, 22.10.2003)

პარალელურად, ანალიტიკოსები არ ივიწყებდნენ რუსეთის ფაქტორსაც (კონტექსტით – “საქართველო – რუსეთ-ამერიკის გზაჯვარედინი”) და პროგნოზირებდნენ, რომ არჩევნებთან დაკავშირებით, რუსეთი ეცდება უფრო გაამწვავს პროცესები საქართველოში და დესტაბილიზაციის საშიშროება ალბათობიდან რეალობად აქციოს.

არჩევნების წინა დღეებში ოპოზიციის მხრიდან გაძლიერდა აქცენტი, რომ არჩევნების გაყალბება ლამის გარდაუგალია და, შესაბამისად, ასევე გარდაუგალია მასობრივი გამოსვლები, რომელიც, შესაძლოა, დესტაბილიზაციაში გადაიზარდოს. აზერბაიჯანში საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა, შეიძლება ითქვას, საქართველოში წინასწარ მოახდინა საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული “დესტაბილიზაციური მოლოდინის” პროვოკირება.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად პრესაში უფრო ხშირად ჩნდება საგანგაშო განწყობის შემქმნელი სათაურები: “ზუგდიდში დევნილებსა და ადგილობრივებს შორის სისხლისდგრა იგეგმება?”, “ვანში არჩევნები, შესაძლოა, ჩაიშალოს” (“რეზონანსი”, 23.10.2004), “არჩევნების გაყალბებით უკმაყოფილოებს შევარდნაჟ ბაქოს სცენარს უმზადებს”; “არჩევნების დღეს დენი არ იქნება” (“ხვალინდელი დღე”, 23.10.2004), “ოპოზიცია მოსახლეობას ფსიქოლოგიურად ამზადებს არჩევნების შემდეგ ქუჩაში გამოსაყვანად”; “წინასაარჩევნო კამპანია დანაშაულებრივ ხასიათს დებულობს” (“ახალი თაობა”, 24.10.2004), “ლაგოდებში წინასაარჩევნო დაპირისპირება მწვავდება” (“24 საათი” 24.10.2004) და ა.შ.

სიტუაციის დაძაბვის საბაბად იქცა საარჩევნო სიები, რომლის გაყალბებაში, ჯერ კიდევ არჩევნებამდე, ერთმანეთს ადანაშაულებდნენ ხელისუფლება, ოპოზიცია, ცენტრალური საარჩევნო კომისია და არასამთავრობო ორგანიზაციები. გარდა ამისა, შექმნილი სიტუაციის ახსნისთვის გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფაქტორი – ოპოზიციური პარტიები ერთ სივრცეში “თამაშობდნენ”, სერიოზული პოლიტიკური ძალის განაცხადი მინიმუმ 7 პოლიტიკურ ძალას მაინც ჰქონდა (მათი საერთო “საარჩევნო წილი” დაახლოებით 70-75%-ს შეადგენდა). “შედეგებით უკმაყოფილო ორგანიზაციები აუცილებლად გააკეთებენ მკვეთრ განცხადებებს. ოპოზიცია არის ცხრა, სახელისუფლებო ბლოკი – ერთი. ერთმა რომ გაიმარჯვოს, რვა უკმაყოფილო იქნება, ან შეიძლება ცხრავე იქნეს უკმაყოფილო”, – ასეთ კომენტარს აკეთებდა

სახელისუფლებო ბლოკის სპიკერი (წარსულში ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი), ირინა სარიშვილი-ჭანტურია, არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე. (“ხვალინდელი დღე”, 24.10.2003)

2 ნოემბერს, საპარლამენტო არჩევნებთან ერთად, საქართველოში, ფაქტობრივად, რეფერენდუმიც ტარდებოდა – ამომრჩეველს უნდა ეპასუხა კითხვაზე: ”**მხარს უჭერთ თუ არა პარლამენტართა რაოდენობის 150-მდე შემცირებას?**”

არჩევნებამდე გამოკვეთილი საზოგადოებრივი აზრი, ექსპერტთა და ურნალისტთა მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვეოდა იმ თვალსაზრისით, რომ პარლამენტის რაოდენობრივი შემცირება აუცილებელია; მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა იყო რეფერენდუმის არჩევნებთან ერთად ჩატარების მიზანშეწონილობის გამო. იურისტ დავით უსუფაშვილის მოსაზრებით, ეს რეფერენდუმი პლებისციტის ფუნქციას შეასრულებდა, რადგან რეფერენდუმისაგან განსხვავებით, მისი შედეგის დაუყოვნებლივ შესრულება არ მოხდებოდა, პარლამენტართა რაოდენობის შემცირება ახალი მოწვევის პარლამენტს არ ეხებოდა; პარლამენტი გაითვალისწინებდა ეწ. რეფერენდუმის შედეგებს და მიიღებდა შესაბამის გადაწყვეტილებას. საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე რეფერენდუმს აკისრებდა არა მხოლოდ პარლამენტის რაოდენობრივი შემცირების, არამედ, ქვეყანაში საკონსტიტუციო რეფორმების განხორციელებისათვის ნიადაგის მომზადების ფუნქციას. პირველ რიგში, იგულისხმებოდა მინისტრთა კაბინეტის შემოღება, რომლის აუცილებლობაში ერთსულოვანი იყო ხელისუფლებაც და ოპოზიციაც. (აქვე აღვნიშნავთ, რომ რეფერენდუმის შედეგებით, საქართველოს ამომრჩეველთა 99%-მა ხმა მისცა პარლამენტართა რიცხვის შემცირებას).

2 ნოემბრის არჩევნებმა, რომელსაც ბაქოს მოვლენების მსგავს განვითარებას უწინასწარმეტყველებდნენ, ელექტორატის მოსალოდნელზე მეტი აქტიურობით ჩაიარა და მიუხედავად არჩევნების მომდევნო დღის სიმშეიდისა, 4 ნოემბრის საღამოს, დესტაბილიზაციური სიტუაციის ზღვართან მივიდა. ბლოკ “ბურჯანაძე-დემოკრატების” მოწოდებას – “დავიცვათ დემოკრატიული ოპოზიციის ხმები”, პირველი შეუერთდა ბლოკი “სააკაშვილი-ნაციონალები”. ლიდერების მეთაურობით, ასეულობით მხარდამჭერთან ერთად, ისინი ქუჩაში გამოვიდნენ და მიტინგი გამართეს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი მონაცემებით მიღებული შედეგი (რომელიც უახლოვდებოდა ერთ-ერთი საარჩევნო ეგზიტპოლის შედეგს) სახელისუფლებო ბლოკისთვის – 24%, ისევე, როგორც ოპოზიციური პარტიების საერთო სავარაუდო პროცენტი (70%-მდე), მეტ-ნაკლები რეალობით ასახავდა პოლიტოლოგების მიერ წინასწარ პროგნოზირებულ შედეგებს. წინასწარი მონაცემებით, ბლოკს – “სააკაშვილი-ნაციონალები”, რომელიც პარლამენტში უმრავლესობით მოსვლას გეგმავდა (ისევე, როგორც “ლეიბორისტები” და “ბურჯანაძე-დემოკრატები”),

სახელისუფლებო ბლოკის თანაბარი პროცენტი ჰქონდა. არჩევნების წინა პერიოდში რეიტინგების პირველ-მეორე ნომრად მყოფი “ბურჯანაძე-დემოკრატების” წილი, 8%-ის ფარგლებში მერყეობდა, რაც მათ წინასაარჩევნო ამბიციებს ნამდვილად არ შეესაბამებოდა; თუმც, ბევრი ექსპერტი მიიჩნევდა – რომ არა პერსონალურად ნინო ბურჯანაძის მკვეთრად მზარდი რეიტინგი, ამ ბლოკის მთავარი სუბიექტი – “დემოკრატები”, 7%-იანი ბარიერის გერგადალახვის სფრთხის წინაშე იღება.

ეველა სახის წინასწარი მონაცემებით (ცესკო-ს წინასწარი მონაცემები, არასამთავრობო ორგანიზაცია ”სამართლიანი არჩევნების” პარალელური დათვლის შედეგით, ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ეგზიტპოლის შედეგებით), პარლამენტში მოხვედრა თითქმის გარანტირებული ჰქონდათ: სახელისუფლებო ბლოკს “ახალი საქართველოსათვის”, ბლოკ „სააკაშვილი-ნაციონალებს”, „დემოკრატიული აღორძინების კავშირს“ (“აღორძინებას”) და „ლეიბორისტულ (შრომის) პარტიას“. 7%-იანი ბარიერის გადალახვის შანსი ჰქონდათ ბლოკ „ბურჯანაძე-დემოკრატებსა“ და „ახალ მემარჯვენებებს“, მათზე ნაკლები, მაგრამ თეორიული შანსი – ბლოკს „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“.

როგორც მოსალოდნელი იყო, საერთაშორისო დამკვირვებლებმა საქართველოში ჩატარებული არჩევნები (აზერბაიჯანული არჩევნებისაგან განსხვავებით) უშედავათოდ, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებით შეაფასეს და აღნიშნეს, რომ იგი არ შეესაბამებოდა ამ სტანდარტებს. „მიგვაჩნია, რომ ქვეყნის მოსახლეობა უფრო კარგ საარჩევნო სისტემას და უფლებების შესაბამის დაცვას იმსახურებს, რაც სამწუხაროდ, გუშინ არ განხორციელდა“, – აღნიშნა 3 ნოემბერს გამართულ ბრიფინგზე ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის საგანგებო კოორდინატორმა ბრიუს ჯორჯმა. აშშ-ის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის პრეზიდენტი ჯორჯ ფილსონი უურადღებას ამახვილებდა არჩევნებისას გამოვლენილ პრობლემებზე: ამომრჩეველთა სიები, საარჩევნო ადმინისტრაციების არაკომპეტენტურობა, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიის არარსებობა. (ტ/კ „რუსთავი 2“, 03.11.2004)

დაბაბულობის ესკალაცია გამოიწვია ცესკო-ში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მონაცემების შესვლამ, რომლის მიხედვითაც არჩევნების წინასწარი შედეგი თავდაყირა დადგა – „აღორძინებაში“ გაუსწრო სახელისუფლებო ბლოკსა და „ნაციონალურ მოძრაობას“ და პირველ ადგილზე გადაინაცვლა. შესაძლოა, ეს იყო „ბაბუების“ (შევარდნაძე-აბაშიძის) კიდევ ერთი გარიგების შედეგი – მორიგი მანევრი ხელისუფლების შენარჩუნებისათვის.

ვითარება უკიდურესად დაიძაბა არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ, რეგიონებშიც. თბილისში, პარლამენტის წინ დაბანაკებულ მომიტინგეთა რიგები გეომეტრიული პროგრესით იზრდებოდა. მომიტინგეთა სკანდირება – „მიშა!“, „მიშა!“ –

“ნაციონალების” მომხრეთა პრიმატზე მიანიშნებდა, ხოლო ედუარდ შევარდნაძისადმი მიმართული “გადადექი!” იმის ნიშანი იყო, რომ უოველგვარი უკმაყოფილება – პოლიტიკურიც, სოციალურიცა და პიროვნულიც, პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნაში აკუმულირდა.

14 ნოემბერს მოვლენების განვითარებამ ფართო მასშტაბი მიიღო – დედაქალაქში ათიათასობით ადამიანი შეიკრიბა, ძირითადად – “ნაციონალური მოძრაობისა” და “ბურჯანაძე-დემოკრატების” მხარდამჭერები; მოგვიანებით მათ “ზვიადისტების” ერთი ფრთა შეუერთდა. აქციების მიმდინარეობის მთელ პერიოდში განსაკუთრებული აქტიურობითა და რადიკალიზმით გამოირჩეოდა ახალგაზრდული მოძრაობა “ქმარა” (რომლის დაფინანსებასაც პრესა სოროსს უკავშირებდა)... მიუხედავად იმავე დღეს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მიერ გაკეთებული საგანგებო განცხადებისა, რომ იგი არ დაუშვებს სამოქალაქო ომს, მიუხედავად ოპოზიციის ლიდერების მუდმივი მოწოდებისა, რომ აქციას მშვიდობიანი ხასიათი პქონოდა, ძალიან მცირე იყო იმის ალბათობა, რომ არჩევნების შემდგომი ათდღიანი დაძაბული ვითარება და უკომპრომისო საპროტესტო განწყობა სერიოზული დესტაბილიზაციის წყაროდ არ იქცეოდა. მრავალათასიანი მიტინგი, რომელსაც “საქართველოს ბედის გადაწყვეტის” მისია ეკისრებოდა, “სი-ენ-ენ”-ის, “ბი-ბი-სი”-ს, “ევრონიუს”-ისა და სხვა საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით, მსოფლიო საზოგადოებრიობის ინტერესის საგანი გახდა. მიტინგმა, ფაქტობრივად, “ვარდების რევოლუციის” გენერალური რეპეტიციის როლი შეასრულა – თავისი მასშტაბურობით, ორგანიზებულობით, მშვიდობიანი ხასიათით, მშვიდად დაშლით. პრესაში ეს მოვლენა შეფასდა იმის მაუწყებლად, რომ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებამ ამ ეტაპზე “გამოცდა ჩააბარა”. (15 ნოემბრის პრესა). რაც შეეხება “ვარდების რევოლუციის” შეფასებასა და მნიშვნელობას, ეს თემა განვითარებულია დისერტაციის შემდგომ ნაწილში – “ვარდების რევოლუცია” და პოსტრევოლუციური პერიოდი”.

- 2004 წლის საპრეზიდენტო და ხელახლი საპარლამენტო არჩევნები

“შეგნებულად არ ვამახვილებო ყურადღებას 2004 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებზე. ეს იყო პოსტრევოლუციური პერიოდი, როცა მოქალაქეთა პოლიტიკური არჩევანი “ვარდების რევოლუციის” დღეებში გამჟღავნდა. არჩევნები საერთაშორისო ორგანიზაციათა დიდმა ნაწილმა სამაგალითოდ აღიარა, თუმცა, ცოდვა გამხელილი სჯობს – ამ დღეებში ასარჩევი არც არაფერი იყო, რადგან რევოლუციის ეიფორიის პერიოდში ოპოზიციური აზრი ქრება” (ხაზი ჩვენია ლ.კ.), – აღნიშნავს მაია ტორაძე ზემოსენებულ სადისერტაციო ნაშრომში. (69, 46)

ჩვენც ვიზიარებთ ამ მოსაზრებას, მაგრამ მაინც შევაჩერებთ უურადლებას 2004 წლის არჩევნების გაშუქებაზე, რადგან ამ თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები, აქცენტები და ნიუანსები ავსებს პრესაში პოსტრევოლუციური ვითარების ასახვის საერთო სურათს და აჩვენებს, რომ “ვარდების რევოლუციას” არსებითად არ შეუცვლია საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისა და პრესის მთავარი ორიენტირი – სახელისუფლო ბრძოლების პრიმატი, პიროვნული ფაქტორის დომინირებით.

მიუხედავად იმისა, რომ “ვარდების რევოლუციის” პროცესში და, განსაკუთრებით, ბოლო დღეებში, გამოიკვეთა მიხეილ სააკაშვილის, როგორც რევოლუციის ლიდერის, სახე, ფუნქცია და მნიშვნელობა, რევოლუციის მეორე დღესვე დაიწყო პრესაში ვერსიების განვითარება საპრეზიდენტო კანდიდატურის თაობაზე; რა თქმა უნდა, ფიგურირებს მიხეილ სააკაშვილი, მაგრამ ხსენდება ნინო ბურჯანაძეც. გაზეთი “ხვალინდელი დღე”, მაგალითად, წერდა, რომ “სავარაუდოდ, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ძალების უმეტესობისთვის მეტ-ნაკლებად მისადები საპრეზიდენტო კანდიდატურა ნინო ბურჯანაძე იქნება. მას უპირატესობას მიანიჭებენ, როგორც სააკაშვილზე გაცილებით ნაკლებრადიკალურ ფიგურას.” (“ხვალინდელი დღე”, 26.11.2003)

მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო დირექტორის განხილვისას ძირითადად უურადლება მახვილდება მის ქარიზმატულობაზე, უალტერნატივობაზე, გამბედაობაზე, ემოციურობაზე (გავიხსენოთ ვახუშტი კოტეტიშვილის ცნობილი ნათქვამი – “ქართველები ემოციური ხალხი ვართ და ემოციურ პრეზიდენტს გირჩევთ”), ინფანტილურობაზე, “ამერიკის მიერ შექმნილ იმიჯზე”... გვხვდება რამდენიმე მკვეთრად განსხვავებული შეფასებაც; მაგალითად, პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს სააკაშვილი ბრიტანელ პრემიერს, დიზრაელს აგონებს, რომელსაც “ახალგაზრდობაში ბევრი შოკირებაში მოჰყავდა თავისი ექსტრავაგანტური რადიკალიზმით, ხოლო ისტორიაში შევიდა ერთ-ერთ ბრწყინვალე პრემიერად, რომლის დროსაც ბრიტანეთმა სუეცის არხი ჩაიგდო ხელში.” (“რეზონანსი”, 06.12.2004)

რევოლუციის მომდევნო დღეებში პრესაში აშკარად თვალშისაცემია მიხეილ სააკაშვილის რადიკალიზმისა და აგრესიულობის ხარისხისა და ამბიციურობის შესუსტება. ამ თვალსაზრისით ყველაზე მომგებიანად იგი გაზეთ “24 საათის” 24-25 ნოემბრის ნომრებშია წარმოდგენილი (ყურადღებას იპყრობს მისი ეფექტური ფოტოც, გაწონასწორებულ და მშვიდ პოზაში); აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ პუბლიკაციაში სააკაშვილი მაღალ შეფასებას აძლევს ექსპრეზიდენტს: “შევარდნაძე დიდი პიროვნება”; “პრეზიდენტი უკიდურესად ღირსეულად იქცეოდა”. (“24 საათი”, 24.12.2004) (გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ შემდგომში, გაპრეზიდენტებამდე თუ პრეზიდენტობისას, მიხეილ სააკაშვილი კატეგორიულად უარყოფდა ედუარდ შევარდნაძის პერსონას, მოხსენიებდა მხოლოდ მკვეთრად უარყოფით კონტექსტში და

ყოველი ახალი საქმის წამოწებისას მის დექსიკაში ხაზგასმით ფიგურირებდა – “პირველად საქართველოში”...)

რევოლუციის შემდგომ დღეებში მედიის ყველა საშუალება ეხება მიხეილ სააკაშვილის შესაძლო ლიკვიდაციის თემას ამა თუ იმ კონტექსტში. “ჯორჯიან თაიმსის” პებლიკაციის (“არჩევნებამდე სააკაშვილს მოკლავენ?”) პროცეკაციულ აქცენტებში ზურაბ უვანია ხსენდება, როგორც შესაძლო “დამკვეთი”: “მკვლელობის განხორციელების შემთხვევაში წინასწარ იცოდეთ, რომ უვანია დამკვეთად გიორგაძეს დაასახელებს, თუნდაც იმ შემთხვევაში, რომ ამ მკვლელობის უკან თავად იდგეს.” (“ჯორჯიან თაიმსი”, 04.12.2004) მიხეილ სააკაშვილზე შესაძლო თავდასხმის ვერსიებს ამძაფრებს უსაფრთხოების მოტივით კრწანისის რეზიდენციაში მისი გადაყვანის ფაქტიც.

ამასთან, პრესაში გვხვდება მინიშნებები “მართვად ქაოსზე” და მისი დაკავშირება საპრეზიდენტო არჩევნების ჩაშლის საფრთხესთან, ხსენდება იგორ გიორგაძე და, რა თქმა უნდა, რუსეთი. პოლიტოლოგ პაატა ზაქარეიშვილის მოსაზრებით, “...მომხდარი აფეთქებებიც, გასროლებიც და რაიონების მიხედვით განხორციელებული სატელეფონო ტერორიც, პროფესიონალების მიერ ზედმიწევნით კარგად დაგეგმილ და განხორციელებულ სადაზვერვო-სადივერსიო ოპერაციას უფრო ჰგავს, ვიდრე “რევანშის”. მოვლენათა განვითარების ჯაჭვი სწორედ იმის მიმანიშნებელია, რომ პროცესი უცხო ქვეყნის, კერძოდ კი, რუსეთის სპეცსამსახურებიდან იმართება.” (“კვირის პალიტრა”, 15.12.2003)

საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით პრესა ავითარებს მოსაზრებებს, რომ ლამის ანეგდოტური კანდიდატურების არსებობა სააკაშვილს კარგ ფონს არ უქმნის. ერთადერთი კანდიდატურა, რომელიც ასე თუ ისე ანგარიშგასაწევ კონკურენტად განიხილება, თემურ შაშიაშვილია. საარჩევნო კამპანიის დასაწყისში, სატელევიზიო გამოსვლება თუ საგაზეთო ინტერვიუებში, თემურ შაშიაშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქვეყანაში უნდა დამთავრდეს ყოველგვარი დაპირისპირება, აგრესიული ტონით საუბარი; არ უნდა გაბატონდეს ხუნვეიბინური სტილი, ქვეყანას აკადემიური ტონი და სიმშვიდე სჭირდება. იგი აცხადებს, რომ ის არ არის ამხელა ძალაუფლების მქონე პრეზიდენტის ინსტიტუტის მომხრე; ამ ძალაუფლებას ვერ გაუძლო გამსახურდიამ, ვერც მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკოსად ცნობილმა შევარდნაძემ გაუძლო. გაპრეზიდენტების შემთხვევაში იგი მიზნად ისახავს ზეცენტრალიზებული სისტემის დანგრევას. (ტ/კ “რუსთავი-2”, ტ/კ “იბერია”, 15.12.2003)

უფრადდებას შევაჩერებოთ თემურ შაშიაშვილთან დაკავშირებულ რამდენიმე აქცენტზე: პრესაში გაუდერდა ვერსია რომ, შესაძლოა, მისი საარჩევნო კამპანია ბორის ბერეზოვსკიმ დაფინანსოს და ამასვე უკავშირდებოდეს რუსი ოლიგარქის ბოლო სკანდალური ვიზიტი თბილისში. (“ახალი ეპექა”, 05.12.2003); თემურ შაშიაშვილთან

კომპრომისი და საერთო ენის გამონახვა ასლან აბაშიძეს დასჭირდა იმიტომ, რომ შაშიაშვილის მეშვეობით დაამარცხეს აჭარაში მიხეილ სააკაშვილი; ან კიდევ, შაშიაშვილის მეშვეობით მდგომარეობიდან გამოვიდეს და აჭარაში საარჩევნო უბნების გახსნას მიზეზი მოუძებნოს; რომ ნინო ბურჯანაძის მამას შაშიაშვილთან სატელეფონო საუბარი ჰქონდა და მას ახლად ჩამოსაყალიბებელ მთავრობაში საკმაოდ მაღალი პოსტი შესთავაზეს. (“ახალი ვერსია”, 24.11.2003)

საპრეზიდენტო არჩევნების პათოსმა – “უველანი არჩევნებზე!” და პრეზიდენტობის კანდიდატის ფაქტიურმა უალტერნატივობამ, პრესას საბჭოთა პერიოდის არჩევნები გაახსენა, ხოლო უკვე არჩევნების წინასწარმა შედეგმა (და – საბოლოომაც) გააჩინა პარალელი ასევე ”აპსოლუტური მაჩვენებლით” არჩეულ ზგიად გამსახურდიასა და ელუარდ შევარდნაძესთან. მეორე მხრივ, პრესაში იკვეთება ამგვარი მოტივაცია – ამ მაჩვენებლით ხალხის იმედი, ცვლილების სურვილი განისაზღვრა; ამასთან, 96%-იანი გამარჯვება ელექტორატის უკანასკნელი იმედის გამოხატულებაა.

რას ელოდება საზოგადოება პრეზიდენტისაგან? ამ კითხვაზე ყველაზე კომპაქტურ პასუხს აყალიბებს უურნალისტი და მედიის ექსპერტი ია ანთაძე. იგი განიხილავს სამ ფენას, რომელიც სხვადასხვა შედეგს ელის: პირველი (შესაძლოა, ყველაზე მრავალრიცხოვანი) – 4 იანვრის არჩევნებისაგან თავისი ოჯახის კეთილდღეობას ელოდება; მეორე – არჩევნების პირად კეთილდღეობას არ უკავშირებს; ის ხელისუფლების გუნდურ პასუხისმგებლობას და ქართული სახელმწიფოს თანმიმდევრულ ნაბიჯებს მოელის; მესამე – ეჭვით ეკიდება ხელისუფლებას და მიაჩნია, რომ არჩევნების მიმართ მოლოდინი აღემატება დღევანდელი ლიდერების შესაძლებლობებს. ანუ, ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი არჩევნებისაგან ელოდება პრეზიდენტის გმირობას, მეორე ნაწილი – სამთავრობო გუნდის სწორ ნაბიჯებს, მესამე ნაწილი – სამოქალაქო მონაწილეობით ხელისუფლების ლეგიტიმაციას. ია ანთაძე უურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 4 იანვრის არჩევნებში ყველაზე ცოტაა იმ მოქალაქეების რაოდენობა, რომელიც არჩევნებისაგან არაფერს ელოდება და სწორედ ეს არის ახალი ხელისუფლების ახალი პასუხისმგებლობა თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. (84)

*

საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების მიმართ პარტიული სპექტრის დამოკიდებულებამ გამოკვეთა მისი რევოლუციისშემდგომი მდგომარეობა – დაქსასულობა, დაბნეულობა და მკვეთრი პოზიციის არქონა! ცნება “ოპოზიცია”, რომელიც რევოლუციამდელ პერიოდშიც პირობითი იყო, კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდა. რევოლუციამდელი პერიოდის ოპოზიციის ნომინანტები – “ნაციონალები” და “ბურჯანაძე-დემოკრატები” სახელისუფლებო პარტიად ტრანსფორმირდნენ.

შესაბამისად, დაიწყო გამოთავისუფლებული ოპოზიციური “ნიშის” ათვისების პროცესი. მოკლედ განვიხილავთ, პრესაში ასახული სურათის მიხედვით, როგორია პოლიტიკური სპექტრის ახალი კონფიგურაცია.

რევოლუციის პირველ დღეებში პრესა ყურადღებას ამახვილებდა ავანსცენის მიღმა დარჩენილი პოლიტიკური ძალების მხრიდან რევოლუციისა და “კონტრევოლუციის” საფრთხეზე. ამ თვალსაზრისით მოსალოდნელი იყო ყოფილი სახელისუფლო ბლოკის (“ახალი საქართველოსათვის”), “ლეიბორისტების”, “აღორძინების”, “ახალი მემარჯვენების” საპროტესტო განწყობის გაძლიერება – თუნდაც, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ან საერთო ძალისხმევით. მაგრამ, პრესა უფრო პოლიტიკური ძალების ამორფულობასა და გაურკვევლობას გამოკვლე, ვიდრე პოლიტიკურ პროცესებში მათი ლოგიკური მონაწილეობის, ან, მინიმუმ, საბუთარი ფუნქციის გამართლებისათვის მზადყოფნას.

ყოფილ სახელისუფლო ბლოკს რევოლუციასთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია არ დაუფიქსირებია; სახელისუფლო ბლოკის მთავარი სუბიექტის – “მოქავშირის” ლიდერმა და ექსსახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ, თანამდებობიდან გადადგომისას გაკეთებულ განცხადებაში, მოხერხებულად აუარა გვერდი პარტიულ პასუხისმგებლობას; მხოლოდ ის აღნიშნა, რომ პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს და მზად არის ითანამშრომლოს “ყველა სუფთა პოლიტიკურ ძალასთან”. ხოლო რა ბედი ეწეოდა 1995 და 1999 წლის მოწვევის პარლამენტებში ჰეგემონიის მქონე პარტიას, დარჩებოდა თუ არა, და რა ფორმით, პოლიტიკურ სცენაზე, ამის თაობაზე პრესაში არ გვხვდება არც ჯორბენაძისა და არც “მოქავშირის” რომელიმე აქტიური წევრის გამოკვეთილი პოზიცია. თუმც, ძველი პარლამენტის ყველა “მოქავშირელი” დეპუტატი ერთსულოვნად ჩაება უფლებამოსილება გაგრძელებული პარლამენტის მუშაობაში და უპრობლემოდ მისცა ხმა დღის წესრიგში დაყენებულ ყველა საკითხს. ახალი ალიანსის შექმნის თაობაზე განაცხადი გააკეთეს ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელმა “მოქავშირელებმა” – ირაკლი გოგავაშ და ზეიად მუქანიანმა, მაგრამ ძირითადად ამით შემოიფარგლა მათი აქტიურობა პოლიტიკურ და საინფორმაციო სივრცეში.

ბლოკის ერთ-ერთი აქტიური სუბიექტის – სოციალისტური პარტიისა და მისი ლიდერის ვახტანგ რჩეულიშვილის ტრანსფორმაცია ამგვარია – რჩეულიშვილმა პარტიის სახელით განცხადებების გაკეთების უფლება, შემდგომ კი – პარტიაც ირაკლი მინდელს გადააბარა; თავად კი პოლიტიკიდან წასვლა და არასამთავრობო სექტორში “გადაბარგება” გადაწყვიტა (არჩევნებამდე დარჩა პარლამენტის ვიცე-სპიკერად). “ალიასთან” ინტერვიუში იგი აცხადებს, რომ სიტუაციისგან გარიდებას ამჯობინებს; ბაქო-ჯეიპანისადმი მიძღვნილი მონოგრაფიის დაწერას ფიქრობს; საპრეზიდენტო არჩევნების ბოიკოტს არ გეგმავს და არც არავის მოუწოდებს ამისკენ.

(“ალია”, 13.12.2003) სოციალისტური პარტიის პოზიციას კი ირაკლი მინდელი გამოხატავს, რომელიც აცხადებს, რომ თუ აჭარის რეგიონი არჩევნებში მონაწილეობაზე უარს განაცხადებს, “სოციალისტები” შეელაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ 4 იანვრის გადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები ჩაიშალოს. (“რეზონანსი”, 05.12.2003)

სახელისუფლო ბლოკის სპიკერის, ირინა სარიშვილი-ჭანტურიას ჩამოშორება ედპ-ს ლიდერობიდან პრესაში ძირითადად შეფასებულია, როგორც იძულებითი ნაბიჯი; იგი პარტიის მთავარმა კომიტეტმა ედპ-ს თავმჯდომარის მოვალეობიდან გადააყენა, თუმც, დარჩა პარტიისა და კომიტეტის წევრად. “დამის მზერის” პირდაპირ ეთერში სარიშვილმა აღნიშნა, რომ ზურაბ ქვანია დიდი ხანია იბრძვის ედპ-ს დასაკუთრებისთვის. (გსკ “მზე”, “დამის მზერა”, 16.12.2003) მედიაში გვხვდება ირინა სარიშვილის განცხადება მის მიერ “მესამე ძალის” ჩამოყალიბების თაობაზე, მაგრამ, პრესის გარაუდით, როგორც ჩანს, მან ვერავინ დაითანხმა, ვერც ბათუმისაგან მიიღო დახმარება და “მარიოტში” გამართულ პრესკონფერენციაზეც მარტო დარჩა.

“აღორძინება”, რომელიც 1999 წლის მოწვევის პარლამენტში “მოქავშირის” შემდეგ ყველაზე მეტ მანდატს ფლობდა და თავს ჭეშმარიტ ოპოზიციად მიიჩნევდა (ცენტრისა და რეგიონის დაპირისპირების ფონზე), ოსტატურად გადავიდა ახალი ხელისუფლების რელსებზე – საარჩევნო უბნების დახურვამდე ორი საათით ადრე უარი თქვა საპრეზიდენტო არჩევნების ბოიკოტზე და არც მომავალი საპარლამენტო არჩევნების გადა და ჩატარების პირობები გაუპროტესტებია; ამდენად, პრესის პუბლიკაციებში “აღორძინება” ოპოზიციის სტატუსით აღარ განიხილება. (საპარლამენტო არჩევნებში გამანადგურებელი დამარცხების შემდეგ კი “აღორძინება” საერთოდ გაქრა საქართველოს პოლიტიკური სცენიდან).

პრესაში გაჩნდა ვარაუდი, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნებისათვის “ახალი მემარჯვენები” და “მრეწველები” (რომლებიც 2 ნოემბრის არჩევნებისათვის გაერთიანებაზე ვერ შეთანხმდნენ) ერთობლივ კოალიციას შექმნიან. “მრეწველები” ვარდების რევოლუციის დროს არ გამოჩენილან, სამაგიეროდ, პარლამენტის პირველივე სხდომაზე გამოცხადდნენ; მოგვიანებით დემარშის პოლიტიკა შეცვალეს “ახალმა მემარჯვენებმაც”.

ერთადერთი მკვეთრი პოზიცია ლეიბორისტებმა გამოხატეს, მათ ბოიკოტი გამოუცხადეს 1999 წლის მოწვევის პარლამენტის შეკრებას და მომავალ არჩევნებს; შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის მოსაძებნად კი აუცილებლად მიიჩნიეს: “2 ნოემბერს არჩეული პარლამენტის დაუყოვნებლივ შეკრება, თავმჯდომარედ არაპოლიტიკური ამბიციების მქონე პიროვნების არჩევა, კონსტიტუციური კონგრესის შექმნა ზვიად გამსახურდიას უზენაეს საბჭოსთან ერთად, ახალი კონსტიტუციისა და საარჩევნო კოდექსის მიღება და ახალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების

დანიშვნა.” (“ხვალინდელი დღე”, 26.11.2003) ლეიბორისტების ლიდერმა, შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, რომ არჩევნების ბედი უკვე გადაწყვეტილია და მუდამ უვანია-სააკაშვილის წინააღმდეგი იქნება. პრესაში ფიგურირებს მოსაზრება, რომ რევოლუციამ ლეიბორისტები ძალიან დააზარალა. 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ ნათელაშვილის მიერ დაკავებულმა პოზიციამ ლეიბორისტებს ელექტორატი აშკარად დააკარგვინა.

ასე რომ, რევოლუციის მომდევნო დღეებში პრესაში გაუდერებული “რევანშისტული საფრთხე”, ისევ პრესაში ასახულ სურათზე დაყრდნობით, მომდევნო დღეებში აღარ ფიგურირებს. გაზეთ “ალიას” დასკვნით, “რეალურად რევანშისტები საკმაოდ სუსტები და დაქსაქსულები არიან”. (“ალია”, 11.12.2003)

რაც შეეხება გამარჯვებული ოპოზიციის წიაღში მომხდარ ცვლილებებს, არ გამართლდა ძირითადი სუბიექტების (“ნაციონალური მოძრაობა”, “ბურჯანაძე-დემოკრატები”) გათიშვის პროგნოზი, მაგრამ 17-18 დეკემბრის მედიაში ოფიციალურად გაცხადდა “ტრადიციონალისტებისა” და ედპ-ს მიერ ახალი პოლიტიკური კოალიციის ჩამოყალიბება. მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად წამოყენების ფაქტისადმი “ტრადიციონალისტთა” ლიდერის, აკაკი ასათიანის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების აფიშირება თავდაპირველად მედიაში გაუდერდა, როგორც ბლოკ “ბურჯანაძე-დემოკრატების” რიგებში ერთგვარი განხეთქილების მაუწყებელი; მაგრამ მალევე დაფიქსირდა ის გარემოებაც, რომ ასათიანმა ეს გადაწყვეტილება ზურაბ უვანიასთან შეთანხმებით მიიღო. ამ ფაქტს “მთავარი გაზეთი” ახალი ხელისუფლების მიერ “ოპოზიციის ძიების” კონტექსტში განიხილავს: “აკაკი ასათიანი, შესაძლოა, მემარჯვენე ძალების გაერთიანებას ჩაუდგეს სათავეში და ახლი კოალიციის ჩამოყალიბებით ახალ ხელისუფლებას სერიოზული ოპოზიცია შეუქმნას. პოლიტიკურ წრეებში იმასაც ამბობენ, რომ ასათიანის ოპოზიციონერობა რევოლუციონერი ლიდერების მიერ შედგენილი პროგრამის ნაწილია და არა ტრადიციონალისტთა თვითშემოქმედება. ამ ვერსიის მიმდევართა აზრით, ხელისუფლებას, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ლეგიტიმური, ბუნებრივად გაძლიერებული ოპოზიციის ეშინია და უპირატესობას მის მიერ შექმნილს ანიჭებს.” (“მთავარი გაზეთი”, 03.12.2003)

სახელმწიფო მინისტრი ზურაბ უვანია მიესალმა კოალიციის შექმნას. მისი შეფასებით, ბოლო დროს საქართველოში განვითარებული მოვლენების შემდეგ მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს ის ძალები, რომლებიც საქართველოს ახალ ხელისუფლებას სერიოზულ ოპონირებას გაუწევს: “საქართველოს ხელისუფლებას ურჩევნია ოპონენტებად ისეთი ადამიანები ჰყავდეს, რომლებთანაც შესაძლებელი იქნება კამათიც და დაგაც, ოღონდ – ძლიერ ქართულ სახელმწიფოზე ორიენტირებულ პრინციპებზე.” (“რეზონანსი”, 18.12.2004)

ხომ არ არის ეს ზურაბ უვანიას მხარდამჭერი გაერთიანება მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ? – ურნალისტ ინგა გრიგოლიას ამ შეკითხვას აკაკი ასათიანმა ასე უპასუხა: ჩვენ ვართ უბმე ახალი ხელისუფლების ოპოზიცია, მე მიმართია, რომ ოპონირება საჭიროა. ჩვენ ვხედავთ, რა შედეგი მიიღო რუსეთმა, ფაქტოურად იქ გაიმარჯვეს: კომუნისტებმა, მოფაშისტო ელემენტებმა, ეწ. ცენტრისტებმა (რომელიც, სინამდვილეში, სახელისუფლო პარტია). მე ვთვლი, რომ ჩვენთან მეტი მზაობაა ევროპული ტიპის პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის; მემარჯვენება საჭიროა მემარცხენე სპექტრის გაწონასწორებისათვის. ჩვენს საზოგადოებაში არის მოთხოვნა ერთიანი პლატფორმის, ერთიანი ხედვის ცენტრისტული ძალის ჩამოყალიბებაზე. (ტ/პ “მზე”, “დამის მზერა”, 15.12.2003)

ახალშექმნილი კოალიცია მემარჯვენე პოლიტიკური ორგანიზაციის სტატუსით წარსდგა ოფიციალურ პრეზენტაციაზე და მთავარ ამოცანად “ქვეყანაში გამეფებული სოციალისტური იდეების” წინააღმდეგ ბრძოლა გამოაცხადა. აკაკი ასათიანი ამაში გულისხმობდა მიხეილ სააკაშვილის “ნაციონალური მოძრაობის” წინასაარჩევნო დაპირებებს გადასახადების გაუქმებისა და ხელფასების გაორმაგების შესახებ. მომდევნო დღეებში მათ “ოპოზიციური სტატუსი” საპრეზიდენტო არჩევნების ბოიკოტით გაიმუარეს; აკაკი ასათიანმა სააკაშვილის პრეზიდენტად არჩევას “ტომის ბელადის არჩევა” უწოდა.

გაზეთი “24 საათი” ერთგვარი ირონიზებით ეხმაურება კოალიციის შექმნის ფაქტს, მას “ხელმოცარული პოლიტიკოსების ალიანსს” უწოდებს, ხოლო აკაკი ასათიანს – “პოლიტიკურ დონ უუანს”. (“24 საათი”, 17.12.2003)

ქართულ პოლიტიკურ სპექტრში სიახლე იყო “ვარდების რევოლუციის” შემდეგ ჩამოყალიბებული პარტია “თავისუფლება”, რომელმაც პარტიის ლიდერის, კონსტანტინე (კოკო) გამსახურდიას პერსონით მიიჰყორო უურადღება. პრესა აღნიშნავდა, რომ პარტიის წევრთა გვარ-სახელები ცნობადობის თვალსაზრისით არაფრისმოქმედია, სამაგიეროდ, ზვიად გამსახურდიას ვაჟის გამოჩენა პოლიტიკურ ასპარეზზე ამომრჩევლებში თავისებურ სენტიმენტალიზმს და “ზეიადისტური” ელექტორატის ხმების მოკრებას გამოიწვევს. პრესაში გახვდება კოკო გამსახურდიას აღქმა, როგორც საქართველოს “სულიერი პრეზიდენტის”, როგორც “სიმბოლოს” და არა როგორც “პოლიტიკური ლიდერის”; როგორც მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნების ერთ-ერთი “მთავარი მოქმედი გმირის”, რომელიც, შესაძლოა, “სოროსელების სერიოზულ კონკურენტად” ჩამოყალიბდეს და ა.შ. პოლიტოლოგების შეფასებით კი, მან ჩამოსვლა დააგვიანა; იგი საერთოდ არ მონაწილეობდა არაფერში, ემიგრაციიდანაც შეიძლებოდა რაღაცის გამოხატვა; მას არა აქვს რაიმე მკაფიო მესიჯი; “24 საათის”

პრესომბუდსმენი, ნოდარ ლადარია სარკასტულად შენიშნავდა, რომ გამსახურდიას არც სახელი აქვს საკუთარი, არც გვარი და არც გარეგნობაო.

თავად გამსახურდია ამოცანად ისახავდა ხელისუფლების კონსტრუქციული ოპოზიციის როლის შესრულებას, პარტიის პრიორიტეტად კი თვლიდა მართლმადიდებლური სარწმუნოების დაკანონებას, საარჩევნო პლატფორმად – საკანონმდებლო ვაკუუმის ამოვსებას, ცენტრსა და რეგიონს შორის კომპეტენციების გამიჯვნას.

ნიშანდობლივია, რომ არჩევნების წინა დღით პრეზიდენტ სააკაშვილის “ექსტრემალური ჩასვლა სამეგრელოს რეგიონში” პრესაში დაკავშირებულია სწორედ კოკო გამსახურდიას ფაქტორთან, რომელმაც “სერიოზული კონკურენცია გაუწია მმართველებს და ეს არ შეიძლებოდა კანცელარიის ყურადღების ცენტრში არ აღმოჩენილიყო.” (“ალია”, 30.03.2004) არჩევნებში “თავისუფლების” მიერ მიღწეული შედეგი პრესაში ერთდროულად ფასდება, როგორც წარმატებული ახალშექმნილი პარტიისათვის და როგორც წარუმატებელი. პრესისთვის მიცემულ ინტერვიუებში კოკო გამსახურდია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მისი პარტია არ ჩამოყალიბებულა მხოლოდ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის; მაგრამ ფაქტია, რომ მან მაშინვე, როგორც კი წინასწარი შედეგებით სათუო გახდა “თავისუფლების” მიერ საარჩევნო ბარიერის გადალახვა, თითქმის უკომენტაროდ დატოვა საქართველო და ისევ შვეიცარიაში გაემგზავრა, მამის – ზვიად გამსახურდიას საიუბილეო საღამოს წინადღით.

ფაქტობრივად უალტერნატივო საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ, პრესაში გაჩნდა აქცენტი მომავალი პარლამენტის ერთპარტიულობის საშიშროებაზე. ამ ფაქტორზე უცხოელი ექსპერტები და უცხოური მედიაც ამახვილებდნენ ყურადღებას. რადიო “ბი-ბი-სი“-ს კომენტარით, “ნოემბრის რევოლუციის შედეგად ოპოზიცია პრაქტიკულად გაქრა... არსებობს სერიოზული საშიშროება, რომ მომავალი პარლამენტი ერთპარტიული იქნება... მოვლენების ამგვარი განვითარება სერიოზულ საშიშროებას ქმნის. 85%-ით არჩეული პრეზიდენტი არც ისე სასიამოვნოა, მაგრამ მაინც მოსათმენია. აი, პარლამენტი, რომელშიც ყველაფერს ერთი ძალა წყვეტს – ეს უბრალოდ ძალზე საშიშია!” (რადიო “ბი-ბი-სი“, “ხვალინდელი დღე”, 09.01.2004) ევროსაბჭოს მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი მათიას იორში აცხადებს, რომ “ძლიერ ხელისუფლებას ოპოზიციაც ძლიერი უნდა ჰყავდეს.” (“დილის გაზეთი”, 07.01.2004) პრესაში, გვხვდება ინფორმაცია, რომ აშშ დაინტერესებულია საქართველოში ოპოზიციის არსებობით და ამისათვის ორ მილიონამდე თანხას გამოყოფს.

საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე პრესის პუბლიკაციებში იკვეთება “რევოლუციური სამეულის” ინტერესთა დაპირისპირება; ჟურნალისტური მსჯელობა იმის თაობაზე, რომ – “ნინო ბურჯანაძეს აგდებენ”, რომ უვანიასა და

სააკაშვილს არ სურთ ბურჯანაძის გაძლიერება და, მოსალოდნელია, იგი პარლამენტის თავმჯდომარედაც აღარ აირჩიონ – შესაძლოა, გაზვიადებად და პროვოკაციულ აქცენტად მიგვეჩნია, რომ არა თავად ნინო ბურჯანაძის მიერ ჩატარებული პრესკონფერენციის ამსახველი პუბლიკაციები. პრესის კომენტარებით, ბურჯანაძე პირველია, ვინც “ლიდერთა შორის დადებული შეთანხმების დარღვევისა” და “კულუარული შანტაჟის” თაობაზე ალაპარაკდა: იგი აცხადებს, რომ დიდი პასუხისმგებლობა აქვს ხალხის წინაშე, არ უნდა ქვეყნის ინტერესი პიროვნულ ინტერესებს გადააყოლოს და ამის გამო ბევრჯერ წავიდა დათმობებზე – დათმო საკონსტიტუციო ცვლილებების დროს, დათმო სიების დროს; მაგრამ, მისი მოთმინება აავსო იმ ფაქტა, რომ “ბურჯანაძე-დემოკრატებისთვის” განკუთვნილი 40%-ი ისე დაკომპლექტდა, რომ მასში აღმოჩნდა უვანიას 26 კანდიდატი, ბურჯანაძემ კი 14 ადამიანის “გაყვანა” ძლივს შეძლო. საერთოდაც, ბურჯანაძის თქმით, შეთანხმებისამებრ, პარლამენტში მისი აზრი უნდა ყოფილიყო დომინანტური, ზურაბ უვანიას აღმასრულებელ ხელისუფლებაზე უნდა გაეკეთებინა უფრო მეტი ფოკუსირება, მან ხომ, ფაქტობრივად მართლაც დაკომპლექტა მთავრობის ძირითადი ნაწილი. განაწყენების მიუხედავად, ბურჯანაძე ხელახლა გაოპოზიციონერობაზე არ ლაპარაკობს, სამაგიეროდ, ამ თემას აქტიურად ავითარებენ ჟურნალისტები.

სიების საბაბით მკვეთრად დაპირისპირებულ უვანია-ბერძენიშვილს კომპრომისზე წასვლა მოუხდათ. როგორც პრესა აღნიშნავს, მათი განხეთქილების მიზეზი აჭარაზე გადამწყვეტი ზეგავლენის მოპოვება და ამ რეგიონში ხელისუფლების სადავეების ხელში ჩაგდება. დავით ბერძენიშვილს, შესაძლოა, არც მოეხადა ბოდიში ზურაბ უვანიასთვის, მაგრამ სხვანაირად მას შეეძლო კობა დავითაშვილის ბედი გაეზიარებინა.

ახლა პოლიტიკაში ახალი წესრიგი მყარდება – ან მიიღებ ამ წესებს, ან ბანკროტი ხდები. ჯერჯერობით, სააკაშვილსა და უვანიას ერთმანეთი ძალიან სჭირდებათ, ამიტომაც ამ დიდ პოლიტიკურ ინტერესს ნებისმიერი შეიძლება შეეწიროს, – ასე ლაგდება, საბოლოო ჯამში, პრესის აქცენტები.

მარტში, როგორც პრესა აღნიშნავს, დასრულდა ნებაყოფლობითი სამთვიანი მორატორიუმი ახალი ხელისუფლების კრიტიკაზე (რომელიც ტელევიზიაში უფრო საგრძნობი იყო, ვიდრე გაზეთებში); პრესაში ფიქსირდება საკმაოდ მწვავე მოსაზრებები, იმის თაობაზე, რომ, ფაქტობრივად, პარტია და ბელადი ერთი და იგივე, წინასაარჩევნოდ დარიგებულ გაზეთსაც კი “სააკაშვილი” ჰქვია. (“ალია”, 23.03.2004); სააკაშვილის პოლიტიკის ნაკლად მიიჩნევა, რომ ნოემბრის არჩევნებისაგან განსხვავებით, მარტში მთელი საარჩევნო კამპანია მხოლოდ მის გარშემო დატრიალდა. (“ახალი ვერსია”, 29.03.2004); რომ “ნაციონალური მოძრაობის” ხელისუფლებაში მოსავლელად ნახევარი საქართველო იბრძოდა... და დღეს ამ პრინციპით მოქმედებენ – არცერთი არანაციონალი ჩვენს გვერდით!” (“რეზონანსი”, 22.03.2004) და ა.შ.

რაც შეეხება საპარლამენტო არჩევნების შეფასებას პრესაში, მოვიშველიებთ ერთგვარ მინი-დაიჯესტს:

- ევროპელმა დამკვირებლებმა არჩევნები ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებულად შეაფასეს; ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელმა მათიას იორშმა მას ქართული პარადოქსი უწოდა, რადგან არჩევნები, ერთის მხრივ, იმედისმომცემია, შედეგი (ერთპარტიული პარლამენტი) კი – დამაფიქრებელი. (“დილის გაზეთი”, 30.03.2004)
- “დიდი წმენდა ქართულ პოლიტიკურ ლანდშაფტზე – მისი საბოლოო გათავისუფლება წარსულის აჩრდილებისა და ნარჩენებისაგან”. (“24 საათი”, 29.03.2004)
- “ოპოზიცია მოსახლეობის ვენდეტას შეეწირა”; 28 მარტი – ახალი ათვლის წერტილი ქართულ პოლიტიკაში, მოდის ახალი პოლიტიკური სპექტრი. (“მთავარი გაზეთი”, 30.03.2004)
- ოპოზიცია წაგებულია იმით, რომ ლიდერს გერ ირჩევს; სანამ ლიდერი არ ეყოლება, იგი გერ გახდება ხელისუფლების თავის ტკივილი; სადაც სააკაშვილი-უვანიას გუნდია – ოპოზიციაში თუ ხელისუფლებაში, ის მხარეა ძლიერი. (“ალია”, 30.03.2004)
- კობა დავითაშვილი, პარლამენტარი: დემოკრატიულმა რევოლუციამ მოიტანა ეს ანტიდემოკრატიული სიტუაცია და ჩვენ მივიღეთ რადაც საშუალო რუსეთსა და თურქენეთს შორის. (“რეზონანსი”, 30.03.2004)
- ლელა იაკობიშვილი, კულტუროლოგი: ჩემთვის გატასტროფაა, როცა 95 პროცენტი მოსახლეობისა ერთნაირად ფიქრობს... ეიფორიამ, რომ მაღალი პროცენტებით არის არჩეული, დაღუპა “მოქალაქეთა კავშირიც” და ზვიადისტებიც. (“დილის გაზეთი”, 29.03.2004)

არსებული პროგნოზების საპირისპიროდ, სახელისუფლებო სამეულმა შესძლო თანხმობის შენარჩუნება. თუმც, პრესაში გხვდებით მოსაზრებებს, რომ ისევე როგორც საპარლამენტო სიების შემთხვევაში, ამჯერად, შესაძლოა, მათ შორის უთანხმოების საბაბად იქცეს საპარლამენტო კომიტეტების გადანაწილების საკითხი; მით უფრო, რომ არსებობს ე.წ. პრესტიული და არაპრესტიული კომიტეტები. ბოლო წლებში პრესტიული კომიტეტების უმრავლესობას უვანიას გუნდი აკონტროლებდა.

• არჩევნები პოსტრევოლუციურ აჭარაში

“გარდების რევოლუციის” შემდგომი პერიოდის პრესაში ინტენსიურად ვითარდებოდა მოსაზრება, რომ აჭარაში გავლენის მოპოვებისთვის კონკურენცია “განხეთქილების ვაშლად” იქცეოდა “ნაციონალურ მოძრაობასა” და “რესპუბლიკელებს” შორის და, შესაბამისად, გახდებოდა სახელისუფლებო უმრავლესობის რდვევის დაწყების საბაბი. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებში მონაწილე პარტიები თითქმის შეგუებული იყვნენ დამარცხებას და საარჩევნო კამპანიასაც არ აწარმოებდნენ, “რესპუბლიკური პარტიის” ლიდერი დავით ბერძენიშვილი ამტკიცებდა, რომ ლირსეულ კონკურენციას გაუწევდა “ნაციონალებს”. წინასაარჩევნო პერიოდში “რესპუბლიკელები” აქტიურად ცდილობდნენ ხაზგასმას, რომ ისინი წარმოადგენენ ერთადერთ პარტიას, რომელიც წლების მანძილზე თანმიმდევრულად ებრძოდა აჭარაში “აღორძინებასა” და ასლან აბაშიძეს. “მათ ლირსეულად ატარეს რეჟიმისაგან თავისუფალი აჭარის იდეა”, – წერდა გაზეთი “ახალი 7 დღე”. (“ახალი 7 დღე”, 18.06.2004)

პრესაში ფიგურირებს მოსაზრება, რომ აჭარის ამომრჩეველმა არ იცის რას ირჩევს, რადგან საქართველოს პარლამენტმა არჩევნებამდე ვერ მოასწრო აჭარის სტატუსთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ცვლილების პროექტის მიღება. ყველაზე რადიკალური შეფასებით, არჩევნები უკანონოა, რადგან ირჩევენ ორგანოს, რომლის უფლებამოსილება ჯერ დადგენილი არ არის. პარალელურად, ვხვდებით ამგვარ მოსაზრებასაც – მთავარია, რომ აჭარაში საკანონმდებლო ორგანოს ირჩევენ და არ ნიშნავენ.

პარლამენტში აჭარის სტატუსისა და არჩევნების თაობაზე სერიოზულ უცმაყოფილებას ძირითადად ფრაქცია “მემარჯვენე ოპოზიცია” აფიქსირებდა (თუ არ ჩავთვლით პერსონალურად კობა დავითაშვილისა და ზვიად ძიძიგურის ოპოზიციურ აქტიურობას). დავით გამყრელიძე აცხადებდა, რომ 20 ივნისის არჩევნებით პრაქტიკულად გაფორმდა ხელისუფლების სურვილი და ლეგიტიმურობა გადაეცა სახელმწიფო საბჭოს (ლევან ვარშალომიძის ხელმძღვანელობით), რომელიც არჩევნებამდე რეგიონში დროებით ფუნქციას ასრულებდა.

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე პოლიტიკურ შეცდომას უწოდებს აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში “რესპუბლიკელების” დამოუკიდებლად მონაწილეობას, რადგან აჭარაში დემოკრატიის დასამყარებლად “ნაციონალები” და “რესპუბლიკელები” ერთად იბრძოდნენ და ეს ერთობა უნდა შენარჩუნებულიყო. საპარლამენტო უმრავლესობიდან “რესპუბლიკელების” წინააღმდეგ ყველაზე მკვეთრად ნოდარ გრიგალაშვილმა გაილაშქრა: “პოლიტიკური ამბიციების გამო ბერძენიშვილმა და მისმა თანამოაზრებმა აჭარაში მეორე პოლიტიკური ცენტრის შექმნა სცადეს...

სახელმწიფო რამდენიმე ცენტრის შექმნა არის ბოროტება, რომელიც ქვეყანას ცუდად შემოუბრუნდება.” (“მთავარი გაზეთი”, 22.06.2004)

აჭარის არჩევნების შედეგი გახდა მიზეზი იმისა, რომ “რესპუბლიკელთა” 6-კაციანი შემადგენლობიდან ოთხმა დატოვა საპარლამენტო უმრავლესობის რიგები (ლევან ბერძენიშვილმა – კომიტეტის თავმჯდომარის პოსტიც). “რესპუბლიკელებს” თავის ჭკუზე ვერავინ გვატარებს, დემოკრატიული სიგრცის შეზღუდვას ყოველთვის შეგეწინააღმდეგებით; მინდა ვიქონიო იმედი, რომ რაც აჭარაში მოხდა მხოლოდ და მხოლოდ დაბალი რანგის ახალი ნომენკლატურის ინიციატივა იყო, – ადნიშნავდა არჩევნების შედეგის კომენტირებისას “რესპუბლიკელი” ივლიანე ხაინდრავა. (“კვირის პალიტრა”, 28.06.2004)

არჩევნების შედეგების შეფასებისას პრესაში ვხვდებით მოსაზრებას, რომ ეს იყო პირველი დემოკრატიული არჩევნები აჭარაში (“მთავარ გაზეთს” ეს შეფასება საპირველგვერდო ანშლაგში აქვს მოცემული: “პირველი დემოკრატიული არჩევნები აბაშიძის შემდეგ”); ამასთან, პუბლიკაციების სათაურებშივე იკვეთება კრიტიკული პათოსი: “აჭარული არჩევნები ცემა-ტყეპისა და ნაციონალურისა და რესპუბლიკელების დაპირისპირების ფონზე”, “რით ჰგავს ნაციონალური მოძრაობა მოქალაქეთა კავშირს?” (“რეზონანსი”, 21.06.2004); “აჭარა: არჩევნები ცემა-ტყეპის თანხლებით” (“ახალი თაობა”, 21.06.2004); “არჩევნების შედეგები პოლიტიკურ დაძაბულობას გაზრდის” (“დილის გაზეთი”, 21.06.2004); “მირს ასლანი, მაღლა მიშა!” (“ახალი ვერსია”, 21.06.2004); “ნაციონალებმა გადაამლაშეს” (“ხვალინდელი დღე”, 22.06.2004).

პრესაში ფიგურირებს პირადად მიხეილ სააკაშვილის ფაქტორი არჩევნებში “ნაციონალური მოძრაობის” თითქმის ერთპიროვნულ გამარჯვებაში (თუ არ ჩავთვლით “რესპუბლიკელის” მიერ მოპოვებულ ორ ადგილს); ერთის მხრივ, მხედველობაში გვაქვს ამ ტიპის შეფასებები:

“აჭარის მოსახლეობის მთავარი ორიენტირი, პარტიულ სიაში შეევანილ თუ მაჟორიტარ კანდიდატებზე მეტად, საქართველოს პრეზიდენტი იყო, რომლის მიმართ სიყვარული აჭარაში განსაკუთრებით იგრძნობა.” (“24 საათი”, 21.06.2004); “აჭარამ პრეზიდენტის ხათრით მისცა ხმა” (“მთავარი გაზეთი”, 01.07.2004) პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე: “დღეს მიხეილ სააკაშვილი იმდენად პოპულარულია, რომ მის წინააღმდეგ წასვლა ხარაკირს ნიშნავს. ვისაც არ უნდა გაემარჯვა, სააკაშვილის კურსის გამტარებელი იქნებოდა, რადგან მოსახლეობა დღეს სასიკეთოდ მხოლოდ ამ გზას მიიჩნევს.” (“საქართველოს რესპუბლიკა”, 23.06.2004)

მეორე მხრივ, პრესაში ყურადღება მახვილდება წინასაარჩევნო კამპანიაში პრეზიდენტის პირად აქტიურობაზე, ზოგადად იმ ფაქტზე, რომ ხელისუფლების მაღალჩინოსნები არჩევნებში მონაწილეობდნენ როგორც მხარეები. ”რეზონანსის” პოლიტიკური მიმომხილველი მიანიშნებს საფრთხეზე, რომ “ნაციონალური მოძრაობა”,

შესაძლოა, მალე “მოქალაქეთა კავშირს” დაემსგავსოს; რომ ზეიად გამსახურდია თავის დროზე ისეთივე მედროვეებმა დაღუპეს, როგორებიც ამჟამადაც მრავლად არიან მმართველ პარტიაში. (“რეზონანსი”, 21.06.2004)

“აბაშიძის დიქტატურის გადმონაშთებთან ბრძოლაში აჭარის ახალმა ხელისუფლებამ უნებლიერ თავად შეიძინა ახალი კოლექტიური დიქტატორის სახე. აჭარის მოსახლეობა რა შიშითა და მოწიწებითაც საუბრობდა აბაშიძის ხელისუფლებაზე, იმავე მოწიწებით და მორიდებით საუბრობს ახალ ხელისუფლებაზე. როგორც ვერ ბედავდნენ გაეპროტესტებინათ ძველი ხელისუფლების უკანონობები, ასევე, თვალს ხუჭავენ ახალ უკანონობებზე, რის გამოც, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ შეცვლილა.” (ახალი თაობა, 21.06.2004)

“ერთადერთი ადამიანი, რომელიც აჭარული მმართველებიდან საზოგადოებაში სიმპატიებს იწვევს, ლევან გარშალომიძეა – ნაკლები საუბრითა და მეტი საქმის კეთებით გამორჩეული ადამიანი.” (“რეზონანსი”, 21.06.2004)

პარლამენტარ კობა დავითაშვილს, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში ხელმოწერებს აგროვებდა აჭარის აგტონომიის გაუქმების თაობაზე პლებისციტის ჩატარებისთვის, აჭარის თვითმმართველობამ პრობლემები შეუქმნა. პარლამენტის მიერ მიღებულ საკონსტიტუციო ცვლილებას აჭარის სტატუსთან დაკავშირებით, დავითაშვილმა “იურიდიული კრეტინიზმი” უწოდა და განაცხადა, რომ კვლავ გააგრძელებს ხელმოწერების შეგროვებას აჭარის აგტონომიის გაუქმების თობაზე. (“ახალი თაობა”, 30.06.2004)

აჭარული არჩევნების ერთგვარი რეზიუმე შეიძლება ისევ პრესის შეფასებით ჩამოვაყალიბოთ: აჭარაში მოსახლეობამ პრეზიდენტს დაუჭირა მხარი და სანაცვლოდ ხელისუფლებისაგან მხოლოდ იმას ითხოვს, რომ ახალი ასლან აბაშიძე და “აღორძინება” არ მიიღოს. (“მთავარი გაზეთი”, 01.07.2004)

თავი V

“ვარდების რევოლუცია” და პოსტრევოლუციური პერიოდი

ამ თავის სახელწოდება ერთგვარად პირობითია, რამდენადაც ცნება “ვარდების რევოლუცია” არ გამოხატავს მხოლოდ 2003 წლის 23 ნოემბერს მომხდარ მოვლენას. მას შლეიფივით მოსდევს შემდგომი პროცესები, რომელთა ათვლის წერტილად სწორედ “ვარდების რევოლუცია” ითვლება და რომლებიც, პირდაპირ თუ ირიბად, ამ ცნებაში ერთიანდება.

“2003 წლის ნოემბერში საქართველოს ხელისუფლება შეიცვალა მშვიდობიანი, მაგრამ არაკონსტიტუციური გზით... ხელისუფლების შეცვლის ეს ეპიზოდი “ვარდების რევოლუციის” სახელით შევიდა ისტორიაში, საქართველოს მოსახლეობისა და საერთაშორისო თანამეგობრობის უდიდესმა ნაწილმა “ვარდების რევოლუცია” ჩათვალა მნიშვნელოვან ნიშანსვეტად, რომელიც საქართველოს დემოკრატიული დირებულებებისაკენ შებრუნებას მოასწავებდა”, – ასე შეაფასა “ვარდების რევოლუცია” მესამე სექტორის ცნობილმა წარმომადგენელმა, პოლიტოლოგმა გია ნოდიამ საანგარიშო ნაშრომში “სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები”. (56, 17)

“ვარდების რევოლუცია”, როგორც მის შემდგომ განვლილმა პერიოდმა აჩვენა, მაშინდელი თუ შემდგომი შეფასებების ურთიერთგამომრიცხაობის მიუხედავად, იყო კარგად დამუშავებული ტექნოლოგიური სქემის მიხედვით განვითარებული პროცესი, რომელშიც მოხდა ერთდროულად რამდენიმე არსებითი ფაქტორის ფოკუსირება – პოსტსაბჭოთა მმართველობის შეცვლა, პერსონალურად შევარდნაძის მიმართ დაგროვილი ნებატიური ენერგიის განმუხტვა, დასავლურ ინტერესზე ორიენტირებული არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ საზოგადოების ჩამოყალიბების მცდელობა და, რაც მთავარია, პოსტსაბჭოთა სივრცეში, დემოკრატიული განვითარების კალაპოტში ქვეყნის და საზოგადოების მშვიდობიანი გადასვლის მოდელის რეალობად ქცევა; რეგიონში საქართველოს სახით დასავლური ფორპოსტის დაფუძნება.

მართალია, “ვარდების რევოლუცია” ქართველი ხალხის არნახული მობილიზებით, შევარდნაძის ხელისუფლების შეცვლის გარდაუვალი სურვილითა და კორუფციის აღმოფხვრის ამაღლებული სულისკვეთებით წარიმართა; მაგრამ თანდათან, იგივე პრესის მეშვეობით, მკაფიოდ გამოიკვეთა სურათი, რომ ეს იყო თანამედროვე მსოფლიოს გლობალური პროცესების კანონზომიერი განვითარების შესაბამისად დასახული მოდელი, რომლის განსახორციელებლად საქართველოს შერჩევა შემთხვევითი არ ყოფილა.

“21-ე საუკუნეს თავისი მოთხოვნები აქვს და თავისი ტემპი. მასდემოკრატიის პროცესმა – დემოკრატიის მასობრივი გარიანტის ექსპორტის და მისი გლობალური დამკვიდრების პროცესმა – მთელი პლანეტა უნდა მოიაროს, რათა პარმონიზდეს თავისუფალი და არათავისუფალი სამყარო და საყოველთაო უსაფრთხოება დასადგურდეს”, – წერს აპოლონ სილაგაძე გაზეთ “24 საათში” გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში, რომელშიც უაღრესად საინტერესოდ და კომპაქტურადაა ჩამოყალიბებული არა მხოლოდ ამ პროცესისა და “სამოდელო ქვეყნად” საქართველოს არჩევის კანონზომიერება, არამედ ის კრიტერიუმები, რითაც “სასტარტო ქვეყანა” განისაზღვრა; გაანალიზებულია მოგებისა და წაგების ბალანსი, რევოლუციის შემდგომ ეტაპზე წარმოქმნილი წინააღმდეგობა ქვეყნის საგარეო და საშინაო პრიორიტეტებს, გლობალურ და ლოკალურ ამოცანებს შორის; რევოლუციის გადარჩენის, რევოლუციის წარმატებისა და მისი შემდგომი პერიოდის აღმშენებლობის (და არა ნგრევის) უნისონში მოსვლის აუცილებლობა:

“ჩვენ აღმოვჩნდით პროცესების ავანგარდში... რევოლუცია რომ არ ყოფილიყო, ჩვენ არა უბრალოდ პასიური, არამედ უროლო მონაწილე ვიქნებოდით განვითარების გლობალური პროცესებისა... ჩვენ არ გვექნებოდა ის საერთაშორისო ავტორიტეტი, რომელიც ბევრად აღემატება იმ შესაძლებლობებს, რასაც ჩვენი ფართობი და მოსახლეობის რაოდენობა განსაზღვრავს. ჩვენ არ გვექნებოდა საერთაშორისო ფუნქცია, რომლის ქონის შანსი მცირე ერებს აღვილად არ ეძლევათ.” (65)

სწორედ ამ როლმა განაპირობა “არშემდგარიდან” “სანიმუშომდე” საქართველოს სახელმწიფოს იმიჯის ტრანსფორმირება და პოზიციონირება ქვეყნის გარეთ (უპირველესად და წარმატებულად) და საკუთრივ საქართველოში (ნაკლები წარმატებით).

“ვარდების რევოლუციასთან” მიმართებაში, არა მხოლოდ იმდროინდელ მედიაში, არამედ, მოგვიანებით გამოქვეყნებულ პუბლიკაციებსა თუ ნაშრომებში, იკვეთება საერთო თვალსაზრისი, რომ ყველა შესაძლო მიზეზ-შედეგის მიუხედავად, მთავარი ფაქტორი იყო ცვლილებების რწმენა და მოლოდინი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილის მიერ 2003 წლის შემოდგომაზე განვითარებული პროცესების გააზრება “ქართული პოლიტიკის თეატრალურ დიალექტიკაში”: “წმინდა კულტუროლოგიური აზრით მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ და რა მიზნით დადგა მარადი განახლების პოლიტიკური სპექტაკლი, ან, საერთოდ, დადგა თუ არა. ზუსტად ასევე, მნიშვნელობა არა აქვს, ამ რევოლუციურ კარნავალს რაიმე რეალური შედეგი მოჰყვა თუ არა. მთავარი ის არის, რომ ჩვენს ადამიანებში, მიუხედავად განვლილი ათწლეულების განმავლობაში გადატანილი ტრაგედიებისა, იმედგაცრუებებისა, ტერიტორიულიების დაკარგვისა, მიუხედავად პოლიტიკოსების სრულიად უკეთური მცდელობებისა, თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინათ მათი გულუბრყვილო და მით

უფრო ძლიერი რწმენა, რომ ამქვეყნად რაიმე მაინც შეიძლება საიკეთოდ შეიცვალოს, ადამიანებს არ დაუკარგავთ ის ინფანტილური იდეალიზმი, რომლის გარეშეც შეუძლებელია ამქვეყნად არსებობა.” (71, 186-187)

ზაზა ფირალიშვილის აზრით, “განახლების ამ ფარული მოლოდინის სიმბოლიზება” იკისრა “მესამე პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა”, უბრალო ადამიანებმა კი მას ისევე გამოუცხადეს ნდობა, როგორც თავის დროზე წინა ორს – ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურ ისტებლიშმენტებს უცხადებდნენ. (71, 186-187)

დისერტაციის წინა თავებში მოცემული 2000-2003 წლების პერიოდის მედიასურათი გვიჩვენებს, როგორ ემზადებოდა პოსტშევარდნაძისტული პერიოდისთვის ახალი პოლიტიკური თაობა, როგორ მოამზადეს ნიადაგი შევარდნაძის ეპოქიდან პოსტეპოქაში “ხავერდოვანი” გადასცლისთვის არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მედიამ; ზემოთ ყურადღება შევაჩერეთ იმაზეც, რა ფაქტორებმა განაპირობა საქართველოს ადეპვატურობა ახალი მსოფლიო წესრიგის დრამატურგიაში თუნდაც ერთი მოკრძალებული როლის შესასრულებლად.

ამასთან, თუ პოსტსაბჭოთა პერიოდიდან (განსაკუთრებით კი 90-იანი წლების შუასანებიდან) დღემდე საქართველოს მიერ რთული კატაკლიზმებით გამოვლილ გზას და მედიაში მის ასახვას გონიერის თვალით ერთ ფოკუსში მოვაქცევთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ “ვარდების რევოლუციის” მოსამზადებელი სამუშაო ჩვენი ქვეყნის ყოფიერებისა და ცნობიერების თითქმის ყველა განშტოებას მოიცავდა. (შესაძლოა, ერთ-ერთი უცხოური ორგანიზაციის მიერ გრანტის გამოყოფა “ხმით ნატირლების” შესასწავლად, პირდაპირ თუ ირიბად ამავე მიზანს – ჩვენი ეთნოფსიქიკის ნიუანსებში წვდომასაც ემსახურებოდა).

თუ უფრო შორს წავალთ, აღმოჩნდება, რომ თუნდაც საინფორმაციო ომი (და არა მხოლოდ!), რომელსაც რუსული მედია ახორციელებდა (რეზონანსულად – ქართულიც!) საქართველოში დესტაბილიზაციური პროცესების ინიცირებისთვის, საქართველოს, როგორც “არშემდგარი ქვეყნის” იმიჯის შექმნისა და დამკვიდრებისთვის, საბოლოო ჯამში, სათანადო ფონს უქმნიდა საზოგადოების განწყობის მიმართვას რადიკალური ცვლილებისთვის მოტივაციის შესაქმნელად. ეს ფაქტორი რომ ერთ-ერთი განმსაზღვრელი იყო “ვარდების რევოლუციის” განხორციელებისთვის, ამის ფაქტობრივი მასალა, შეძლებისდაგვარად, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომშიც არის მოცემული.

“ვარდების რევოლუცია” რომ სტრატეგიული ტექნოლოგიების თანამედროვე სტანდარტებით განხორციელებული პროცესი იყო, ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი საავტორო მოსაზრება არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე თუნდაც პრესაში არაერთი პუბლიკაცია გამოქვეყნდა და არაერთი ნაშრომის ყურადღების ცენტრში მოექცა,

კვიქრობთ, ამ პროცესის შესწავლა და გაანალიზება შესაბამისი დარგების სპეციალისტთა ფუნდამენტურ კვლევას იმსახურებს.

ტელემედისა და, საერთოდ, მასობრივი კომუნიკაციის მქვლევარი ელდარ იბერი, ნაშრომში “ტელევიზია და ხელისუფლება (“ვარდების რევოლუციის” გაკვეთილები), “ვარდების რევოლუციის” “მედიარეჟისურის” თეორიული ასპექტების ფონზე, რესტროსპექტიულად აღადგენს ამ პროცესის განვითარებას “ვირტუალურ რეალობაში”. შესაბამისად, მისი დასკვნები საყურადღებოა არა მხოლოდ ტელევიზიის როლის კვლევის თვალსაზრისით. ე.იბერის შეფასებით, “თავისი გეოპოლიტიკური მდგრმარეობის გამო ქვეყანა მსოფლიოს ზესახელმწიფოების ფარული დაპირიპირების (თუ მორიგების) ობიექტად იქცა, რაც უდიდეს გავლენას ახდენს აქ მიმდინარე ყველა სოციალურ-პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მოვლენაზე. პოლიტიკური პროცესები ძირითადად ფინანსდება და იმართება გარედან. გარედან შემოდის მასობრივი ცნობიერებით მანიპულირების უახლესი პოლიტიკური ტექნოლოგიები და წარმატებით ხორციელდება ქართულ რეალობაში.” (28, 38)

ზემოთმოხმობილ ა.სილაგაძის სტატიაში “ვარდების რევოლუცია” განხილულია, როგორც “განვითარების გლობალური პროცესებში” საქართველოს ჩართვის საუკეთესო საშუალება; ე.იბერი პოლიტიკური პროცესების “გარედან მართვაზე” აკეთებს აქცენტს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ჯაბა დევდარიანის ნარკვევი “საერთაშორისო დახმარების გავლენა საქართველოზე” (რომელიც შესრულებულია საქართველოში დემოკრატიული მშენებლობის ძირითადი ტენდენციების შემაჯამებელი საექსპერტო პროექტის ფარგლებში და ასახავს არა მხოლოდ ავტორის, არამედ, ექსპერტებისა და პრაქტიკოსების შეჯერებულ თვალსაზრისს). “განვითარებისა და დემოკრატიის დახმარების თანამედროვე კრიტიკა ორ ძირითად არგუმენტს ეყრდნობა. პირველის მიხედვით, განვითარების დახმარება კოლონიური აზროვნების გაგრძელებაა; მისი მიზანი – “დასავლური დემოკრატიის” მაგალითის “განუვითარებელ” სამყაროში გადატანა, რაც კათოლიკურ-პროტესტანტული დირებულებებისა და პროცესების ბრძად გადმოღებას ემყარება. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, რადგან განვითარებისა (და დემოკრატიის) დახმარება კოლონიალური აზროვნების გადმონაშოთია, ის ემსახურება ნაციონალური ულიტის დათრგუნვას დასავლური დომინიონების მიერ. ეს არგუმენტი, რომელიც ძალიან წააგავს დამოკიდებულების თეორიას, დღეისათვის ანტიგლობალისტური ლოგიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. დახმარების ზედმეტი “პროდასავლურობის” შესახებ საქართველოს რადიკალურ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებშიც ხშირად საუბრობენ.” (18, 31-32)

დახმარების კრიტიკის მეორე ფორმა, – აღნიშნავს ჯ.დევდარიანი, – სწორედ დახმარების პროგრამების განხორციელების გამოცდილების მქონე პროფესიონალებისაგან მოდის. მათი აზრით, “დონორებს უყვართ ამა თუ იმ ქვეყანაში

არსებული რეალობის ხელოვნურად მოქცევა მათთვის მისაღებ ჩარჩოებში და არ ძალუბთ ან არ სურთ ქვეყნის შიდა პოლიტიკაზე თავიანთი პროგრამების გავლენის პრიტიკული შეფასება.” (18, 32)

მართალია, პროექტი “დემოკრატიის განვითარება საქართველოში” მოიცავს 2003 წლამდე პერიოდს, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, “ვარდების რევოლუცია” არ ყოფილა სპონსორური აქტი და განვითარებისა და დემოკრატიის დახმარების სარისხმა საქართველოში არსებითად განსაზღვრა მისი შედეგები. ამასთან, ჯაბა დევდარიანის ნარკვევში მოცემული შეფასებები და დასკვნები ერთგვარი გასაღებია იმ ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისებისა (და რეალური შედეგებისაც), რომლებიც “ვარდების რევოლუციის” გარშემო ვითარდებოდა და დღემდე ვითარდება.

დასავლური დომინიონების მიერ ნაციონალური ელიტის დათრგუნვა, ანუ “კოლონიალური აზროვნების გადმონაშთი”, რაზეც ჯ.დევდარიანი ამახვილებს ყურადღებას, შესაძლოა, იყოს გამოძახილი ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის სემუელ ჰანთინგთონის თვალთახედვისა (მისი 1996 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი “ცივილიზაციათა შეჯახება” განსაკუთრებით აქტუალური გახდა 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ). ჰანთინგთონი მიიჩნევს, რომ: დასავლეთი უნიკალურია და არა უნივერსალური; უნივერსალიზმის ლოგიკური შედეგია იმპერიალიზმი; დადგა დრო, დასავლეთი გათავისუფლდეს უნივერსალიზმის ილუზიისაგან; რწმენა დასავლური უნიკალურობის შესახებ არა მხოლოდ მცდარი და ამორალურია, არამედ საშიშიც; მოდერნიზაცია და განვითარება არც მოითხოვს და არც უნდა განაპირობებდეს ვესტერნიზაციას (პირიქით, იგი უნდა იწვევდეს ადგილობრივ კულტურათა აღორძინებას); დასავლეთის ლიდერების უმთავრესი პასუხისმგებლობა არა სხვა ცივილიზაციათა დასავლური გარდაქმნა, არამედ დასავლური ცივილიზაციის უნიკალური ნიშნების დაცვა და განახლებაა. ეს პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, ეკისრება ყველაზე ძლიერ დასავლურ ქვეყანას – აშშ-ს; სახელმწიფო მოღვაწეებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ ნაყოფიერად შეცვალონ რეალობა, როცა აღიარებენ მას და კარგად ესმით იგი; ამერიკული ელიტა უაღრესად ნელა აღიქვამს შექმნილ რეალობებს; ბუშისა (ბუში უფროსის, ლ.ქ.) და კლინტონის აღმინისტრაციები მხარს უჭერდნენ მულტიცივილიზაციური ინტეგრაციის გეგმებს, რომლებიც ან უგუნური იყო, ან იწვევდა გაუთვალისწინებელ ეკონომიკურ და პოლიტიკურ შედეგებს... (78)

მიღტონ ფრიდმანი (რომლის წიგნი – “კაპიტალიზმი და თავისუფლება”, XX საუკუნის 50-იან წლებში შექმნილი, დღემდე ლიბერალური მსოფლმხედველობის კლასიკურ ნაშრომად ითვლება) საერთაშორისო ზეეროვნული მონოპოლიების დიქტატურას ისეთივე საფრთხედ თვლის თავისუფლებისთვის, როგორც სახელმწიფო დიქტატურას. ლიბერალიზმი ებრძის თავისუფლების ყოველგვარ შეზღუდვას – სახელმწიფოებრივს, კორპორაციულსა თუ ზეეროვნულს. ზეეროვნული დიქტატის

პირობებში, მართალია, სიტყვის, სინდისისა და საქმიანობის პირობითი თავისუფლება დაცულია, მაგრამ მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში, გარკვეულ ზღვრამდე, რომლის გადალახვის მცდელობა ადამიანებისთვის დიდ რისკთან არის დაკავშირებული. კაპიტალის ცენტრებში – საერთაშორისო კორპორაციებში უზომო ძალაუფლებაა კონცენტრირებული. მათ მიერ ყველა საშუალება გამოიყენება საზოგადოების მანიპულირებისთვის. ისინი ფლობენ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს, მათ გავლენა აქვთ სასამართლოებსა და სახელმწიფო დაწესებულებებზე, ბაზრებზე კი მათ გარეშე არაფერი ხდება... (72)

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ბოლო ქვეთავში (“საქართველოში ჯორჯ ბუშის ვიზიტის რეზონანსი პრესაში”) ვნახავთ, რომ თბილისში ვიზიტისას აშშ-ის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის მიერ წარმოთქმული სიტყვების მთავარი საკვანძო სიტყვა “თავისუფლებაა”.

ზემოთგანხილული თვალსაზრისები შემთხვევით არ დაგვიკავშირებია “ვარდების რევოლუციასთან”. მისი წინარე და შემდგომი მოვლენები ცხადყოფს, რომ დემოკრატიის, ლიბერალიზმისა და თავისუფლების “ექსპორტი” შესაძლოა წარმატებული იყოს იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოსა და საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს არა მხოლოდ მისი შესაძლო შედეგები (პოზიტიურიცა და ნეგატიურიც), არამედ ამ პროცესების კანონზომიერება და შესაბამისი მოქმედების ამპლიტუდა – მოქცეული მათ გარდაუგალობასა და ჩვენს შესაძლებლობას შორის. თუნდაც პრესის მაგალითი ცხადყოფს, რომ გამონაკლისის სახით პროცესების ამგვარი აღქმა გვხვდება, მაგრამ უმეტესწილად მათი თანმდევი პრობლემები აღიწერება ზერელედ და მარტივად – “გლობალიზაციის”, “მასონების”, “სოროსის”, “შავი პიარის” და ა.შ. ხსენებით, ან “მტრის ხატის” შექმნით.

*

23 ნოემბერს “ვარდების რევოლუციით” დასრულებული პროცესის გაანალიზება პრესაში მრავალმხრივი და, ხშირ შემთხვევაში, ურთიერთგამომრიცხავი შეფასებებითაა მოცემული; ვეცდებით, შეძლებისდაგვარად, გარკვეული ლოგიკით დავალაგოთ ძირითადი აქცენტები.

პირველ ყოვლისა, ალბათ უნდა გამოვკვეთოთ ის ობიექტურ-სუბიექტური მიზეზები, რომლებიც საფუძვლად დაედო რევოლუციას. რაც შეეხება საბაბს, ის ჯერ კიდევ არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე იყო განსაზღვრული – არჩევნების გაყალბება ხელისუფლების მიერ, ამომრჩევლის სამოქალაქო უფლებების შედახვა.

მედიაში შექმნილი სურათით იკვეთება მთავარი მიზეზი, რომელიც რევოლუციის ქაპუთხედი გახდა – ედუარდ შეგარდნაძის მიმართ ლამის პათოლოგიური სიძულვილი, რწმენა და იმედი, რომ თუნდაც სახელისუფლო სივრციდან მისი

მოშორების ფაქტი უკვე სასიკეთო მოვლენა იქნებოდა ქვეყნისთვის. ამ მიზეზმა ერთ ფოკუსში მოუყარა თავი უკელა ფაქტორს – სოციალურს, პოლიტიკურსა თუ პიროვნულს.

რევოლუციის მეორე დღესვე პრესაში, ერთის მხრივ, გამოიკვეთა სულისკვეთება, რომ გამარჯვებულებს არ ასამართლებენ; მეორეს მხრივ, იმ დღესვე დაიწყო მსჯელობა ხელისუფლების შეცვლის პროცესის სამართლებრივ ასპექტებზე.

მაინც რა შეიძლება ეწოდოს 23 ნოემბრის მოვლენებს?

დეკლარირებულად, ეს იყო სავერდოვანი, უსისხლო რევოლუცია:

“ვარდების რევოლუცია” (“24 საათი”, 24.11.2003); “ვარდებიანი, უსისხლო და უეპლო რევოლუცია”, “სავერდოვანი რევოლუცია”, “შშვილობიანი რევოლუცია” (“რეზონანსი”, 24.11.2003); “რევოლუცია უსისხლოდ” (“ახალი ვერსია”, 24.11.2003); “ვარდების რევოლუცია” უსკლოდ” (“კირის პალიტრა”, 24.11.2003); “კულტურული რევოლუცია” (“მთავარი გაზეთი”, 24.11.2003)

საყურადღებოა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტის თინა ხიდაშელის ფორმულირება: “იმას, რაც დღეს მოხდა, იურიდიულ და უკელა ენაზე ჰქვია უსისხლო რევოლუცია.” (“რეზონანსი”, 24.11.2003)

პრესაში არანაკლები ინტენსიონით ფიგურირებს აქცენტი, რომ ამ პროცესებს “სავერდოვნების” განსაზღვრება არ მიესადაგება; ეს უფრო გადატრიალება, ანუ ხელისუფლების ძალით შეცვლა იყო: გაზეთი “ჯორჯიან თაიმსი” ამ პროცესს სახელმწიფო გადატრიალებას უწოდებს და აქცენტს აკეთებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სომხერი ლობის დაფინანსებაზე, რომლის მიზანია კავკასიაში სომხეთის ქცევა მესამეხარისხოვანი სახელმწიფოდან პირველხარისხოვნად. (27.11.2003). მომდევნო დღეებში ამავე გაზეთში ჩნდება ფორმულირება – სამხედრო გადატრიალება, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა უშიშროების იატაკებები რაზმი. (“ჯორჯიან თაიმსი”, 04.12.2003). გაზეთის ამავე ნომერში პიარტექნოლოგი დიმიტრი მონიავა აცხადებს, რომ ახალი ხელისუფლება, ჯერჯერობით, უფრო ვირტუალურია, ვიდრე “რეალური”, ან “ფაქტობრივი”. (“ჯორჯიან თაიმსი”, 04.12.2003) სახელმწიფო გადატრიალება, რომელსაც უამრავი იურიდიული დარღვევის გასამართლებლად “რევოლუცია” ეწოდა, – ასეთ მოსაზრებას ვხვდებით გაზეთ “ახალ თაობაში”. (“ახალი თაობა”, 06.12.2003)

პოლიტიკოსთა შეფასებებიდან უკელაზე რადიკალურია შალვა ნათელაშვილი; “ლეიბორისტების” ლიდერი “ვარდების რევოლუციას” ხელისუფლების უზურპაციად აღიქვამს და აქცენტს აკეთებს სოროსის ოოლზე, გლობალისტურ ძალებზე, რუსეთის ტერიტორიულ ინტერესზე, ბაქო-ჯეიპანის ნავთობსადენზე... (“დილის გაზეთი”, 26.11.2003); ასევე მკვეთრია “აღორძინების” წარმომადგენელთა შეფასება; მაგალითად, ცოტნე ბაგურიას აზრით, ეს იყო კანცელარიაში დაგეგმილი “რევოლუცია”, ძველი

შევარდნაძის შეცვლა “ახალგაზრდა შევარდნაძით”. (“ჯორჯიან თაიმსი”, 04.12.2003); ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ლიდერი ვაჟა ლორთქიფანიძე მიანიშნებს ქვეყანაში დიქტატურის დამყარების საფრთხეზე. (“ახალი თაობა”, 26.11.2003)

აქვე აღვნიშნავთ, რომ აქცენტები “ვარდების რევოლუციასთან” სოროსისა და “გლობალისტური ძალების” მიმართებაზე კიდევ დიდხანს ვითარდებოდა პრესაში. სანიმუშოდ მოვიხმობთ ციტატას ყველაზე რაღიკალური მოსაზრებით: “მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ სახელმწიფო იქცა არა რომელიმე ძლიერი ქვეყნის, არამედ კერძო პირის საკუთრებად; სოროსის მიზანია არა მხოლოდ “ახალი ევროპის” გეგმის განხორციელება, ანუ აშშ-ის გავლენის გაძლიერება ევრაზიაზე, არამედ მერკანტილურიც – საქართველოს, როგორც სატრანსპორტო დერეფნის ყიდვა.” (“ახალი თაობა”, 31.03.2004)

საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის, იუსტიციის საბჭოს წევრის, ავთანდილ დემეტრაშვილის განსაზღვრებით, “ქვეყანა სამართლებრივ ლაბირინთში იმყოფება, საიდანაც გამოსავალი ძნელად მოსაძებნია, თუმცა, შესაძლებელი. ამ პრობლემის თავი და თავი იმის განსაზღვრაა, რამდენად ლეგიტიმურია დღევანდელი ხელისუფლება... ნინო ბურჯანაძის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად თავის გამოცხადება, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ პრეზიდენტს თავისი გადადგომის შესახებ განცხადება გაკეთებული არ პქონდა, არალეგიტიმური იყო.” (ურნალი “სარკე”, 03.12.2003)

“ამჯერად კიდევ არსებობს შესაძლებლობა ქვეყანა დაუბრუნდეს კონსტიტუციურ სივრცეს”, – წერს “დილის გაზეთი” (“დილის გაზეთი”, 08.12.2003) და ეს მოსაზრება მედიაში გამონაკლისი არ არის. ეს თავისთავად გულისხმობს, რომ მედია ერთგვარად აღიარებს არსებული სიტუაციის არაკონსტიტუციურობას, მაგრამ პირობითად იღებს მას, როგორც პოსტშევარდნაძისტული პერიოდის “ათვლის წერტილს”.

პარალელურად, პრესაში დომინირებს აზრი, რომ რევოლუციის მთავარი გმირი ხალხი იყო, რომ მთავარი შედეგი იყო საზოგადოების გაერთიანება, მისი გახლეჩის საფრთხის თავიდან აცილება. პირველ რიგში, ამ ფაქტორს ხაზგასმით აღნიშნავს თავად “მთავარი რევოლუციონერი” მიხეილ სააკაშვილი: “...მთავარი გმირი არც სააკაშვილია, არც შევარდნაძე. მთავარი გმირი ხალხია, რომელმაც გუშინ საკუთარი ხელით შექმნა ისტორია.” (“24 საათი”, 24.11.2003) პოლიტოლოგ კახა კაციტაძის შეფასებით, “ქართველი ერი შედგა... პროცესების მთავარი შემოქმედი თავად ქართველი ერი იყო.” (“მთავარი გაზეთი”, 24.11.2003)

ისტორიკოსების შეფასებით (პროფესორები: მერაბ ვაჩნაძე და ვახტანგ გურული), ხალხი გააერთიანა არა რომელიმე პოლიტიკური ფიგურის სიყვარულმა, არამედ უკიდურესმა გაჭირვებამ. ეს იყო შევარდნაძის კრახი და არა ის, რომ ყველა ერთად სააკაშვილს, ქვანიას ან ბურჯანაძეს გაჰყვა. მნიშვნელოვანია, რომ ყველაფერი

უსისხლოდ დამთავრდა. ერთი ადამიანის სისხლიც რომ დაღვრილიყო, ამას ჯაჭვური რეაქცია მოჰყებოდა და სამოქალაქო ომში გადავიჩებოდით; მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოება ერთიანი დარჩა, რადგან ფაქტობრივად დაპირისპირება იყო არა საზოგადოებაში, არამედ ხალხსა და ხელისუფლებას შორის. (“მთავარი გაზეთი”, 25.11.2003)

იგივე ხალხის ფაქტორის გათვალისწინებით, პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე კურადღებას ამახვილებს ხალხის ტოტალური ნდობის ტრანსფორმაციის საფრთხეზე, რომელიც, შესაძლოა, დაემუქროს ახალ ხელისუფლებას, თუ მან უახლოეს ხანებში ვერ მოახერხა მათვის მიცემული დაპირებების შესრულება. (“რეზონანსი”, 06.12.2003)

საგულისხმოა, რომ გავლენიან უცხოურ მედიაში განვითარებულ მოსაზრებათა მრავალფეროვნების მიუხედავად (რომელსაც, ასევე, გვაცნობს ქართული პრესა), საბოლოო ჯამში, საქართველოში მომხდარი პროცესები დადებითად შეაფასეს და ახალ ხელისუფლებას მხარდაჭერა გამოუცხადეს ევროკავშირმა და ევროპარლამენტმა, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა. თუმც, დიპლომატიურ კომენტარებსა და თავშეკავებულ შეფასებებში პკლავ დომინირებს აქცენტი – რომ საქართველოს, მომავალი არჩევნების სამართლიანად ჩატარებით, ისევ (უკვე მეორედ) ეძლევა შანსი დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბებისათვის; სამომავლოდ შეპირებული უცხოური დახმარებებიც ამ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული. ისევე როგორც ქართული მედია, უცხოურიც მაღალ შეფასებას აძლევს რევოლუციური პროცესების დროს საზოგადოების აქტიურობისა და ერთსულოვნების ფაქტორს.

2 ნოემბრის არჩევნებამდე საქართველოში ჩამოსული მათიას იორში აცხადებდა, რომ თუ საქართველო არ ჩატარებს სამართლიან და დემოკრატიულ არჩევნებს, შესაძლოა, საქართველო ევროსაბჭოდან გარიცხონ შეუსრულებელი ვალდებულებების გამო. 18 დეკემბერს, საქართველოში ევროსაბჭოს საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელის რანგში მყოფმა იორშმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ახალი ხელისუფლებისათვის ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების მოთხოვნა 2004 წლის თებერვალში (ამ დროს იწურებოდა ვალდებულებების შესრულების ვადა – ლ.კ.) უსამართლობა იქნება და ახალ ხელისუფლებას ევროსაბჭო ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ახალ ვადებში მოსთხოვს.

ამასთან, საყურადღებო მათიას იორშის განცხადება მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების თაობაზე, რომელიც, როგორც ჩანს, ევროსაბჭოს პოზიციასაც გამოხატავს: “საქართველოში დაგეგმილი არჩევნები არ იქნება სრულყოფილი. იქნება ბევრი შეცდომა და ხარვეზი, მაგრამ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ხარვეზი და გაყალბება. მთავარია, რომ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების განზრახვა არის მტკიცე – ჩატარდეს სამართლიანი არჩევნები და ყველა დამრღვევი

და გამყალბებელი გამოვლინდეს და დაისაჯოს.” (“მთავარი გაზეთი”, 19.12.2003) ანუ, ეკროსაბჭომ, ფაქტობრივად, მხარი დაუჭირა “გარდების რევოლუციის” შედეგად მოსულ ხელისუფლებას და თითქმის უპირობოდ მისცა შანსი და ერთგვარი შეღავათიც რევოლუციური პროცესის ლეგიტიმაციისა.

- პოსტრევოლუციური/პოსტშეგარდნაძისტული ხელისუფლების შეფასება
(პრესის აქცენტები)

მიუხედავად იმისა, რომ “გარდების რევოლუციის” შედეგად ხელისუფლებაში მოსულ “ტრიუმვირატის” (მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ჟვანია, ნინო ბურჯანაძე) ისევ სახელისუფლო პარტიის – “მოქალაქეთა კავშირის” წიაღიძან პოლიტიკურ ავანსცენაზე კარგა ხნის დამკვიდრებული პერსონები წარმოადგენდნენ, რევოლუციურმა ეიფორიამ მათ სხვა ძალა და შარავანდი შესძინა, თვისობრივად განსხვავებული, ვიდრე ხელისუფლებაში ჩვეულებრივი “საარჩევნო როტაციის” გზით მოსვლისას ექნებოდათ.

ახალი ხელისუფლების მიმართ პრესა შემწყნარებლური გახდა. შესაძლოა იმიტომ, რომ ამ პერიოდისთვის მან ამოწურა “ნეგატიური რესურსი”, რომელიც ძველი ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული და წარმატებით შეასრულა თავისი მისია რევოლუციური პროცესებისათვის ხელსაყრელი ფონის შესაქმნელად; შესაძლოა იმიტომაც, რომ ფორმირების პროცესში ახალი ხელისუფლება თავისთავად იმსახურებდა ტაიმ-აუტს; და ალბათ იმიტომაც, რომ საინფორმაციო სივრცის ჩამოყალიბება და მართვა საქართველოში დიდწილადაა დაკავშირებული იმ პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც “გარდების რევოლუციის” შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდა.

უნდა ითქვას, რომ პრესა, პოლიტიკური სპექტრისაგან განსხვავებით, პოსტრევოლუციურ ეიფორიაში არ აღმოჩენილა და დროულად აუდო ალდო პოლიტიკურ კონიუნქტურას.

რევოლუციის შემდგომ თითქმის არ შეცვლილა ქართული რეალობისა და, შესაბამისად, მედიისთვის დამახასიათებელი პოლიტიზებისა და პერსონიფიცირების ტენდენცია; განსხვავებაა ისაა, რომ პრესის მთავარი თემა – ხელისუფლებიდან შეგარდნაძის წასვლა, შეცვალა ხელისუფლებაში სააკაშვილის მოსვლის თემამ.

ფაქტობრივად, 2003 წლის დეკემბერსა და 2004 წლის იანვარში იშვიათია გაზეთი პერსონალურად მიხეილ სააკაშვილისა და, საერთოდ, ახალი ხელისუფლების თაობაზე მოსაზრებების გარეშე. ძირითადად პრესაში დომინირებს ახალ ხელისუფლებასთან დაკავშირებული ცვლილებების მოლოდინი. ერთგვარი შეჯერებული დაიჯესტი ნათელ

წარმოდგენას ქმნის პოსტრევოლუციური ხელისუფლების გარშემო პრესაში შექმნილ საინფორმაციო ფონზე:

- “რეფორმატორები, როგორებიც არიან მიხეილ სააკაშვილი, ნინო ბურჯანაძე და ზურაბ უგანია, მომავალი საქართველოს იმედი და ამერიკის შეერთებული შტატებისთვის კარგი სიახლეა... დღეს რეფორმისტულად განწყობილ ლიდერებს აქვთ შანსი, რომ დასავლეთის დახმარება გაცილებით უფრო ეფექტურად გამოიყენონ.” (ერიკ მილერი, ანალიტიკოსი, აშშ; “24 საათი”, 03.01.2004)
- “ჩვენი ოპტიმიზმის საფუძველია სამი ფაქტორის ერთიანობა, რომელსაც ჩვენში დღემდე არ ჰქონია აღგილი. პირველია – ხელისუფლება, რომელიც საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ერისა და ქვეყნის ინტერესებს დაიცავს, მისი დამოუკიდებლობის, განვითარებისა და განმტკიცებისათვის იბრძოლებს; მეორე – ქართველი ხალხის ნება – მხარი დაუჭიროს ხელისუფლებას... მესამე – საერთაშორისო თანამეგობრობა ენერგიულად გამოხატავს ახლანდელი ხელისუფლებისა და საქართველოს მხარდაჭერას. და ამიტომაც უნდა დავიჯეროთ, რომ 2004 წელი – ახალი ეპოქის დასაწყისი იქნება საქართველოში.” (დიმიტრი შველიძე, ისტორიკოსი, “მთავარი გაზეთი”, 05.01.2004)
- ”საქართველოში ერთპარტიული დემოკრატია დამკვიდრდა. ხელისუფლების გველა შტოს აკონტროლებს ერთი ხელისუფლება და, რაც სამწუხაროა, არც აპირებს ამ სიტუაციის შეცვლას, პირიქით, “რევოლუციური ხელისუფლება” ცდილობს მაქსიმალურად მოკლე ვადებში დანიშნოს ახალი საპარლამენტო არჩევნები, რათა... ერთკლანური საკანონმდებლო ხელისუფლება მიიღოს.” (“ახალი თაობა”, 08.01.2004)
- ”მოსახლეობის 96%-ის მიერ არჩეულ მიშას შეუძლია თუ უნდა კონცენტრაციული ბანაკები გახსნას, მაინც ტაშს დაუკრავენ, მაგრამ რამდენად დემოკრატიული და ნორმალურია დაშინება, ტერორი და მოკვლით დამუქრება ორი დღის წინ არჩეული ახალგაზრდა და “დემოკრატი” პრეზიდენტისაგან, მნელი სათქმელია... გუშინ კანონით ჯერ არგაპრეზიდენტებული სააკაშვილი ყოველგვარი მორიდების გარეშე დირექტივას აძლევდა იუსტიციის მინისტრს, რომ ციხეში შესაძლო დესტაბილიზაციისას გამოეყენებინა იარაღი და მოეკლა პატიმრები.” (“ახალი თაობა”, 13.01.2004)
- ”ახალმა ხელისუფლებამ იცის, რაც უნდა გააქტოოს და კონკრეტული პროგრამაც გააჩნია... მიხეილ სააკაშვილს უკვე დიდი ხანია ვიცნობ. ის აშკარად ძალიან ჭკვიანი, შემოქმედი ადამიანია... ნოემბრის შემდეგ მან ყველაზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მას კარგად ჩამოყალიბებული იდეები და ხედვა აქს და კარგად იცის, რა უნდა. მას ძალიან კარგი მონაცემები აქს და გუსურვებ წარმატებებს, რადგან მისი წარმატებები პირდაპირ არის

დაკავშირებული ქართველი ხალხის წარმატებასთან.” (ლინ პასკო, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე, “24 საათი”, 15.01.2004)

- “არ გვიქრობ, რომ მიხეილ სააკაშვილი ევროპული დონის პოლიტიკოსია. ორი თვის განმავლობაში შევისწავლე ყველა ის ინტერვიუ, რომელიც მან მისცა დასავლურ, რუსულ თუ ქართულ მედიას. ჯერჯერობით მისთვის გაუწონასწორებლობა საუკეთესო დახასიათებაა. მექმნება წარმოდგენა, რომ ეს ის პიროვნებაა, რომელიც განცხადებებს საკუთარი განწყობილებებიდან გამომდინარე აკეთებს... ის, რომ მან მოახერხა ასეთი სახის რევოლუციის მოხდენა, მეტყველებს, რომ უდაოდ ნიჭიერი პიროვნებაა ძალზე სპეციფიურ სფეროში.” (ანდრეი ბაბიცკი, რუსი ჟურნალისტი, “მთავარი გაზეთი”, 15.01.2004)
- “სააკაშვილი გამოყენებითი ხასიათის პოლიტიკოსია... სააკაშვილში მართლაც არის ბევრი რამ ამერიკული ტიპის პოლიტიკოსისა – მათ შორის პოპულიზმის სერიოზული დოზაც. პოლიტიკურ ორგანიზაციასთანაც არაკლასიკური მიღგომა აქვს – მისი ორგანიზაცია საარჩევნოდ აქტიურობს და არასაარჩევნო პერიოდში მინავლებულია. არჩევნების დროს ამოტივაციებული აქტივი სახელისუფლო სტრუქტურებში მიდის, მერე იცხოლება – ვინც არ მოსწონს, დაუნდობლად იშორებს და შემდეგი არჩევნებისათვის ახალი აქტივი ჩნდება – ეს ამერიკული მიღგომაა.” (ივლიანე ხაინდრავა, პოლიტოლოგი, “24 საათი”, 16.01.2004)
- “სააკაშვილმა ჯერ კიდევ ინაუგურაციამდე დაიწყო საკუთარი კლანის ჩამოყალიბება, კლანის, რომელიც უფრო შეკრულია და უფრო ვრცელი. შევარდნაძის კლანი სულ სამიოდე ათეულ ადამიანს თუ აერთიანებდა... საქართველომ მართლაც იმპერატორი აირჩია.” (“ახალი თაობა”, 19.01.2004)
- “ჯერ უკურთხებელი პრეზიდენტის პირველი ნაბიჯები საზოგადოებაში ბადებს ეჭვს და არცთუ ისე სასიამოვნო ასოციაციებს წარსულთან... სააკაშვილი საგარეო ფრონტზე თითქმის ისეთივე განცხადებებს აკეთებს, როგორც მისი წინამორბედი”. (“ახალი ვერსია”, 19.01.2004)
- “დასავლეთი საქართველოს ნდობას უცხადებს... საქართველოს ხელისუფლების ახალი თაობა დასავლეთის პროდუქტია განათლების, მსოფლმხედველობისა და მენტალიტების მხრივ.” (“რეზონანსი”, 20.01.2004)
- “დავოსში, საბოლოოდ, მხოლოდ სააკაშვილი ჩავიდა, რომლის მიზანი ერთია – მსოფლიო საზოგადოებაზე ახალი ეფექტის მოხდენა და ახალი ეკონომიკური დახმარებებისა და ინვესტიციების მოზიდვა... თუ სააკაშვილი შევიცარიიდან ინაუგურაციისათვის ახალი პროექტებითა და შესაძლო ინვესტიციებით ხელდამშვენებული ჩამოვა, ეს წარმატება მხოლოდ მის დამსახურებად ჩაითვლება და, შესაბამისად, მისი რეიტინგიც ერთი-ორად გაიზრდება. ეს კი,

მიხეილ სააკაშვილის “პიარშჩიკების” აზრით, მის მესიანურ წარმომავლობას კიდევ ერთხელ გაუსვამს ხახს.” (“დილის გაზეთი”, 21.01.2004)

- “ჯერჯერობით, ჩვენ არ გადავსულგართ პოსტრევოლუციურ ფაზაში, როდესაც უნდა შეწყდეს ძალის დემონსტრირება და ხელისუფლება კანონიერ და სამართლებრივ საქმიანობას შეუდგეს. ამისათვის პირველ რიგში საჭიროა, მიხეილ სააკაშვილმა თავი იგრძნოს არა გამარჯვებული ხალხის ლიდერად, არამედ საქართველოს პრეზიდენტად. მან უნდა გააცნობიეროს, რომ იგი სრულიად საქართველოს პრეზიდენტია. მათ შორის ასლან აბაშიძის პრეზიდენტიც არის და ედუარდ შევარდნაძისაც.” (“ხვალინდელი დღე”, 21.01.2004)
- “ჯორჯ სოროსი მზად არის, ქართველ ჩინოვნიკებს ხელფასები გადაუხადოს. როგორც ახალი ხელისუფლება ამბობს, ეს კარგია და წაადგება საქართველოს კორუფციის აღმოფხვრაში... რატომ არ სურს ახალ ხელისუფლებას აღიაროს, რომ სოროსის ფულის გარეშე ისინი ვერ აამუშავებდნენ მართვად არასამთავრობო ორგანიზაციებს – “თავისუფლების ინსტიტუტს”, “ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას” და “კმარას”; რომ სოროსის გარეშე ვერ მოიპოვებდნენ სერიოზულ გავლენას საინფორმაციო საშუალებებზე და ვერც რევოლუციას მოაწყობდნენ. არ ჯობია საქართველომ ახლავე იცოდეს, რითი უნდა გადაუხადოს სოროსს “სიკეთისათვის?”” (“ახალი თაობა”, 23.01.2004)

როგორც ვხედავთ, ყურადღების ცენტრში მიხეილ სააკაშვილია და, რევოლუციური ეიფორიის მიუხედავად, პრესაში საკმაოდ კრიტიკული დამოკიდებულებაც იგრძნობა მის მიმართ. პარალელური ძველ ხელისუფლებასთან და აქცენტი მიხეილ სააკაშვილის ერთპიროვნული მმართველობის საფრთხეზე, გაზეთ “ალიას” პუბლიკაციაში (“ედუარდის ნაგვალებზე”) უფრო შორს მიდის და აქ უკვე “დიქტატურა” და “ფაშიზმიც” სხენდება: “გუშინ ტელეკომპანია “იმედის” ეთერით სააკაშვილმა პირველად აღიარა, რომ ის არავისთან არ აპირებს უფლებების გაყოფას: “არანაირი უფლებების გაყოფა არ იქნება. უბრალოდ, მოხდება რაღაც ფუნქციების დელეგირება. ხალხმა მე ამირჩია და ყველა უმთავრესი საკითხი ქვეყნაში პრეზიდენტმა უნდა გადაწყვიტოს. მან თავად უნდა გადაწყვიტოს, რა არის მნიშვნელოვანი.” დემოკრატიის სახელმძღვანელოში ასეთი რამ არ წერია. იქ ყველაფერი კანონის ენაზე ხდება. როგორც ჩანს ჩვენი ახალი პრეზიდენტიც არ აპირებს დემოკრატიულად ცხოვრებას. ასეთი ფრაზა თავის დროზე გამსახურდიამაც თქვა, მისი რეჟიმი “პროვინციულ ფაშიზმად” მონათლებს; შევარდნაძეს სიტყვებით არაფერი უთქვამს, სულ ხალხის სახელით ლაპარაკობდა, მაგრამ სამაგიეროდ მისი მართვის სტილი მოინათლა დიქტატურად და ჩამოაგდეს.” (“ალია”, 10.01.2004)

მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო უფლებამოსილების თაობაზე მსჯელობისას პოლიტოლოგი სოსო ცინცაძეც იშველიებს პარალელებს, ოღონდაც განსხვავებულ

კონტექსტში: “5 იანვრიდან, ფაქტიურად, საქართველოში ძალაში შედის ძველი ამერიკული საკონსტიტუციო პრინციპი – ხელისუფლების ყოველ გადაწყვეტილებაზე ერთპიროვნულად პასუხს აგებს პრეზიდენტი. ამ ფუძემდებლურ პრინციპზე, როგორც ჩანს, სხვა აზრი გააჩნდა როგორც პირველ, ასევე მეორე პრეზიდენტს. გამსახურდია აცხადებდა, რომ ის პასუხს არ აგებდა “ახალგაზრდა ენერგეტიკოსთა კავშირის” ქმედებაზე და “კარვის ქალებზე”. ავტომატურ რეესტრი იბანდა ხელს შევარდნაძე, როგორც კი უურნალისტები მის უახლოეს გარემოცვაზე ჩამოუგდებდნენ სიტყვას.” (“რეზონანსი”, 09.01.2004) ძველი რომის, აშშ-ის, ბრიტანეთის ისტორიული ანალოგების მოშველიებით, სოსო ცინცაძე ანვითარებს მოსაზრებას, რომ “მიხეილ სააკაშვილი რიგით არჩევნებში გამარჯვებული პრეზიდენტი არ არის, ის ტრიუმფატორია ამ ტერმინის სრული მნიშვნელობით.” ტრიუმფატორებს კი ძალზე მძიმე ჯვრის ზიდვა უხდებოდათ და არცთუ იშვიათად, სულ მარტოს.

ანალიტიკოს ია ანთაძის მესიჯები, როგორც წესი, მედიაში შემთხვევით არ ჩნდება. ამჯერად “ახალ ვერსიაში” გამოქვეყნებული (და რადიო “თავისუფლების” ეთერით გადაცემული) პუბლიკაციის სათაური – “ირაციონალური აქცენტების ტრადიცია ქართულ პოლიტიკაში” უკვე თავისთავად მიგვანიშნებს მის მთავარ აქცენტებზე:

- ოთხ დეკემბერს მიხეილ სააკაშვილმა საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანია ირაციონალური აქცენტებით დაიწყო;
- სააკაშვილი არ არის პირველი ქართველი პოლიტიკოსი, რომელიც თავის ოპტიმიზმს რელიგიური თარიღებისა და პოლიტიკური მოვლენების დამთხვევას უკავშირებს. ედუარდ შევარდნაძის მეორე საპრეზიდენტო ვადაც სწორედ ირაციონალური აქცენტებით და მასთან დაკავშირებული იმდებით დაიწყო;
- მაშინ ირაციონალური წესი აშკარად გამოყენებული იქნა პოლიტიკურ იარაღად, რათა უბრალო ადამიანს პროტესტის გარეშე, მართლაც გარდაუვალ ბედისწერად მიედო ქვეყანაში გამეფებული უსამართლობა და განუკითხაობა; ჩვენ ვნახეთ, რითი დასრულდა ხელისუფლებისა და ხალხის ინტერესთა რეალური კონფლიქტი;
- ლოგიკურია, რომ ნებისმიერი ხელისუფლადი, რომელიც რაციონალურ პოლიტიკას ირაციონალური აქცენტებით ჩანაცვლებს, დამარცხდება.
- ეს გაფრთხილება ამჯერად ეკუთვნის მიხეილ სააკაშვილს, რომლის მომავალ პრეზიდენტობასაც საქართველოს მოსახლეობა ცვლილებების მოლოდინით და იმედით ხვდება. (83)

ახალ ხელისუფლებაზე უფრო კონკრეტული და საგნობრივი მსჯელობის (და კრიტიკულისაც!) საინფორმაციო საბაზი პრესისათვის გახდა საკადრო პოლიტიკა. საკადრო ცლილებებთან დაკავშირებით პრესაში ჩნდება ბოლშევიზმის ასოციაციები,

პარალელური შევარდნაძის საკადრო პოლიტიკასთან, თვალსაზრისი, რომ ახალი ხელისუფლება ამ მიმართულებით ძველი პოლიტიკის მემკვიდრეა. კადრებზე მსჯელობისას, ბევრგან ფიგურირებს თვალსაზრისი, რომ ეს საკითხი “ნაციონალებისა” და “დემოკრატების” დაპირისპირების საბაბია; გვხვდება მოსაზრებებიც, რომ კადრების დანიშვნა ნაჩქარევად ხდება, არ იყო აუცილებელი მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებების განხორციელება პრეზიდენტის ინაუგურაციამდე; იქმნება შთაბეჭდილება, რომ გამარჯვებული ძალები ერთმანეთის დასწრებას და საკუთარი პოზიციების გამყარებას ცდილობენ; კადრების შერჩევა ხდება არა პროფესიონალიზმისა და გამოცდილების, არამედ, რევოლუციური დამსახურების მიხედვით და ა.შ.

“მთავარი გაზეთი” წერს, რომ “ზურაბ ჟვანიამ და მიხეილ სააკაშვილმა... სახელმწიფო თანამდებობები 50-50-ზე გადაინაწილეს. გადანაწილება მოხდა ისე, რომ როგორც ჟვანიას, ასევე სააკაშვილს, აქვთ ურთიერთეონტროლის საშუალება.” (“მთავარი გაზეთი”, 16.01.2004) აქვე ვკითხულობთ – “ეს პერიოდი ძალზე გვაგონებს ბოლშევიზმის პირველ ეტაპს, როცა უკელგან თავისიანები გაამწესეს.”

“ახალი თაობა” იუწყება, რომ “ნაციონალებისა” და “დემოკრატების” დაპირისპირება საკადრო პოლიტიკის გარშემო შეიძლება კიდევ გამწვავდეს. დროებითი მთავრობის მიერ წარმოებული საკადრო პოლიტიკით უგმაყოფილო ნაციონალებმა მიხეილ სააკაშვილს ულტიმატუმიც კი წაუყენეს. ამჯერად ისინი ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის წინააღმდეგ ილაშქრებენ... ამ დღეებში ნოღაიდელთან სერიოზული უთანხმოება მოუვიდა თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ მაღალჩინოსანს... როგორც ამბობენ, იმ მაღალჩინოსანს ნოღაიდელისათვის ასეთი რამ უთქვამს: “შენ ჟვანიას დაგალებას ასრულებ და ხელფასებს სპეციალურად არ არიგებ. და გინდათ, რომ ხალხი სააკაშვილის წინააღმდეგ განაწყოთ.” (“ახალი თაობა”, 03.01.2004)

“დილის გაზეთი” მკვეთრად აკრიტიკებს “ნაციონალების” კადრებს, რომლებიც შემდგომში ხელისუფლების “ძალოვან” საყრდენად იქცნენ: “...პროგურატურას ნაციონალებში ყველაზე “უშიშარი” ირაკლი თქრუაშვილი დაგამატრონება. მართალია, მორალზე ლაპარაკი ახლა მოდური არ არის, მაგრამ საკითხავია, რამდენად აქვს მას გენერალური პროგურორის პოსტის დაკავების უფლება მაშინ, როცა მის მიმართ ორჯერ იყო საქმე აღძრული: ერთი – რამდენიმე წლის წინათ, როცა ის ადვოკატი იყო და მეორე – ახლახან: წინასაარჩევნო პერიოდში გორში მომხდარი ინციდენტის დროს მას და ერთ ნაციონალს ყაჩაღობაში ედებოდათ ბრალი... რაც შეეხება მეორე უფრო “საშიშ კადრს” – განო მერაბიშვილს, ჯერ ერთი, იგი იურისტი არ არის, მეორეც, მას არა აქვს შესაბამისი გამოცდილება... ჩნდება კითხვა – რის მიხედვით არჩევს ახალი ხელისუფლება კადრებს? რა თქმა უნდა, რევოლუციის ორგანიზებაში შეტანილი წვლილის მიხედვით. განო მერაბიშვილის დაწინაურება ამ ჩარჩოებშიც არ თავსდება,

რადგან რევოლუციის დღეებში იგი ტრიბუნაზე არც გამოჩენილა. ასე რომ, საკადრო ქაოსი გრძელდება.” (“დილის გაზეთი”, 13.01.2004)

ვანო მერაბიშვილის შესაძლო მაღალჩინოსნობა “ახალი თაობის” გაკვირვებასაც იწვევს: „... ერთმა გადაწყვეტილებამ პოლიტიკური სპექტრი, და არა მარტო ის, სრულ შოქში ჩააგდო. ახალ მთავრობასთან დაახლოებულმა წყარომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ დეპუტატი განო მერაბიშვილი ახლო მომავალში უშიშროების საბჭოს მდივანი გახდება.” (“ახალი თაობა”, 14.01.2004)

ირაკლი ოქრუაშვილის მოსალოდნელ ზეობაზე “მთავარი გაზეთიც” ამასვილებს ყურადღებას: “ოქრუაშვილი პროკურატურაში სააკაშვილისეულ რეფორმებს განახორციელებს, რომლის მიხედვითაც პროკურატურას ფუნქციები გაეზრდება და ის ყველა ძალოვანზე “ზეორგანოს” ფუნქციას შეასრულებს”; “საზოგადოებაში მითქმა-მოთქმაა, “ოქრუაშვილი თუ ნებაზე მიუშვეს, ნახევარი საქართველო ციხეში აღმოჩნდებაო.” (“მთავარი გაზეთი”, 16.01.2004; 17.01.2004)

“ახალი თობა” აქცენტს აკეთებს კადრების გამოუცდელობასა და უმწიფრობაზე: “ეკონომიკის მინისტრმა ეკონომიკა არ იცის”... 28 წლის ირაკლი რეხვიაშვილს, რომელსაც 14 წელია საქართველოში არ უცხოვრია, იმის გამო, რომ სოროსთან მუშაობდა, თბილისის აეროპორტში ჩამოსვლისთანავე მინისტრის პორტფელი გადასცეს”; “იუსტიციის სამინისტრო საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორი შეიძლება აღმოჩნდეს არაპროფესიონალთა საბაგშვო გუნდი. ერთ-ერთ საკგანმო თანამდებობაზე იუსტიციის მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა 21 წლის ბიჭი დანიშნა. ეს ბიჭი, ასევე, ნაციონალური მოძრაობის აქტივისტია... მესამე პრეზიდენტმა კიდევ უფრო დაწია ასაკობრივი ცენზი და ლამის უფროსქლასელებს ჩააბაროს ხელისუფლება.” (“ახალი თაობა”, 18.01.2004; 19.01.2004)

“საქართველოში ახალი დანიშვნების მთავარი ტენდენცია ისაა, რომ პარლამენტი მინისტრობის კანდიდატებისაგან არ ითხოვს პროგრამებს, სადაც მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული, როგორ უნდა გარდაიქმნას ესა თუ ის უწყება... რჩება შთაბეჭდილება, რომ ახალი ხელისუფლება საკუთარი თავისათვის მაღალი ხარისხის გარანტიებს ითხოვს, ხალხისთვის კი დაბალი ხარისხის გარანტიებსაც სჯერდება. “გარდების რევოლუციას” ასეთი გაგრძელება ნამდვილად არ უკადრება”, – ასკვნის გაზეთი “ახალი ვერსია” საკადრო პოლიტიკაზე მსჯელობისას. (“ახალი ვერსია”, 26.01.2004)

• “ტრიუმვირატი”

“ტრიუმვირატი”, “ტროიკა”, “ტრიო” – ასე მოიხსენიება მედიაში რევოლუციის გამარჯვებული სამეული. 23 ნოემბრის შემდგომ დღეებში პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ნინო ბურჯანაძის, ზურაბ ქვანიასა და მიხეილ სააკაშვილის

ურთიერთმიმართების, მათ შორის ძალთა თანაფარდობის, პოლიტიკურ ძალთა ახალ და მომავალ განლაგებაში თითოეული მათგანის ფუნქციისა და პოტენციის თაობაზე მოსაზრებებისა და ვერსიების განვითარებას.

მიხეილ სააკაშვილი – პრეზიდენტი, ზურაბ ჟვანია – პრემიერ-მინისტრი, ნინო ბურჯანაძე – პარლამენტის თავმჯდომარე. ფუნქციების ამგვარ განაწილებას პრესა რევოლუციამდე გაცილებით ადრე ვარაუდობდა; ამ სქემის განხორციელების რეალური პერსპექტივის გაჩენის შემდგომ კი ძირითადი აქცენტი გადადის მათი შესაძლებლობების შეფასებაზე. გამოვყოფთ რამდენიმე ტიპიურ შეფასებას, ერთმანეთისაგან დიამუშრალურად განსხვავებულ მოსაზრებას და იმ თვალსაზრისებს, რომელიც, ჩვენი აზრით, საყურადღებო მესიჯებს შეიცავს.

ფსიქოლოგი, აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი ასე აფასებს ზოგადად **ლიდერის ფაქტორს** და, კონკრეტულად, სამივე პოლიტიკურ პერსონას:

“საზოგადოებრივი აზრი ზოგჯერ არაცნობიერად ყალიბდება და საჭიროა, რომ პოლიტიკურმა ლიდერებმა ზოგჯერ თავად შექმნან და გამოხატონ ის აზრი, რაც საზოგადოებას გააჩნია... თუ ვინმემ ამის გაკეთება შეძლო, ხალხი მას ლიდერად და გმირად თვლის.

ნებისყოფის თვალსაზრისით, სააკაშვილი საოცრად ძლიერი პიროვნებაა და აღმოჩნდა, რომ ინტელექტუალურიც არის...

სააკაშვილს გვერდს უმშვენებს ჟვანია, რომელიც ძლიან გამოცდილი პოლიტიკოსია. თუ მან კარგი მიზანი დაისახა, ბევრი კარგის გაკეთება შეუძლია.

ქალის გამოჩენა კი სასწაული იყო. ნინო ბურჯანაძე თავისი კაცური ინტელექტითა და ნებისყოფით სიმპათიებს იმსახურებს და როგორც ქალი – გავლენას ახდენს. მერე გაჩნდა ასოციაციები თამარ მეფესთან, ტეტერთან – ეს ყველაფერი ხელს უწყობდა მის პორტრეტს. ოპონენტებმა მასთან საბრძოლველად არასწორი მეთოდები აირჩიეს – რომ ის სხვა წრიდან არის და ა.შ. სუსტი არგუმენტები კი მოწინააღმდეგეს აძლიერებს...

სწორედ ქალმა გაანელა ჟვანიასა და სააკაშვილის ფარული მტრობა პრეზიდენტობისთვის. ყოველთვის ჩანდა, რომ ბურჯანაძე სააკაშვილს როლს დაუთმობდა, რადგან სააკაშვილი ამას იმსახურებდა. ეს ერთმანეთისადმი პატივისცემას ნიშნავს.” (“24 საათი”, 28.11.2003)

ფსიქოლოგ ნოდარ სარჯველაძის მოსაზრებით, “სამივე უდავოდ საინტერესო ფიგურაა... მათ დიდი პასუხისმგებლობა აქვთ და დიდი ისტორიული როლი შეუძლიათ შეასრულონ. სამივე შევარდნაძის მოწაფეა? არიან და არც არიან.

სააკაშვილმა, თუნდაც შევარდნაძის ჩაის დალევით, კარგად გაშიფრა, მისი ადგილის დაკავება რომ სურდა. ბუნებრივია, ამ თვალსაზრისით ის შევარდნაძის მოწაფეა, თუმცა, უფრო თვითმყოფადი.

ჟვანია აშკარად ჟველაზე ნიჭიერი მოსწავლეა. ის კარგად გამოიწვრობა, უველაზე უპეტ შეითვისა შევარდნაძის ნაბიჯები. ჟვანია ნამდვილი პოლიტიკოსია, შევარდნაძის მსგავსად, პოლიტიკური ინტრიგების სპეციალისტი. შემთხვევითი არ არის, პარლამენტში სააკაშვილი რომ შევიდა და არა ჟვანია.

რაც შეეხება ბურჯანაძეს, მან სერიოზული პრინციპულობა გამოიჩინა ბოლო დროს.

უნდა ვაღიარო, რომ ეს სამეული დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრში ჟველას სჯობს.” (“მთავარი გაზეთი”, 05.12.2003)

“ჯორჯიან თაიმსი” სააკაშვილს, ჟვანიასა და ბურჯანაძეს “ხელისუფლებაში მალით, აგრესიონი და ამერიკულ-რუსულ-სომხური პოლიტიკური კაპიტალით მოსულ პოლიტიკურ ტყუპებსა” და “ოცდამეერთე საუკუნის ორჯონიქიძეებს” უწოდებს და მათ მნიშვნელობას ასეთი თანმიმდევრობით აღიაგებს: “პოლიტიკური ცხვრის ფარის სათავეში ჟვანია დგას, შემდეგ მოდის ბურჯანაძე და, ბოლოს, ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის რეალური ავტორი მიხეილ სააკაშვილი.” (“ჯორჯიან თაიმსი”, 27.11.2003)

პრესის პუბლიკაციებში, პირდაპირ თუ მინიშნებით, ფიგურირებს თვალსაზრისი, რომ ლიდერების პიროვნული ამბიცია (აქ, უმთავრესად, ჟვანია-სააკაშვილს გულისხმობენ) ფეთქებადსაშიში მუხტის მატარებელია და ძალაუფლების გადანაწილებისათვის ბრძოლა, შესაძლოა, იქცეს გამარჯვებული ძალის განხევთქილების ფაქტორად. ამასთან, პრესაში ყურადღება მახვილდება ლიდერების პასუხისმგებლობისა და პოლიტიკური შეგნების ფაქტორზე, რომელმაც უნდა გაანეიტრალოს ეს საფრთხე:

“ტევრი ელოდა, რომ რევოლუციის მოგების შემდეგ ოპოზიციის ერთიანობას საფრთხე დაემუქრებოდა, ლიდერებს პიროვნულ ამბიციებზე მაღლა დგომა გაუჭირდებოდათ. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ოპოზიციამ ამ მეორე გამოცდასაც გაუძლო და ფუნქციების განაწილება უმტკიცნეულოდ მოხერებდა – ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც. ის, რომ ოპოზიციამ ამ შემთხვევაშიც შეინარჩუნა ერთიანობა, მიუთითებს იმაზე, რომ ლიდერები, პოლიტიკური სიმწიფის თვალსაზრისით, უფრო გაიზარდნენ და, ჯერჯერობით მაინც, აცნობიერებენ იმ პასუხისმგებლობას, რომელიც ხალხის წინაშე აიდეს.” (“24 საათი”, 27.11.2003)

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ნინო ბურჯანაძე ერთგვარად მედიის ჩრდილში მოექცა, მიუხედავად იმისა, რომ ინაუგურაციამდე იგი კვლავ ასრულებდა პრეზიდენტის მოვალეობას. პირველი “ცერემონიული ტრიუმფის” შემდეგ, მართალია იგი კვლავ ხვდება ძალიან ბევრ მაღალი რანგის უცხოელ სტუმარს და ეს შეხვედრები აისახება პრესაში (განსაკუთრებით, “საქართველოს რესპუბლიკაში”), მაგრამ მისი პერსონის მიმართ ინტერესი აშკარად შენელდა. სოციოლოგიური სამსახურის “აი-ფი-

ემის” ხელმძღვანელი გოჩა ცქიტიშვილი აღნიშნავს, რომ არჩევნების წინა პერიოდთან შედარებით, ბურჯანაძის რეიტინგმა დაიწია. (“ალია”, 20.01.2004). ყურადღებას იქცევს ისიც, რომ მიხეილ სააკაშვილი ნინო ბურჯანაძეს ხაზგასმული ფამილიარობითა და თითქოს აგდებითაც მოიხსენიებს – “ნინო მოპლაკუნებდა!” (“ვარდების რევოლუციის” დღეს), “ნინო კარგი გოგოა” და ა.შ.)

ნინო ბურჯანაძის პერსონაზე კვლავ ამახვილებს ყურადღებას უცხოური მედია (განსაკუთრებით, რუსული) და, შესაბამისად, ეს მომენტი ქართულ პრესაშიც აისახება. რუსეთის ტელევიზიაში (OPT) ნინო ბურჯანაძე 2003 წლის მთავარ ადამიანთა შორის დაასახელა; საქართველოში მას “რკინის ნინოს” უწოდებენო – აღნიშნა საინფორმაციო პროგრამის წამყვანმა (თუმც, ეს ტერმინი 23 ნოემბრის შემდგომ ქართულ პრესაში სწორედ რუსული მედიის მასალებით მომზადებულ პუბლიკაციებში ფიგურირებს, – ლ.პ.) და პარალელი თამარ მეფესთან გაავლო. (“კვირის პალიტრა”, 05.01.2004) “მთავარი გაზეთისათვის” მიცემულ ინტერვიუში, ცნობილი რუსი ეურნალისტი ანდრეი ბაბიცკი, ნინო ბურჯანაძეს რევოლუციონერთა შორის ყველაზე გაწონასწორებულ პოლიტიკოსს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ეს ევროპული დონის პოლიტიკოსის თვისებაა. (“მთავარი გაზეთი”, 15.01.2004)

72 დღიანი საპრეზიდენტო მისიის დასრულების საბაბით ნინო ბურჯანაძე ცოტახნით ისევ აღმოჩნდა მედიის ყურადღების ცენტრში. განსაკუთრებულ ყურადღებას მისი პერსონისადმი ამჯერადაც (და საერთოდაც!) “მთავარი გაზეთი” იჩენს; მაგალითად, გაზეთის 17 იანვრის ნომრის მთავარი თემა ნინო ბურჯანაძის პერსონაა. მისდამი მიძღვნილ რამდენიმე პუბლიკაციაში ასეთი აქცენტები იკვეთება:

ნინო ბურჯანაძე ერთადერთი ქალია, რომელმაც მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ქართულ პოლიტიკაში; საზღვარგარეთ, მათ შორის რუსეთშიც, მას ყოველთვის გულდიად იღებდნენ. პიროვნულ დირსებებს, მის მიმართ ნდობის ფაქტორს, განათლებული და სიმპათიური ქალის იმიჯიც ემატებოდა; ბურჯანაძეს ხელისუფლებაში შევარდნაძის მემკვიდრედაც განიხილავდნენ; ბურჯანაძის იმიჯმა მოსახლეობაში წარმატება მოუტანა ზურაბ ჟვანიას გუნდს; ვარდების რევოლუციის დროს, საკუთარი კავშირებით უცხოეთსა თუ ქვეყნის შიგნით, პარლამენტის თავმჯდომარის სტატუსით, ბურჯანაძე მნიშვნელოვნად ეხმარებოდა რევოლუციონერებს; 23 ნოემბერს ბურჯანაძეს ქვეყნისა და პროცესების მართვაზე პასუხისმგებლობის აღება მოუწია; დეგიტიმაციის უქმარისობის ვითარებაში მან, თანამოაზრებთან ერთად, თავი გაართვა პრობლემების მეტ-ნაკლებად მოგვარებას და, შეიძლება ითქვას, გამოცდა ჩააბარა; პოლიტიკოსთა პროგნოზით, პრეზიდენტი შევარდნაძის ეპოქაში მისი ერთ-ერთი რეალური შემცვლელი სააკაშვილის მმართველობის დროსაც დარჩება პრეზიდენტობის პოტენციურ კანდიდატად. (“მთავარი გაზეთი”, 17.01.2004)

“საქართველომ და მსოფლიომაც, ქალბატონი ნინო, როგორც პრეზიდენტი, მიიღო და მოიწონა კიდეც. საზღვარგარეთ მას “ქართველი ოკინის ლედიც” უწოდეს”, – აღნიშნავს “დილის გაზეთი”. ამავე პუბლიკაციაში გვხვდება “სარწმუნო წყაროს” ინფორმაცია, რომ ნინო ბურჯანაძე სერიოზულად ემზადება (დღეს თუ არა, ხვალ მაინც) თავისი გუნდის შესაქმნელად. (“დილის გაზეთი”, 20.01.2004)

“პოლიტიკურ სამაიას” შორის არსებული დამაბულობისა და მომავალი დაპირისპირების თემა პრესაში, ძირითადად, სააკაშვილი-ჟვანიას ურთიერთმიმართების ფონზე ვითარდება, მაგრამ აქა-იქ პერსონალურად ბურჯანაძეც ხსენდება; “ჯორჯიან თაიმსი” წერს, რომ სააკაშვილის სამომავლო მიზანი იქნება თავიდან მოიცილოს “ინტრიგებში გაწრთვნილი ჟვანია და ბურჯანაძე.” (“ჯორჯიან თაიმსი”, 08.01.2004)

სახელისუფლო ლიდერთა რევოლუციური სამეულის მესამე წევრის – ზურაბ ჟვანიას პერსონა პოსტრევოლუციური პერიოდის პრესაში უშუალოდ არის დაკავშირებული საკადოო პოლიტიკის, მოსალოდნელი საკონსტიტუციო ცელიდებების, ანუ, პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღების, ასევე, პოლიტიკურ სამეულს შორის მოსალოდნელი უთანხმოებისა და ძალაუფლების განაწილების თემებთან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ “ვარდების რევოლუციის” მომდევნო თვეებში, ისევე როგორც ნინო ბურჯანაძის, ზურაბ ჟვანიას პერსონის მიმართაც ინტერესი პრესაში საგრძნობლად შენელდა (თუ არ ჩავთვლით გაზეთ “ჯორჯიან თაიმსს”, რომელიც ფართოდ ანშლაგირებულ სკანდალურ პუბლიკაციებს უძღვნის ჟვანიას პერსონას).

ზურაბ ჟვანიას პოპულარობის კლებას პოლიტოლოგი ივლიანე ხაინდრავა ასე სსნის: ჟვანიასადმი ნდობის ხარისხი პოლიტიკურ და არასამთავრობო წრეებში დაეცა და ისინი ამაში დამნაშავე არ არიან – იყო დრო, როცა ამ წრეებში ჟვანიას დიდი მხარდაჭერა პქონდა, მაგრამ მან, გარკვეულწილად, ვერ გაამართლა; 1995 წლის მეორე ნახევარი და მომდევნო ორი წელი პოზიტიური დინამიკის წლები იყო; მაშინ ახალგაზრდა რეფორმატორად წოდებული ჯგუფის ლიდერი ჟვანია იყო, მისი ხელმძღვანელობით პარლამენტი ნაყოფიერად მუშაობდა; მაგრამ მან ვერ შეძლო აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის გადამწყვეტი ბრძოლის გამართვა – თუ მოიგებდნენ, ხომ კარგი, თუ არადა, წაგების შემთხვევაში მათი სახით პროგრესული ძალების კონსოლიდაციის ცენტრი შეიქმნებოდა; ჟვანიამ შევარდნაძის ორბიტაზე მოძრაობა არჩია; მან, არსებითად, იმ პერიოდში დაიწყო მოედნის მოსუფთავება იმისათვის, რომ 2005 წელს პრეზიდენტის უაღტერნატივო კანდიდატი ყოფილიყო; ეს მისი სტრატეგიული შეცდომა იყო; მან დაკარგა ნდობაც და პოლიტიკური მოკავშირეებიც. (“24 საათი”, 16.01.2004)

მნიშვნელოვან სახელისუფლო პოსტებზე ჟვანია-სააკაშვილის კადრების განთავსებაზე მსჯელობისას პრესაში, ერთის მხრივ, გვხვდება მოსაზრება, რომ ჟვანიას უფრო დიდი საკადრო რესურსი აქვს; მეორეს მხრივ, არის ამ ტიპის

თვალსაზრისიც – რევოლუციის მთელი სიმძიმე “ნაციონალებმა” აიღეს თავის თავზე, დაბალი რეიტინგის ჟვანია კი ქვეყნის მეორე პირი ხდება და თავისი კადრებით აკომპლექტებს ხელისუფლებას.

როგორც აღვნიშნეთ, ზურაბ ჟვანია “ჯორჯიან თაიმსის” საგანგებო ყურადღების ობიექტია, ოდონდაც, სკანდალურ კონტექსტში; ჟვანია ფიგურირებს, როგორც “ზეიდ გამსახურდიას ხელისუფლების დამსობის აქტიური მონაწილე, რომლის მიერ უმძიმესი დანაშაულის ჩადენის ფაქტს მოწმეები ადასტურებენ”; როგორც ბაქო-ჯეიპანის პროექტის ფარული და აქტიური მოწინააღმდეგე, მეზობელი ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ. (“ჯორჯიან თაიმსი”, 08.15.22.2004)

სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე ზურაბ ჟვანიას კორუფციული ქმედებების თანამონაწილედ და თანაორგანიზატორად მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ამის გამო დაიხურება კორუფციასთან დაკავშირებული ყველა რეალური საქმე, რომელიც პროკურატურაში შევა. (“ახალი თაობა”, 20.01.2004)

- აჭარის მოვლენები – “ვარდების რევოლუციის” ლოგიკური გაგრძელება

“ვარდების რევოლუციის” შედეგების შეფასებისას, რევოლუციის წლისთავზე და შემდგომაც, ახალი ხელისუფლების მთავარ წარმატებად მიიჩნევა აჭარის ფაქტობრივი დაბრუნება საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში. ჩვენი აზრით, ამას გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა – აჭარის დაბრუნება არა მხოლოდ კონსტიტუციურ, არამედ ერთიანი სახელმწიფო ცნობიერების გელში.

ახლა, როცა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ აფხაზეთისა და ეწ. სამხრეთ ოსეთის დაბრუნება საქართველოს სახელმწიფო ეპიკომიტეტის უფრო დაშორდა რეალობას, ვიდრე ეს თუნდაც “ვარდების რევოლუციის” შემდგომი პერსპექტივით ისახებოდა, აჭარაში განვითარებული პროცესების მედიარეტროსპექტივა და ანალიზი უფრო საყურადღებო ხდება. მით უფრო, რომ ამ თემის ასახვა პრესაში, ჯერჯერობით, არაა შესწავლილი და გაანალიზებული. თანაც, დროისმიერი დისტანციების შემდეგ ისე მოჩანს, თითქოს ყველაფერი ერთი ხელის დაკვრით მოგვარდა. პრესაში ასახული გითარება კი გვიჩვენებს, რომ ეს პროცესი რთული საშინაო და საგარეო პერიპეტიების თანხლებით მიმდინარეობდა. ამდენად, საჭიროდ ჩავთვალეთ უფრო ვრცლად წარმოგვედგინა აჭარაში განვითარებული მოვლენების მედიასურათი.

“ვარდების რევოლუციის” დღეებშივე და რევოლუციის შემდგომ, აჭარის თემა ისევ გახდა ის “მთავარი საფრთხოებელა”, რომელსაც ქართულ პოლიტიკაში დამკვიდრებული ტრადიციით, ხელისუფლება მომგებიანად იყენებდა რთულ სიტუაციებში მანიპულირებისა და მოვლენათა სიმძიმის ცენტრიდან ყურადღების

“სხვაგან” გადატანისათვის. ცენტრსა და რეგიონს შორის ბუნებრივად არსებული პრობლემების გამწვავება ორივე მხარისთვის ხელსაყრელ სიტუაციას ქმნიდა სათანადო საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად.

“აჭარის ავტონომიას და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის წინააღმდეგობრივი, ხანდახან კი მეტად მწვავე ურთიერთობა ქართული სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა, – წერს დავით დარჩიაშვილი ნარკვევში “საქართველოს დედაქალაქი და რეგიონები” (ნაშრომი შესრულებულია საქართველოში დემოკრატიული მშენებლობის ძირითადი ტენდენციების შემაჯამებელი საექსპერტო პროექტის ფარგლებში, – ლ.კ), – ეს წინააღმდეგობები სეპარატიზმის კვალიფიკაციას ნამდვილად არ იმსახურებს. საამისოდ მას მთავარი კომპონენტი – ნაციონალიზმი აკლია. დაპირისპირება მმართველი ელიტების დონეზეა, მას არ ახლავს საზოგადოების მობილიზაცია ეთნიკური ან კონფესიური იდეების დონეზე. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ აჭარა არ ერიდება საქართველოს კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში შესვლას.” (16, 18)

მიუხედავად იმისა, რომ აჭარასთან მიმართებაში პრესაში გვხვდებოდა ტერმინი – “სეპარატისტული რეგიონი” ან – “აჭარული სეპარატიზმი”, ბუნებრივია, იგი არ იყო აფხაზური და ოსური სეპარატიზმის ტოლფასი ვითარების გამომხატველი. თუმც, სამივე ამ რეგიონის ხელისუფლებას აერთიანებდა რუსეთთან მიმართების ფაქტორი. როგორც დავით დარჩიაშვილიც აღნიშნავს ზემოთ დამოწმებულ ნაშრომში, “აჭარის ავტონომიის ლიდერი ხაზგასმით რუსეთის ერთგულია, რითაც აშკარად უპირისპირდება თბილისის პროდასაგლურ კურსს.” (16, 81)

აჭარის თემის დომინირება პრესაში არ შემოიფარგლება მხოლოდ ოპერატიული საინფორმაციო საბაბებითა და არსებული ვითარების ანალიზით; პუბლიკაციებში იკვეთება ბოლო წლებში ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობის ჩამოყალიბების პროცესი და შედეგად მიღებული მოდელი, რომელიც ფონს ქმნის აჭარაში განვითარებული მოვლენების ლოგიკური ახსნისთვის:

პირველი კონფლიქტი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და მის მიერვე დანიშნულ ასლან აბაშიძეს შორის 1991 წლისთვის წარმოიქმნა. მაშინ ხელისუფლება თბილისსა და ბათუმში ერთნაირად მყიფე იყო და რომ არა 1991-1992 წლების ცნობილი მოვლენები, შესაძლოა, აბაშიძის მმართველობას სერიოზული პრობლემები შექმნოდა;

1992-1995 წლებში აფხაზეთში დამარცხებულ და დასავლეთ საქართველოში გამსახურდიას მომხრეებთან მებრძოლ ხელისუფლებას აბაშიძისთვის აღარ ეცალა და სწორედ ამ პერიოდში მოიპოვა მან აბსოლუტური ძალაუფლება აჭარაში;

საქართველოს ძველი ხელისუფლება, ისევე როგორც ახლანდელი, დაინტერესებული იყო გაეკონტროლებინა ბათუმის პორტი და სარფის საბაჟო, ანუ

აბაშიძის ხელისუფლებისა და სიძლიერის მთავარი საყრდენი. ამისთვის ირიბი ზეწოლის ფორმებს მიმართეს (მაგალითად, პრიორიტეტის მინჯება ფოთის პორტისთვის), მაგრამ ამგვარ ფორმებს აჭარის ხელისუფლება მაინცადამაინც არ დაუზარალებია; ამიტომაც, თბილისსა და ბათუმს შორის ურთიერთობამ პოლიტიკური თამაშის სახე მიიღო; პრეზიდენტი შევარდნამე ჯერ აბაშიძის ხელისუფლებას და “აღორძინებას” აბალანსებდა “მოქავშირელი” რეფორმატორებით, შემდგომ უკვე “აღორძინებით” აბალანსებდა ოპოზიციაში გადასულ თანაგუნდელებს;

“ვარდების რევოლუციისას” აბაშიძის “დესანტმა” ვერ გადაარჩინა ცენტრალური ხელისუფლება, სამაგიეროდ, ამგვარმა აქტიურობამ და აჭარაში არსებული კითარების შენარჩუნების ამოცანამ გააღრმავა კონფლიქტი ცენტრსა და რეგიონს შორის; უფრო მეტიც, ფაქტობრივად, მან მიიღო სახელმწიფოს განვითარების ორ შესაძლო მიმართულებას შორის მსოფლიხედველობრივი კონფლიქტის ხასიათი.

“ჩოლოქის ინციდენტმა სახელი დაარქვა წლების მანძილზე ჩამოყალიბებულ პრობლემას და ნათელყო, რომ “შეუძლებელია ადამიანები ცხოვრობდნენ ერთ სახელმწიფოში და ერთდროულად ორი სხვადასხვა სისტემის პირობებში”. (“24 საათი”, 19.03.2004)

აჭარა ერთგვარი ტესტი გახდა, რომელმაც გამოამჟღვნა: საქართველოს ახალი ხელისუფლების ძლიერი და სუსტი მხარეები, როგორც საგარეო, ისე საშინაო ფრონტები; ფარული და აფიშირებული შიდა ბრძოლები თუ საგარეო კონფრონტაცია; საზოგადოების ერთსულოვნებისა და საერთაშორისო მხარდაჭერის ფაქტორი. შევცდებით თანმიმდევრულად განვიხილოთ აჭარასთან დაკავშირებული და აჭარაში განვითარებული პროცესები. პირველ რიგში, შევეხებით ორივე მხარის – ცენტრისა და რეგიონის, უფრო კონკრეტულად, მიხეილ სააკაშვილისა და ასლან აბაშიძის პოზიციას, მოტივაციას, ურთიერთმიმართებას.

ასლან აბაშიძის დამოკიდებულება “ვარდების რევოლუციის”, ედუარდ შევარდნაძისა და ახალი ხელისუფლების მიმართ პრესის პუბლიკაციებში ზოგადად ასე ყალიბდება:

აშშ-მ ედუარდ შევარდნამე აიძულა გადამდგარიყო და საქართველოს ხელისუფლებაში “დემოკრატები” მოიყვანა; საქართველოში რუსეთისა და აშშ-ის ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა; ამაში შევარდნაძეა დამნაშავე, რადგან მას რომ ერთი პოლიტიკური ხაზი გაეტარებინა, თავის ადგილზე დარჩებოდა; საქართველოს უოფილი პრეზიდენტის ათწლიანმა თამაშმა ქვეყანა სავალალო შედეგებამდე მიიყვანა; საქართველოს მოსახლეობა მალე გამოფხიზლდება; ეს ახალი რეჟიმი უფრო სწრაფად და უარესად დასრულდება, ვიდრე წინა.

ამასთან, პრესაში ჩნდება “მესიჯი აჭარიდან” – რომ ასლან აბაშიძისათვის ახალი ხელისუფლებიდან ყველაზე კომპრომისული გარიანტი ზურაბ უგანიასთან მოლაპარაკებაა, მიხეილ სააკაშვილის “პოლიტიკური ენა” კი “აღორძინებას” არ ესმის.

ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნების წინა დღეებში მიხეილ სააკაშვილმა მკაფიოდ გამოხატა თავისი პოზიცია აჭარის მიმართ: მე არ დავუშვებ, რომ საქართველოში იყოს ორი მთავარსარდალი; მე მზად ვარ წავიდე დათმობაზე, მაგრამ დათმობა არ მოხდება სახელმწიფო სარჯოებრიობის ხარჯზე. (“ახალი თაობა”, 03.01.2004); ხოლო საფრანგეთში ვიზიტად მყოფი მიხეილ სააკაშვილის განცხადება (ქართულ დიასპორიასთან შეხვედრისას) იმის თაობაზე, რომ იგი ვერ მოითმენს “ფეოდალების უგმაყოფილო ბურტყუნს” და აჭარაში სრული კონტროლის დამყარებას აპირებს (ხვალინდელი დღე, 10.03.2004), მკაფიო “მესიჯი” იყო არა მხოლოდ ასლან აბაშიძისა და აჭარისათვის, არამედ, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლებისთვისაც.

“ვარდების რევოლუციის” შემდგომ ასლან აბაშიძის დაუყოვნებლივ ვიზიტს რუსეთში და მის გასაიდუმლოებულ შეხვედრებს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ ხელმძღვანელობასთან, მედიაში ძირითადად ორგვარი ტიპის გამოხმაურება მოჰყვა: ერთი – რომ ეს არის რუსეთის შორსგამიზნული სცენარის ნაწილი – საქართველოდან აჭარის ჩამოშორების მცდელობა და, საბოლოო ჯამში, საქართველოს დანაწევრება; მეორე – რუსეთის ფაქტორს ასლან აბაშიძე იყენებს ”სავაჭრო თემად”, რომ ავტონომიის შიგნითაც შექმნას შესაბამისი განწყობა და ცენტრისა და საქართველოს მოსახლეობის წინაშეც მოახდინოს თავისი შესაძლებლობების დემონსტრირება. ამ ვიზიტს მაშინვე მოჰყვა პირველი შედეგი – 2004 წლის 9 დეკემბერს, რუსეთის ფედერაციაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მცხოვრებთათვის ცალმხრივი გადაწყვეტილებით აამოქმედა სავიზო მიმოსვლის გამარტივებული რეუიში.

“ვარდების რევოლუციის” შემდეგ, პირველ რიგში, გამოიკვეთა კონკრეტული პრობლემა – მომავალ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებთან აჭარის მიმართება. პრესაში იკვეთება მოსაზრება, რომ თუ არჩევნებში აჭარა მონაწილეობას არ მიიღებს, მაშინ არჩევნები კანონგარეშეა. ასლან აბაშიძემ სცადა არჩევნების თემა მაქსიმალურად გამოყენებინა მანიპულირებისა და მანევრირებისთვის. ერთის მხრივ, იგი აცხადებდა, რომ ახალ ხელისუფლებას დეგიტიმურად არ თვლის და მათ არ ექვემდებარება; მეორეს მხრივ, პრესის ვერსიით, აბაშიძე სატელეფონო საუბარში უგანიას გაურიგდა, რომ აჭარის მოსახლეობა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ საპარლამენტო არჩევნები გაზაფხულისთვის გადაიდება. მოგვიანებით, პეიდარ ალიევის დაკრძალვაზე ბაქოში მყოფმა ასლან აბაშიძემ განაცხადა, რომ ბოიკოტს უცხადებს არჩევნებს. უკანასკნელ

წუთებში იგი ერთგვარ დემონსტრაციულ კომპრომისზე წავიდა, როცა საპრეზიდენტო არჩევნების ბოიკოტირება გადაიფიქრა და საარჩევნო უბანზე გამოცხადდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მოსკოვში ასლან აბაშიძის მორიგი ვიზიტი პრესაში შეფასდა, როგორც საკუთარი ხელისუფლების გადარჩენის მცდელობა. რუსეთის დედაქალაქიდან გაცხადებული აბაშიძის პოზიცია უფრო მკვეთრი და თამამი იყო: მისი განცხადებით, საქართველოს ახალი ხელისუფლება ცდილობს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებიდან ხალხის ურადღების გადატანას აჭარის რეგიონზე. ასლან აბაშიძე შექმნილ სიტუაციას 1992 წლის იდენტურს უწოდებს. საგულისხმოა მისი მინიშნება ყარსის ხელშეკრულებაზე, “რომლის თანახმადაც, საქართველოსა და აჭარას შორის არსებული ყველა წინააღმდეგობა აჭარის პარლამენტის გადაწყვეტილების თანახმად უნდა მოგვარდეს.” (“მთავარი გაზეთი”, 16.01.2004)

ამასთან, პრესის ვარაუდით, ასლან აბაშიძე ანგარიშს უწევს იმ ფაქტორს, რომ მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი, საქართველოს ხელისუფლების გარდა, მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის კონსულტაციებზეცაა დამოკიდებული; ამიტომ იგი უკან დასახევ გზასაც იტოვებს და აცხადებს, რომ აჭარა აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას 28 მარტის არჩევნებში, ვინაიდან აჭარა საქართველოს განუყოფელი ნაწილია.

პრესაში, ასევე, ვხვდებით მოსაზრებას, რომ ასლან აბაშიძემ აღდო აუღო ჯერ შევარდნაძის, შემდეგ სააკაშვილის მმართველობას; იგი არავის გულისოვის არ აპირებს ცენტრთან ურთიერთობის გაფუჭებას – აკაკი ჩხაიძესაც თმობს და ლევან მამალაძესაც. (“ალია”, 17.01.2004)

პარალელურად, პრესის პუბლიკაციებში (სათაურებშიც!) ჩნდება მინიშნება აჭარაში რევოლუციური სულისკვეთების გაჩენისა და “რევოლუციაში გადაზრდის” საფრთხეზე: “აჭარაში მინირევოლუცია მწიფდება”, “აჭარაში ერთი წითელი გარდი უკვე შეგდებულია”, “გარდების რევოლუციის ექსპორტი ბათუმში”, “ბათუმის უნივერსიტეტის კედლებზე წარწერა – “გმარა” გაჩნდა” და ა.შ. პრესაში გაჩნდა პუბლიკაციები, რომლებშიც აჭარის წარმომადგენლები (ძირითადად, ერთი და იგივე პიროვნებები) გმობენ ასლან აბაშიძის ქმედებებს. ამგვარ განწყობას ინტერესების სახელით ახმოვანებენ აჭარის უნივერსიტეტის პროფესორები მიხეილ მახარაძე და ნუგზარ მგელაძე.

მიხეილ მახარაძე: “აჭარის მოსახლეობა ძალიან საღად აზროვნებს, ისინი არ ჩაერთვნენ მმათამკვლელ ომში, რომლისკენაც აბაშიძე უბიძგებდა, მათ ეშინიათ თავისუფალი აზრის გამოხატვის... აბაშიძე ხელისუფლების შესანარჩუნებლად სისხლისდგრასაც არ მოერიდება.” (“ახალი თაობა”, 13.12.2003)

ნუგზარ მგელაძე: “...მისი ეს ნაბიჯები ჩვენი კუთხის განკერძოებისაკენ მიმავალი გეგმის ნაწილია... მართალია, ხალხი აქ ხმას არ იღებს, მაგრამ ვიცი, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ამ პოლიტიკურ სკლებს, რომელსაც “აღორძინება”

ახორციელებს, მხარს არ უჭერს... იმ გზას, რომელზედაც აბაშიძე ახლა საუბრობს, შეუძლებელია ქართული ცნობიერების ადამიანმა მხარი დაუჭიროს.” (“ახალი ვერსია”, 15.12.2003)

2004 წლის საპრეზიდენტო აღმენინების შემდეგ აჭარაში მოსალოდნელი რევოლუციური ცვლილებების აქცენტი პრესაში კიდევ უფრო გაძლიერდა: “საქართველოს ახალი ხელისუფლების მთავარი პოლიტიკური “შეტყობინება” უკვე ასე უდერს – “კმარა ასლან აბაშიძის პარტაში!” (“მთავარი გაზეთი”, 08.01.2004); “აჭარის სოფლებში ხელისუფლებაზე შეტყვისთვის ემზადებიან” (“დილის გაზეთი”, 13.01.204); “აბაშიძე და მისი რეჟიმი ატაგიზმია” (“24 საათი”, 16.01.2004); “ყინული დაიძრა” და აჭარაში ოპოზიციური სოციუმი ამოძრავდა” (“დილის გაზეთი”, 16.01.204); “რევოლუცია დინჯად, მაგრამ საოცრად დროულად მიიწევს აჭარისაკენ.” (“ხვალინდელი დღე”, 22.01.2004)

აჭარის თაობაზე პოლიტოლოგების, პოლიტიკოსების, ფსიქოლოგების და ა.შ მოსაზრებებში გვხვდება ამ თემისადმი ფრთხილი დამოკიდებულება: რომ, შესაძლოა, აჭარაში “კმარას” გააქტიურება ნაადრევი იყოს, იქ ჯერ ამისათვის ნიადაგი არ არის შემზადებული; რომ “ვარდების რევოლუცია”, თბილისისაგან განსხვავებით, აჭარაში უფრო დრამატულად განვითარდება; რომ ახალ ხელისუფლებას აჭარით არ უნდა დაეწყო, რადგან ამას გამოძახილი მოჰყვება სოხუმში; აჭარის პრობლემა აფხაზეთის პრობლემის შემდეგ უნდა მოგვარდეს.

საპრეზიდენტო აღმენინების შემდეგ პრესამ უკვე ასლან აბაშიძის შესაძლო შემცვლელზე დაიწყო მსჯელობა. პრესაში გაჩნდა მესიჯები: “აჭარულმა საკითხმა” “ნაციონალებსა” და “დემოკრატებს” შორის არსებული ბზარი გამოაჩინა”; “უგანიასა და სააგაშვილის გუნდებს შორის, აჭარის ლიდერის სავარძლის საბაბით, სკანდალი მწიფდება”; “უგანია სურმანიძეს აბაშიძის ადგილისთვის ამზადებს” და ა.შ. “აჭარაში საზოგადოება უკვე სამად არის გახლებილი – ასლან აბაშიძის, დავით ბერძენიშვილისა და ედვარდ სურმანიძის მხარდამჭერები”, – წერს “ხვალინდელი დღე” (“ხვალინდელი დღე”, 27.01.2004) უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ – ოთხად, ვინაიდან ედვარდ სურმანიძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული ახალი ორგანიზაცია “დემოკრატიული აჭარა” (ზურაბ უგანიას თანადგომით), ფაქტობრივად, დაუპირისპირა რევოლუციური ხელისუფლების მიერ “ნაციონალების” რეზერვით შექმნილ მოძრაობას – “ჩვენი აჭარა”, რომელიც მხარს უჭერდა აჭარის შესაძლო ლიდერის კიდევ ერთ კანდიდატს, ფოთის პორტის ხელმძღვანელს, ჯემალ ინაშვილს.

გაცილებით უფრო ფარული და სახიფათო დაპირისპირება გამოამჟღავნა ეწ. “ჩოლოქის ინციდენტმა”; როგორც “ალია” აღნიშნავდა, “ჩოლოქი სიმბოლურად ამერიკა-რუსეთის სამხედრო დაპირისპირების პოლიგონი” გახდა. (“ალია”, 18.03.2004). პრესის პუბლიკაციების მიხედვით, ეს ფრაზა არ არის მხოლოდ ურნალისტური

განწყობა და არც აჭარა იყო მხოლოდ სიმბოლური პოლიგონი. ჩოლოქთან შექმნილი ექსტრემალური სიტუაცია (სპეციალისტთან ერთად აჭარისკენ მიმავალ საქართველოს პრეზიდენტს აჭარის საზღვართან, ჩოლოქთან, ჩახერგილი გზა და აბაშიძის შეიარაღებული მომხრეები გადაეღობნენ), ერთის მხრივ, მოსალოდნელიც იყო, მაგრამ, მეორე მხრივ, ერთგვარად დაჩქარებული, ფატალური შედეგის დიდი ალბათობით.

პრესაში ბუნებრივად გაჩნდა კითხვები: ხომ არ იყო ეს სერიოზული შეთქმულება მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ; პრეზიდენტის ჩიხში შეყვანის, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ მისი დისკრედიტაციის მცდელობა; ვინ ურჩია პრეზიდენტს აჭარაზე ფორსირებული შეტევა; აჭარის ეკონომიკური ბლოკადა (ანუ თვითბლოკადა) ხომ არ იყო პროგოცირებული ტრასექას პროექტისა და საქართველოს პოლიტიკური იმიჯისთვის საფრთხის შესაქმნელად.

ამ კითხებზე პასუხების გაცემას ისევ პრესა ცდილობს. იგვეთება რამდენიმე მოსაზრება: პრეზიდენტი შეცდომაში შეიყვანეს არასწორი ინფორმაციებით; ბოკერია და ბერძენიშვილები სააკაშვილს აჭარაზე შეტევას ურჩევდნენ; პრეზიდენტის აჩქარება, შესაძლოა, კობა ხაბაზსაც ემყარებოდეს, რომელიც მსუბუქად წარმოუდგენდა მას ბათუმში არსებულ ვითარებას” (დილის გაზეთი, 16,17.03.2004; ახალი თაობა, 18.03.2004); “ვინ დაეხმარა პრეზიდენტს თავი გაეშარჟებინა მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში – საკუთარი ქმედებები თუ პრემიერ-მინისტრი, რომელიც იშვიათად თუა სააკაშვილის პოლიტიკის ბოლომდე გამტარებული.” (“ჯორჯიან თაიმსი”, 18.03.2004); “ერთ-ერთი ვერსიით, სააკაშვილის პოლიტიკური გაბითურების გეგმა უნდა შეემუშავებინა მისივე თანამებროლ ზურაბ ჟვანიას, რომელიც აბაშიძესთან უფრო ახლოა, ვიდრე სააკაშვილი.” (“ახალი თაობა”, 18.03.2004)

“ჯორჯიან თაიმსი” ყურადღებას ამახვილებს სააკაშვილის ფრაზაზე – “გადაწყვეტილება გვიან დამე მივიღე”; ავითარებს ვერსიას, რომ, შესაძლოა, ბათუმის და სააკაშვილის მოქმედება ერთიდაიგივე პირველწევაროდან იყო ინიცირებული და ასკვნის, რომ “მსგავსი საინფორმაციო ოპერაციის ჩატარება და კვალის დაფარვა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურებში სერიოზული პოზიციების ფლობის შემთხვევაში.” (“ჯორჯიან თაიმსი”, 25.03.2004)

იმ სერიოზულ საფრთხეზე, რაც შეიძლება ჩოლოქთან წარმოშობილ სიტუაციას მოჰყოლოდა, მსჯელობდა არა მხოლოდ ქართული, არამედ უცხოური პრესაც. გაჩნდა პარალელები აფხაზეთთან, მინიშნება “სამოქალაქო ომის” შესაძლებლობაზე (რუსულ მედიაში), რუსული ჩარევის საფრთხეზე, ამერიკის შეშფოთებაზე... “პრეზიდენტმა სააკაშვილმა თანამდებობაზე მოსვლიდან ორი თვის შემდეგ ინიცირება გაუბეთა თავის პირველ კრიზისს”, – აღნიშნავდა “ნიუ-იორკ თაიმსი”. (“რეზონანსი”, 19.03.2004)

ამ ფონზე მით უფრო მნიშვნელოვანია ის გამოხმაურება, რომელიც კრიზისის დაძლევას მოჰყვა: “მიხეილ სააკაშვილის ტრიუმფალური სკლა ჩოლოქიდან

ბათუმამდე”; “სააკაშვილმა “აჭარული გამოცდა” ხუთზე ჩააბარა”; “ტელეკომპანია “ევრონიუსმა” სააკაშვილის გუშინდელ მოლაპარაკებებს პირველი სერიოზული გამარჯვება უწოდა პრეზიდენტად არჩევის შემდეგ.” (“დილის გაზეთი”, 19.03.2004); “პრეზიდენტმა სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება მიიღო და კონფლიქტი მშვიდობიანად მოაგვარა”; “ჩოლოქი – ხელოვნური რუბიკონი გადალახულია” (“მთავარი გაზეთი”, 19.03.2004); “გარდების რევოლუციაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი გამარჯვება” (“24 საათი”, 19.03.2004); “ეს იქმ სააკაშვილის გამარჯვება ანგარიშით 2:1”; “საქართველომ ბეჭვის ხიდზე გაიარა” (“კვირის პალიტრა”, 22.03.2004); “ძალიან მოკლე დროში საქართველომ ორჯერ გაიარა ბეჭვის ხიდზე და თავიდან აიცილა ძმათა სისხლისღვრა” (“რეზონანსი”, 22.03.2004); “ფოთი-ქობულეთის გზაზე ხალხი პრეზიდენტს სახელმწიფო დროშებითა და წითელი გარდებით ეგებებოდა.” (“კომერსანტ.რუ”, “კვირის პალიტრა”, 22.03.2004)

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რუსმა ურნალისტებმაც ვერ აუარეს გვერდი აჭარაში საქართველოს პრეზიდენტთან მოსახლეობის გულთბილი შეხვედრის ფაქტს და ისიც კი აღნიშნეს, რომ “ჩოლოქი ჩაბარდა”. (“ნტვ”, “გაზეტა.რუ”) რუსულმა ონლაინ-გაზეთმა საგანგებოდ აღნიშნა ჩოლოქის “სასაზღვრო პუნქტის” გადაკეტვის მიუხედავად, აჭარაში მანქანით შესვლის ფაქტი, როგორც სააკაშვილის პრინციპულობის ნიშანი.

დახურულ კარს მიღმა მიხეილ სააკაშვილისა და ასლან აბაშიძის ოთხსაათიანი დიალოგის შედეგად მიღწეულ შეთანხმებას, კრიზისის მშვიდობიან დაძლევასთან ერთად, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა – აჭარის მოსახლეობაში შიშის სინდრომის გადალახვა. ამ ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა, როგორც ჩანს, არსებითი მნიშვნელობა იქონია საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე.

აჭარისათვის ბრძოლის მეორე ეტაპი სწორედ საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება.

პრესაში ვხვდებით აქცენტს, რომ აჭარის თემის გააქტიურება “საარჩევნო პიარია”. “სააკაშვილსა და აბაშიძეს შორის დაბაბულობას რევოლუციის ჩრდილში მოხვედრილი პარტიები საარჩევნო ტრიუკად ნათლავენ. ეს ხმაური გრიგალივით არის – მიდის და თან ელექტორატის ხმებს აგროვებს”, – “ალიას” ანალიტიკური პუბლიკაციის ავტორი, ქეთი ხატიაშვილი, პარტიების მოსახრებას საკუთარი არგუმენტებითაც აძლიერებს – სააკაშვილს უყვარს ხმაური და მძვინვარება; ეს მისი სტიქია; 2 ნოემბრის საარჩევნო ეკონომიკური დაპირებები: მცირე ბიზნესის გადასახადებისაგან გათავისუფლება ორი წლით, ხელფასებისა და პენსიების გაორმაგება – ახლა პოლიტიკურმა ფრაზამ შეცვალა – ყველაფერი საქართველოს გაერთიანებისთვის; აჭარის ლომთან დაპირისპირების ფონზე პოლიტიკა უფრო აქტუალური ხდება.” (“ალია”, 23.03.2004)

პრესაში მუსირებდა საპარლამენტო არჩევნების დღისთვის აჭარაში სიტუაციის უკიდურესად დაძაბვის პროგნოზი. ამდენად, მთელი საარჩევნო პროცესის ასახვა მედიაში აჭარის თემის პრიმატით მიმდინარეობდა. 28 მარტს, მთელი დღე, ტელეკომპანიები ავრცელებდნენ ინფორმაციას აჭარაში არჩევნების ტოტალური გაყალბების თაობაზე; საუბარი იყო იმაზეც, რომ თითქოს ბათუმის ქუჩებში ტანკები დადიოდა; ამგვარი განცხადება ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარებაც გაავრცელა. ამ ფონზე, აჭარაში საგანგებო ვიზიტით მყოფმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ, საღამოს, ასლან აბაშიძესთან თათბირის შემდეგ, “სახელდახელო კომენტარი” გააკეთა. მან აჭარაში შექმნილ ვითარებას ნორმალური უწოდა და აღნიშნა “შეოლოდ წერილმანი დარღვევები” (“ახალი თაობა”, 29.03.2004); “ჩვენი მიზანია, საბოლოოდ დაგუსვათ წერტილი ტყუილ მითქმა-მოთქმას”, – აღნიშნა ჟვანიამ” (“რეზონანსი”, 29.03.2004) ჟვანიასთან ერთად ასლან აბაშიძის მიერ გაკეთებულ განცხადებაში ფიგურირებდა ინფორმაცია, რომ ზურაბ ჟვანიამ პრეზიდენტს დაურეკა დეზინფორმაციის შეწყვეტის თხოვნით. “არ შეიძლება დეზინფორმაციებზე აიგოს განცხადებები. არიან ძალები, რომელთაც სიმშევალე ხელს არ აძლევთ. ყველაზე ძალიან აჭარის ხელისუფლებას უნდა, რომ აქ, აჭარაში არჩევნები მაღალ დონეზე ჩატარდეს”, – განაცხადა ასლან აბაშიძემ. (“ახალი თაობა”, “რეზონანსი”, 29.03.2004) პრესას შეუმჩნეველი არ დარჩენია შეუსაბამობა აჭარაში მოსალოდნელ ვითარებას, არჩევნების დღეს გავრცელებულ საგანგაშო ინფორმაციებსა და ზურაბ ჟვანიას მიერ ბათუმიდან გაკეთებულ განცხადებას შორის.

წლების მანძილზე სახელისუფლებო პარტიის მთავარ კონკურენტად და ბევრი სხვა პარტიის “პოლიტიკურ ლოკომოტივად” მიჩნეული “აღორძინების” დარჩენას პარლამენტს მიღმა, და ამ ფაქტის “უხმაუროდ” დატოვებას, პრესაში დაახლოებით ასეთი რეზონანსი მოჰყვა: არჩევნების ჩაშლა არც ასლან აბაშიძეს აწყობდა; იგი ფლობდა ინფორმაციას მოსალოდნელი გამანადგურებელი დამარცხების შესახებ, ამიტომაც, წინასწარ იჭერდა თადარიგს და არჩევნებს თავისთვის უმნიშვნელოს უწოდებდა; აბაშიძემ არჩია დაეთმო “აღორძინება” ხელისუფლების შენარჩუნების სანაცვლოდ.

საპარლამენტო არჩევნების შედეგად “აღორძინების” გასვლას სახელისუფლებო ავანსცენიდან “უცხოური მედიაც გამოეხმაურა. ბრიტანული “გარდიანი” ამ ფაქტს საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტის გამარჯვებად მიიჩნევს: “როდესაც ცნობილი გახდა, რომ მეამბოხე აჭარაში პრობლემურმა არჩევნებმა მშვიდობიანად ჩაიარა და ავტონომიის ლიდერი მათი შედეგების კანონიერებაზე დათანხმდა, ცხადი გახდა, რომ საქართველოს ახალმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კარიერის პირველი მსხვილი პოლიტიკური კრიზისის გადალახვა შეძლო.” (“გარდიანი”, 29.03.2004) რუსული “იზვესტია”, პირიქით, არჩევნების შედეგს ასლან აბაშიძისთვის ხელსაყრელად

წარმოაჩენს: “პარლამენტის მანდატების შეწირვით და იმის მოხერხებით, რომ საქართველოს ხელისუფლებას აჭარაში ვითარების პროცესირების საშუალება არ მისცა, აბაშიძემ არათუ ხელისუფლება შეინარჩუნა, არამედ ვითარება თავის სასარგებლოდაც შემოაბრუნა.” (“იზვესტია”, 30.03.2004)

დიამეტრალურად განსხვავებულ შეფასებებს ქართულ პრესაშიც ვხვდებით:

“28 მარტს... ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა ნოემბრის ლიბერალური რევოლუცია”; “ძალიან დიდი როლი შეასრულა აჭარის მოვლენებმა... საქართველოს პოლიტიკურ სცენაზე აბაშიძისა და მისი “აღორძინების” ფაქტორი აღარ არსებობს.” (“24 საათი”, 29.03.2004)

“ასლან აბაშიძეს შეეძლო არჩევნების გაყალბება (უარეს შემთხვევაში, ჩაშლა). ამისთვის მას სერიოზული ბერკეტები ჰქონდა, მაგრამ... მან სერიოზული პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა და დაინტერესებულ საზოგადოებას დაანახა, რომ ის არის რეგიონის ლიდერი.” (“დილის გაზეთი”, 30.03.204)

პრესის შეფასებებში ყურადღება მახვილდება აჭარაში არჩევნების პროცესისა და შედეგის პოლიტიკურ ფაქტორზე; პუბლიკაციათა უმეტესობაში სწორედ ესაა მთავარი კრიტიკუმი და მეორე პლანზეა აჭარაში არჩევნების სამართლიანად ჩატარება-არჩატარების მომენტი. საინტერესოა, რომ საერთაშორისო დამკვირვებელთა შეფასებები უფრო დელიკატურია, ვიდრე ადგილობრივების. ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიების ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ აჭარის ხელისუფლებას არ უცდია დემოკრატიული არჩევნებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა.

არასამთავრობო ორგანიზაცია “არჩევნებისა და მმართველობის ინსტიტუტის” დირექტორმა ნუგზარ ივანიძემ “ხვალინდელ დღესთან” ინტერვიუში განაცხადა, რომ გაურკვეველია, ის შედეგები, რომელიც აჭარიდან ჩამოვა, “ეს იქნება აჭარლების ნება, თუ ცენტრსა და რეგიონის მეთაურს შორის შემდგარი მოლაპარაკების პროდუქტი.” (“ხვალინდელი დღე”, 31.03.2004) აჭარაში არჩევნების შედეგი, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, არ გაუპროტესტებიათ ასლან აბაშიძესა და “აღორძინებას”; თუმც, რუსულ საინფორმაციო სივრცეში გაიქვერა აქცენტმა, რომ ასლან აბაშიძემ საქართველოს პრეზიდენტი არჩევნების ფალსიფიკაციის მცდელობაში დაადანაშაულა.

საპარლამენტო არჩევნებში “აღორძინების” დამარცხებისა და ასლან აბაშიძის ერთგარი კომპრომისის ფონზე, აჭარის თემის ინტენსიობა პრესაში უნდა შემცირებულიყო, მაგრამ ასე არ მომხდარა; პირიქით, პრესის აქცენტების მიხედვით, აჭარა ახალი ხელისუფლების საგარეო აქტივობის არეალშიც ხვდება.

2004 წლის აპრილში, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და პრემიერმინისტრ ზურაბ ჟვანიას ვიზიტები უკრაინასა და აშშ-ში, იქცა იმ ფაქტორებად, რომელმაც გამოკვეთა არა მხოლოდ საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკის განმსაზღვრელი ორიენტირები. პირველ რიგში, ვგულისხმობთ აჭარის პრობლემას. საერთაშორისო

დამოკიდებულების ფაქტორი, როგორც ჩანს, არსებითად განსაზღვრავდა როგორც ცენტრალური, ასევე რეგიონის ხელისუფლების ნაბიჯებს შემდგომი ურთიერთობისკენ.

აჭარის ლიდერთან უთანხმოების წარმოქმნისთანავე საქართველოს ახალგაზრდა ხელისუფლებას ყველაზე აქტიურად ევროსაბჭოსა და ეუთო-ს ექსპერტები უწევდნენ კონსულტაციებს, თუმც, როგორც “მთავარი გაზეთი” აღნიშნავს, “ბებერი კონტინენტის” ტრადიციულმა ლიბერალიზმა თბილისს მისაღები შედეგი ვერ მოუტანა. რუსეთის, უკროპისა და ამერიკის დაახლოებით ერთნაირმა პოზიციამ, რომელიც დიალოგის გზით დაპირისპირების მოგვარებას ანიჭებდა უპირატესობას, ხელისუფლებას ალტერნატიული მეთოდების მოსინჯვა შთააგონა.” (“მთავარი გაზეთი”, 28.04.2004)

აშშ-ში ზურაბ უგანიას ვიზიტის წარმატებასა თუ წარუმატებლობას პრესა სწორედ ასლან აბაშიძესთან დაკავშირებით ამერიკის პოზიციის ჩამოყალიბებას უკავშირებს. “აშშ-ში ვიზიტად მყოფი პრემიერი უგანია ძირითად ყურადღებას სწორედ აჭარის ავტონომიასა და მის ლიდერზე ამასვილებს და ცდილობს ვაშინგტონი დაარწმუნოს, რომ ასლან აბაშიძე, “შევარდნაძის ხელისუფლების გადმონაშთი” და “ნარკო-ტრეფიკინგის მამამთავარი”, “კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ” ახალ ხელისუფლებას სერიოზულ პრობლემებს უქმნის და, როგორც ჩანს, ამერიკის ოფიციალური წრეებისაგან სპეცოპერაციის ჩატარების “ნებართვას” იდებს.” (“ხვალინდელი დღე”, 29.04.2004) პრესაში სხვაგანაც გვხვდება ასეთი ვარაუდი – ამერიკა, აჭარის საკითხის მშვიდობიანი მოგვარებისკენ მოწოდების გარდა, არ გამორიცხავს მათ მიერ გაწვრთნილი ბატალიონების გამოყენებას საჭიროებისამებრ, ქვეყნის შიგნით არსებული ვითარების მოსაგვარებლად. პრესის პროგნოზით, ამგვარი, თუნდაც თეორიული შანსი, საერთაშორისო მხარდაჭერის დეფიციტი, მის წინააღმდეგ არსებული წამგებიანი საინფორმაციო ფონი, ასლან აბაშიძისთვის მართლაც შეიძლება იქცეს შემდგომი კომპრომისის საბაბად.

თავის მხრივ, ასლან აბაშიძე აქტიურად იყენებს “ყარსის კოზირს” და არა მხოლოდ რუსეთს, თურქეთსაც ახსენებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. რუსულმა საინფორმაციო სააგენტო “ინტერფაქსმა” გაავრცელა ინტერვიუ ასლან აბაშიძესთან. აჭარის ლიდერი დიად მოუწოდებს რუსეთს, რომ ასეთ ვითარებაში მან უბრალოდ კი არ უნდა დაიცვას აჭარა, არამედ ვალდებულია ეს გააკეთოს. აბაშიძის თქმით, “არსებობს ყარსის შეთანხმება, რომელიც თურქულ მხარეს ავალდებულებს აჭარა დაიცვას. ყარსამდე იყო მოსკოვის ხელშეკრულება, რომელიც რუსეთს იმავეს აკისრებდა.” (“დილის გაზეთი”, 13.03.2004)

ბუნებრივია, ამ ფონზე პრესაში გააქტიურდა ყარსის ხელშეკრულების თემა, რომლის კომენტირებისთვის ჟურნალისტებმა იურისტებს, ისტორიკოსებსა და პოლიტოლოგებს მიმართეს. მათი მოსაზრებები ასე ჯგუფდება: ერთი თვლიან, რომ

ხელშეკრულება უკვე ძალაშია, მეორენი – რომ მაინც ანგარიშგასაწევია, ოდონდაც იმ შემთხვევაში, თუ აჭარის ავტონომიის გაუქმების საკითხი დადგება.

საერთაშორისო სამართლის პროფესორის, ლევან მატარიძის კომენტარით, რუსეთი ყარსის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფო არ არის, იგი მოლაპარაკების მონაწილეა; რუსეთს, ყარსის ხელშეკრულების თანახმად, არანაირი გალდებულება და მოვალეობა არ მიუღია და წესით, მას აჭარასთან არანაირი გალდებულება-მოვალეობანი არ აკაგშირებს; აჭარის ავტონომიის სტატუსი, ყარსის ხელშეკრულების მიხედვით, ბევრად უფრო სხვანაირად გამოიყურება, ვიდრე სინამდვილეშია – იგი გულისხმობს არა ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას, არამედ ადმინისტრაციულ, ანუ კულტურულ და რელიგიურ ავტონომიას; თურქეთის მხარეს შეუძლია მოითხოვოს აჭარის ავტონომიის დაცვა, თუ მასზე უარს ვიტყვით, ოდონდაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავტონომიის ფარგლებში; ხელშეკრულება კი არ ითვალისწინებდა პარლამენტს, უმაღლეს საბჭოს, პრეზიდენტს... ყარსის ხელშეკრულება უვადოა და საქართველოსა და თურქეთს აქვთ მისი დენონსაციის უფლება, მაგრამ საკითხავია, ამ შემთხვევაში დათანხმდება თუ არა თურქეთი საქართველოსთვის აჭარის დაბრუნებას; ეს სახიფათო პერსპექტივაა. (“დილის გაზეთი”, 26.03.2004)

ყარსის თემას რუსეთიც ააქტიურებს. “1921 წლის რუსეთ-თურქეთის მოსკოვის ხელშეკრულების მიხედვით, რუსეთს შეუძლია აჭარას საერთაშორისო სუბიექტის სტატუსი მიანიჭოს”, – აცხადებს დსთის ქვეყნების ინსტიტუტის ხელმძღვანელი მიხაილ ალექსანდროვი. (“ჯორჯიან თაიმსი”, 18.03.2004) ამასთან, პრესა, “ბათუმურ წყაროებზე” დაყრდნობით, ავრცელებს ინფორმაციებს, რომ ქობულეთის სანაპიროზე რუსი სამხედროები გამოჩენდნენ; რომ ბათუმის აეროპორტიდან ცარიელი საბრძოლო თვითმფრინავი აფრინდა და ნაშუალამევს შეიარაღებული სამხედროებით დატვირთული უკან დაბრუნდა; რომ “ბათუმის რუსულ სამხედრო ბაზაზე სამხედრო წრთვნები დაიწყო”; რომ ბათუმის პორტში შევიდა და გადმოიტვირთა რუსული გემი, რომელიც საბრძოლო ტექნიკთა და ცეცხლსასროლი იარაღით იყო სავსე”. (ხვალინდელი დღე”, 12.03.2004; “რეზონანსი”, 17.03.2004) ჩოლოქის ინციდენტის აჭარაში საქართველოს ვიზის გარეშე ჩამოვიდა მოსკოვის მერი იური ლუკოვი; მკვეთრად ანტიქართული განწყობის რუსი დეპუტატები – ანდრეი საველიევი და ვიკტორ ალქესნისი ჩოლოქთან შეიარაღებულ მოსახლეობას შეხვდნენ და ისინი “გმირებად” გამოაცხადეს.

მეორე მხრივ, პრესა განიხილავს ამერიკასთან დაკავშირებულ ასპექტებს. “მთავარი გაზეთი” ავითარებს ვერსიას, რომ “პრორუსული აჭარული ანკლავის მოშლა ოკეანის მიღმა დაიგეგმა... საჭირო იყო ისეთი ფონის შექმნა, რომელიც აბაშიძის ხელისუფლების რუსეთთან აბსოლუტურ დამოკიდებულებას გააშიშვლებდა და პოლიტიკური არენიდან პრორუსული სტრუქტურის ეტაპობრივი ჩამოშორება

დაიწყებოდა... აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადების “მესიჯები”: მოწოდება მშვიდობისაკენ – ასლან აბაშიძის საყურადღებოდ, მინიშნება ამერიკელების მიერ გაწვრთნილ “კომანდოსექსა” და პანკისის წარმატებულ ოპერაციაზე – რუსეთისთვის; “შიდა ფრონტზე” თბილისს ბათუმთან “ომი” ფაქტობრივად მოგებული აქვს, ამერიკელებმა იციან, რომ ასლა “საგარეო ფრონტის” გახსნის დროა.” (“მთავარი გაზეთი”, 19.03.2004) ამავე გაზეთის მიხედვით, არსებობს საპირისპირო ვერსიაც – რომლის მიხედვითაც ამერიკელები აჭარის მოვლენების გამო ფაქტის წინაშე დადგნენ და საჯაროდ პოზიცია იმიტომ დააფიქსირეს, რომ საქართველოს საგარეო იმიჯი შეენარჩუნებინათ. მაგრამ ეს ვერსია ეჭვს იწვევს თუნდაც იმის გამო, რომ დაუჯერებელია ქვეყანაში, სადაც სიტუაციას კარგად აკონტროლებდნენ, ამერიკულ დიპლომატიას ფაქტის წინაშე დაეყენებინა თავი.

“ჩოლოქის კრიზისზე” თურქეთის “მეორადი” გამოხმაურებაც აშშ-სთან კავშირდება. სიტუაციის გამწვავებისას ასლან აბაშიძე და მისი მხარდამჭერები კიდევ ერთხელ შეეცადნენ თბილისზე “თურქული თემით” მოქადინათ ზეწოლა. საპასუხოდ, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გააკეთა ოფიციალური განცხადება, რომ ანკარა მხარს უჭერს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების პურსს და ყველამ პატივი უნდა სცეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ჩვეულებრივი დიპლომატიური ფორმატის მქონე ამ განცხადების ფონზე შოკისმაგვარი ეფექტი მოახდინა აზერბაიჯანში თურქეთის ელჩის განცხადებამ იმის თაობაზე, რომ საჭიროების შემთხვევაში თურქეთი სამხედრო კონტიგენტს შეიყვანს აჭარის ტერიტორიაზე. პრესაში ვხვდებით ინფორმაციას, რომ რუსებმა ეს განცხადება მიიჩნიეს ამერიკელებთან შეთანხმებულად და საქართველოს ხელისუფლების სამსედრო მხარდაჭერის ტოლფასად.

რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს ოფიციალურ ურთიერთმიმართებას: რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა 27 მარტს, სოჭში გამართულ ბრიფინგზე, მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო საქართველოს. მისი განცხადებები აშკარად მეგობრული ხასიათის იყო. რუსეთის პრეზიდენტი ამტკიცებდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ ჩაერევა საქართველოს საშინაო საქმეებში და, ასევე, გამორიცხავდა აჭარის პრობლემის მოგვარებაში ჩარევას. ყბადადებული ყარსის ხელშეკრულება პუტინმაც მოიშველია რუსეთის პოზიციების განსამტკიცებლად – პრეზიდენტმა ადნიშნა, რომ რუსეთი ამ ხელშეკრულების შესრულების ერთ-ერთი გარანტიცაა. პუტინის ამ განცხადებებს წინ უძღვდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ მადლიერების გამოხატვა მოსკოვისა და პირადად პრეზიდენტ პუტინისადმი – აჭარის მოვლენების გამო საქართველოს მიმართ დაკავებული პოზიციისთვის.

იურისტ დავით უსუფაშვილის კომენტარით, “ამერიკის შეერთებული შტატები შევარდნამესაც იმავე პირობას უყენებდა. რუსეთთან ურთიერთობის გამწვავება მათ

დღესაც ისევე არ აძლევთ ხელს, როგორც ადრე. ამერიკასთან მეგობრული ურთიერთობა სწორედ რუსეთთან ურთიერთობის მშვიდობიანი მოგვარების გზაზე გადის.” (“კვირის პალიტრა”, 22.03.2004)

როგორც ვხედავთ, აჭარის პრობლემა პრესაში არ განიხილება მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ საკითხად; საქართველოს საგარეო ვექტორებისა და პრიორიტეტების განსაზღვრისას აღარ დგას ალტერნატივა – აშშ თუ რუსეთი? ახალი ხელისუფლების მთავარი ამოცანაა ერთმანეთს წარმატებით შეუხამოს საგარეო პოლიტიკის სამი ძირითადი ვექტორი – ევროპაში ინტეგრაცია, რუსეთთან კეთილმეზობლობა და ამერიკასთან სანიმუშო პარტნიორობა.

*

საქართველოს პარლამენტის არჩევის შემდეგ საქართველოს ახალი ხელისუფლება დადგა არჩევანის წინაშე – ან უნდა დააბრუნოს აჭარა საქართველოს საკონსტიტუციო სიგრცეში (რაც აბაშიძის ძალაუფლების დასასრულს ნიშნავს), ან შენარჩუნდეს წლების განმავლობაში არსებული ორხელისუფლებიანობა, ანუ ორმაგი საკონსტიტუციო სივრცე (რაც მიუღებელია მიხეილ სააკაშვილისთვის).

აპრილში, საინფორმაციო ველი საკმაოდ გაჯერდა აგრესიული, ძალისმიერი ქმედების მომასწავებელი საგაზეთო სათაურებითა და მესიჯებით: “აჭარაში სპეცოპერაცია დაგეგმილია” (“ხვალინდელი დღე”); “ომი?! საბრძოლო ოპერაციის რა სქემას ხაზავენ სამხედროები აჭარის შტურმის შემთხვევაში” (“ალია” პირველ გვერდზე აქვეყნებს “საბრძოლო რუკას”); “ცხადდება საგანგებო მდგომარეობა”, “აჭარაში სპეცოპერაციების ჩატარება იგეგმება” (“ჯორჯიან თაიმსი”) და ა.შ.

ამასთან, პრესაში ერთმანეთის პარალელურად ვითარდება პროვოკაციული აქცენტები და კონსტრუქციული დიალოგისკენ მიმართული განცხადებები და ორივე მხარე არც თუ იშვიათად იმოწმებს მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.

აჭარასთან დაკავშირებულ მრავალრიცხვან პუბლიკაციებში, იკვეთება ორი მთავარი ასპექტი: ერთი, რომ ცენტრსა და რეგიონს შორის დაპირისპირების გამწვავება აძლიერებს უმართავი პროცესების განვითარების, პერმანენტული დაპირისპირების, პროცესებში რუსეთის არაპირდაპირი ჩართვის და ა.შ საფრთხეს;

მეორეს მხრივ, იკვეთება ხელისუფლების, პირადად პრეზიდენტის პოზიცია, რომ ეს არის არა ცენტრსა და რეგიონს შორის შექმნილი პრობლემა, არამედ, დაპირისპირება აჭარის მმართველ პლანთან; მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, თუ ასლან აბაშიძე განიარაღდება, აჭარაში დემოკრატიული პროცესები დაიწყება. (“კვირის პალიტრა”, 12.04.2004) იგრძნობა, რომ ხელისუფლების სტრატეგიაა პრობლემის გადატანა პიროვნულ ასპექტში.

ამ ფონზე, გაზეთ “24 საათში” ქვეყნდება საქართველოს პრეზიდენტის კომენტარი, რომელშიც იგი არ გამორიცხავს ძალისმიერ მოქმედებას: “პროვოკაციებს

არ წამოვეგებით. ჩვენ როდის რა ნაბიჯებს გადავდგამთ, ეს არავისთან შესათანხმებელი არ არის და ხელისუფლება თავად მიიღებს გადაწყვეტილებას”, – აცხადებს სააკაშვილი და განმარტავს, რომ ძალის გამოყენებაზე ხელისუფლება ფიქრობს, თუმცა, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. (“24 საათი”, 17.04.2004) უნდა ადინიშნოს, რომ, ფაქტობრივად, ეს იყო პასუხი აჭარის ავტონომიის მეთაურის ქმედებაზე, რომელმაც კონფრონტაციის გზა არჩია და უარი განაცხადა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღებაზე (ასლან აბაშიძე: “სახალხო რაზმელებს იარაღი მანამ ექნებათ, სანამ საქართველოში დემოკრატია არ დამყარდება”).

“ცენტრალურ ხელისუფლებას აქვს ყველა სათანადო რესურსი რეგიონში წესრიგის დასამყარებლად”, – აცხადებდნენ ასლან აბაშიძესთან შეხვედრის შემდეგ პრემიერ-მინისტრი ზურაბ უგანია და უშიშროების საბჭოს მდივანი განო მერაბიშვილი.

წარუმატებელი აღმოჩნდა საქართველოში ევროსაბჭოს სპეციალური წარმომადგენლის პლამენ ნიკოლოვის მცდელობაც, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში ცდილობდა მედიატორის როლის შესრულებას.

აჭარისათვის ბრძოლის მესამე ეტაპზე ხელისუფლება ისევ ერთდროულად ააქტიურებს საშინაო და საგარეო მექანიზმებს.

“24 საათი” იუწყება: “ჩვენი აჭარის” ლიდერებმა აღნიშნეს, რომ პრეზიდენტან საუბრის შემდეგ ოპოზიცია კიდევ უფრო ერთიანი და კოორდინირებული გახდა და მზადაა აჭარაში მასობრივი საპროტესტო აქციების დასაწყებად. კობა ხაბაზის განცხადებით, პრეზიდენტი აბაშიძის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლას გააგრძელებს, ოპოზიცია კი აბაშიძეს მასობრივი საპროტესტო აქციებით შეაწუხებს.” (24 საათი, 16.04.2004)

როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე აქტიურდება აჭარის თემა ნარკოტიკების კონტექსტში:

- “ნარკომანიისა და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის საწინააღმდეგოდ სტრასბურგში გამართულ შეხვედრაზე ექსპერტებმა პრობლემური რეგიონების ჩამონათვალში საქართველოც დასახელეს. ნარკოტრანზიტის ერთ-ერთ ცხელ წერტილად კი აჭარა სახელდება. თუკი დადასტურდა აჭარაში ნარკოტრაფიკის არსებობა, მაშინ გამორიცხული არ არის, ამ რეგიონში დიდძალი იარაღის წარმომავლობაც სწორედ ნარკოვაჭრობას უკავშირდებოდეს. ეს თემა რამდენიმე დღის წინ საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმაც წამოსწია. შესაბამისად, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა პოზიციას დაიკავებს დასავლეთი აჭარის მიმართ.” (“ახალი გერსია”, 19.04.2004)
- “საქართველოს ძალოვანი მინისტრების განცხადებით, ცოტაც და აჭარის ხელისუფლება კოლუმბიის ნარკოკარტელს დაემსგავსება. გენერალურ პროკურატურაში აცხადებენ, რომ ნარკობიზნების თვალსაზრისით, აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკა ერთ-ერთი სოლიდური რეგიონია, სადაც ხდება როგორც ნარკოტიკების გადაზიდვა, ისე ნარკოტიკების წარმოქმა.” (“რეზონანსი”, 21.04.2004)

ასლან აბაშიძემ, ამ კამპანიის საპასუხოდ, ცენტრს დაასწრო, აჭარის უშიშროების სამინისტრო გააუქმა და განაცხადა, რომ სამინისტროს ბაზაზე ანტიტერორისტული და ანტინარკოტიკული ცენტრების შექმნას აპირებს.

საქართველოს პარლამენტმა, აჭარაში შექმნილი მძიმე კრიტიკული ვითარების გამო, სპეციალური დადგენილება მიიღო. “172 დეპუტატის მხარდაჭერილი დადგენილების მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტმა და მთავრობამ უნდა უზრუნველყონ ქვეყნის ერთიანი კონსტიტუციური სივრცის ხელშეუხებლობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობა და ადამიანის უფლებათა დარღვევის აღკვეთა”; ასლან აბაშიძემ კი განაცხადა, რომ “ცენტრალური ხელისუფლება მისი ფიზიკური განადგურების ოპერაციას გეგმავს და ამგვარი საფრთხის თავიდან ასაცილებლად რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტებს, რუსეთის სათათბიროსა და აშშ-ის კონგრესს მიმართავს და ცენტრსა და რეგიონს შორის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში ჩართვისაკენ მოუწოდებს.” (“ხვალინდელი დღე”, “მთავარი გაზეთი”, 24.04.2004)

საქართველოს ხელისუფლების პირველმა პირებმა ბათუმის 25-ე ბრიგადის მეთაური, გენერალი დუმბაძე ქვეყნის მტრად და მოდალატედ გამოაცხადეს; მისი სურათები პრეზიდენტის ბრძანებით ე.წ. სამარცხვინო ბოძე გააკრეს. გენერლის დაპატიმრების ბრძანება საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გასცა და განაჩენის გამოტანიდან ერთ საათში ეს გადაწყვეტილება მთელ რიგ ქვეყნებს ეცნობათ. “ოფიციალური თბილისის აღშფოთება გამოიწვია გენერალ დუმბაძის განცხადებამ სპეციალურ ბრიფინგზე, რომ ის ასლან აბაშიძეს აღიარებს მთავარსარდლად და მას ემორჩილება. 25-ე ბრიგადის თითქმის მთელი შემადგენლობა თბილისში ჩამოვიდა და ცენტრალურ ხელისუფლებას დაექვემდებარა.” (“ახალი თაობა”, 25.04.2004)

ამ ფაქტმა ცენტრი-რეგიონის კონფრონტაციაში დეტონატორის როლი შეასრულა. ავტონომიური რესპუბლიკის სენატმა გადაწყვეტილება მიიღო აჭარაში კომენდანტის საათის ამოქმედების თაობაზე. 25 აპრილს ცნობილი გახდა, რომ აჭარის ხელისუფლებამ ჩოლოქის ადმინისტრაციულ საზღვარზე დამატებითი სამხედრო ძალის მობილიზება დაიწყო.” (“კვირის პალიტრა”, 26.04.2004)

საგენტო “ინტერ-პრესი” ავრცელებს ცნობას ბათუმში რამდენიმე ათეული რუსი ფორმიანის ჩამოსვლის თაობაზე. “ეს ხდება იმ დროს, როცა ოფიციალური მოსკოვი ირწმუნება, აჭარის კონფლიქტში რუსეთი არ ჩაერევათ. თუმცა, რუსი გენერალიტეტი, მათ შორის, ცნობილი შოგინისტი გენერალი ალქსნისი პუტინის საწინააღმდეგო

პოზიციას ავითარებს და ამბობს, რომ თუკი აჭარაში დისლოცირებულ რუს სამშვიდობოებს ნებისმიერი სახით პრობლემები შეექმნებათ, მათ ცეცხლის გახსნის უფლება აქვთ. ალქსნისის ამ გამოსვლას აბაშიძისთვის საკეთილდღეო გაგრძელება მოჰყვა დუმაშიც”, – წერდა “ახალი ვერსია”. (“ახალი ვერსია”, 26.04.2004)

- “ჩოლოქის ადმინისტრაციულ საზღვარზე დაკავეს და ავტონომიის ტერიტორიაზე არ შეუშვეს თბილისიდან გაგზავნილი 60 ტონა სასუქი. სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით შერვაშიძე, რომელიც პირადად მიყვებოდა ტვირთს, ამაოდ ეთათბირა ჩოლოქთან მისულ აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს როსტომ ჯაფარიძეს. აბაშიძის ხელისუფლებამ სასუქზე უარი თქვა. სასუქის გარეშე დარჩენილი მაღალმთიანი რაიონების – ქედის, ხულოსა და შუახევის მოსახლეობა კი აპროტესტებს აჭარის ხელისუფლების გადაწყვეტილებას და ავტომაგისტრალებზე მოძრაობის პარალიზებით იმუქრება. “შეწყდეს ჩოლოქიზაცია” – ამ ლოზუნგით საპროტესტო აქცია მოძრაობა “ჩვენი აჭარის” ოფისის წინ გაიმართა. აქციის ორგანიზატორი ოპოზიციური მოძრაობის მხარდამჭერი 50-მდე ქალბატონი იყო. საპროტესტო აქცია აბაშიძის რეზიდენციის წინაც გამართა სტიქიისაგან დაზარალებულმა მრავალშვილიანმა ოჯახმა.” (“რეზონანსი”, 28.04.2004)
- “აჭარის მეთაურს სამსედროების შემდეგ პოლიტიკური გუნდის წევრებიც ტოვებენ. ბათუმის ყოფილი მერი ასლან სმირბა აბაშიძეს განუდგა და მისი განცხადების მიხედვით, აჭარაში დაუმორჩილებლობის ერთ-ერთ ლიდერად უნდა მოგვევლინოს.” (“მთავარი გაზეთი”, 28.04.2004)
- “აბაშიძის რეზიმი ნელ-ნელა სუსტდება და, შესაბამისად, ახლოვდება დრო, როდესაც ისედაც გაჭიანურებული “აჭარული კრიზისი” უნდა გადაწყდეს. საგარაულოდ, ცენტრალურ ხელისუფლებას აბაშიძის წინააღმდეგ ორი სცენარი აქვს: პირველი – მშვიდობიანი მინი-რევოლუცია, რომლის შედეგადაც, ხელშეუხებლობის გარანტიის საფასურად, აბაშიძემ პოლიტიკა და საქართველო ნებით უნდა დატოვოს; მეორე სცენარით, საგარაულოა სპეცოპერაციის ჩატარება.” (“მთავარი გაზეთი”, 28.04.2004)
- “პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თაგმჯდომარემ გივი თარგამაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ აჭარაში კვლავ დაიწყო ფიზიკური ანგარიშსწორება და პარლამენტარ თამაზ დიასამიძის დაკავების ფაქტში პირადად მონაწილეობდა აჭარის შს მინისტრი ჯემალ გოგიტიძე. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე მიანიშნებს, რომ აბაშიძის მმართველობა დროებითია და საათებს ითვლის.” (“ახალი თაობა”, 29.04.2004)

- “დიდ სირთულეს არ წარმოადგენს აჭარის პირველი პირის ლიკვიდაცია, მაგრამ ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ვითარება სისხლისღვრის გარეშე გამოსწორდეს. ხოლო, თუ იძულებულები გავხდით ძალა გამოვიყენოთ, მაშინ მსხვერპლი მინიმალური იქნება”, – საქართველოს ძალოვანი სამინისტროების თანამშრომლები უკვე ლიად საუბრობენ სამხედრო ოპერაციის ჩატარების შესახებ.” (“ჯორჯიან თაიმსი”, 29.04.2004)

პრესაში ასახული ამგვარი ვითარების ფონზე, 29 აპრილს, ტელეკომპანია “იმედის” საინფორმაციო გამოშვებაში, ასლან აბაშიძემ მოულოდნელი სიმშვიდით განაცხადა, რომ მხარეები დიალოგის ფორმას უნდა დაუბრუნდნენ – ექსპერტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით, ჩაისა და ყავის თანხლებით. (ტ/კ “იმედი”, საინფორმაციო პროგრამა “ქრონიკა”, 29.04.2004)

30 აპრილს კი, ბათუმში, უზენაესი სასამართლოს წინ გამართული მიტინგი ერთობლივი ძალისხმევით დაარბიეს სპეცდანიშნულების რაზმა, აჭარის შინაგანი ჯარის ნაწილებმა, პოლიციამ და სამთავრობო დაცვამ. სასამართლოსთან შეკრებილი მომიტინგები უკანონოდ დაკავებული “ჩვენი აჭარას” ლიდერების და კიდევ რამდენიმე პირის გათავისუფლებას ითხოვდნენ. (“24 საათი”, “ხვალინდელი დღე”, 01.05.2004)

პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის კომენტარით, ასლან აბაშიძე ყველაფერს აკეთებს, რომ სააკაშვილი როგორმე წყობიდან გამოიყვანოს და შეცდომა დააშვებინოს. მიიღებს თუ არა ცენტრალური ხელისუფლება კონფლიქტის იარაღის ძალით მოგვარების გადაწყვეტილებას, ჩოლოქთან სასწრაფოდ გაჩნდება რუსეთის ჯარი, თუმცა, რუსეთის დროშის ნაცვლად, “აღორძინების” დროშას გადმოკიდებენ. ცინცაძის აზრით, არ არის საჭირო საქართველოს პრეზიდენტის გარემოცვის აჩქარება. კურსი, რომელიც ხელისუფლებამ აჭარის ლიდერის წინააღმდეგ აიღო, გამართლებულია; მალე აბაშიძე სრულ იზოლაციაში აღმოჩნდება; 20-30 დღის წინ ალტერნატივა არ ჩანდა, ახლა კი, თუ ხელისუფლება თავის კურსს თანმიმდევრულად განახორციელებს, ძალის გამოყენების აუცილებლობა შემცირდება. (“ხვალინდელი დღე”, 01.05.2004)

წარმოდგენილი სურათის ფონზე უკვე მოულოდნელობად აღარ აღიქმება 2 მაისს ჩოლოქისა და აჭარის საზღვართან მდებარე ორი ხიდის აფეთქება; როგორც ქართული ტელეკომპანიები იუწესებოდნენ, აბაშიძის სამსახურში მყოფი გადამდგარი გენერლის – ნეტკაჩოვის ხელმძღვანელობით და, საგარაუდოდ, ასლან აბაშიძის განკარგულებით.

საგანგებოდ შეკრებილ უშიშროების საბჭოსთან მოთათბირების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ასლან აბაშიძეს 10 დღის ვადას აძლევს საკონსტიტუციო სიგრცეში დაბრუნებისა და განიარაღების დაწყებისთვის. წინააღმდეგ შემოხვევაში იტოვებს უფლებას გამოიყენოს თავისი საპრეზიდენტო უფლებამოსილება ახალი არჩევნების დანიშვნის თაობაზე და ხალხს მისცეს აჭარის

ხელისუფლების არჩევის საშუალება; საქართველოს პრეზიდენტი ხაზგასმით აღნიშნავს რომ ლაპარაკიც არ არის ავტონომიის სტატუსის შეცვლაზე.

3 მაისს გავრცელებული ინფორმაციით, ასლან აბაშიძე კვლავ საუბრობს თბილისთან დიალოგზე და აცხადებს რომ, ხიდების აფეთქება პრევენციული დონისძიება იყო თბილისიდან სამხედრო მუქარის საასუხოდ.

“ხიდები აფეთქებულია, უკანდასახევი გზა მოჭრილია”, “აბაშიძემ აჭარის მოსახლეობა მძევლად აიყვანა”, “უეოდალი ალყაში”, “აბაშიძე საკუთარ ტერიტორიაზე პრეზიდენტ სააგაშვილის მძევალია” – ამგვარი პათოსით აშექებდა გაზეთი “ახალი ვერსია” 2 მაისს, აჭარის ხელისუფალთა ბრძანებით, ავტონომიის ადმინისტრაციულ საზღვარზე ხიდების აფეთქების ფაქტს. (“ახალი ვერსია”, 03.05.2004) აფეთქებას წინ უძლოდა ჩოლოქის ადმინისტრაციული საზღვრისა და სარფის საბაჟოს ჩაკეტვა და აჭარის ხელისუფლების მიერ ინფორმაციის გავრცელება, რომ ფოთის სამხედრო წვრთნების შემდეგ ცენტრი შავი ზღვით ჩაქვში დესანტის გადასხმას აპირებს.

აჭარაში დაძაბულობის ესკადაციამ პიქს მიაღწია; ბათუმში შეკრებილი მრავალათასიანი მიტინგის მონაწილეთა და ასლან აბაშიძის “სპეცნაზის” შეჯახების საფრთხე, შესაძლოა, რეალობად ქცეულიყო. მაგრამ, 2003 წლის ნოემბრის “ვარდების რევოლუციის” მსგავსად, მოვლენები მშვიდობიანი გზით განვითარდა – ასლან აბაშიძემ ხელისუფლება და ბათუმი უკომენტაროდ დატოვა და “ხელშეუხებლობის გარანტი” იგორ ივანოვთან ერთად მოსკოვში გაფრინდა, ვაჟიშვილსა და უახლოეს გარემოცვასთან ერთად. პრესის შეფასებით, იგორ ივანოვმა მეორედ შეასრულა საქართველოში საშუალებრივი მისია და ამით რუსეთს რეგიონში თავისი მნიშვნელობის დაფიქსირების საშუალება მიეცა.

პრესა მახვილგონივრულად შენიშნავს, რომ “ბაბუების” (შევარდნაძისა და აბაშიძის) ქარიზმა შეიწირა მშვიდობიანმა რევოლუციებმა და ორიგე შემთხვევაში ეს გიორგობა დღეს მოხდა. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კი, ექვს თვეში ორი უსისხლო რევოლუციის ლიდერობის წყალობით, შესაძლოა ისტორიის სახელმძღვანელოებშიც შევიდეს – პროფესიონალი რევოლუციონერის სახელით. ხოლო რევოლუციის მთავარ მამოძრავებელ ძალად, ნოემბრის მსგავსად, კვლავ ხალხი დასახელდა.

არა მხოლოდ ამ ქვეთავში მოშველიებული საილუსტრაციიო მასალა, არამედ, საერთოდ ამ პერიოდის პრესის ანალიზი მოწმობს, რომ მოვლენების ასე განვითარება პროგნოზირებადი იყო და გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილებოდა. ჩვენ უურადღებას ვამახვილებდით ექსპერტების მოსაზრებაზე, რომ პრობლემა არა მხოლოდ ასლან აბაშიძეშია, არსებითი პრობლემაა მენტალური შეუთავსებლობა, მდგომარეობა, როცა ერთი სახელმწიფო ერთდროულად თვისობრივად სხვადასხვა დროში და სხვა

წყობის პირობებში ცხოვრობს. ამ ფაქტორს თავისთავად უნდა გამოეწვია “შიგნიდან აფეთქება”, რევოლუციური სიტუაციის ბუნებრივი გაგრძელება აჭარაში.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ “ვარდების რევოლუციიდან” მოყოლებული, ვიდრე “აჭარის რევოლუციამდე” (პრესის ტერმინი) აჭარის საკითხი ქართული პრესის ცენტრალური თემა იყო. ვერ ვიტყვით, რომ ამჯერად პრესა ხელს უწყობდა ცენტრსა და რეგიონს შორის კონფრონტაციის გამწვავებას და დაბატულობის ესკალაციას. ეს ის შემთხვევაა, როცა თითქმის ყველა ყოველდღიური და ყოველკვირეული გაზეთი ინფორმირების ამოცანასაც წარმატებით ართმევდა თავს და აჭარის თემას პოზიციებისა და აქცენტების მაქსიმალური მრავალფეროვნებით აშენებდა. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ აჭარის მოვლენების გაშუქებისას პრესის აშკარად ეტყობა პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება, სახელმწიფოებრივი განწყობა, ერთგვარი სიფრთხილე ფაქტების ინტერპრეტაციისას და ინფორმაციით მანიპულირების შეძლებისდაგვარად მინიმალიზება.

რა თქმა უნდა, აჭარის თემამ მაღლე დაკარგი აქტუალობა, მაგრამ ცოტახანს კიდევ შემორჩა პრესის ფურცლებს, ამჯერად, აჭარის ავტონომიის მომავლისა და ასლან აბაშიძისაგან გამოთავისუფლებულ სახელისუფლო სივრცეში პოლიტიკური კონკურენციის საინფორმაციო საბაბებით.

• საქართველოში ჯორჯ ბუშის ვიზიტის რეზონანსი პრესაში

აშშ-ის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტის მიზანი და, შესაბამისად, ვიზიტის მნიშვნელობა, რამდენიმე ძირითადი მიმართულებით უნდა განვიხილოთ:

- უშალოდ საქართველოსთან მიმართებაში
- რეგიონთან მიმართებაში
- ახალი გეოპოლიტიკური რეალობის კონტექსტში

ამ შემთხვევაში ჩვენთვის ათვლის წერტილი საქართველოსთან მიმართებაა, მაგრამ მთლიანობაში აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტი აღმოსავლეთ ევროპაში მედიაში განიხილება რეგიონის ტრანსფორმაციის, ახალი ახლო აღმოსავლეთის ფორმირების, დასავლეთის პოლიტიკური ღირებულებებისა და ინსტიტუტების აღმოსავლეთისკენ გადატანისა და სხვა შორსმიმავალი სტრატეგიული მიზნების ერთობლიობაში.

ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში პოლიტიკური ექსპერტები გულისხმობდნენ დასავლეთის მიერ მძლავრი “გეოპოლიტიკური კედლის” (რომელიც უნდა გახდეს ნატო-რუსეთის საზღვარი) აღმართვას – ბალტიიდან კავკასიამდე და კავკასიიდან ცენტრალური აზიისაკენ; გეოპოლიტიკური ღერძის ქვაბულები ქვეყნის როლი საქართველოს აკისრია; როგორც ექსპერტები აღნიშნავდნენ, შემთხვევითი არ იყო,

რომ თავისი ტურნე პრეზიდენტმა ბუშმა სწორედ ამ გეოპოლიტიკური ღერძის ქვეყნებზე ააგო, ამასთან, ტურნეს მარშრუტით მოახდინა იმის დემონსტრირება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დღეს მისთვის საქართველო.

ამ ბოლო მოსაზრებას ადასტურებს “ვაშინგტონ თაიმსის” პუბლიკაცია, რომელსაც გაზეთი “რეზონანსი” იმოწმებს აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტის შეფასებისას: “კავკასიის რესპუბლიკაში ბუშის ვიზიტი იმაზე მიანიშნებს, რომ მას ახსოვს საქართველო. ეს ინტერესი განპირობებულია სტრატეგიული ლოგიკით: საქართველო ესაზღვრება ჩეჩენისა და მასზე გადის მილსადენი, რომელიც კასპიის სანავობო საბადოებს მსოფლიო ბაზრებთან აკავშირებს. საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა ამ პატარა ქვეყანას აშშ-ის ენერგეტიკული საგარეო პოლიტიკის კომპონენტად აქცევს.” (“რეზონანსი”, 12.05.2005)

ვიზიტის მიზანზე მსჯელობისას, ქართულ პრესაში გლობალური პოლიტიკის ასპექტებზე მეტად, კონკრეტული აქცენტები იკვეთება, უმთავრესად – რეგიონში რესერვის შევიწროებისა და ირანის წინააღმდეგ პლაცდარმად საქართველოს შესაძლო გამოყენების ამოცანა. ქართველი სამხედრო ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ირან-ამერიკის ურთიერთობაში საქართველოს წვლილი მიზერული ნამდვილად არ არის, მაგრამ ამ როლის გაზიადებაც არ ღირს. საყურადღებოა, რომ პოლიტიკური გათვლებისთვის გამოყენების თვალსაზრისით, ვაშინგტონისთვის ალბათ საქართველო ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამხედრო თვალსაზრისით. პრესის ფორმულირებით, ამერიკას საქართველო “ირანთან მშვიდობიანად დასამეგობრებლად” სჭირდება (ამ თემას შევეხეთ ქვეთავშიც – “საგარეო თემის ძირითადი ასპექტები”).

ბუშის ვიზიტის წინა პერიოდში, აპრილში, საქართველოში ირანის ვიცე პრემიერისა და ბიზნესმენთა დელეგაციის სტუმრობა პრესამ ალოგიკურად მიიჩნია (“მეგობრობა თუ დალატი, ხელისუფლების უცნაური თამაშები: წინ დასავლეთისაკენ... ირანთან ერთან”); ბუშის ვიზიტიდან მოკლე ხანში კი თბილისში, ამერიკული დაფინანსებით, ქართულ საცავებში დაცული ირანული კულტურის იშვიათი ნიმუშები – ”ყაჯართა პორტრეტები” გამოიფინა – ირანული სტუმრებისა და ყაჯარული ხელოვნების ექსპერტის, ცნობილი ამერიკელი პროფესორის (ირანული წარმოშობის) მონაწილეობით. თუ გავითვალისწინებოთ ირანთან საქართველოს წარმატებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს, კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას და ირანში მცხოვრები ფერეიდნელი ქართველების ფაქტორს (რომლის შესაძლო გამოყენებაზე აშშ-ის ხელისუფლების მიერ, პრესა ჯერ კიდევ 2004 წელს მიანიშნებდა), ზემოხსენებული ვერსია არც თუ ისე უსაფუძვლოდ ჟღერს.

აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტის წინაპერიოდი და შემდგომი, საინფორმაციო გამოხმაურების თვალსაზრისით, ერთი საერთო მახასიათებლით – ემოციური დამოკიდებულების პრიმატით გამოირჩევა; თუმც, წინაპერიოდი უფრო მაჟორულია

(რაგინდ პარადოქსულადაც უნდა ქდერდეს ეს მოსაზრება), ვიდრე ვიზიტის შემდგომი. შესაძლოა, ესეც იგივე ემოციური ფაქტორით ავხსნათ – ქართული საზოგადოება, როგორც საინფორმაციო სურათი ცხადყოფს, უმთავრესი პრობლემების გადაწყვეტის იმედს ბუშის ვიზიტზე ამჟარებდა და, თანაც, დაუყოვნებლივ.

არსებული მოლოდინის მთავარი განმსაზღვრელი, როგორც ჩანს, მაინც ის იყო, რომ ბუში შეაშინებდა რუსეთს, შესაბამისად – აფხაზ და ოს სეპარატისტ ლიდერებს, და მისი ვიზიტი საფუძვლად დაედებოდა რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის უსწრაფეს მოგვარებას.

ვიზიტის შემდგომი რეზონანსი საქართველოს საინფორმაციო სიგრცეში მოსალოდნელზე ხანმოკლე და ზედაპირული იყო (ვიდრე, ვთქვათ, კონკრეტული, პერსონალური სახელისუფლებო დაპირისპირების რეზონანსია ხოლმე) და, ძირითადად, ბუშის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის განხილვას ეძღვნებოდა, ორი ძირითადი მიმართულებით – ქართველებმა “კულტურულ შოკში” ჩავაგდეთ ბუში, გადავრიეთ ხინკლით და, საერთოდ, სტუმართმოყვარული და უწვეულოდ კეთილგანწყობილი დახვედრით; ბუში ასეთი არავის უნახავს! მეორე მხრივ, ერთგვარი ანგარებითი მოლოდინი – აბა ვნახოთ, რას გაგვიკეთებს სანაცვლოდ.

სხვათაშორის, ამერიკის პრეზიდენტის მიმართ ქართველების განსაკუთრებული დამოკიდებულება უცხოური მედიასაშუალებების ყურადღების ცენტრშიც მოექცა, ოდონდაც, არა მხოლოდ ქართული სუფრისა და კულტურის შეფასების კონტექსტში:

“ბუში ენთუზიაზმით იყო აღსავსე, რადგან თბილისური დახვედრა ბევრად განსხვავდებოდა იმ საპროტესტო აქციებისაგან, რომლებითაც მას სხვადასხვა ქვეყნებში მიეგებნენ”, – წერდა გაზეთი “გარდიანი”, სააგენტო “ასოშიერებ პრეზენტ” დაყრდნობით. (“ალია”, 10.05.2005)

“თითქმის ყველგან ვარ ნამყოფი, სადაც ბუში პრეზიდენტის რანგში ყოფილა, მაგრამ აქაურმა დახვედრამ ყოველგარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს იყო ყველაზე უთბილესი დახვედრა, რაც მას ოდესმე ჰქონია”, – კომენტარს აკეთებს სი-ენ-ენ-ის კორესპონდენტი მაიკლ ბენიგანი. (“24 საათი”, 11.05.2005)

“მოსკოვსკი კომსომოლეცმა” პუბლიკაცია ასე დაასათაურა – “ჯორჯ ძლევამოსილმა ბუშმა საქართველოში კარგად მოილხინა”: ბუში ისე შეძრა აბორიგენების ცეკვებმა, რომ იქ დაახლოებით ერთი საათი დარჩა. სულ მალე მან მუსიკის პანგებზე ტაშის კვრა და თავის ქნევაც დაიწყო, ბოლოს კი ყველასათვის მოულოდნელად ერთი ცეკვის დროს სცენაზე ავიდა და მოცეკვებს ხელი ჩამოართვა. პროტოკოლი შემდეგშიც არაერთხელ დაირღვა: ბუში და სააკაშვილი რესტორანში დაგეგმილი 30-40 წუთის ნაცვლად, საათნახევარი დარჩნენ. ბუშის თავგადასავლები საქართველოში მეორე დღეს გაგრძელდა და მასობრივი უწესრიგობა გამოიწვია.” (“ახალი ვერსია”, 13.05.2005)

გაზეთმა “24 საათმა”, პუბლიკაციაში – “ჯორჯ ბუშის ვიზიტი დასავლური მედიის თვალით”, თავი მოუყარა უცხოური მედიის შეფასებებს: “საქართველო – თავისუფლების შუქურა”; “ბუში საქართველოში რუსეთის გასაღიზიანებლად”; “ბუში ხოტბას ასხამს ქართულ დემოკრატიას”; “აშშ საქართველოსთან ერთად” თავისუფლების გზით ივლის” – ასეთი სათაურებით იუწყებოდნენ დასავლური საინფორმაციო საშუალებები ამერიკის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის შესახებ... საინფორმაციო სააგენტო “ბი-ბი-სი”: “პრესკონფერენციაზე ამერიკის პრეზიდენტმა “ვარდების რევოლუციას” თანამედროვე ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტი უწოდა. ბუშის თქმით, ამ უსისხლო რევოლუციამ მთელ მსოფლიოში აღაფრთოვანა ხალხი”. თბილისში მყოფი “ბი-ბი-სი”-ს კორესპონდენტის თქმით კი, საქართველო თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ამერიკის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულების – დემოკრატიის მთელს მსოფლიოში გავრცელების თვალსაზრისით... მსოფლიოს ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილი მედიასაშუალება აშშ-ის ლიდერის საქართველოში ვიზიტის ემოციური დატვირთვით იწყებს მოვლენის გაშუქებას. აშგარაა დასავლური პრესის გაკვირვება – ამერიკელ ლიდერს ხომ არცთუ დიდი პატივით ხვდებიან ევროპელები. გუშინდელი დღის ერთი თვალშისაცემი მომენტი ის იყო, რომ თითქმის ყველა სერიოზული გამოცემა ნაკლებ ადგილს უთმობს მოვლენის პოლიტიკურ ანალიზს და მხოლოდ ვიზიტის აღწერით შემოიფარგლება. ალბათ, ეს გასაგებიცაა – ჯორჯ ბუშის საქართველოში ჩამოსვლა მნიშვნელოვანი გზავნილი იყო, რომელიც გარკვეულ ანალიზს საჭიროებს.” (“24 საათი”, 11.05.2005)

ამ უმნიშვნელოვანესი ვიზიტის ანტურაჟის დაწვრილებით განხილვა ქართული თუ უცხოური მედიის მიერ, ერთის მხრივ, ბუნებრივიცაა; რაც შეეხება ანალიზს, ეს ქართული პრესის “აქილევსის ქუსლია”; მაგრამ საერთო ფონზე გამოირჩევა გაზეთი “24 საათი” (შეიძლება ვთქვათ, რომ “რეზონანსიც”), რომელმაც ამჯერადაც მოახერხა ვიზიტის შედეგების გაანალიზება, ამ პროცესში ქართველი და უცხოელი ექსპერტების მაქსიმალური ჩართვით.

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ზბიგნევ ბუზინსკის ექსპლუზიური ინტერვიუ გაზეთ “24 საათისთვის”. მისი მოსაზრებები არა მხოლოდ ნათელს ჰყენს საქართველოში ბუშის ვიზიტისა და მის მიერ წარმოთქმული სიტყვების მნიშვნელობას, არამედ, ერთგარად ავსებს კიდეც და, ჩვენი აზრით, არანაკლებად მნიშვნელოვან მესიჯებსაც შეიცავს:

“ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც მოხდა, ხელისუფლებაში ახალი თაობის მოსვლაა. ახალი პოლიტიკური ლიდერები გაცილებით ნაკლებად არიან საბჭოთა პერიოდის პროდუქტები, ვიდრე მათი წინამორბედები. მაგრამ ეს წელიწადნახევრის წინ მოხდა. ახლა კი საჭიროა გამართული სისტემის შექმნითა და პრაქტიკული პოლიტიკის გზით იმის დემონსტრირება, რომ საქართველოში

დემოკრატია მოქმედი რეალობაა. საქართველოს ახალმა დემოკრატიამ უნდა დაარწმუნოს საერთაშორისო საზოგადოება, რომ მას შესწევს უნარი, მოაგვაროს ის პრობლემები, რომელიც საბჭოთა კავშირმა დაუტოვა. წარსულის ნარჩენები, მათ შორის სეპარატიზმი, არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ნორმალური მოვლენა. ამ კონტექსტში, საქართველომ ასევე უნდა დაარწმუნოს საერთაშორისო თანამეგობრობა, რომ მისი დემოკრატია მტკიცეა, რომ ის ემყარება არა ემოციებს, არამედ კონსტიტუციით გამყარებულ კანონმორჩილ სისტემას. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა აჩვენოს, რომ როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში მისი გადაწყვეტილებები მომწიფებულ, პასუხისმგებლობით სავსე, კარგად გააზრებულ პოლიტიკას ეყრდნობა და არა ემოციურ, მკვეთრ და რადიკალურ ჟესტებს.” (24 საათი”, 17.05.2005)

ასევე საყურადღებოა კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორისა და საგარეო ურთიერთობათა საბჭოს უფროსი ექსპერტის, სტივენ სესტანოვიჩის შეფასება: “მე ვფიქრობ, რომ საქართველომ აჩვენა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალური და ინტელექტუალური დინამიზმი, რომელსაც ადგილი აქვს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში.” ამასთან, სესტანოვიჩი ყურადღებას ამახვილებს იმ პრობლემებზე, რომლებიც, შესაძლოა, საქართველოში დემოკრატიის განვითარებას შეექმნას: “ჩვენ ვიცით, არსებობს პრეტენზიები, რომ პარლამენტი არ არის პლურალისტური, პრობლემებია მედიაში, ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოებაში. ახლა ჩვენ გცდილობთ, შევაფასოთ, არის ეს ჩვეულებრივი პრეტენზიები, რომელიც ყველა დემოკრატიას ახასიათებს, თუ სახეზეა მართლაც ძალაუფლების ზედმეტი კონსოლიდაცია, რაც დემოკრატიისთვის საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს. და თუ ძალაუფლების ეს კონსოლიდაცია არ შეიცავს საფრთხეს, რომელიც მომავალში პრობლემებს შეუქმნის დემოკრატიას, მაშინ ამერიკაში აღელვების საფუძველიც არ იქნება. პატარა ქვეყნისთვის ძალიან ძნელია, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა შეინარჩუნოს, თუ მას დემოკრატიული ფასეულობები არ გააჩნია. საქართველოსთან ჩვენმა ურთიერთობამ აჩვენა, რომ მაშინაც კი, როდესაც პატარა სახელმწიფო ხარ, თუ შენ ატარებ იგივე დირექტულებებს და გაქვს იგივე ხედვა, ამერიკის შეერთებული შტატების თანასწორუფლებიანი პარტნიორი ხარ.” (“24 საათი”, 24.05.2005)

ყურადღება მივაქციოთ ბეჭინსკისა და სესტანოვიჩის საერთო თვალსაზრისს – საქართველომ, პრაქტიკული პოლიტიკის გზით, უნდა მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ საქართველოში დემოკრატია მოქმედი რეალობაა; უნდა ეცადოს, რომ ძალაუფლების კონცენტრაციით არ შეუქმნას საფრთხე დემოკრატიას; უნდა დაარწმუნოს საერთაშორისო თანამეგობრობა, რომ მისი დემოკრატია მტკიცეა; რომ მას შესწევს უნარი, მოაგვაროს საბჭოთა კავშირის მიერ დატოვებული პრობლემები

(მათ შორის, სეპარატიზმის პრობლემა). სხვანაირად, ასეთ პატარა ქვეყანას გაუჭირდება ამერიკის შეერთებული შტატებისთვის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა შეინარჩუნოს.

გავიხსენოთ, რომ “ვარდების რევოლუციამდეც”, 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში, პრესაში აქტიურად მუსირებდა ქართველი და უცხოელი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების საერთო თვალსაზრისი, რომ საქართველოს კაპიტალი დემოკრატია, რომ მას, აზერბაიჯანისაგან განსხვავებით, არავინ აპატიებს დემოკრატიული ფასეულობების შელახვას.

ალბათ ზედმეტი არ იქნება იმის გახსენებაც, რომ ბეჭედისკის მიერ მოდელირებულ ევრაზიის “დიდ საჭადრაკო დაფაზე”, მთაგარი გეოსტრატეგიული ფიგურების (საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი, ჩინეთი და ინდოეთი) გვერდით, ”პრინციპულად მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ცენტრებად” სახელდება უკრაინა, აზერბაიჯანი, სამხრეთ კორეა, თურქეთი და ირანი (ამ კვალიფიკაციაში, როგორც თავად ბეჭედისკი აღნიშნავს, არ ხვდება ისეთი დიდმნიშვნელოვანი ქვეყნები, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, იაპონია და ინდონეზია). (12, 56)

თუ ერთმანეთთან დავაკავშირებთ, ერთის მხრივ:

რეგიონის ტრანსფორმაციის, ახალი ახლო აღმოსავლეთის ფორმირების, დასავლეთის პოლიტიკური დირებულებებისა და ინსტიტუტების აღმოსავლეთისკენ გადატანისა და სხვა შორსმიმავალი სტრატეგიული მიზნების ერთობლიობას; ამოცანას – დასავლეთის მიერ მძლავრი “გეოპოლიტიკური კედლის” (რომელიც უნდა გახდეს ნატო-რუსეთის საზღვარი) აღმართვისა – ბალტიდან კავკასიამდე და კავკასიოდან ცენტრალური აზიისაკენ;

მეორეს მხრივ, თბილისში პრეზიდენტ ბუშის მიერ წარმოთქმული სიტყვების მესიჯებს: “იმედისმომცემი ცვლილებები – ბალდადიდან ბეირუთამდე და ბეირუთიდან ბიშკეკამდე... თავისუფლება შავი ზღვიდან კასპიის ზღვისეკნ, სპარსეთის ყურეში და უფრო შორსაც მიიწევს; ეს თქვენით არის გამოწვეული და თქვენი წარმატების მაგალითზე მათაც დიდი იმედი ეძლევათ... ქართულ მიწაზე დანთებული ცეცხლი მთელ მსოფლიოში დგივდება.”

და ამას დაგუმატებთ სტივენ სესტანოვიჩის “ფორმულას”, რომ “პატარა ქვეყნისთვის ძალიან ძნელია, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა შეინარჩუნოს, თუ მას დემოკრატიული ფასეულობები არ გააჩნია”, ერთად მოიყრის თავს არა მხოლოდ ბუშის ევროპული ტურნესა და საქართველოში ვიზიტის მიზანი და მნიშვნელობა, არამედ ის როლი და ფუნქციაც, რაც “ვარდების რევოლუციამ” განუსაზღვრა საქართველოს. ოდონდაც, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ესაა არა “საჭადრაკო დაფით” მინიჭებული, არამედ “დემოკრატიის სანიმუშო ქვეყნის” როლით შეძენილი ფუნქცია. სხვათა შორის, ერთადერთი პოსტულატი, რაც

უცვლელად ფიგურირებს საინფორმაციო ამინდის შემქმნელ ქართულ მედიაში ბოლო წლების მანძილზე, სწორედ ისაა, რომ საქართველოს კაპიტალი დემოკრატიაა.

(ამგვარი თვალსაზრისის განვითარების უფლებას ისევ პრესა გვაძლევს, რომლის ცალკეულ მასალებში ზოგჯერ შეუძლებელია ლოგიკის მოხელობა, მაგრამ ერთობლიობაში, ანალიტიკური განხილვისას, ბევრი საყურადღებო რამ იკვეთება).

ვიზიტის მნიშვნელობაზე მსჯელობისას პრესაში ფიგურირებს თვალსაზრისი, რომ თავისთავად ვიზიტის ფაქტი მთავარი მესიჯია სხვა ქვეყნებისთვის, უპირველესად – რუსეთისთვის, რომ ამიერიდან საქართველოსთან ურთიერთობისას დაბალანსებული პოლიტიკა უნდა აწარმოონ; რომ ვიზიტი საფუძვლად დაედება რეგიონში საქართველოს როლის გამოკვეთას.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, კონდოლიზა რაისის შეფასებით, საქართველოში აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტის მთავარი მიზანი აშშ-ის მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის და მისი ახალგაზრდა დემოკრატიისათვის მხარდაჭერის დემონსტრირება იყო.

გაზეთ “24 საათთან” ინტერვიუში ზბიგნევ ბჟეზინსკი ამბობს, რომ “პრეზიდენტ ბუშის ვიზიტი რიგასა და თბილისში დიდ სტრატეგიულ მესიჯს ატარებდა. ეს მესიჯი კი ასეთია რუსეთმა პატივი უნდა სცეს თავისი მეზობლების პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. ეს არის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი მესიჯი. (“24 საათი”, 17.05.2005)

რუსი პოლიტოლოგი სერგეი მარკოვი კი აცხადებს, რომ: “ბუშის ვიზიტის დაკავშირება თბილისის პოზიციის ერთნიშვნელოვან მხარდაჭერასთან პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა”: “ვფიქრობ, ამ ვიზიტს რამდენიმე შედეგი აქვს. უპირველესად, ბუშმა სრულად დაუჭირა მხარი საქართველოს მოქმედ ხელისუფლებას მის სწრაფგაში ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერიოდში, ნატო-სა და ევროპავშირთან მაქსიმალური თანამშრომლობისაკენ. მან, ასევე, დაუჭირა მხარი საქართველოს ხელისუფლების იმ იდეოლოგიურ თეზისებს, რომლებიც ამ სწრაფგას უკავშირდება, კერძოდ ქვეყანაში თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარების აუცილებლობას. გარდა ამისა, აშშ-ის პრეზიდენტმა მთლიანობაში მხარი დაუჭირა საქართველოს პოზიციას რიგ გადამწყვეტ საკითხებში, როგორიც არის აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობები და საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების პრობლემა. იმავდროულად, ჯორჯ ბუშმა გადახედა თავის პოზიციას და რუსეთის ინტერესების ლობისტის როლში მოგვევლინა, მიუთითა რა საქართველოს ხელისუფლებას, რომ ეს პრობლემები (რუსელი ბაზები და ავტონომიებთან ურთიერთობები) მხოლოდ მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით უნდა მოგვარდეს. ამით მან გარკვეულწილად, არაპირდაპირ გააკრიტიკა საქართველოს ხელმძღვანელობა... არ არის აუცილებელი, ყველგან, სადაც იგებენ ამერიკელები, წააგონ რუსებმა. ვგულისხმობ საქართველოს

სამსედრო მოქმედებებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რომელთაც მე კოლონიალურ აგანტიურებს ვუწოდებ. მივიჩნევ, რომ აფხაზეთი არასოდეს ყოფილა საქართველოს ნაწილი. ის ყოველთვის იყო საქართველოს ნაწილი დიდი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. ეს ისტორიული ფაქტია.” (“ხვალინდელი დღე”, 12.05.2005)

გაზეთი “ხვალინდელი დღე” წერს, რომ “სეპარატისტები ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტით გამოწვეული შეშფოთების დაფარვას ცდილობენ”. ამერიკა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს და სხვა სახელმწიფოებსაც მოუწოდებს, პატივი სცენ საქართველოს სუვერენიტეტს ასეთი შინაარსისა იყო ბუშის მიმართვის ერთ-ერთი ნაწილი. როგორც ირკვევა, აფხაზური და ოსური მხარე ამ განცხადებამ სერიოზულად შეაფიქრიანა და ორიგინალური გამოსაგალიც აპოვნინა: სოხუმსა და ცხინვალში ფიქრობენ, რომ ბუშმა დიპლომატიურად და შეფარვით, მაგრამ მაინც გამოხატა, რომ “პატივს სცემს ოსი და აფხაზი ხალხის სწრაფვას დემოკრატიისა და თავისუფლებისაკენ”. (“ხვალინდელი დღე”, 12.05.205)

ამასთან, აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტი, ქართული და უცხოური პრესის შეფასებით, კარგი ფიარი იყო არა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოსა და მისი ხელისუფლებისთვის, არამედ, თავად ჯორჯ ბუშისთვისაც.

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა “ნიუ იორკ თაიმსის” სარედაქციო სტატია, სათაურით – “რა შემთხვევაში მიაჩნიათ ამერიკაში პრეზიდენტის ვიზიტი წარმატებულად”: “სასიამოვნო სანახავი იყო, როგორ თბილად ხვდებოდნენ პრეზიდენტ ბუშს ლატვიის დედაქალაქ რიგაში, რა ზღვა ხალხი მიიზიდა მან საქართველოს დედაქალაქ თბილისში. თუმცა, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში თავისი ტურნეს შედეგად მან ზედმიწევნით მიაღწია მიზანს მხოლოდ იმ სფეროში, რაც ეხება ურთიერთობებს საზოგადოებრიობასთან, მაგრამ გერ მიაღწია არსებით საკითხში. როცა რუსეთზე ვსაუბრობთ, ამერიკისთვის უმთავრესი საგანგაშო საკითხი ბირთვული უსაფრთხოებაა და ამ ფრონტზე, როგორც ჩანს, ვიზიტისას არავითარი წარმატებისთვის არ მიგვიღწევია.” (“ხვალინდელი დღე”, 12.05.2005)

გაზეთ “24 საათში” გამოქვეყნებულ სტატიაში – “ბუში შთაბეჭდილებებს კონგრესს უზიარებს”, მოხმობილია აშშ-ის პრეზიდენტის სიტყვები – “ფანტასტიკური შეგრძნებაა, იდგე 150 ათასი, თავისუფლების მოყვარული ადამიანის წინაშე”, თუმცა, აღნიშნულია რომ ბუშმა გაცილებით მეტი დრო დაუთმო მოსკოვში მიღებული შთაბეჭდილებების გაზიარებას. სამაგიეროდ, “აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ტელეინტერვიუს გაცილებით “ემოციური” ნაწილი საქართველოში ვიზიტის შთაბეჭდილებების მოყოლას მიეძღვნა. ლარი ჯინგმა სახელმწიფო მდივანს “ხელყუმბარის ისტორიაზეც” სთხოვა კომენტარის გაკეთება, რაზეც ქალბატონი რაისის პასუხი საკმაოდ მშვიდი იყო – “ამის შესახებ მოგვიანებით შევიტყვეთ. ცხადია, გამოძიება მიმდინარეობს. ვფიქრობ, საქართველოს უშიშროების სამსახური

ჩვენს უწყებასთან ერთად იმუშავებს იმის გასაგებად, თუ რა მოხდა. მაგრამ ეს შემთხვევა ვერანაირად შეცვლის იმას, რაც იქ ხდებოდა; და მინდა გითხრათ, რომ ძალიან ამაღლვებელი იყო მოედანზე ყოფნა”. (“24 საათი”, 13.05.2005)

რაც შეეხება ხელყუმბარას, გაზეთი “ხვალინდელი დღე” მოსწრებულად წერს, რომ “აუფეთქებელი ხელყუმბარა მსოფლიო პრესის ფურცლებზე აფეთქდა”: “ინფორმაცია, რომ 10 მაისს, პრეზიდენტ ბუშის თბილისური ვიზიტისას, თავისუფლების მოედანზე მისი სიტყვით გამოსვლამდე არცთუ დიდი ხნით ადრე, ტრიბუნიდან 30 მეტრის დაშორებით ვიდაცამ ხელყუმბარა ისროლა, პირველად რუსულმა სააგენტოებმა გაავრცელეს. გუშინ განცხადება გაავრცელა თეორმა სახლმა, რომ ხელყუმბარა, რომელიც თბილისში, თავისუფლების მოედანზე აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის გამოსვლის დროს აღმოაჩინეს, პრეზიდენტისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდა.” (“ხვალინდელი დღე”, 12.05.2005)

უურადღებას მივაქცევთ ერთ ინფორმაციას, რომელიც “ყვითელი შეფერილობისაა”, მაგრამ საჭიროდ ჩავთვალეთ მისი მოშველიება საერთო მოზაიკის შესაქმნელად. “ბუშის ვიზიტის დღეებში მუზეუმიდან ფიროსმანის შედევრები საიდუმლო ვითარებაში გაიტანეს”, – გავამცნობს “ჯორჯიან თაიმსი”. “ბუში საქართველოში ჩამოვიდა: ქართულ რიტმს სხეული მოხდენილად ააყოლა, 19-ნაოჭიანი ხინკალი “რეპეტეთი” მიირთვა და “გამძღვრი” გაფრინდა! სხვათა შორის, ამერიკის პრეზიდენტი მხოლოდ ქართული კერძებით არ დანაყრებულა, თან უამრავი პოლიტიკური საჩუქარი, ძველი ქართული წიგნები და ფერწერული შედევრებიც გაიყოლა.” (“ჯორჯიან თაიმსი”, 12.05.2005)

ნიშანდობლივია, რომ ვიზიტის გაშუქებისას ამჯერად ქართულ პრესაში უურადღება არ მახვილდება მოსალოდნელ მატერიალურ დახმარებასა თუ ყოფის გაუმჯობესების პრაგმატულ ინტერესზე. პრესაში ფიგურირებს თვალსაზრისი, რომ საქართველო მოექცევა ძალიან დიდი უურადღების ქვეშ მთელი მსოფლიოს მხრიდან, შესაბამისად, ეს ამცირებს იმ საშიშროებას, რომ ხელისუფლებამ არადემოკრატიული გზით გააგრძელოს მოქმედება. ამასთან, ვიზიტი შეფასებულია, როგორც ძალიან კარგი რეპლამა ზოგადად ქვეყნის, ქართული ბიზნესისა და ქართული პროდუქციისათვის; როგორც წინაპირობა ქვეყნის არასანდობის კოეფიციენტის კიდევ უფრო შემცირებისა და უცხოური ინვესტიციების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდისათვის და ა.შ.

პრესის ანალიტიკურ პუბლიკაციებში, ერთი მხრივ, იკვეთება თვალსაზრისი, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას ამ ვიზიტთან დაკავშირებით გადამეტებული მოლოდინი ჰქონდა; ბუშის ვიზიტი საქართველოსთვის მხოლოდ ავანსად შეიძლება ჩაითვალოს. მკაფიოდ ამერიკის პრეზიდენტის პოზიციაც – ის მეგობარი ქვეყნისთვის დათვეური სამსახურის გაწევას არ აპირებს, ამიტომ ჩვენი გასაკეთებელი თავადგე უნდა

გაფაკეთოთ. ამერიკის დახმარების ფორმატი არა რუსეთთან დაპირისპირების, არამედ თანამშრომლობის პირობებში უნდა წარიმართოს ის, რისი მიღწევაც შეიძლება მშვიდობიანი გზით, კონფრონტაციის მიზეზი არ უნდა გახდეს.

მეორე მხრივ, ქართველ ექსპერტთა შეფასებით, ბუშის ვიზიტი დამაგვირვინებელი ეტაპია იმ სამუშაოსი, რაც საქართველო-რუსეთის საბოლოო გამიჯვნისთვის მიმდინარეობდა, ანუ მოსკოვი ნელ-ნელა შეაგუეს აზრს, რომ საქართველოს დათმობა მოუწევდა. ჯორჯ ბუშის ვიზიტი ნიშნავს, რომ ამერიკა თავის გეოპოლიტიკურ ინტერესებზე უარის თქმას არ აპირებს. ამერიკას კავკასიაში ძლიერი პარტნიორი სჭირდება. ამიტომ მის ინტერესებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობაც შედის. ამდენად, შეიძლება იმის პროგნოზირება, რომ დაკარგული ტერიტორიები უახლოეს ოთხ-ხუთ წელიწადში დავიბრუნოთ. თუმც, ეს იმაზეც იქნება დამოკიდებული, რამდენად სწორად შეასრულებს ქართული მხარე უცხოელ ექსპერტთა რეკომენდაციებს, როგორ სახელმწიფო პოლიტიკას წარმართავს სეპარატისტული რეგიონების მოსახლეობასთან, რამდენად პრინციპული და შედეგიანი იქნება კონტრაბანდასთან ბრძოლა, რა სტრატეგიას დაუპირისპირებს საქართველოს ხელისუფლება ჩრდილოეთიდან მოსალოდნელ პროვოკაციებს და ა.შ. ნებისმიერი უხეში შეცდომა, რომელსაც ამ პროცესში ხელისუფლება დაუშვებს, მომენტალურად იქნება გამოყენებული რუსეთის მიერ და ხელს შეუშლის ჩვენს დასავლელ პარტნიორებს.

ამ ზოგადი სურათის ფონზე, ჩვენი აზრით, უაღრესად მნიშვნელოვანია პრესის შეფასებების შეჯერება თბილისში პრეზიდენტ ბუშის მიერ წარმოთქმული სიტყვების (პარლამენტში გამართულ ბრიფინგება და თავისუფლების მოედანზე) ძირითად მესიჯებსა და საკვანძო სიტყვებთან.

ძირითადი მესიჯები:

- **თქვენ ლიდერები ხართ!**
- **საქართველო – სანიმუშო მაგალითია რეგიონში**
- **“გარდების რევოლუცია” ძლიერი მომენტი იყო თანამედროვე ისტორიაში**
- **საქართველო თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანაა**
- **თქვენი კველაზე მნიშვნელოვანი წვლილი თქვენივე მაგალითია**
- **თქვენი ქვეყანა აშშ-ის ერთ-ერთი სერიოზული მოქავშირეა**
- **თქვენ დემოკრატიულ საზოგადოებას აშენებთ**
- **ამ ახალ საქართველოში კანონის უზენაესობა გაიმარჯვებს და თავისუფლება თითოეული მოქალაქის უფლება იქნება**
- **თქვენ ირჩევთ თავისუფალ მომავალს და იგივე მიზნის განხორციელებაში სხვა ქვეყნებსაც ეხმარებით**

- თავისუფალი საზოგადოების შენება თაობების სამსახურია
- 15 წელი დასჭირდა ბრძოლას, სანამ ამ ქვეყანაში თავისუფლება და სამართლიანობა მოიკიდებდა ფეხს
- იმედისმომცემი ცვლილებები – ბადდადიდან ბეირუთამდე და ბეირუთიდან ბიჟექამდე
- თავისუფლება შავი ზღვიდან კახიის ზღვისკენ, საარხეთის უკრეში და უფრო შორსაც მიიწევს; ეს თქვენით არის გამოწვეული და თქვენი წარმატების მაგალითზე მათაც დიდი იმედი ეძლევათ
- ქართულ მიწაზე დანოებული ცეცხლი მთელ მსოფლიოში ღვივდება
- თავისუფალი საზოგადოებები ხომ მშეიდობიან საზოგადოებებს წარმოადგენენ
- ორგორც თავისუფალ ქვეყნებს, ამერიკასა და საქართველოს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ
- ჩვენი მოგალეობებიც თავისუფლებისათვის გლობალურ ბრძოლაში იწყება
- უდიდესი ქართველი პატრიოტი ზურაბ უვანია – გლობალური დემოკრატიული რევოლუციის დიდი ლიდერი გახდა
- საქართველოს ლიდერებმა იციან, რომ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება აუცილებელია ტრანსატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციისათვის
- საქართველოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას უველა ქვეყანა უნდა სცემდეს პატივს
- ჩვენ გვავს ტრანსატლანტიკური მეგობრები საქართველოში და უოველთვის დაგეხმარებით თქვენი მიზნების მისაღწევად
- თქვენ გვავთ მეგობრები ამერიკაში
- თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყნის შენებისას ამერიკელი ხალხი თქვენს გვერდითაა! (ჯორჯ ბუშის სიტყვა, წარმოთქმული თბილისში, თავისუფლების მოედანზე, გამოქვეყნებულია გაზეთ „24 საათში”, 11.05.2005; ბრიფინგზე წარმოთქმული სიტყვა – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში”, 11.05.2005)

საკვანძო სიტყვები	
ბუში	სააკაშვილი
თავისუფლება, თავისუფალი – 30	თავისუფლება, თავისუფალი – 20
საქართველო, ქართველი – 28	საქართველო, ქართველი – 43
ამერიკა, ამერიკელები – 9	ამერიკა, ამერიკელები – 18
დემოკრატია – 8	დემოკრატია – 11

მშვიდობა, მშვიდობიანი – 8	მშვიდობა, მშვიდობიანი – 3
რევოლუცია, რევოლუციური – 5	რევოლუცია, რევოლუციური – 1
დამოუკიდებლობა – 4	დამოუკიდებლობა – 1
ნატო – 4	ნატო – 3
პასუხისმგებლობა – 3	პასუხისმგებლობა – 3
ისტორია, ისტორიული – 3	ისტორია, ისტორიული – 8
მეგობრობა, მეგობარი – 3	მეგობრობა, მეგობარი – 4
“ვარდების რევოლუცია” – 2	“ვარდების რევოლუცია” – 2
აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი – 1	აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი – 3
ტერიტორიული მთლიანობა – 1	ტერიტორიული მთლიანობა – 2
კონფლიქტების მოგვარება – 1	კონფლიქტების მოგვარება – 1
მომავალი – 2	მომავალი – 4

ჯორჯ ბუშისა და მიხეილ სააკაშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვების ანალიზი ჩვენი კომპეტენციისა და ამ სტატიის ფარგლებს სცილდება, ამდენად, უკანადლებას შევაჩერებთ მხოლოდ რამდენიმე ნიუანსზე.

როგორც ვხედავთ, ორივე პრეზიდენტის გამოსვლებში დიდი უპირატესობით ფიგურირებს ცნება „თავისუფლება”, მასთან შედარებით „დემოკრატია” გაცილებით იშვიათად ხსენდება; ამასთან, „თავისუფლება”, განსაკუთრებით აშშ-ის პრეზიდენტის სიტყვაში, „შშვიდობასთან” ასოცირდება („თავისუფლადი საზოგადოებები ხომ მშვიდობიან საზოგადოებებს წარმოადგენენ”); „თავისუფლებას” (და არა დემოკრატიას) პრეზიდენტი ბუში ხატოვნად თავისი ქვეყნის სავიზიტო ბარათს უწოდებს.

„პასუხისმგებლობას” ორივე პრეზიდენტი სულ 3-ჯერ ახსენებს, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვან კონტექსტში; აშშ-ის პრეზიდენტი, „თავისუფლებისათვის გლობალურ ბრძოლაში”, პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, საქართველოს ამერიკის გვერდით აყენებს, ლამის თანაბარი სტატუსით: „როგორც თავისუფლად ქვეყნებს, ამერიკასა და საქართველოს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ და ჩვენს მოვალეობებს ერთად შეგასრულებთ.”

საგულისხმოა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი გაცილებით ხშირად ახსენებს „საქართველოს” და „ქართველს” (28-ჯერ), ვიდრე თუნდაც საქართველოს პრეზიდენტი (ანუ, მასპინძელი, სხვა ფაქტორებზე რომ არაფერი ვოქვათ) – „ამერიკას” (18-ჯერ).

„რეზონანსის” მთავარი რედაქტორი ლაშა ტუდუში, ბუშის ვიზიტის შედეგებისადმი მიძღვნილ სარედაქციო სტატიაში, პირველ რიგში, სწორედ აშშ-ის

პრეზიდენტის მიერ წარმოთქმული სიყვების მესიჯებს ეუყრდობა: “პასუხისმგებლობაა ის უმნიშვნელოგანესი სიტყვა, რომელიც ყველაზე აქტუალურია ქართული სახელმწიფოსთვის. ძალიან საპასუხისმგებლოა ის როლი, რომელიც საქართველოს “ვარდების რევოლუციის” შემდეგ განუსაზღვრა ამერიკის პრეზიდენტმა ბუშმა, კერძოდ, დიდი რეგიონის ტრანსფორმაციის ხელშეწყობის: “საქართველოში განხორციელებული დემოკრატიული პროცესები ცენტრალური აზიის ტრანსფორმაციას შეუწყობს ხელს”. საქართველოს სახელმწიფოს, ასევე, გააჩნია პასუხისმგებლობა იმ მოქალაქეების მიმართაც, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ.” (“რეზონანსი”, 11.05.2005)

ამ პუბლიკაციაში ლაშა ტუდუში კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებულ (და არა მხოლოდ!) საყურადღებო ინფორმაციას გვთავაზობს (საგულისხმოა, რომ შემდგომ წლებში განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა მისი მართებულობა): “ჩვენმა წყარომ, რომელიც უშუალოდ ესწრებოდა სააკაშვილის ბუშთან შეხვედრას, გვითხრა, რომ დახურულ შეხვედრაზე ბუშმა პირდაპირ განაცხადა, რომ გვირჩევს, როგორც მეგობარი, თანაც წინასწარ, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოვაგვაროთ და რომ ის ვერ დაუჭერს საომარ მოქმედებებს მხარს. თანაც, ამას ამბობს დღეს იმისათვის, რომ ხვალ რამე არ იყოს გაუგებარი. თუმცა, იქვე ითქვა, რომ ისინი აუცილებლად დაგვეხმარებიან კონფლიქტის მოწესრიგებისას. ეს იქნება ძალიან რეალური დახმარება, ოდონდ მშვიდობიანი ფორმებით. ცოტა ხნის წინ, ნატოს გენერალურმა მდივანმა სხეფერმა განაცხადა, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივები რეალურია, მიუხედავად მის ტერიტორიაზე კონფლიქტებთან დაკავშირებული ვითარებისა. მოკლედ, მან თქვა, ძალიან მკაფიოდ, თანაც პირველად, რომ ნატო-ს კარი დიაა საქართველოსთვის. ზოგიერთმა პოლიტიკოსმა საქართველოში რატომდაც ეს გაიგო ისე, თითქოს საქართველოს იდებენ ნატო-ში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე. საქმე ის არის, რომ ნატო-ს არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში არ წერია, რომ კონფლიქტი, ანუ, საქართველოს მსგავსი სიტუაცია, არის ქვეყნის ამ ორგანიზაციაში გაერთიანების შემაფერხებელი ფაქტორი. პრობლემა არა სამართლებრივი, არამედ პოლიტიკური ხასიათისაა. ამდენად, მნიშვნელოვანია დასავლეთში დაინახონ, რომ საქართველოში შეუქცევადი პროცესებია, როგორც სახელმწიფოს მშენებლობის (რაც ბუშმაც ადნიშნა), ასევე, სამშვიდობო პროცესის დრმად (შეუქცევლად) განვითარების.” (“რეზონანსი”, 11.05.2005)

როგორც დასაწყისშივე აღნიშნეთ, ბუშის ვიზიტან დაკავშირებულ გამოხმაურებებში ემოცია სჭარბობს და ამგვარი პუბლიკაციები გამონაკლისის სახით გვხვდება. შესაბამისად, საინფორმაციო სივრცეში იგრძნობა ერთგვარი უკარობის

განწყობა – რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით აშშ-ის პრეზიდენტმა მკვეთრად არ გამოხატა თავისი პოზიცია.

თუ ერთად დავაჯგუფებთ ჯორჯ ბუშის გამოსვლებში ამ პრობლემასთან დაკავშირებულ მესიჯებს, ასეთ სურათს მივიღებთ:

- საქართველოს ლიდერებმა იციან, რომ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება აუცილებელია ტრანსატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციისათვის;
- საქართველოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას ყველა ქვეყანა უნდა სცემდეს პატივს;
- ჩვენ გვისავს ტრანსატლანტიკური მეგობრები საქართველოში და ყოველთვის დაგეხმარებით თქვენი მიზნების მისაღწევად;
- ...ვისაუბრეთ რეგიონული საკითხების მშვიდობიან მოგვარებაზე, რომელიც თქვენს ქვეყანას აწუხებს;
- მოხარული ვარ, რომ მექნება საშუალება ვიმუშაო ბატონ პრეზიდენტან, თუ იგი მომმართავს ასეთი თხოვნით, მხარი დავუჭირო ისეთი პრობლემების გადაჭრაში, როგორიცაა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი;
- იმედს გამოვთქვამ, რომ თანამშრომლობის საფუძველზე შეგვიძლია ეს პრობლემები მშვიდობიანად მოვაგვაროთ;
- დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ჩვენი დახმარებით შეუძლია სერიოზულ პროგრესს მიაღწიოს მათი მოგვარების საკითხებში.

უადრესად საყურადღებოდ გვეჩენება აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში არა მხოლოდ პრეზიდენტ ბუშის, არამედ საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მესიჯი:

“მიუხედავად ვარდების რევოლუციის წარმატებისა, ჩვენს ქვეყანაში არის მხარეები, სადაც ქართველებს წართმეული აქვთ თავისუფლება.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში ჩვენი მოქალაქეების იზოლაციაში ყოფნას წერტილი უნდა დავუსვათ, მათ უნდა მივცეთ თანაბარი შესაძლებლობები, რათა დემოკრატიისა და თავისუფლების პირობებში განვითარდნენ.”

როგორც ვხედავთ, საქართველოს პრეზიდენტის მოტივაცია თავისუფლებაა და არა ვთქვათ, ისტორიული სამართლიანობის აღდგენა (სხვათაშორის, ისტორიას მან დიდი როლი დააკისრა თავის გამოსვლაში, მაგრამ არა დაკარგული ტერიტორიების კონტექსტში).

“თავისუფლება” კი, პრეზიდენტ ბუშის სიტყვაში ასეთი “სქემითაა” განვითარდა: 1989 წელს წამოწყებული ბრძოლა თავისუფლებისათვის ქართველებმა 2003 წელს დირსეულად დაასრულეს; შედეგად – თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანა – საქართველო რეგიონში სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს; თავისუფალი და

დემოკრატიული ქვეყნის შენებისას ამერიკელი ხალხი ქართველების გვერდითაა და საქართველოს არ მოუწევს ამ გზის მარტო გავლა!

თავისუფალი საზოგადოებები ხომ, აშშ-ის პრეზიდენტის ფორმულირებით, მშვიდობიან საზოგადოებებს წარმოადგენენ და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **თავისუფლებისათვის** გლობალურ ბრძოლაში პრეზიდენტი ბუში საქართველოს თავის მოკავშირედ მიიჩნევს.

ლოგიკურად, ბუშისა და სააკაშვილის მესიჯების საერთო რეზიუმე ასეთია: თუ “ჭეშმარიტი თავისუფლების შენებისას” “ქართულ მიწაზე დანობებული ცეცხლი მთელ მსოფლიოში დგივდება!”, “ღმერთის მიერ მინიჭებული უფლებით” სარგებლობის საშუალება “თავისუფლებაწართმეულ ქართველებსაც” უნდა მიეცეთ.

გაზეთ “24 საათის” პრესომბულსმენი, ნოდარ ლადარია, საინტერესოდ აანალიზებს აშშ-ის პრეზიდენტის საჯარო გამოსვლას, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, “მრავალი პროფესიონალის შრომის ნაყოფს”, “მშვენიერი კომპოზიციისა და დამაფიქრებელი შინაარსის”, უაღრესად ადამიანური და შინაურული დასაწყისის მქონე სიტყვას, მის შეტყობინებებსა და ნიუანსებს. პარალელურად, ლადარია “სახელდახელოდ შეთხხულ სიტყვას” უწოდებს თვისუფლების მოედანზე პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლას, რომელიც, ჩვენი აზრით, თუნდაც აფხაზეთისა და ეწ. სამხრეთ ოსეთის პრობლემის ამგვარი რაკურსით წარმოდგენის გამო, ნამდვილად არ ტოვებს “სახელდახელოს” შთაბეჭდილებას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საგანგებო მზადებამ აშშ-ის პრეზიდენტის შესახვედრად, საბჭოთა კავშირის კომპარტიის გენმდივნის, ბრეუნევის ვიზიტების (საქართველოში) ასოციაციაც გააჩინა პრესაში. საყურადღებოა, რომ მოლოდინის საწინააღმდეგოდ, პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლები – პარლამენტში გამართულ ბრიფინგზე თუ თავისუფლების მოედანზე, არღვევს “ქეშეგრდომული” და “გასაღური” მიმართვების სტერეოტიპს და პირიქით – ერთგვარი ზომიერი ამბიციურობითაც არის გაჯერებული. სამაგიეროდ, დაცულია ქართული ეთნოსისთვის დამახასიათებელი – ისტორიის მიმართ ამაღლებული, რომანტიკული და ერთგვარად მითოლოგიზმებული დამოკიდებულების სტერეოტიპი.

2005 წლის 30 მაისს, მოსკოვში, მიღწეულ იქნა შეთანხმება საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე. საკვირველია, მაგრამ პრესას ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტი არ დაუკავშირებია ბუშის ვიზიტის შედეგთან. სამაგიეროდ, პრესას უურადღებიდან არ გამოჰქმდია საქართველოს პრეზიდენტის მიერ ტონის მკვეთრი შერბილება რუსეთის მიმართ.

“საქართველოს უნდა რუსეთთან მჭიდრო, მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობა”, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ ბრიფინგზე და ბაზების გაყვანის თაობაზე მიღწეულ შეთანხმებას

ისტორიული მოვლენა უწოდა: “მიმაჩნია, რომ პრეზიდენტმა პუტინმა გამოიჩინა გამბედაობა, აჩვენა მშვენიერი პოლიტიკური ალლო, მოახდინა საღი აზრის დემონსტრირება და გადადგა თამამი პოლიტიკური ნაბიჯი და მე არ შემიძლია, ეს არ დავინახო. საქართველო მზად არის ყველა საკითხი – უსაფრთხოების, ტერორიზმთან ბრძოლის, რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების ისეთი გათვალისწინების საკითხი, სადაც ისინი მთლიანად ემთხვევა საქართველოს ინტერესებს (და ასეთი გადაკვეთის ძალიან ბევრი ვექტორი არსებობს), სრული მასშტაბით გაითვალისწინოს და ყოველგვარი დაძაბულობა ჩვენს ურთიერთობაში წარსულს ჩაბარდეს.” (“საქართველოს რესპუბლიკა”, 31.05.2005)

საქართველოში აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტის ფაქტორმა გარკვეული პერიოდით (აპრილ-მაისი) გაანეიტრალა პრესაში ხელისუფლებისკენ მიმართული ნეგატიური მუხტი და ხელი შეუწყო მის გარშემო მეტ-ნაკლებად პოზიტიური განწყობის კონცენტრაციას; ივნისის თვეში კი სურათი მკვეთრად შეიცვალა და ხელისუფლების მიმართ კონფრონტაციული დამოკიდებულება საკმაოდ გამძაფრდა. თითქმის წელიწადნახევრის მანძილზე უფუნქციოდ დარჩენილი პოლიტიკური ძალები (რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ მმართველ პარტიას – “ნაციონალებს”) და სამოქალაქო სექტორი გამოცოცხლდნენ და თანდათან ხელისუფლებასთან ოპონირების რეჟიმში გადაერთვნენ. არა მხოლოდ ამ ნიშნით, არამედ, საერთოდაც, “ვარდების რევოლუციის” შემდგომი პერიოდის პრესისთვის (ისევე როგორც ქვეყნის, ხელისუფლებისა და საზოგადოებისთვის) ჯორჯ ბუშის ვიზიტი ერთგვარი მიჯნა იყო, რომელმაც ამაღლებულ ნოტაზე დაასრულა რევოლუციური ეიფორიის პერიოდი.

დასკვნა

ჩვენი შესწავლისა და კვლევის საგანი იყო დროის ინფორმაციული ანალოგის – პრესის მიერ გამოკვეთილი ძირითადი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტები და აქცენტები. რამდენად შეესაბამება ეს ანალოგი საქართველოს მაშინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას? თუ ამ ნაშრომში არაერთხელ დამოწმებულ გიგი თევზაბის წიგნს (“საქართველო: ძალაუფლების დაბრუნება”) მოვიშველიებთ და გავისხმებთ, რომ ედუარდ შევარდნაძის პერიოდის საქართველოს დემოკრატია იყო “სიმულირებული”, ხოლო “თავისუფალი მასმედია”, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, იყო სიმულაციის რეალობის დამადასტურებელი აგენტი (25, 40), მაშინ უნდა ვთქვათ, რომ მედია საკმაო წარმატებით ასრულებდა დემოკრატიის “შირმის” როლს.

მეორე მხრივ, ჩვენი კვლევის შედეგი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ მოცემულ რეალობაში, არსებული შესაძლებლობებით, ქართულმა პრესამ მაინც მოახერხა შექმნა მეტ-ნაკლებად ადგანატური მედიასურათი საანალიზო პერიოდში (2000-2005 წლები) განვითარებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესებისა. და ამ სურათის შექმნის მეთოდები, ხერხები, ფორმები, პროფესიული დონე და ა.შ. იმდენად შეესაბამება თანამედროვე მედიის სტანდარტებს, რამდენადაც საქართველოში “გარდამავალი დემოკრატიის” ხარისხი შეესაბამება განვითარებული დემოკრატიის მოთხოვნებს. უფრო მეტიც, პრესა საქართველოს დემოკრატიული განვითარების მაჩვენებლადაც ითვლებოდა. დავიმოწმებთ მაია ტორაძის ზემოხსენებულ სადისერტაციო ნაშრომს: “საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების მიერ პრესა ბოლო ათწლეულში საზოგადოების ყველაზე დემოკრატიულ სეგმენტად მიიჩნეოდა.” (69, 2)

ძირითადი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტები, რომელიც პრიორიტეტული იყო საანალიზო პერიოდის პრესისთვის, სადისერტაციო ნაშრომის სარჩევშივა მოცემული და აღარ გავიმეორებთ; ამასთან, ჩვენ შევეცადეთ დისერტაციის თითოეულ მონაკვეთშივე გადმოგვეცა შეესაბამისი დასკვნები; რამდენიმე ზოგადი დასტანა კი, 2000-2005 წლების ქართული პრესის თაობაზე, ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

- რაოდენობრივი სიმრავლის მიუხედავად, საანალიზო პერიოდის პრესა არ ქმნიდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების პლურალისტურ სურათს; მრავალრიცხოვანი გამოცემებიდან “საზოგადოებრივი აზრის გენერატორის” ფუნქციას, უმეტესწილად, 3-5 გამოცემა ასრულებდა (განსაკუთრებით, 2000-2003 წლებში);
- სიტყვის გათავისუფლების პირველი ეტაპის გადასვლა თავისუფლებასთან პასუხისმგებლობის შეხამების მომდევნო სტადიაზე, სახელმწიფო ინტერესის გამოხატვის სიმპტომები, ქართულ პრესაში შეინიშნება 2002 წლიდან, როცა

საქართველო აკეთებს განაცხადს ნატო-ში შესვლის სურვილზე, როცა საქართველოში, აშშ-ის დახმარებით, იწყება “წრთვნისა და აღჭურვის პროგრამა” და ა.შ.

- საანალიზო პერიოდის პრესა გამოირჩევა პოლიტიზების მაღალი ხარისხითა და პერსონიფიცირების ტენდენციით; გამოცემების უმეტესობა მიღრეკილია “სიყვითლისაკენ” (შესაბამისად, სკანდალებისა და “სენსაციებისაკენ”); ამის გამო უმთავრესად პრესის ყურადღების არეალში ექცევა არა საზოგადოებრივად აქტუალური, არამედ “კულუარულ ინფორმაციებსა” და “სარწმუნო წყაროებზე” აგებული თემები; წინა პლანზე წამოწეულია პრესის ინტერპრეტაციები და არა გერიფიცირებული ფაქტები;
- თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი ასპექტი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა განიხილება სახელისუფლო პრძოლებისა და პიროვნული დაპირისპირების ჭრილში; პერსონებზე ორიენტირება არ ნიშნავს იმას, რომ პრესის ყურადღების არეალში საზოგადოებრიობის ფართო წარმომადგენლები ექცევიან; პრესის ყურადღებას იქცევს მხოლოდ სახელისუფლო პერსონების გარეგეული კატეგორია, პოლიტიკოსები, ისევ პრესის მეშვეობით გენერირებული ეწ. ცნობადი სახეები.
- არა მხოლოდ ინფორმაციის, ხშირად კომენტარის პირველწყაროს დადგენაც შეუძლებელია, რადგანაც პრესა იშველიებს “ექსპერტთა აზრს”, რომლის მიღმაც ზოგჯერ, შესაძლოა, ისევ ურნალისტის, ან გამოცემის პოზიცია იგულისხმებოდეს. რაც შეეხება ექსპერტებს, აქაც ორი უკიდურესობა შეინიშნება – ან წლების მანძილზე მუდმივად ერთი და იგივე ექსპერტებს მიმართავენ თითქმის ყველა თემისა და საკითხის კომენტირებისთვის (მაგალითად, რამაზ საყვარელიძე, გია ნოდია, სოსო ცინცაძე, პაატა ზაქარეიშვილი, რამაზ კლიმიაშვილი და ა.შ.); ან, ამა თუ იმ დარგის ჩვეულებრივი საეციალისტი წარმოდგენილია ექსპერტის რანგში; რახან საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტები პრიორიტეტულია, შესაბამისად, პრესაში ექსპერტები ფიგურირებენ თითქმის ყოველდღე, არა მხოლოდ მიმდინარე პროცესების, არამედ, ნებისმიერი პოლიტიკური თუ სკანდალური ფრაზის კომენტირების საბაბით.

შეიძლება ითქვას, რომ “ვარდების რევოლუციის” წინა პერიოდში (2002-2003 წლები), პრესამ, საერთო ჯამში, საქმაოდ კარგად გაართვა თავი საზოგადოების სამოქალაქო აქტივობის გაზრდის ფუნქციას, დასავლური ორიენტაციისაკენ სწრაფვას; შესაძლოა, ზედმეტი იღუზიაც შეუქმნა თავისთავსა და საზოგადოებასაც, რომ ისინი, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების “საქმის კურსში” არიან (დეტალებისა და კულუარული ჭორების ჩათვლით), მაშინ, როცა ეს “აისბერგის წვერი” იყო და ჩვენი

ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განმსაზღვრელი პროცესები, არც თუ იშვიათად, წყალქვეშა მდინარებით მიედინებოდა. პრესამ, მოვლენებისთვის წინ გასწრებაც აიძულა საზოგადოებას (არ დაალოდა საარჩევნო როტაციას) და დიდი წვლილი შეიტანა “ვარდების რევოლუციაში”.

ამასთან, როგორც სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში აღვნიშნეთ, “ვარდების რევოლუციის” შემდგომ პერიოდში ერთგვარად დამუხრუჭდა ქართული მედიის განვითარების პროცესი; ცენზურისა და ოვითცენზურის გარდა (რაც ტელემედიასთან მიმართებაში უფრო აშკარაა), მხედველობაში გვაქვს პროფესიული დონის დაწევა; ეს, ჟურნალისტთა პროფესიული კადრების სხვა სფეროებში გადანაცვლების გარდა, ჩვენი აზრით, იმანაც განაპირობა, რომ ამ ეტაპზე მედია (განსაკუთრებით, პრესა) აღარ განიხილება ისეთ მნიშვნელოვან აქტორად, როგორადაც “ვარდების რევოლუციის” წინა პერიოდში.

ჯერჯერობით ჩვენში სამოქალაქო საზოგადოება არ მისულა იმ კონდიციამდე, რომ მასმედიას საზოგადოების ინტერესის გამოხატვა “აიძულოს”. ამასთან, მედიისთვის არახელსაყრელი ბიზნეს-გარემო განაპირობებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრესისა და ე.წ. ბულვარულის დაახლოებას, ან სულაც ერთმანეთში აღრევას; ამდენად, უსამართლობა იქნება რომ მედიას დავაკისროთ მთელი პასუხისმგებლობა პოლიტიზების მაღალი ხარისხის, საზოგადოების “ფხიზელი გუშაგის” ფუნქციის გერშესრულების, საზოგადოებრივი ცხოვრების ასპექტებისათვის გვერდის ავლის გამო. არ უნდა გეცადოთ ილუზიის შექმნას, თითქოს ჟურნალისტს შეეძლოს თავისი დამკვეთის/დამქირავებლის, ხოლო რედაქციას – გამომცემლის/მეპატრონის ინტერესის იგნორირება.

“პრობლემა ის კი არ არის, რომ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს არ შეუძლიათ ახალი ამბების ხარისხიანი გაშუქება, არამედ ის, რომ საზოგადოება ამას არც ითხოვს”, – ამბობენ “ამერიკული დემოკრატიის” ავტორები – ქენეთ ჯანდა, ჯეფრი მ. ბერი და ჯერი გოლდმენი. (77, 151) “მოქალაქეები თანაბარი ცინიზმით გაიმსჭვალნენ მედიისა და პოლიტიკის მიმართ, რადგან ეს უკანასკნელნი მხოლოდ ერთმანეთთან აწარმოებენ დიალოგს და მათ ამ ურთიერთობაში არანაირად არც მონაწილეობს ხალხი”, – ესეც ამერიკელი მკვლევარების – ლუის ა. ფრიდლენდის, ჯეი როზენის და ლიზა ოსტინის თვალსაზრისია. (6, 13-14)

არა მხოლოდ ეს ციტატები, არამედ ბილ კოვაჩისა და ტომ როზენსტილის ცნობილ წიგნში (“ჟურნალისტიკის ელემენტები”) ასახული, ათასწლეულების მიჯნაზე ამერიკული მედიასივრცის ვითარების შესწავლის შედეგად მიღებული სურათი და დასკვნები (“ფართო საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილების ნაცვლად, ჩვენი პროფესია ზიანს აყენებს საზოგადოებას”) (34, 10-11), ბევრი რამით გვაგონებს ქართული მედიის წინაშე მდგომ პრობლემებს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ

დემოკრატიულობის ეტალონად მიჩნეულ ამერიკულ მედიასა და “გარდატების ასაკში” მყოფ ქართულ მედიას საერთო კონცეპტუალური პრობლემა აქვთ; რომ საზოგადოების ინტერესებიდან გადახვევა მხოლოდ ქართული მედიის დილემა არ არის. ოდონდაც, განსხვავება ისაა, რომ ჩვენმა მედიამ “მოკლეზე მოჭრა” და გამოტოვა განვითარების ის ეტაპი, რომელმაც დასავლური მედია საზოგადოების “ფხიზელ გუშაგად” ჩამოაყალიბა.

დემოკრატია, უპირველესად, არჩევანის თავისუფლების უზრუნველყოფაა. ქართული პრესაც, ჩვენი აზრით, მაშინ გადავა განვითარების უფრო მაღალ ეტაპზე, როცა შეიქმნება ჯანსაღი კონკურენციისა და პლურალიზმის გარემო და ფართო არჩევანის საშუალება მიეცემა არა მხოლოდ მედიამომხმარებელს, არამედ, თავად მედიასაშუალებებსა და ჟურნალისტებს.

ლიტერატურა

1. ანთაძე, ია, “ცხოვრება ჭვავის ყანაში; ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ”, ჟურნალი “საქართველოს სახალხო დამცველის პერიოდული გამოცემა”, №3(24), 2008
2. ალფაიძე, თამარ, “მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები”, სადისერტაციო ნაშრომი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006 (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)
3. “აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობა საზოგადოებასთან”, საქართველოს გაეროს ასოციაცია, თბილისი, 2001
4. ბალზაკი, ონორე დე, “შაგრენის ტყავი”, რჩეული თხზულებანი, გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1973
5. ბალცეროვიჩი, ლეშეკ, “სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში”, თბილისი, 2002
6. ბასილაიძე მერაბ, “მედია და ერთი იკარუსის მგზავრები”, ჟურნალი “თავისუფლება”, №4(41), მაისი, 2005
7. ბაქრაძე, აკაკი, “დაწუნებული გზა”, გამომცემლობა “სარანგი”, თბილისი, 1995
8. Baudrillard, Jan, “Requiem pour les medias”, “Pour une critique de l'économie politique du signe”, Paris, Editions Gallimard, 1972
9. БОДРИЙЯР, Жан, “СИСТЕМА ВЕЩЕЙ”, он-лайн книга;
<http://yanko.lib.ru/books/philosoph/baudrillard-le-systeme-des-objets.htm>
10. ბერაძე, ალექსანდრე, “მუსიკალური კრიტიკის პრობლემატიკა და ტენდენციები თანამედროვე ქართულ პრესაში (1990-2002 წლები)”, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006 (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)
11. ბერტრანი, კლოდ-ჟან, “მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემები”, თბილისი, 2004
12. Бжезинский, Збигнев, «Великая шахматная доска», изд. «Международные отношения», Москва, 2003
13. გოგოლაშვილი, თორნიკე, “სახის ლინგვისტური რეალიზაცია საგაზეთო კომუნიკაციაში”, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის წოდების მოსაპოვებლად, თბილისი, 2006 (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)

14. გოცირიძე, გიორგი, “ელექტრონული მედია “ვარდების რევოლუციის” შემდეგ”, “ურნალი “სოლიდარობა”, საქართველოს სახალხო დამცველის პერიოდული გამოცემა, №3(24), 2008
15. Гуревич, Семен, «Газета. Вчера, сегодня, завтра», Аспект Пресс, Москва, 2004
16. დარჩიაშვილი, დავით, “საქართველოს დედაქალაქი და რეგიონები”, “დემოკრატიის განვითარება საქართველოში”, №10, თბილისი, 2003
17. დარჩიაშვილი, დავით, “საქართველო სამხრეთ კავკასიის რეგიონის კონტექსტში”, “დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში”, №12, თბილისი, 2003
18. დევდარიანი, ჯაბა, “საერთაშორისო დახმარების გავლენა საქართველოზე”, “დემოკრატიის განვითარება საქართველოში”, №11, თბილისი, 2003
19. Егорова-Гантман, Екатерина, «Игры в солдатики. Политическая психология президентов», Москва, 2003
20. Elections In Parliament Of Georgia – Test Of Democracy, Central Asia-Caucasus Analyst, November 05, 2003, http://www.cacianalyst.org/view_article.php?articleid=1870
21. ვეკუა, მარინე, “ურნალისტიკის პრინციპები”, თბილისი, 2008
22. Ворошилов, В. «Журналистика», учебник, Санкт-Петербург, 2001
23. თათარაშვილი, ნატო, “სახელმწიფო და ტელევიზია – ურთიერთობის მექანიზმები”, “ტელე-რადიოურნალისტიკის საკითხები”, VI, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2001
24. თევზაძე, გიგი, “ეთიკური ნორმები ქართულ მედიაში – არსებული ვითარება და შესაძლებელი მომავალი”, “ქართულ პრესაში ურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვის მონიტორინგი”, დემოკრატიულ ინოვაციათა ცენტრი, 2003
25. თევზაძე, გიგი, “საქართველო: ძალაუფლების დაბრუნება”, ბაქურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2003
26. იაკობიშვილი, ლევა, “პოლიტიკური პერფორმანსი და პერფორმატიული პოლიტიკა”, “წერილები ქართულ იდენტობაზე”, თბილისი, 2007
27. იბერი, ელდარ, “სახელმწიფო ტელევიზია და საპრეზიდენტო არჩევნები”, “ტელე-რადიოურნალისტიკის საკითხები”, V, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2001
28. იბერი, ელდარ, “ტელევიზია და ხელისუფლება (“ვარდების რევოლუციის” გაპერიოდები)”, “ტელე-რადიოურნალისტიკის საკითხები”, VII, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2005
29. Каландаришвили, Нино, «Абхазия в предвыборном меню грузинских политиков», «Ресурсы примирения», Тбилиси, 2004
30. კაპანაძე, გივი, “ქართული მედია და დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში”, თბილისი, 2004

31. ქაჭკაჭიშვილი, იაგო, რადიო “თავისუფლება, “თავისუფლების დღიურები”, 31 ოქტომბერი, 2007
<http://www.tavisupleba.org/programs/diaries/2007/11/20071104173646.asp>
32. კინწურაშვილი, თამარ, “2003 წლის ქურნალისტური ნოვაცია – სამოქალაქო ქურნალისტიკა”, “სახე(ლ)ები-2003”, “საგამომცემლო სახლი “სახე(ლ)ების” ყოველწლიური გამოცემა, თბილისი, 2004
33. Корконосенко, С. «Основы журналистики», учебник, «Аспект-Пресс», Москва, 2004
34. კოვაჩი ბილ, როზენსტილი ტომ, “ქურნალისტიკის ელემენტები”, გამომცემლობა “იმპრესი”, თბილისი, 2006
35. Коливер, Сандрा, Сравнительный анализ законодательства о прессе в европейских и других демократических государствах, Законы и практика СМИ в Европе, Америке и Австралии (сравнительный анализ). Артикуль 19. (пер. с англ.)М.: Права человека, 1997, он-лайн книга;
<http://www.medialaw.ru/article10/5/3.htm>
36. კუტუბიძე-ზუბაშვილი, ლაურა, “თანამედროვე ქართული პრესის შესახებ”, “ქურნალისტური ძიებანი”, I, თბილისი, 2001
37. კუტუბიძე-ზუბაშვილი, ლაურა, “ქართული მასმედიის გარდატეხის ასაკი”, “ქურნალისტური ძიებანი”, II, თბილისი, 2002
38. კუტუბიძე-ზუბაშვილი, ლაურა, “საინფორმაციო საფრთხისა და უსაფრთხოების თაობაზე”, “ქურნალისტური ძიებანი”, III, თბილისი, 2002
39. კუტუბიძე-ზუბაშვილი, ლაურა, “მასმედია და სახელმწიფოს იმიჯი”, “სახე(ლ)ები-2004”, “საგამომცემლო სახლი “სახე(ლ)ების” ყოველწლიური გამოცემა, თბილისი, 2005
40. კუტუბიძე-ზუბაშვილი, ლაურა, “არის თუ არა პოლიტიკური ბრენდი „მარკეტინგული პროდუქტი?”, “სახე(ლ)ები-2005”, “საგამომცემლო სახლი “სახე(ლ)ების” ყოველწლიური გამოცემა, თბილისი, 2006
41. კუტუბიძე-ზუბაშვილი, ლაურა, “ქართული მედიის 15 წლიანი მარათონი”, “სახე(ლ)ები-2006”, “საგამომცემლო სახლი “სახე(ლ)ების” ყოველწლიური გამოცემა, თბილისი, 2007
42. Кутубидзе-Зубашвили, Лаура, “Резонанс визита Буша в грузинской прессе”
http://nikkolom.ru/2005/22_07_05_1i_2article.htm
43. ლანგი, იაშა, “მედია და არჩევნები”, სახელმძღვანელო, სერიიდან “მედია”, ევროპის საბჭო, თბილისი, 2007
44. ლომიძე, მარინა, “მომავალი – წვენი ცხოვრების მისამართი” (ჰერბერტ მარშალ მაკლუენის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ზოგიერთი შტრიხი), “ხელისუფლება და საზოგადოება” (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-

სოციალური ფაკულტეტის უცხო ენგბისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის
სამეცნიერო ჟურნალი), №2(6), თბილისი, 2008

45. Луман, Никлас, РЕАЛЬНОСТЬ МАССМЕДИА, он-лайн книга;

<http://strana-oz.ru/?numid=13&article=621>

46. მაკლუები, მარშალ, „საშუალება არის შეტყობინება”, ტელე-რადიოჟურნალისტიკის
საკითხები, VI, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003

47. Маклюен, Маршалл, «Понимание Медиа», Москва-Жуковский, 2003

48. „მედიის თვითრეგულირების ქრესტომათია” (შემდგენელი და რედაქტორი თამარ
ჯინწურაშვილი), თავისუფლების ინსტიტუტი, 2004

49. მენაკერი, დრუსილა, „მედია საზოგადოების ასპარეზი უნდა გახდეს”, ჟურნალი
“მედიატორი”, კავკასიის ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრი, №3, 2005

50. „მესამე სექტორის განვითარების სტრატეგია ახალ გარემოში”, გამომცემელი –
მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი,
2004

51. Morris, Dick, “The New Prince, Machiavelli Updated For The Twenty-First Century”,
Renaissance Books, Los Angeles, 1999

52. მუსხელიშვილი, მარინა, „მასმედია”, „დემოკრატიის განვითარება საქართველოში”,
№7, თბილისი, 2003

53. Наполитан, Джозеф, «Электоральная игра», Москва, 2002

54. ნაცვლიშვილი, პაატა, „ქართული ჟურნალისტიკის გენეზისისათვის”,
სადისერტაციო ნაშრომი ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის
მოსაპოვებლად, თბილისი, 2009 (საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა)

55. ნოდია, გია, „დემოკრატიის შექმნის ორი მცდელობა საქართველოში:
თხუთმეტწლიანი გზის შეჯამება”, „დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში”,
№1, თბილისი, 2003

56. ნოდია, გია, „სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები
და გამოწვევები”, თბილისი, 2005

57. Олешко В. «Журналистика как творчество», «РИП-холдинг», Москва, 2003

58. «Политическая ситуация в Грузии», Национальная лаборатория внешней политики,
16.08.2002, <http://www.nlvp.ru/laboratory>

59. «Понятия чести, достоинства и деловой репутации (Спорные тексты СМИ и проблемы их
анализа и оценки юристами и лингвистами)», Фонд защиты гласности, издательство
«Медея», Москва, 2004

60. Почепцов, Георгий, «Информационные войны», издательство «Ваклер», Москва, 2000

61. Почепцов, Георгий, «Коммуникативные технологии XX века», Москва, 2002

62. რეპკოვა ტატიანა, “ახალი დროება: პროფესიული გაზეთის შექმნა განვითარებადი დემოკრატიის პირობებში”, თბილისი, 2006
63. “საპარლამენტო კონტროლი უსაფრთხოების სექტორზე: პრინციპები, მექანიზმები და პრაქტიკა”, პარლამენტთაშორისი კავშირისა (IPU) და შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის უნივერსიტეტის (DCAF) მიერ გამოცემული სახელმძღვანელო (რედაქტორი და წამყვანი ავტორი პანს ბორნი), უენგვა/თბილისი, 2003
64. “საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი”, კოორდინატორ-რედაქტორები: გია ნოდია და ალვარო პინტო სქოლტბახი, თბილისი, 2006
65. სილაგაძე, აპოლონ, “რევოლუცია რომ არ ყოფილიყო”, გაზეთი “24 საათი”, 13 აპრილი, 2005
66. სურგულაძე, რევაზ; იბერი, ელდარ, “მასობრივი კომუნიკაცია”, თბილისი, 2003
67. Свитич Л. «Профессия: журналист», учебное пособие, Аспект Пресс, Москва, 2003
68. Тоффлер, Элвин, “Демассификация средств массовой информации, “Третья волна”, Глава 13, он-лайн-книга,
http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/Toffler/_07.php
69. ტორაძე, მაია, “თანამედროვე პრესა და არჩევნების პრობლემა (ჟურნალისტური ასპექტები)”, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 2005 წ., თბილისი; (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)
70. უსუფაშვილი, დავით; ნოდია, გია, “საარჩევნო პროცესები საქართველოში”, “დემოკრატიის განვითარება საქართველოში”, №4, თბილისი, 2003
71. ფირალიშვილი, ზაზა, “ქართული პოლიტიკის თეატრალური დიალექტიკა”, თბილისი, 2007
72. ფრიდმანი, მილტონ, “კაპიტალიზმი და თავისუფლება”, გამომცემლობა “სეზანი”, თბილისი, 2002
73. Чалдини, Роберт, «Психология влияния», 4-е международное издание, Питер, Санкт-Петербург, 2001
74. ჩოგოვაძე, გოჩა, “ინფორმაცია: ინფორმაცია, საზოგადოება, ადამიანი”, “ნეოსტუდია”, თბილისი, 2003
75. ცაცანაშვილი, მარიამ, “ინფორმაციული სამართალი”, თბილისი, 2004
76. ჭუმბურიძე, იოსებ, “თანამედროვე ქართული პრესის ძირითადი ტენდენციები (2000-2006 წლები)”, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის წოდების მოსაპოვებლად, თბილისი, 2006 (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)

77. ჯანდა, ქენეთ; ბერი, ჯეფრი მ.; გოლდმენი, ჯერი, “ამერიკული დემოკრატია: აშშ ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი”, გამოცემლობა “ჯისიაი”, თბილისი, 1995
78. Huntington, Samuel P. “The Clash of Civilizations?”,
<http://history.club.fatih.edu.tr/103%20Huntington%20Clash%20of%20Civilizations%20full%20text.htm>

პერიოდიკა

79. “ალია”, სარედაქციო სტატია, “უვანია მერაბიშვილს საქმეს უმრავლესობაზე “გაურჩევს”, 17 აპრილი, 2001
80. “ალია”, “ბალათურია “თელასის” შემდეგ “ელექტროკავშირზე” გადაერთო”, “ალია”, 9 მაისი, 2002
81. ანთაძე, ია, “რა ემუქრება საქართველოს დამოუკიდებლობას”, უურნალი “არილი”, 21 დეკემბერი, 2000
82. ანთაძე, ია, “ჩვენი არჩევანი”, უურნალი “არილი”, 18 ოქტომბერი, 2001
83. ანთაძე, ია, “ირაციონალური აქცენტების ტრადიცია ქართულ პოლიტიკაში”, “ახალი ვერსია”, 8 დეკემბერი, 2003
84. ანთაძე, ია, “რას ელოდება საზოგადოება პრეზიდენტისაგან?”, “ახალი ვერსია”, 5 იანვარი, 2004
85. აბულაშვილი, ია, “მედიის რეპორტერობის საქართველოში”, “რეზონანსი”, 23 ივლისი, 2004
86. ასანიშვილი, გიორგი, “შევარდნაძემ, პუტინს არ გავუპუტივარო”, “დილის გაზეთი”, 4 დეკემბერი, 2001
87. ახვლედიანი, ერლომ, “სიმყარის ძიებაში”, “დილის გაზეთი”, 23 ივნისი, 2000
88. “ახალი მერიდიანი”, “უვანია-სააკაშვილი-მერაბიშვილის გუნდი სამოქალაქო დაპირისპირებას აღვივებს”, “ახალი მერიდიანი”, 14 დეკემბერი, 2001
89. ბაკაშვილი, მამუკა, “უვანია მინდვრის ყვავილივით არის”, “ახალი თაობა”, 23 აპრილი, 2001
90. ბერძენიშვილი, დავით, “ნუ გამოიყენებთ ჯაბა იოსელიანს!.. ის უკვე ბევრჯერ გამოიყენეს”, “ახალი 7 დღე”, 1 დეკემბერი, 2000
91. ბოლოთაშვილი, გივი, “არის თუ არა საქართველო არშემდგარი სახელმწიფო?”, “დილის გაზეთი”, 28 ნოემბერი, 2000
92. გამგებელი, ვანო, “ნეიტრალიტეტი, როგორც გეოპოლიტიკური კომპონენტის ფორმა”, “დილის გაზეთი”, 12 ოქტომბერი, 2001

93. გელანტია, რაფიელ, “ვინ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში?”, “დილის გაზეთი”, 31 მაისი, 2002
94. გიგაშვილი, რუსიკო, “გაბრუვდით, დაბოლდით, მაგრამ ფოჩიან კანფეტს ნუ დახარბდებით”, “ახალი ვერსია”, 20 მაისი, 2002
95. გიგაშვილი, რუსიკო, “ვინ უდირიჟორებს არჩევნების გაყალბებას?”, ”საარჩევნო პოლიტიკური ბაზარი კოლმეურნეობის ბაზარს პგავს”, “ახალი ვერსია”, 27 მაისი, 2002
96. გიგინეშვილი, მარინე, “კოლეგებო, “ნანატრი” დესტაბილიზაცია იგვიანებს!”, “დრო”, 11 ივნისი, 2000
97. გიორგობიანი, ივა, “ჩემი პრეზიდენტი ჩემი მუცელია”, “რეზონანსი”, 8 ივნისი, 2000
98. “დილის გაზეთი”, “ქობალიას სინდრომი”, 3 ოქტომბერი, 2000
99. “დილის გაზეთი”, “თევდორაძე ჭალადიდში ზვიადისტების აქციას მოელის”, 3 ოქტომბერი, 2000
100. “დილის გაზეთი”, “ვის აძლევს ხელს დესტაბილიზაცია საქართველოში?”, “დილის გაზეთი”, 20 ნოემბერი, 2000
101. “დრონი”, “საქართველოს ადგილი და როლი კავკასიაში აშშ-სა და ნატოს სტრატეგიულ მიმართულებებში”, “დრონი”, 13 აპრილი, 2000
102. “დღეს”, საინფორმაციო პროგრამა, აჭარის ტელევიზია, 22 აპრილი, 2001
103. ვაშალომიძე, ზურაბ, “დროსთან შეჭიდებულნი”, “დილის გაზეთი”, 8,9 მაისი, 2001
104. თარგამაძე, ნინო, “შევარდნაძე პუტინის დირექტივით აწონ-დაწონის პოლიტიკას აგრძელებს”, “რეზონანსი”, 5 დეკემბერი, 2001
105. თარგამაძე, ნინო, “დონალდ რამსფელდი დღეს საქართველოს მზადყოფნას შეამოწმებს”, “რეზონანსი”, 15 დეკემბერი, 2001
106. თოიძე, მარიამ, “პრეზიდენტი, თურმე, “არც ცუდ ხასიათზეა” და “არც რაიმეს ებლაუჭება”, “დილის გაზეთი”, 21 აპრილი, 2001
107. თოიძე, მარიამ, ”ჩაიხედეთ სულში... დაფიქრდით, ვიდრე რამეს წამოროშავდეთ”, “დილის გაზეთი”, 22 აპრილი, 2001
108. ივერიელი, ზურაბ, “მაინც არ გამოჩნდა, ვინ იქნება შევარდნაძის შემდეგ, ანუ, რა გვიჩვენა 2 ივნისის არჩევნებმა”, ჟურნალი “იმიჯი”, №4, 2002
109. იმერლიშვილი, ნინო, “რუსეთის ახალგაზრდა პრეზიდენტმა ბაბუ სახალხოდ დაგვიჩაგრა”, “ახალი ვერსია”, 3 დეკემბერი, 2001
110. ინტერვიუ ირინა სარიშვილი-ჭანტურიასთან, “ახალი თაობა”, 2 მაისი, 2000
111. ინტერვიუ ფიქრია ჩიხრაძესთან, “ახალი თაობა”, 5 მაისი, 2000
112. ინტერვიუ ნაირა გელაშვილთან, “ახალი ეპოქა”, 7 ივნისი, 2000

113. ინტერვიუ ია ანთაძესთან, “დილის გაზეთი”, 10 ივლისი, 2000
114. ინტერვიუ გიი ნოდიასთან, “ახალი 7 დღე”, 5 იანვარი, 2001
115. ინტერვიუ რამაზ კლიმიაშვილთან, “კვირის პალიტრა”, 8 იანვარი, 2001
116. ინტერვიუ ელიზბარ ჯაველიძესთან, “ახალი თაობა”, 13 დეკემბერი, 2001
117. ინტერვიუ რამაზ საყვარელიძესთან, “კვირის პალიტრა”, 2001 წლის შემაჯამებელი ნომერი, 24 დეკემბერი, 2001
118. ინტერვიუ რობერტ ჰანტერთან, “24 საათი”, 2 ივლისი, 2002
119. ინტერვიუ გიორგი ჭანტურიასთან, “რუსეთი საქართველოს აშკარად ომს ვერ გამოუცხადებს”, “რეზონანსი”, 8 აგვისტო, 2002
120. ინტერვიუ ბრიუს ჯექსონთან, “მთელი კვირა”, 27 ივნისი, 2005
121. კალატოზიშვილი, დავით, “ქართულ კორუფციას პინოჩეტივით პატიოსანი გენერლები სჭირდება”, “7 დღე”, 20 ოქტომბერი, 2000
122. კალანდაძე, გიორგი, “საქართველოსთან სავიზო რეჟიმს ყაზახეთი და ბულგარეთიც შემოიდგენ”, “რეზონანსი”, 12 ოქტომბერი, 2001
123. კალანდაძე, გიორგი, “ნატო საქართველოს რეალური უსაფრთხოებითი ქოლგაა”, “რეზონანსი”, 13 ოქტომბერი, 2001
124. კალანდაძე, გიორგი, “თარგამაძე პოლიტიკიდან ასე ადვილად არ წავა”, “რეზონანსი”, 26 მარტი, 2001
125. კვესიტაძე, ეკა, “შევარდნაძეს ცვლილებებისათვის აღარც ძალა აქვს და აღარც სურვილი”, “7 დღე”, 29 მაისი, 2000
126. კვიტაშვილი, გიორგი, “თბილისში არჩევნებს ნათელაშვილი მოიგებს”, “ახალი თაობა”, 20 მაისი, 2002)
127. კირვალიძე, მათე, “ხელისუფლება სოციალურ ნადმზეა”, “ალია”, 13 ნოემბერი, 2000
128. კირვალიძე, მათე, “შევარდნაძე ბელგრადის სინდრომზე ზის”, “ალია”, 16 ნოემბერი, 2000
129. კირვალიძე, მათე, “და ამიტომაც მზე ჩრდილოეთიდან ამოდის”, “ალია”, 4 დეკემბერი, 2001
130. კირთაძე, ნესტან, “გილაცას ძალიან უნდა, რომ საქართველოში ქართული სახელმწიფოებრიობა არ შედგეს”, “მართალი გაზეთი”, №5, აგვისტო, 2000
131. ლითანიშვილი, ირაკლი, “ქართული პოლიტიკური გონი – მითი თუ რეალობა”, “ევანიას პქონდა პოლიტიკოსისათვის აუცილებელი რამდენიმე თვისება” “დილის გაზეთი”, 25 მაისი, 2000
132. ლითანიშვილი, ირაკლი, “ქართული პოლიტიკური გონი – მითი თუ რეალობა”, “ყველაზე ძლიერი და პერსპექტიული ფიგურა... შევარდნაძის შემდეგ” “დილის გაზეთი”, 26 მაისი, 2000

133. ლითანიშვილი, ირაკლი, “ქართული პოლიტიკური გონი – მითი თუ რეალობა”, “ვინ გადასძალავს – უვანია თუ შევარდნაძე”, “დილის გაზეთი”, 30 მაისი, 2000
134. ლოლაძე, ნინო, “ვინ მოქმედებდა რუსეთის სცენარით – თარგამაძე-პატარკაციშვილი თუ უვანია-სააკაშვილი?”, “ახალი ვერსია”, 26 ნოემბერი 2001
135. მაღლაფერიძე, ვასილ, “გენეტიკური ანტიევროპეიზმი”, “რეზონანსი”, 17 აპრილი, 2000
136. მეტრეველი, ნინო, “ბურჯანაძე უვანიასა და შევარდნაძის მიერაა შექმნილი”, ქურნალი “სარკე”, 15-21 ოქტომბერი, 2003
137. მიროტაძე, ანი, “საშემოდგომო მდელვარება ალბათ გარდაუვალია”, “ახალი თაობა”, 5 სექტემბერი, 2000
138. მიროტაძე, ანი, “დღევანდელი აქციებით უვანია ქულებს იწერს”, “ახალი თაობა”, 18 ნოემბერი, 2000
139. მიროტაძე, ანი, “ამბობენ, აქციები უვანიას და “მხედრიონის” მხრიდან არის პროცეირებული”, “ახალი თაობა”, 16 ნოემბერი, 2000
140. მირიანაშვილი, თემურ, “რამდენიმე შტრიხი ზურაბ უვანიასა და მისი გუნდის პორტრეტისა”, “ახალი თაობა”, 20 აპრილი, 2000
141. მკერვალიშვილი, ლადო, “როდის განვითარდება საქართველოში დემოკრატია?”, “ახალი თაობა”, 19 მაისი, 2000
142. მჭედლიშვილი, ზურაბ, “რამსფელდის უმნიშვნელოვანები ვიზიტი შედგა”, “კვირის პალიტრა”, 17 დეკემბერი, 2001
143. “ნაშუადღევს”, ტ/კ “პირველი არხი”, 16 ნოემბერი, 2001
144. ნიკურაძე, რუსუდან, “რატომ “გამოამწყვდია” რუსეთმა ტერორისტები პანკისის ხეობაში?”, “დრონი”, 11 იანვარი, 2001
145. ნიკურაძე, რუსუდან, “მოსკოვში ხუმრობდნენ, “შევარდნაძეს შინ არ ჩაესვლებაო”, “დრონი”, 4 დეკემბერი, 2001
146. ნოდია, ნათია, “ამ ხელისუფლების პოლიტიკური კურსი ქვეყანას თურქეთის გუბერნიობას უქადის”, “მართალი გაზეთი”, №60, დეკემბერი, 2001
147. პაპუნაშვილი, მაია, “ერთი კვირა, ანუ, იგივენი და ივანე მერაბიშვილი”, “ახალი 7 დღე”, 20 აპრილი, 2001
148. პოპიაშვილი, მაგდა, “მინისტრთა კაბინეტმა ჩაილურის წყალი დალია”, “ალია”, 16 მაისი, 2000
149. რამიშვილი, ლევან, “ედუარდ დამაბნელებელი” უშუქობას შეეწირება!”, “რეზონანსი”, 15 ნოემბერი, 2000
150. რამიშვილი, ლევან, “რევოლუციიდან რევოლუციამდე ერთი ნაბიჯია”, “რეზონანსი”, 18 ნოემბერი, 2000
151. “რა ხდება პრესის სანახებში”, “დილის გაზეთი”, 10 ივნისი, 2000

152. “რეზონანსი”, “საქართველო არის სასინჯი ქვა, რომელიც რუსეთ-ამერიკას შორის ურთიერთობას გაარკვევს, “რეზონანსი”, 10 იანვარი, 2001
153. რუსიტაშვილი, თეა, “დიდი პოლიტიკური შეთქმულება ცხა-ში და რევანში 2,5 მილიონად”, “ქრონიკა”, 20 მაისი, 2002
154. სანებლიძე, არმაზ, “საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ახალ ფაზაში შედის”, “საქართველოს რესპუბლიკა”, 2 დეკემბერი, 2001
155. საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სამსახურის განცხადება, “საქართველოს რესპუბლიკა”, 2 აგვისტო, 2002
156. საქართველოს პრეზიდენტის რადიოინტერვიუ, “საქართველოს რესპუბლიკა”, 6 აგვისტო, 2002
157. ტელეკომპანიები: “I არხი”, “მე-9 არხი”, 4-6 იანვრის საინფორმაციო პროგრამები, 2002
158. ტუდუში, ლაშა, სარედაქციო სტატია, “რეზონანსი”, 22 მაისი, 2000
159. “უოლ სტრიტ ჯორნალი”, “მოსკოვის უზარმაზარი ზეწოლა საქართველოზე”, “დრონი”, 13 იანვარი, 2001
160. ფაჩულია, მერაბ, “საქართველო ოპტიმიზმის მიხედვით მსოფლიოში მეორეა”, “რეზონანსი”, 17 იანვარი, 2005
161. ფირალიშვილი, ზაზა, “გაჭიანურებული რევოლუცია”, “მართალი გაზეთი”, № 3,4, ივლისი, 2000
162. ღოღობერიძე, ზურაბ, “შეხვედრა მოსკოვში – საქართველოსთვის ბრძოლა გადამწყვეტი ფაზაში შედის”, “7 დღე”, 24 მაისი, 2000
163. შატაკიშვილი, რეზო, “რატომ გვაშინებენ კატასტროფის მოლოდინით, ანუ რა განსხვავებაა შუქსა და ზვიადს შორის”, “დილის გაზეთი”, 20 ნოემბერი, 2000
164. ჩაფიძე, ელისო, “წრთვისა და აღჭურვის პროგრამა არ უნდა ჩაიშალოს”, “რეზონანსი”, 20 ივლისი, 2002
165. ჩაფიძე, ელისო, “მორიგე რედაქტორის სვეტი”, “რეზონანსი”, 1 აგვისტო, 2002
166. ჭაბაშვილი, ქახა, “საქართველო მესამე მსოფლიო ომის წინა ხაზზე”, “ახალი მერიდიანი”, 24 სექტემბერი, 2001
167. ხატიაშვილი, ქეთი, “რუსეთი თუ დასავლეთი... იქნებ ნეიტრალიტეტი?”, “ალია”, 13 თებერვალი, 2001
168. ხატიაშვილი, ქეთი, “ნინო ბურჯანაძის სენსაციური რეიტინგი”, “ალია”, 2 სექტემბერი, 2003
169. ხატიაშვილი, ლუკა, “დღეს შევარდნაძეს ბუშის საიდუმლო წერილს გადასცემენ”, “რეზონანსი”, 3 აგვისტო, 2002
170. ხორბალაძე, თამარ, “დიდი” კლოუნადა” საქართველოში”, “დრონი”, 8 დეკემბერი, 2001

171. ხურციძე, გამუკა, “რუსეთის ქართველოფობიური დემარშები ყოველგვარ კომპრომისს გამორიცხავს”, “ახალი მერიდიანი”, 12 ოქტომბერი, 2001